აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT
OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PROTECTION AGENCY OF AJARA

სსიპ - აჭარის მუზეუმი
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
LEPL - AJARA MUSEUM
THE BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

ფიჭვნარი
PICHVNARI

VIII

ბათუმი
BATUMI
2023

UDC (უაკ) 630(479.223)
ს-963

ფიჭვნარი VIII
იბეჭდება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით
Pichvnari VIII
Published by the financial support of the Cultural Heritage Protection Agency of Ajara

რედაქტორები:
ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
Editors:
Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze

სარედაქციო კოლეგია:
ზაურ ახვლედიანი, თეონა ზოიძე, ლაშა ასლანიშვილი, ნინო ძნელაძე,
თამილა ლომთათიძე, გურამ ჩხატარაშვილი, ნონა მეფარიშვილი, დალი კახიძე
Editorial board:
Zaur Akhvlediani, Teona Zoidze, Lasha Aslanishvili, Nino Dzneladze,
Tamila Lomtatidze, Guram Chkhartishvili, Nona Meparishvili, Dali Kakhidze
რეცენზენტები:
მერაბ ხალვაში, ემზარ კახიძე
Reviewers:
Merab Khalvashi, Emzar Kakhidze

წინასიტყვაობა და რეზიუმეები თარგმნა
ლალი ტუნაძემ
Translator of the Introduction and abstracts
Lali Tunadze

გრაფიკული ნახაზები და ფოტოები:
ანზორ ჯაველიძე, გიორგი დუმბაძე, გივი ნახუცრიშვილი, ზაალ შენგელია
Graphic drawings and photos:
Anzor Javelidze, Giorgi Dumbadze, Givi Nakhutsrishvili, Zaal Shengelia

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მერაბ უზუნაძე
Word processing
Merab Uzunadze

დიზაინი
დათო მოსიაშვილი
Design
Dato Mosiashvili

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
CULTURAL HERITAGE PROTECTION AGENCY OF AJARA
MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
აჭარის მუზეუმი MUSEUM OF ADJARA

ISBN 978-99940-0-114-9 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-8-6182-6 (VIII ტომი)

ფავორიტი სტამბა რომელსაც ენდობი

სტამბა „ფავორიტი სტილი“
Printing „Favorite Style“

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
Introduction 7

გურამ ჩხატარაშვილი
პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები ფიჭვნარის შემოგარენში ... 9
Guram Chkhartishvili
Prehistoric archaeological sites on the territory of Kobuleti 18
ამირან კახიძე
მალხაზ ნაგერვაძე
ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი მეგალითური კულტურის კერები 24
Amiran Kakhidze
Malkhaz Nagervadze
Newly discovered megalithic cultural sites related to the non-ferrous metallurgy 41
ამირან კახიძე
ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი 57
Amiran Kakhidze
Ispani under-peat settlement ruins 70
ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
ძველი კოლხური გორანამოსახლარი, ნამჭედური I 87
Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze
Namcheduri I. Ancient Colchian inhabited hill 97
ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
ფიჭვნარის საკულტო ძეგლი 117
Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze
Pichvnari cultic site 129
ირაკლი ჩავლეიშვილი
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამოსახლოები და მშენებლობის ტექნიკა II-I ათასწლეულში 142
Irakli Chavleishvili
Dwelling houses and construction techniques of south-western Georgia in the 2nd-1st Millennium BC 157

გიორგი თავამაიშვილი
საქართველოს ზღვისპირეთის დიუნური სადგომები (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი) 174
Giorgi Tavamaishvili
Dune settlements of the coastal area of Georgia (Pichvnari, Bobokvati, Tsikhisdziri) 194
ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
მალხაზ ნაგერვაძე
გორანამოსახლარი ნამჭედური II 206
Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze
Malkhaz Nagervadze
The inhabited hill of Namcheduri II 212
მაია ჭიჭინაძე
ელისო ყვავაძე
პალეოდაავადებები, პალეოდიეტა და ეთნომედიცინა ადრე ანტიკური ხანის კოლხეთში (ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგები) 239
Maia Chichinadze
Eliso Kvavadze
Paleodiseases, Paleodiet and ethnomedicine in the early Classical Colchis: Results of the palynological studies carried out at the settlement of Namcheduri II 258
ირინე ვარშალომიძე
ფიჭვნარი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით 266
Irine Varshalomdize
Pichvnari numismatic evidence 280
ნინო ძნელაძე
ეროსი-თანატოსის ტერაკოტული ფიგურა ფიჭვნარის ნამოსახლარიდან 288
Nino Dzneladze
Terracotta figure of Eros-Thanatos from Pichvnari 291
ამირან კახიძე
ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი 294
Amitran Kakhidze
Classical settlement of Pichvnari 318

წინასიტყვაობა

გასული საუკუნის II ნახევარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ამავე საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის პირველი ორი ათწლეულისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ თანამიმდევრული, გეგმაზომიერი საველე არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1998-2010 წწ დიდი ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ერთობლივი ექსპედიციების მუშაობა ფიჭვნარში, სადაც ჩვენს ბათუმელ კოლეგებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის, აშმოლის მუზეუმისა და ჯესუს კოლეჯის სტუდენტები. ფიჭვნარი იქცა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა საერთაშორისო სკოლად.

შეიქმნა სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობა ქართულ და უცხოურ ენებზე. ფიჭვნარის საველე კვლევა-ძიებათა ისტორიაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ადრერკინის ხანის ფიჭვნარის ქვიშაზვინულებისა და გვიანბრინჯაო, კლასიკური და ელინისტური ხანის კულტურული ფენების შესწავლას.

ფაზისის ლოკალიზაციამდე „ოქრომრავალი“ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების შესწავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფიჭვნარის ნაქალაქარისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სამაროვნების არქეოლოგიური გათხრები. გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ საველე მეთოდური გათხრების ძირითად ობიექტს ფიჭვნარის კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების დახურული კომპლექსები და ცალკეული სამარხები წარმოადგენდა.

ფიჭვნარი ჯერჯერობით ერთად-ერთი ძეგლია, სადაც აღმოჩენილია ძვ.წ. V-IV სს-ის ვრცელი სამაროვანი. აქ 1966 წლიდან ადგილობრივ კოლხურ მოსახლეობასთან დაკავშირებული 600-მდე სამარხია შესწავლილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამიერკავკასიაში ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ ფიჭვნარშია მიკვლეული დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესებთან დაკავშირებული წმინდა ელინური სამაროვანი. განებივრებული აღმოვჩნდით მეტად მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი, ხშირად უნიკალური მონაპოვრებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო ჩვენი ექსპედიციების რუდუნებით შესწავლილ 500 -ზე მეტ ბერძენთა განსასვენებელისა და ასეულობით სააღპო მოედნებზე აღმოჩენილი ინვენტარით.

ამას ემატება, კიდევ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილი, ალექსანდრე მაკედონელის შემდგომი ელინიზმის ეპოქის სამაროვანი. აქ ჯერჯერობით შესწავლილი გვაქვს 350-ზე მეტი სამარხი. ჩვენს ხელთაა გვიანანტიკური – ადრეული შუასაუკუნეების ლაზიკის ძლიერების ამსახველი სამარხეული კომპლექსებიც.

კიდევ უფრო მდიდარი ინფორმაციის მომცემი გახლავთ ფიჭვნარისა და მისი შემოგარენის სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარების, საკულტო ძეგლებისა და ნა-

ქალაქარის კულტურულ ფენებში მიკვლეული არტეფაქტები. სამწუხაროდ, გრუნტული წყლების სიახლოვის გამო ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების განხორციელება არ ხერხდება უძველესი ეპოქების პლასტების შესწავლის მიზნით. ჯერჯერობით ვახერხებთ ელინისტური ხანის კულტურული ფენების სრულყოფილად და კლასიკური ხანის გარკვეული მონაკვეთების ნაწილობრივ გათხრებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხდვით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ სამაროვნების მსგავსად, ფიჭვნარის ნაქალაქარის კვლევებისათვის მიგვეძღვნა „ფიჭვნარის“ მონოგრაფიათა სერიის VIII ტომი.

ჩვენი მადლიანი ძეგლი გვთავაზობს საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან ინფორმაციებს აღმოსავლეთ პონტოსპირეთში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების კვლევისათვის. მითუმეტეს ლეგენდარული კოლხეთის კლასიკური ძეგლი ფაზისი ჯერ კიდევ არაა ლოკალიზებული.

ნათელია, რომ ფიჭვნარის საქალაქო დასახლების გაჩენას ქონდა მეტად საინტერესო, მძლავრი წანამძღვრები. ეპიპალეოლითისა და ნეოლითის ეპოქებიდან დაწყებულნი ისინი გვევლინებიან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ისტორიული პროცესების აქტიურ თანამონაწილეებად. სწორედ ამიტომ საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების გენეზისის ისტორიის სრულყოფილი სურათის ჩვენების მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეტანა მოკლე ინფორმაციები ამ წანამძღვრების შესახებ.

ამირან კახიძე

INTRODUCTION

The consequential, systematic field archaeological works were carried out in south-west Georgia in the II half of the XX c. by N. Berdzenishvili Batumi Scientific Research Institute of the Georgian Academy of Sciences and at the end of the said century and during the first two decades of the XXI c. by the Ministry of Education, Culture and Sports of the Autonomous Republic of Adjara. A great number of various national heritage sites were discovered, which significantly contributed in the enrichment of the national cultural heritage treasury. The joint expeditions of the Great Britain and Batumi Archaeological Museum in Pichvnari in 1998-2010 were especially productive. Our colleagues from Batumi and a great number of professors and students from the University of Oxford, Ashmolean Museum and Jesus College were engaged in the expeditions. Pichvnari became the international school of archaeological studies.

The significant scientific works were developed in Georgian and foreign languages. During the very first periods of the history of the Pichvnari field studies, the main focus was made on the study of the Pichvnari dune settlements from the Early Iron Age and cultural layers from the Late Bronze Age, Classical and Hellenistic ages.

The archaeological excavations of the Pichvnari ruins and old cemeteries directly related to it were vital for the study of the littoral cities of Colchis before the localization of Phasis. This work informs the readers that one of the main objects of the field methodologic excavations was the old cemeteries of Pichvnari, which perfectly preserved the closed complexes, separate cemeteries from the Classical, Hellenistic and Early Middle Ages. Pichvnari is the only site so far where a large cemetery from V-IV c. BC was discovered. Up to 600 graves related to the local Colchian population have been studied since 1966. It is worth mentioning that in Transcaucasia the Hellenistic cemetery, necropolis associated with the processes of Greek colonization is only discovered in Pichvnari. There were discovered various numerous and unique findings from more than 500 graves and hundreds of inventories found in sacral places of Greeks.

Furthermore, the cemetery from the Hellenistic period located in a larger territory is noteworthy. So far, more than 350 burials have been studied there. The burial complexes reflecting the advancement of Lazika in the Late Antique – Early Middle Ages were found.

The artefacts found in the ruins, cultic monuments from various periods and in the cultural layers of town remains of Pichvnari and its surroundings are far more informative. Unfortunately, the execution of large-scale archaeological excavations to study the ancient period layers was not possible due to the ground waters. We managed to thoroughly study the cultural layers of the Hellenistic period and partial-

ly excavate certain areas of the Classical period. Regardless of the said, based on the available data, we deem it appropriate to dedicate the special section of the series to the research of the Pichvnari ruins, similar to the cemetery. This site provides us with quite rich and diverse information for studying cities and city lifestyles in east Pontus. Especially, the classical site of the legendary Colchis – Phasis has not yet been localized. It is clear that the creation of such type of urban settlement had quite strong and interesting preconditions, which, from the Epipalaeolithic and Neolithic periods, are active co-participants of the core international historical processes. Thus, in order to demonstrate the complete image of the history of Georgian littoral cities and urban lifestyle genesis, we deem it necessary to provide brief information about these preconditions.

Amiran Kakhidze

გურამ ჩხატარაშვილი

პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები ფიჭვნარის შემოგარენში

ძვ.წ. X ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე სრულდება გამყინვარების ხანა პრეისტოცენი და დგება თანამედროვე გეოლოგიური ეპოქა ჰოლოცენი. არქეოლოგიური პერიოდიზაციის თანახმად, იგი შუა ქვის ხანას (მეზოლითი) ემთხვევა. ამ დროს იწყება გლობალური კლიმატური ცვლილებები: ჰავის დათბობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა ყინულის დნობა, მყინვარების ჩრდილოეთისაკენ დახევა და ხმელეთის თანდათანობით განთავისუფლება; შედეგად წარმოიქმნა წყლები, რამაც თავის მხრივ განაპირობა ხმელეთის რელიეფის ცვლილება, ოკეანის და ზღვის დონე საგრძნობლად აიწია, წარმოიქმნა ბერინგისა და გიბრალტარის სრუტეები, შავი ზღვა შეუერთდა ხმელთაშუა ზღვას და ა.შ. სახეზეა კარდინალური ცვლილებები ფლორასა და ფაუნაშიც, ნოვაციები ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაშიც. ათვისებულ იქნა მანამდე დაუსახლებელი ტერიტორიები, კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო ტრადიციულმა საქმიანობამ, კერძოდ, შემგროვებლობამ, ნადირობამ და თევზჭერამ. დაიხვეწა ქვის იარაღების ინდუსტრია (მშვილდისარი და სხვა სატყორცნ-სასროლი იარაღები, თევზჭერასთან დაკავშირებული ჰარპუნები, ანკესები). ყოველივე ეს საშუალებას აძლევდა წარმატებით ენადირათ როგორც დიდ, ისე პატარა ზომის ცხოველებზე, ფრინველებზე და თევზებზე. მსგავსი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არტეფაქტები (გეომეტრიული მიკროლითები, რომლებიც გამოიყენებოდა ძვლის ან რქის ბუდეში ჩასართებად).

იცვლება გეომორფოლოგიური გარემოც. ამ საკითხებს საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა განსვენებულმა მეცნიერმა დავით ხახუტაიშვილმა (ხახუტაიშვილი, 1995). ქობულეთის ზღვისპირა დაბლობი კოლხეთის აკუმულაციური ველის უკიდურესი სამხრეთი მონაკვეთია. თანამედროვე ზღვური პლაჟიდან მას გამოყოფს ახალშავზღვური ტერასა (დიუნა), რომელზედაც კურორტების ქობულეთისა და ბობოყვათ-ციხისძირის ზღვისპირა უბნებია განლაგებული. ქობულეთის აღმოსავლეთით ახალშავზღვურ ტერასას ებჯინება ისპანის ტორფნარი. 2-2,5 მ. სიღრმის ტორფით დაფარულ ნამოსახლარზე მოპოვებულმა მასალებმა მკვლევართ საშუალება მისცა არგუმენტირებულად ემსჯელათ ქობულეთის დაბლობისა და ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიურ ცვლილებებზე ადრეჰოლოცენიდან დაწყებული, ვიდრე გვიანჰოლოცენამდე.

მართალია ეს გეოლოგიური ეპოქა არ იცნობს ძლიერი გამყინვარების ფაზებს, მაგრამ ფიქსირებულია მცირე კლიმატური რყევების სერია, რომელთა უმრავლესობა ვულკანიზმის მოვლენებთანაა დაკავშირებული. ამ ნიადაგზე, როგორც გეომორფოლოგები მიუთითებდნენ, კოლხეთის დაბლობში, ჰოლოცენურ

დანალექებში, შეინიშნება სტრატიგრაფიული წყვეტილები, რაც ზღვის დონის მერყეობით აიხსნება (ხახუტაიშვილი, 1995: 8-9).

დასავლეთ საქართველო მდიდარია ადრე ჰოლოცენის პერიოდის ძეგლებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარა. აღმოჩენილია 10-მდე ძეგლი (სოფ. ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, ჩოლოქი, სახალვაშო და სხვ.). გასული საუკუნიდან დაწყებული ჯერჯერობით სპეციალური შესწავლის საგანი გახლავთ მდ. კინტრიშის ტერასაზე მდებარე სოფლები ქობულეთი და ხუცუბანი. ძეგლები წარმოადგენენ ღია ტიპის ნამოსახლარებს. ჩანს, რომ ადამიანს სპეციალურად შეურჩევია ეს ადგილები საცხოვრებლად, რასაც მისი სტრატეგიული მდებარეობა და მდინარის სიახლოვე განაპირობებდა.

ფიჭვნარის საქალაქო ცენტრის გენეზისის უძველეს წანამძღვართა შორის ერთ-ერთი გამორჩეულ ძეგლად გამოიყურება სოფ. ქობულეთი. მისი შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში. კვლევის საწყისი საფეხური დაკავშირებულია ცნობილი ქალი არქეოლოგების ნინო ბერძენიშვილისა და ლამარა ნებიერიძის სახელთან (ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964: 7-16). მათ 1961 წ. დაზვერვითი სამუშაოები აწარმოეს ხუცუბანსა და სოფ. ქობულეთში. შემდგომში არქეოლოგიური ძეგლების ფუნდამენტელური კვლევა წარმატებით განახორციელა არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ, რომელმაც 1973-1986 წწ. არაერთი საინტერესო საველე სეზონი ჩაატარა სოფ. ქობულეთში (გოგიტიძე, 1978; 2008).

მორიგი ახალი ეტაპი სოფ. ქობულეთის კვლევის ისტორიაში იწყება 2019 წელს, როდესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით სოფ. ქობულეთში საველე არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა ქართველ-უკრაინელ მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფის მიერ (ჩხატარაშვილი, 2019; Chkhatarashvili, Manko, 2020; Ckhatarashvili..., 2020). დადასტურდა, რომ სოფ. ქობულეთს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია არამარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში.

სოფ. ქობულეთის ნამოსახლარი მდებარეობს კურორტ ქობულეთის აღმოსავლეთით 10 კმ-ის მანძილზე, მდ. კინტრიშის მარჯვენა ტერასაზე (ტაბ.I/1).

ძეგლის სტრატიგრაფიასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი (ტაბ.I/2):

0-0,2 მ.: ჰუმუსი.

0,2-0,3 მ.: მუქი ყავისფერი მიწა.

0,3-0,45 მ.: ყავისფერი ფენა.

0,45-0,65 მ.: ღია ყავისფერი ფენა.

0,65 და ქვემოთ: ყვითელი თიხნარი ფენა.

ყავისფერ უძრავ კულტურულ ფენაში გამოიკვეთა რამდენიმე შრე. აღმოჩნდა: კაჟისა და ობსიდიანის არტეფაქტები (ტაბ. II), სხვადასხვა დანიშნულების ორმოები, საცხოვრებელი სახლის კონტურები, დედაბოძის საყრდენი ორმოები,

მდინარეული რიყის ქვებით მოკირწყლული იატაკი და სხვ. საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგიაში სოფელ ქობულეთი სავსებით კანონზომიერად გახდა ხანგრძლივი კვლევა-ძიების ობიექტი.

სოფ. ქობულეთის დასახლება განეკუთვნება უნიკალურ ძეგლთა იმ რიცხვს, სადაც შესანიშნავად შემოგვენახა უძველეს ნაგებობათა ნაშთები. მათი უმეტესობა მართკუთხა უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს დედაბოძის საყრდენი ორმოების განლაგება. საცხოვრებელი სახლის შიდა ინტერიერის ძირითადი ნაწილი თიხითაა მოტკეპნილი, გამოყენებულია მდინარისეული ქვები. ერთ-ერთი საცხოვრებელი მრგვალი უნდა ყოფილიყო, რომლის დიამ. 3 მ-ია. თუმცა, საველე სამუშაოები არაა დასრულებული და საერთო სურათის წარმოდგენა მხოლოდ მოგვიანებით იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის ნამოსახლარზე არქეოლოგი სერგო გოგიტიძე ადასტურებს წყალმომარაგების უძველეს სისტემებს, რომელსაც, მისი აზრით, ჯერჯერობით ანალოგი არ ეძებნება კავკასიაში (გოგიტიძე, 1978, 2008). ესაა სამოსახლოს ჩრდილოეთიდან, წყაროს დასახლების ტერიტორიაზე ორ რიგად განტოტილი წყლის არხები. შესანიშნავად იკითხება ოთკუთხა წყლის სადინარი სივრცე, რომელიც რიყის ბრტყელი ქვებითაა გადახურული. არხის გვერდებიც ამოყვანილია რიყის ქვებით (ტაბ.III).

არქეოლოგიური კამპანიების შედეგად მოპოვებულია დიდძალი მასალა (დაახლ. 35 ათასი), მათგან 3 000-მდე იარაღია. ნუკლეუსებში გამოიყოფა ცილინდრული და ფანქრისებური ფორმები, რომელზეც ხელის წნევითი ტექნიკის გამოყენების შედეგად მიიღებოდა სწორი დანისებრი ლამელები და მიკროლამელები. იარაღებში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიები: საფხეკები, რომელიც უმეტესად დამზადებულია ანტკეცებზე, ცოტაა ლამელაზე და მიკროლამელაზე დამზადებულები; მნიშნელოვან ჯგუფს ქმნიან მასიურ ანატკეცზე ნაკეთები სატეხები; საჭრისები იარაღებს შორის გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და სიმრავლით. უმეტესობა შექმნილია ლამელებსა და მიკროლამელებზე. ძირითადად კუთხის და გვერდულა საჭრისებია.

მორიგ უმნიშვნელოვანეს ქვის იარაღთა ჯგუფს ქმნიან გვერდებდაბლაგვებული და თავწაკვეთილი მიკროლამელები. მსგავსი მცირე ზომის იარაღები გამოიყენებოდა ნადირობისთვის საჭირო სატყორცნი იარაღების ჩასართებად.

იარაღის დასამზადებელ ძირითად მასალად გამოყენებულია კაჟი და ობსიდიანი. დასავლეთ საქართველო მდიდარია მაღალი ხარისხის კაჟის საბადოებით, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ შავიზღვისპირა ზოლში გამოიყენებოდა ადგილობრივი კაჟის კარიერი. ობსიდიანი კი საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ჯავახეთში მდებარე ჭიქიანის მთაზე მოიპოვებოდა. საერთოდ სამხრეთ კავკასია მდიდარია ობსიდიანის წყაროებით. კერძოდ, აღმოსავლეთ თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. არაა გამორიცხული, რომ ობსიდიანი სწორედ ამ გზითაც მოხვედრილიყო სოფ. ქობულეთში. დავსძენთ, რომ წინა წლებში სოფ. ქობულეთის

ობსიდიანთან დაკავშირებით მოკრძალებული კვლევები ჩატარდა (Badalyan..., 2004). ამ მინერალის გეოქიმიური ანალიზი გაკეთდა მისურის უნივერსიტეტის რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიაში რენტგენოს-პექტრალურ-ფლუროსცენციური (XRF) მეთოდის გამოყენებით (Chkhatarashvili, Glascock, 2022). დადასტურდა, რომ სოფ. ქობულეთში ობსიდიანი სამი ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროდან ხვდებოდა.

ტრასოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდა მეურნეობის წამყვანი და მეორეხარისხოვანი დარგების გამოყოფა. დადგინდა, რომ აქაური მცხოვრებლების ძირითადი საქმიანობა იყო ხორცის დამუშავება, ხის ჭრა თუ ძვლის იარაღების კეთება. გვაქვს მცირე რაოდენობის ტყავის დამუშავებისთვის გამოყენებული ინვენტარი (Эсакия ..., 2020; Chkhatarashvili ..., 2020).

ორმოებში დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ხის დამწვარი ნახშირები. ამ უკანასკნელზე ჩატარებული C^{14}-ის ანალიზით შესაძლებელი გახდა აბსოლუტური თარიღების მიღება (ცხრ. 1).

ლაბორატორიის ინდექსი	BP	BC კალიბრირებული (95,4%; IntCal 20)	ლიტერატურა
SPb-3624	9600±70	9231-8776	ქვეყნდება პირველად
SPb-3621	9587±70	9227-8765	ქვეყნდება პირველად
FTMC-PE65-3	9510±32	9121-8657	ქვეყნდება პირველად
FTMC-PE65-2	9465±32	9111-8632	ქვეყნდება პირველად
SPb-3084	8670±100	8171-7534	Ckhatarashvili ..., 2020
SPb-3623	7949±70	7047-6653	Manko, Chkhatarashvili, 2022a

ცხრილი 1. სოფ. ქობულეთის აბსოლუტური თარიღები.

ამ მონაცემებით აშკარა ხდება, რომ დაახლ. 2 500 წლის განმავლობაში ინტენსიური დასახლება უწყვეტი ხასიათის მატარებელია.

პალინოლოგიური კვლევების მონაცემებით დადგინდა მტვრიანას მარცვლების 8 ტაქსონის არსებობა. თითქმის ყველა მათგანი თბილ კლიმატსა და ტენიან ნიადაგში ხარობს. ესენია: რცხილა (Corpinus betulus), ცაცხვი (Tilia), ნეკერჩხალი (Acer), კაკალი (Juglans regia), თხილი (Corylus) და ძელქვა (Zelkova) (Chkhatarashvili..., 2020: 224). ეს უკანასკნელი წარმოადგენს მესამეულ რელიქტს, რომელიც დღესაც ხარობს საქართველოში (ალაზნის ხეობა, კოლხეთის სანაპირო) თბილ ადგილებსა და დაბალ სიმაღლეზე (Kvavadze, Conor, 2005). ასევე, პალინოლოგიურ ნიმუშებში ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ფარსმანდუკი (Achilea) და ასტრი (Aster), რომლებიც სპეციალისტ-პალინოლოგების განსაზღვრებით მიეკუთვნება სამედიცინო მცენარეთა სახეობებს (Martkoplishvili, Kvavadze, 2015; Martkoplishvili, Kvavadze, 2017; Martkoplishvili, 2017). უმნიშვნელოვანესი იყო სე-

ლის ქსოვილის ბოჭკოების აღმოჩენაც (Kvavadze..., 2010a,b,c; ჭიჭინაძე, 2013). აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ესაა სელის ქსოვილის აღმოჩენის ჯერჯერობით ყველაზე ადრეული ფაქტი (Chkhatarashvili..., 2020).

პალინოლოგიურ სინჯებში დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სახამებლის და მარცვლეულის ფიტოლიტები, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ადამიანის საკვებ რაციონში დიდი ადგილი ეკავა მცენარეულ პროდუქტებს.

სამწუხაროდ, სოფ. ქობულეთში ნესტიანი ნიადაგის გამო არ შემორჩენილა ძვლოვანი მასალა. სავარაუდოდ, პირველყოფილ ადამიანებს უნდა ენადირათ ცხოველთა ისეთ სახეობებზე როგორიცაა კეთილშობილი ირემი, გარეული ღორი, თხა და სხვ. ეს ცხოველები გვხვდება ადრეჰოლოცენის ხანის ვრცელ ფაუნისტურ სიაში.

როგორც ვხედავთ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის უძველეს მკვიდრთა შორის ეპიპალეოლითსა და ადრეული ნეოლითის ხანიდან მომზადდა ნიადაგი მითვისებითი საქმიანობიდან მწარმოებლურ ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისათვის. გარკვეული წარმოდგენები შეგვექმნა ხუროთმოძღვრების, მეურნეობასა და წყალმომარაგების სისტემებზე. თუ პალინოლოგიური კვლევის შედეგებს დავეყრდნობით, უნდა ჩნდებოდეს საფეიქრო საქმიანობის პირველი ჩანასახები (სელის და კანაფის ქსოვილის ნაშთები სოფ. ქობულეთიდან და ხუცუბნიდან). ბუნებრივია, კვლავაც წამყვანი ჩანს შემგროვებლურ მეურნეობასთან დაკავშირებული ტრადიციული დარგები.

ხუცუბანი. უახლესი აღმოჩენების მოწმენი გავხდით სოფ. ხუცუბნის ნამოსახლარზეც 2021-2022 წწ. ძეგლი მდებარეობს ქობულეთიდან 7-8 კმ-ის დაშორებით კინტრიშის მაჯვენა მდინარეულ ტერასაზე.

საკონტროლო გათხრითი სამუშაოების შედეგად (მარინე ალის ასული ბერიძის ნაკვეთი) ჩვენს ხელთ აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის საინტერესო კოლექცია. შედეგად 1950 არტეფაქტი, მათ შორის 250 იარაღია. სტრატიგრაფიული ჭრილის მიხედვით ჩანს, რომ ჰუმუსის სიმძლავრე არის 10 სმ. სოფ. ქობულეთის ნამოსახლართან შედარებით აქ უძრავი კულტურული ფენა კიდევ უფრო თვალსაჩინოა (სიმძლავრე 70 სმ). აღმოჩნდა საცხოვრებელი სახლის დედაბოძის საყრდენი სამი ორმო. სასურველია გათხრების გაფართოება ნაგებობის გეგმის დადგენის მიზნით. ორმოებში საკმაო რაოდენობით შემორჩენილია ხის დანახშირებული ფრაგმენტები. ამ უკანასკნელზე ჩატარებული C^{14}-ის ანალიზით შესაძლებელი გახდა აბსოლუტური თარიღების მიღება (ცხრ. 2). ძეგლი სოფ. ქობულეთის თანადროულია.

ლაბორატორიის ინდექსი	BP	BC კალიბრირებული (95,4%; IntCal 20)	ლიტერატურა
FTMC-ZL16-1	9527±37	9129-8736	ქვეყნდება პირველად
FTMC-ZL16-2	9646±38	9240-8841	ქვეყნდება პირველად

ცხრილი 2. ხუცუბნის აბსოლუტური თარიღები.

გარდა ამისა, ავიღეთ სინჯები პალინოლოგიური კვლევებისათვის. საქმე იმაში გახლავთ, რომ 2021 წ. მონაპოვრებს შორის სპეციალისტ-პალინოლოგების მიერ კანაფის ქსოვილის ბოჭკოებიც იქნა დადასტურებული (ტაბ. IV).

სიტყვას აღარ განვავრცობთ საკვლევი ტერიტორიის სხვა ძეგლების შესახებ (კვირიკე, კოხი, ჩოლოქი, ჯიხანჯური, სახალვაშო), რომლებიც არსებითად იგივე სურათს გადმოგვცემენ (გოგიტიძე, 1978).

უკანასკნელი აღმოჩენების მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ზოგიერთი წინასწარეული დასკვნის გაკეთება სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ქვის ხანის კულტურის წარმოშობასთან დაკავშირებით. გენეზისს უნდა მივყავდეთ არქეოლოგიურ მეცნიერებაში არსებულ დიდ მიგრაციულ პროცესებთან (Манько, Чхатарашвілі, 2020; Chkhatarashvili..., 2020; Manko, Chkhatarashvili, 2022b). გაჩნდა მოსაზრება, რომ მიგრაციის საწყის პუნქტად უნდა მიიჩნეოდეს თანამედროვე ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე გავრცელებული უძველესი კულტურები (ე.წ. „მლეფაატური კულტურა“). ასეთ ძეგლებს მიეკუთვნება: მლეფაატი (Dittermore, 1983), კარიმ შაჰირი (Howe, 1983), ჩაგა სეფიდი (Hole, 1977), ჯარმო (Hole 1987) და სხვ. ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით მლეფაატური ინდუსტრიის ადრეული ეტაპის ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ მონადირე-შემგროვებლობის ბაზაზე იმყოფებიან. ქობულეთის და ხუცუბნის მსგავსად, აქაურ კულტურაში წამყვანი ჩანს ხელის წნევითი ტექნიკა, რომელიც გულისხმობს კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსებიდან ლამელების და მიკროლამელების მიღებას. ასევე, საოცარი მსგავსება არის იარაღთა ტიპოლოგიასა და საცხოვრებელი სახლის დაგეგმარების წესში. ამ მოსაზრებას ამყარებს აბსოლუტური თარიღების მთელი სერიაც. პირველი მიგრაციები ახლო აღმოსავლეთიდან უნდა იწყებოდეს დაახლ. ძვ.წ. 11 500 წლიდან.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქობულეთის ქვის ხანის დასახლებები არიან ამავე კულტურის გამავრცელებლები აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე (Манько, 2015; Манько, Чхатарашвили 2020).

სწორედ ამ დროიდან უნდა ჰქონოდა მჭიდრო კონტაქტებს უწყვეტი ხასიათი შემდგომი პერიოდებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი ნ., ნებიერიძე ლ., ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 7-16

გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978

გოგიტიძე ს., კინტრიშის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი), ბათუმი, 2008

ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995

ჩხატარაშვილი გ., 2019 წელს სოფ. ქობულეთის ქვის ხანის სადგომზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2020, გვ. 381-385

ჭიჭინაძე მ., ანტიკური ხანის ცენტრალური კოლხეთის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა (არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე), სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013

Манко, В., Походження кукрецькои культури, Наукови студии, вип. 8, Kiyv, 2015

Манько В.О., Чхатарашвілі Г.Л. Західна Грузія як транзитна територія на шляху міграцій протонеолітичного населення у Східну Європу // Археологія і давня історія України. – 2020. – Вып. 4 (37). – С. 329–339

Эсакия К., Чхатарашвили Г, Кахидзе А., КОМПЛЕКСНЫЙ АНАЛИЗ КАМЕННОГО ИНВЕНТАРЯ РАННЕГОЛОЦЕНОВОЙ СТОЯНКИ КОБУЛЕТИ, Tyragetia, 71, s.n., vol. XIV [XXIX], nr. 1, 2020, pp. 71-76

Badalyan R., Chataigner C., Kohl Ph., Trans-Caucasian Obsidian: The exploitation of the sources and their distribution, Ancient Near Eastern Studies, Supplement 12, Peeters, 2004, pp. 437-465

Chkhatarashvili G., Manko V., Kobuleti site: the evidence of Early Holocene occupation in Western Georgia, Documenta Praehistorica, XLVII, 2020, pp. 28-35

Ckhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltcov M., South-East BlackSea Coast in Early Holocene Period (According tointerdisciplinary archaeological investigations in Kobuleti site), Sprawozdania Archeologiczne, 72(2), 2020, pp. 213-230

Chkhatarashvili G., Glascock M., Obsidian at Kobuleti (WesternGeorgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the Early Holocene, Archaeological Research in Asia, 29, 2022

Chichinadze M. Palaeoecology and Economics of the Central Colchis Antiquity (Based on palynological studies of archaeological sites). According to Palynological Data. PhD thesis. Ilia State University, **2013**

Dittermore M. The Soundings at M'lefaat. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), Prehistoric archaeology along the Zagros flanks (= Oriental Institute Publication 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, **1983,** pp. 671-692

Hole F. Studies in the archeological history of the Deh Luran plain. The Excavation of Chagha Sefid (= Memories of the Museum of Anthropology. University of Michigan 9). Ann Arbor: Museum of Anthropology, University of Michigan **1977**

Hole F. Chronologies in the Iranian Neolithic // Chronologies in the Near East: relative chronologies and absolute chronology 16.000–4.000 B.P. C.N.R.S. International symposium, Lyon (France) 24–28 November 1986. – Oxford: BAR, 1987. – P. 353–379. (BAR International Series. Vol. 379), **1987**

Howe B. Karim Shahir. In L. S. Braidwood, R. J. Braidwood, B. Howe, C. A. Reed and P. J. Watson (eds), Prehistoric Archaeology along The Zagros Flanks (= Oriental Institute Publication 105). Chicago: Oriental Institute of the University of Chicago, **1983,** pp. 23-154;

Kvavadze, E.V., Connor, S.E. Zelkova carpinifolia (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. Review of Palaeobotany & Palynology, 133, **2005,** pp. 69-89;

Kvavadze E; Bar-Yosef O, Belfer-Cohen A, Boaretto E, Jakeli N; Matskevich Z, Meshveliani T.. 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. *Science* 11 Sep 2009: Vol. 325, Issue 5946, pp. 1359, DOI: 10.1126/science.1175404, **2010a**

Kvavadze E.., Chichinadze M., Martkoplishvili I., Bibiluri B., Bitadze L., Laliashvili Sh.. The significance of zoological microremains in palynological samples for studying environmental change and past biodiversity. Abstracts of 4th Workshop of NPP., Besanson, France. **2010b,** p.24

Kvavadze E., Narimanishvili G, Bitadze L. Fibres of *Linum,* (flax), *Gossypium* (cotton) and animal wool as non-pollen palynomorphs in the late Bronze Age burials of Saphar-Kharaba, southern Georgia. Vegetation History and Archaeobotany, Volume 19, Issue 5–6, **2010c**, pp 479–494

Manko V., Chkhatarashvili G. Kvirike: The Early Holocene Site in Western Georgia, Revista Arheologică, serie nouă, vol. XVIII, nr. 2, **2022a**, p. 5-16

Manko V., Chkhatarashvili G., Transcaucasia and Neolithic of South of Eastern Europe. Arheologia, 2, **2022b,** p. 19-52

Martkoplishvili I., Kvavadze E. Some popular medicinal plants and diseases of the upper Palaeolothic in Western Georgia. Journal of Ethnopharmacology, 166, **2015,** pp.42-52;

Martkoplishvili I., Kvavadze E. Non-pollen palynomorphs of contents of archaeological vessels and household pits – an important marker of human palaeodiet 7th Workshop on Non-Pollen Palynomorphs. 12-14 June. Liverpool, UK. University of Liverpool, **2017**

Martkoplishvili I. Nutrition Ration and Medication of a Man of Upper Paleolithic, Neolithic and Bronze Age of Georgia According to Palynological Data. PhD thesis. Ilia State University, **2017**

Guram Chkhartishvili

PREHISTORIC ARCHAEOLOGICAL SITES ON THE TERRITORY OF KOBULETI

The significant archaeological sites dating back to the Stone Age are located on the territory of south-west Georgia. The present work deals with the ruins from the Early Holocene period located in the Kintrishi ravine – v. Kobuleti and Khutsubani.

The sites were discovered and studied in the II half of the XX c. and the rich collection of stone was collected (approximately 30,000), also, pits with various functions, hearths, etc. Recently, the field archaeological research was continued in v. Kobuleti and Khutsubani with the financial support of different institutions and the excavations were carried out by the Georgian-Ukrainian international expedition. Together with the archaeologists, the respective specialists in the field of natural science were engaged in the field works. The executed interdisciplinary studies provided significant information about the lifestyle, occupation, stone processing technology, paleoclimatic environment, etc. of the last hunter-gatherers of our region.

Kobuleti ruins are one of the unique sites which perfectly preserved the remains of the oldest buildings. The remains of several buildings were found, most of them could have a rectangular shape, which is confirmed by the arrangement of the bearing pits of the pillars. The most part of the interior of a dwelling is rammed down with clay and the main material used is river stones. Khucubani ruins could have similar dwelling construction as well. However, the studies are still in progress there and the final image will be available after the completion of the excavations.

The main materials used for making weapons are high-quality flint and obsidian. This circumstance refers to the special strategy of selecting stones by humans from this period.

The main occupation of the local population was specified by the techno-typological and Trasological analysis of stone inventory.

Pursuant to the palynological studies, the warm and moderate climate was in v. Kobuleti and Khutsubani, which is confirmed by discovering the stamen pollens of the respective plants. The discovery of tissue fibres of linen and hemp was extremely important.


A great number of burnt wood charcoals were found in the pits discovered as a result of the archaeological excavations, which were studied for specifying the dates.

ტაბულების აღწერილობა:


I. 1. სოფ. ქობულეთის ნამოსახლარი. ხედი სამხრეთიდან;
2. სოფ. ქობულეთში 2019-2022 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების გეგმა
II. სოფ. ქობულეთში კაჟის და ობსიდიანის იარაღები
III. სოფ. ქობულეთში აღმოჩენილი წყლის არხი
IV. ხუცუბანში აღმოჩენილი სელის და კანაფის ქსოვილის ბოჭკოები




1


N
0
1m
9600±70
9465±32
9510±32
9587±70
7949±70
8670±100
ფენა 3. საცხოვრებელი სახლის ბოძის საყრდენი ორმოები
ფენა 2
ფენა 3. ბაზალტის კენჭებისგან შექმნილი იატაკი
ფენა 0
ფენა 3. საცხოვრებელი სახლის იატაკი
სტერილური ფენა
სამეურნეო ორმოები

2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58




1
2
20μm
3
4
5
6
7
8

ამირან კახიძე
მალხაზ ნაგერვაძე

ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი მეგალითური კულტურის კერები

საქართველოს წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციათა საგანძურში განსაკუთრებულია. რად ღირს, თუნდაც, იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი მადლიანი მიწა-წყალი მილიონობით წლების მომცველი ანთროპოგენეზის პროცესების არეალშია მოქცეული. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ევრაზიაში უძველესადაა მიჩნეული საყოველთაოდ ცნობილი დმანისის აღმოჩენები. იგივე ითქმის ქვის ხანის მომდევნო ეტაპების მიმართაც. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ჩვენს მხარეს ვხედავთ მსოფლიო ოიკუმენის იმ ადრე დაწინაურებულ ქვეყნებს შორის, სადაც ახალი ქვის ხანიდან დაედო სათავე შეგროვებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ, კულტურულ, ბინადარ მეურნეობაზე გადასვლას. აქედან დაწყებული, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოსთვისაც არაერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილების, ძვრების მომტანი აღმოჩნდა მომდევნო, ე.წ. ხალკოლითისა და ბრინჯაოს ხანა როგორც საწარმოო ურთიერთობათა სფეროში, ასევე საწარმოო ძალების განვითარებაში. არსებითი გახლავთ ის, რომ ხანგრძლივი ეპოქების მომცველი ქვის ხანიდან თანდათანობით იწყება ბევრი სირთულის მომცველი ლითონის საუკუნეზე გადასვლა ახალი ეკონომიკური ფორმაციის გენეზისის კვალდაკვალ. იმდროინდელ მსოფლიო რუკაზე აღმოცენდა არაერთი ბრწყინვალე კულტურა, დაიწყო ადრეკლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესები. სახეზეა ურბანისტული ცივილიზაციები. კიდევ უფრო გაღრმავდა ხალხებს შორის კონტაქტები. გამრავლდა საგზაო მაგისტრალები, ხალხთა მიგრაციები. შეიქმნა საკონტაქტო ზონები, არსდება კოლონიები და ა.შ. რა თქმა უნდა, მსგავს გლობალურ მსოფლიო ისტორიულ პროცესებს მიღმა ვერ დარჩებოდა ჩვენი ქვეყანა. კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ტრადიციები, თანდათანობით მრავლდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე საველე სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები. გვაქვს უახლესი აღმოჩენებიც. ქობულეთის მუნიციპალიტეტის უძველესი ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის მეტად საინტერესო ინოვაციებს გვთავაზობს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მიერ 2014-2020 წლებში შესწავლილი ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი კულტურის კერები. დასტურდება, რომ სამხრეთული ცივილიზაციების იმპულსების ერთ-ერთ ძირითად არეალს სწორედ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა. საწყისები ადრეული ეპოქებიდან

უნდა იწყებოდეს. მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ ნეოლითისა და ენეოლითის კულტურის მატარებელი საზოგადოება ჩართული უნდა ყოფილიყო წინააზიური ცივილიზაციების ერთიან სისტემაში. ერთდროულად იწყება სხვადასხვა სახეობის ლითონის ათვისება. ხედავენ კონტაქტებს უბეიდის კულტურასთან (ღამბაშიძე, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე, 2010: 128). მკვლევართა მოსაზრებანი ერთსულოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ ადრეული ეპოქებისათვის ამ ურთიერთობათა შინაარსის განმსაზღვრელ მოტივაციას წარმოადგენდა ლტოლვა ლითონისაკენ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებიდან როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებს შორის დამკვიდრდა მოსაზრება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და კავკასია ძველ მსოფლიოში წარმოადგენდა ძვირფასი, ფერადი და შავი ლითონების დამუშავების ერთ-ერთ ცენტრს, რომელსაც გარკვეული იმპულსები შეჰქონდა წინაქრისტიანული და ისტორიული პერიოდის კავკასიის, წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კულტურულ განვითარებაში (Грозный, 1940: 19).

კავკასია სრულიად სამართლიანად ითვლება შავი ზღვის ირგვლივ არსებული ე.წ. ცირკუმპონტური პროვინციების ერთ-ერთ მეტალოგენურ კერად, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ძველი მსოფლიოს მეტალურგიული წარმოების ძირითადი ეტაპების ფორმირების პროცესებში ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში (ინანიშვილი, 2014: 54; Черных, 1976: 168; 1978: 17.). თვლიან, რომ საწყისი იმპულსები ჩრდილოეთ ზონაში იწყება ურუკის ხანაში – ძვ.წ. IV ათასწლეულის დამდეგიდან.

კანონზომიერია, რომ შულავერ-შომუთეფეს, მტკვარ-არაქსის, ადრეული ყორღანების (მარტყოფი, ბედენი და სხვ.), თრიალეთის ბრწყინვალე, ცენტრალურ-ამიერკავკასიური და დასავლურ-ქართული ტომობრივი კულტურების კვლევაში სხვა ასპექტთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა სამთამადნო საქმის, მეტალურგიისა და ლითონდამამუშავებელი მეტად აქტუალური პრობლემების კვლევამ. პირველ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიოგრაფიაში საკვლევ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული წერილობითი ტრადიციების გადმოცემას. ამ მიმართებით შეიქმნა სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობა. განსაკუთრებული შედეგების მომცემი აღმოჩნდა საწყისი სტადიისთვის ეპიზოდური, ხოლო შემდგომ ბოლო საუკუნეებისათვის ქვეყანაში მიმდინარე ინტენსიური, ფართო ხასიათის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი, რის შედეგადაც დღის სინათლე იხილა საკმაოდ მდიდარმა და მრავალფეროვანმა ნივთიერი კულტურის ძეგლებმა. ამან კი შექმნა მყარი საფუძველი ბევრი სხვა და მათ შორის მეტალურგიასთან დაკავშირებული პრობლემების ახლებური კვლევებისათვის (ინანიშვილი, ჩართოლანი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, მუჯირი, 1998: 52-62; ღამბაშიძე..., 2010; ინანიშვილი, 2014). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას თანამიმდევრული, გეგმაზომიერი, სისტემატური ხასიათი

ჩვენი საუკუნის დამდეგამდე მაინც არ მიუღია. მოვუსმინოთ ამ სფეროში მომუშავე მკვლევართ: „საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ კავკასიაში, პალეომეტალურგიული წარმოების ამ კლასიკურ მხარეში, ცნობილია მხოლოდ თითო-ოროლა სპილენძმადანგადამამუშავებელი სახელოსნოები და ისიც საკმაოდ მცირე მასშტაბის. ბოლო დროს აჭარის მიმდებარე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (მხედველობაშია მურღული და მისი შემოგარენი – ა.კ.) ჩატარდა კარგად დაგეგმილი სპილენძის უძველესი მადანმომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების ძიებისა და შესწავლის მიზნით გერმანელი მეცნიერის მიერ“ (ფიცხელაური, 2003: 65-66).

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. არქეოლოგიური კვლევების სფეროში უპირატესად შეისწავლებოდა მადანგამონამუშევრები. ამიტომაც მეტალურგიის ცალკეულ ეტაპთან დაკავშირებული ჩვენი ცოდნა შეზღუდული ხასიათის იყო. შესაბამისად, ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ სრული ციკლის ერთიანი სურათის აღდგენაც ჭირდა. არსებული ემპირიული ცოდნა დაფუძნებული იყო შემთხვევითი თუ არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული არტეფაქტების ანალიზზე. ყოველივე ეს არ ითქმის, ბუნებრივია, მარტო ჩვენი ქვეყნის მიმართ. ახლა კი შეიძლება ითქვას, რომ სურათი გარკვეულად შეიცვალა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ბოლო წლების აღმოჩენებით. აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა არქეოლოგიურ მეცნიერებაში მანამდე უცნობი სრულიად ახალი კულტურა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კაცობრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. ესენია მილიონობით წლების მომცველი ქვის ხანიდან ლითონის საკუნეზე გარდამავალი ხალკოლით-ენეოლითის, ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ბევრი სირთულითა და ნოვაციებით აღსავსე ცალკეული ეტაპები. საკაცობრიო ცივილიზაციის ადრე ცნობილ პრობლემათა რიცხვს შეემატა კვლევის სრულიად ახალი ასპექტები, რომლებიც გვანებივრებენ მხოლოდ და მხოლოდ სიახლეებით, ზოგჯერ ძნელად წარმოსადგენი ინოვაციებით. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ მსგავსი ნოვაციები აცოცხლებს დღემდე უცნობი მეგალითური კულტურის სრულიად ახალ სახეობას, რომელიც შემოქმედი მეტალურგების გენიის საოცრებათა რიცხვს განეკუთვნება. ეპოქალური გამოძახილის შესაბამისად, მიკვლეულია ძნელად წარმოსადგენი გზები და ხერხები საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის თითქმის ინდუსტრიულ დონეზე ფლოტაციისა და მეტალურგიულ ქურებში ლღობის, სითხედ ქცევის პროცესების დაჩქარების მიზნით უკვე ფლოტაციაქმნილი ლითონის გოროხების, კონგლომერატის წყლის ენერგიის გამოყენებით დაფშვნა-დაქუცმაცებაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდისათვის. ყოველივე ეს უკავშირდება საერთაშორისო ბაზარზე სასიცოცხლო საგანზე – ლითონზე მოთხოვნილების ზრდას. ამ მიზნით, როგორც ჩანს, მეტალურგიის ისტორიაში პირველად შეიქმნა მარტივი მექანიზმი, რომლის გარკვეული მოდერნიზებული რეკონსტრუქცია გაკეთდა. იგი ექსპონირებულია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ეზოში.

გვაქვს სხვა სიახლეებიც. დროის ამ მეტად მცირე მონაკვეთისათვის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციამ როგორც ზღვისპირა და გორაკ-ბორცვოვან ზოლში, ასევე აჭარის მთიანეთში, მიაკვლია ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებულ 60-ზე მეტ კერას. ბევრ მათგანზე განხორციელდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები. აქ, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა თქვა მეტად რთულ გეოგრაფიულ გარემოში ექსპედიციის წევრთა თავდაუზოგავმა შრომამ, მათმა არნახულმა ენთუზიაზმმა. ყველა მათგანი საყოველთაო აღიარებას იმსახურებს. ესენი გახლავთ მუზეუმის თანამშრომლები: ნარგიზ სურმანიძე, მალხაზ ნაგერვაძე, გიორგი დუმბაძე, მერაბ უზუნაძე, ბესიკ დიასამიძე, არჩილ მალაყმაძე, ნუგზარ აფაქიძე და სხვ. ასევე ითქმის ხელშეკრულებით მომუშავე პერსონალის მიმართ, რომლებიც ხშირად კლდოვან-ქარაფოვან ადგილებზე, ბაგირებზე ჩამოკიდებულნი, ასრულებდნენ საპრეპარაციო თუ სხვა სახის საველე სამუშაოებს.

ახლადაღმოჩენილი კულტურის არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი მარტო აჭარით არ ამოიწურება. განხორციელდა საკმაოდ ფართო მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები აჭარის როგორც მოსაზღვრე რეგიონებში, ასევე სამხრეთის მიმართულებით, თურქეთის ტერიტორიაზე – მურღულ-ბორჩხადან დაწყებული სამსუნ-ამასია-თოქათამდე. ამის შედეგად ფერადი მეტალურგიის კერების რიცხვი გაიზარდა და 70-ს მიაღწია. აშკარაა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მსგავსად, მძლავრი მეტალურგიული კერები მეტად ვრცელი არეალის მომცველია. ჩვენს ხელთაა სათანადო მონაცემები იმის დასამტკიცებლად, რომ აქაურობაც, საქართველოს მთლიანი ჰიდროგრაფიული ქსელის მომცველი ხევ-ხუვები მსგავსი ძეგლებითაა დაფარული. ასევე ითქმის მეტალურგიის უძველესი კერების – ანატოლიისა და ხალიბურ-მოსინიკური მელითონეებით დასახლებული ადგილების, სამხრეთ შავიზღვისპირეთის (თურქეთის რესპუბლიკა) მიმართ (Kakhidze, kakhidze., Chkatarashvili, 2023: 153-1590).

უფრო მეტიც. ტელესივრცეში შეგროვებული მონაცემების მიხედვით ზოგადსაკაცობრიო კულტურის არეალში ექცევა აღმოსავლური ცივილიზაციის ისეთი უძველესი კერა, როგორიც არის ინდოეთი. Covid-19 პანდემიის გამო არ მოგვეცა შესაძლებლობა მეტალურგიის ამ მეტად საინტერესო კერების ადგილზევე დათვალიერება-შესწავლის მიზნით სადაზვერვო ჯგუფის გასამგზავრებლად (კახიძე, 2021). უახლესი მონაცემებით, ინდოეთს ემატება ახალი ზელანდია, ესპანეთი, კანადა და ამერიკა.

როგორც ითქვა, დიდი ხნის განმავლობაში გამოვლენილი ძეგლები არსებითად უკავშირდებოდა სამთამადნო გამონამუშევრებს, კერძოდ, ღია თუ დახურულ კარიერებში ნედლეულის მოპოვებისა და პირველადი დამუშავების პროცესებს. ძალზე მწირი იყო ჩვენი ცოდნა ფერადი ლითონების მეტალურგიის ისეთ აუცილებელ საფეხურებთან დაკავშირებით, როგორიცაა მადნის ფლოტაცია და დაფცქვნა-დაქუცმაცება მეტალურგიულ ქურებში ლღობის, სითხედ ქცევის პროცესების დაჩქარების მიზნით. ამ მიმართებით არქეოლოგიურ მეცნიერებაში

არსებითად ახალი სიტყვა ითქვა ბოლო წლების აღმოჩენებით, რომლებიც ჩვენი ხანგრძლივი კვლევის უშუალო ობიექტთან – აჭარის რეგიონთანაა დაკავშირებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღის სინათლე იხილა საკაცობრიო ცივილიზაციის მანამდე უცნობმა, მრავალწახნაგაგოვანი ასპექტის მომცველმა, სრულიად ახალმა კულტურამ, რომელიც ეხმაურება ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალ პერიოდებს. აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლები, თავის მხრივ, წარმოადგენს მეგალითური კულტურის სრულიად ახალ სახეობას, რომელიც უკავშირდება წყლის ენერგიის გამოყენებით ნოვატორულ სიახლეთა დანერგვას ფერადი ლითონების მეტალურგიის მეტად რთულ, შრომატევად პროცესებში. ჩვენს ხელთაა საკმაოდ მყარი მონაცემები, რომელთა მიხედვით შესანიშნავად ჩანს, რომ ამ სიახლეთა არეალში ექცევა მთელი ჩვენი ქვეყანა – აფხაზეთიდან დაწყებული სარფამდე.

ყოველივე ეს შესანიშნავად იკვეთება ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ქობულეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზეც. გადავწყვიტეთ, რომ წინასწარეულად მივაწოდოთ მკითხველს ინფორმაცია ჩვენს ხელთ არსებულ სიახლეთა შესახებ. ეს კი იმით იქნება მოტივირებული, რომ სხვანაირად გაძნელდებოდა საკმაოდ დეტალური, სკურპულოზური კვლევისას მეტად რთულ, წარმოუდგენელ გარემოში განფენილი ძეგლების, ზოგჯერ შედევრების არსში წვდომა, ავტორისეული დეფინიციების, ინტერპრეტაციების, მიგნებების გაზიარება. პირველ რიგში შევჩერდებით ახალი კულტურის ძირითადი მახასიათებლების, ფუნქციონალური დანიშნულების, არსის განსაზღვრის ავტორისეულ მიდგომებზე. მივდივართ იმის აღიარებამდე, რომ ყველა სიახლე დაკავშირებული იყო ეპოქალურ მოთხოვნებთან, მსოფლიო ისტორიულ პროცესებთან. აქ უკვე განსაკუთრებით რელიეფურად იკვეთება ჩვენი ქვეყნის წინაპარ მემთამადნე მეტალურგთა წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციაში.

ახალი აღმოჩენებით დასტურდება, რომ პირველი ხანებისათვის მადნის დაფცქვნა-დაქუცმაცება ხდებოდა მაგარი ჯიშის ქვისგან დამზადებულ სანაყ გობებში. ქვის გობების ერთ-ერთი ადრეული ნიმუში in situ მდგომარეობაში აღმოჩენილია ჩაქვის ჩაისუბანში (ტაბ. I/1). სანაყი განყოფილება კონუსისებრი შემოწერილობისაა. ქვის გობი საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ამავე ადგილებიდან მომდინარეობს ნეოლითური ხანის საინტერესო არტეფაქტები (სურმანიძე, 2005: 14-17).

კოხი. მდ. კინტრიშის სანაპიროზე, რ.მიქელაძის ეზოს გაფართოებისას, კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ქვის გობი (სიღრმე 1,5-1,8 მ), ოვალური შემოწერილობის, კარგად დამუშავებული. სანაყი განყოფილების დიამ. 15-16 სმ–ია, სიღრმე – 9-10 სმ. ინტენსიური გამოყენების გამო ტანის ერთ მხარეს ბზარი გასჩენია (ტაბ. I/2,3,4). კოხის გობი, ჩაქვის ჩაისუბნისა და ზაარგაშის მსგავსად, საკმაოდ ადრეული ჩანს. იგი ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ნაკეთობა უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში, სკოლასთან ახლოს სოფ. ქობულეთის ეპიპალეოლითურ-ადრეულ ნეოლითური დასახლების თანადროული არტეფაქტებიცაა აღმოჩენილი. მოზრდილი პერიოდისათვის იკვეთება უწყვეტი ცხოვრების კვალი.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი შემდეგი კერები:

გასამანია (ჩაქვის ჩაისუბანი). მიკროკერის დათვალიერებისას თავი იჩინა, როგორც წესი, ქვის გობებმა (მათი რიცხვი 6-ია), საკმაოდ ღრმა ჩანჩქერ-მორევმა. გაუჭრიათ 30 მ სიგრძის არხი. მრავლადაა ვიწრო, უსისტემოდ დასერილი არხებიც (ტაბ. I/5).

ქვედა აჭყვა (ჩაისუბანი, საჩინოს თემი). შედარებით ნაკლები დაქანების მქონე კლდის მასივებში ამოუკვეთიათ ქვის 5 გობი და 5 გოლი. არის არხებიც. კომპლექსში ერთვება წვრილი არხებიც (ტაბ. I/6).

დაგვა I. მიკროკერა. დასაწყისთან ლოდზე ნაკვეთია კონუსისებრი ქვის გობი. თვით კალაპოტში მიემატა 5 გობი და 3 გოლი. ყველგან ჩანს ჩვენთვის უკვე ცნობილი სხვადასხვა ზომის არხები (ტაბ. I/7,8).

დაგვა II წარმოდგენს პოლიმეტალების მეტალურგიის მეტად შთამბეჭდავ ძეგლს, აქ შესრულებულია დიდი მასშტაბის მეგალითური სამუშაოები. თითქმის ინდუსტრიულ დონეზეა მიყვანილი საფლოტაციო და ნედლეულის დანაწევრება-დაქუცმაცების პროცესები. არტეფაქტები მოედან-პლატფორმიდან იწყება. იკვეთება ძეგლთან მისასვლელი ბილიკები, ქვის კიბეები, არხი, გოლი. აქვე ნანახია ქვის უროები და ბრინჯაოს ნახევარსფერული ზოდების დასამზადებელი ფორმის ქვის მოდელი. არის არხები. მარჯვენა სანაპიროზე მოედანს მთელ სიგრძეზე მიუყვება გამოკვეთილი ქვის საწრეტი არხი, რომელიც ბოლოსკენ ქვემოთკენ ეშვება. მისი სიგრძე 54 მეტრზე მეტია. მარჯვენა მხარეს მთელ სიგრძეზე მიუყვება ქვის მტეხელთა ნაამაგარი – 2,5 მ სიმაღლისა და 44 მ სიგრძის ქვის კედელი. მისი გამოყენება ბილიკადაც შეიძლებოდა. მოედანს მოსდევს მკვეთრად დაქანებული კლდე-ქანებში ამოხვეწილი პირველი გოლი (ტაბ. II). ისინი შესწავლილ იქნა ცალკეული დონეების მიხედვით. ჯერჯერობით ჩავედით 1,8 მ სიღრმეზე. კედლები სიღრმისკენ თანდათანობით ვიწროვდება. აღმოჩნდა გვერდებდაწახნაგებული ქვის ურო (ტაბ. IV/1,2). განსაკუთრებით საინტერესო ჩანს დიდი ზომის ბრინჯაოს ზოდების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბების გამოძერწვისთვის მომზადებული ქვის მოდელები (ტაბ. IV/3,4,5). აშკარაა, რომ აქ ჩამოსხმული ბრინჯაოს ზოდები იმპორტის საგანი უნდა ყოფილიყო, რომელთა დაცურება ზღვის სანაპირომდე, მდ. დეხვაზე ხდებოდა.

მორიგ სიახლეთა მომცემი აღმოჩნდა ქვემოთკენ კიდევ უფრო დაქანებულ ფლატეებში გენიოს მეტალურგთა მიერ გამოძერწილი კომპლექსი. ცენტრალურ ნაწილში ამოუკვეთიათ მეორე გოლი. იგი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ამავე სივრცეში გვერდითი კედლის შეჭრა-გაფართოების გზით ამოგულულია საკმაოდ დიდი ზომის ქვის გობი (პირის დიამ. 2,4 მ), მის ფსკერზე კი – უფრო პატარა ზომის გობი. აშკარაა, რომ მსგავს გოლ-გობებში ხდებოდა როგორც ფლოტაცია, ასევე მათ მიერვე შექმნილი მარტივი მექანიზმით დაფშვნა-დაქუცმაცება, როგორც იტყვიან, ნაცარტუტად ქცევა (ტაბ. III/1). მეორე გოლ-გობებთან ახლოს აღმოჩნდა მესამე, გამოცალკავებული დიდი და პატარა ზომის ქვის გობები (№3, №4). გარკვეულად განსხვავებული სურათი შეინიშნება მე-2 გოლ-გობის გაგრძელებაზე. მდინარის კალაპოტის მთელ სიფართეზეა გადაჭიმული მომდევნო, მე-3 გოლი, რომელიც, როგორც ჩანს, ორგანყოფილებიანია. მათ შორის პირველი უფრო ღრმაა (1,9-1,8-1,5 მ). ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ღრმა გოლში უფრო მძიმე ფლოტაციაქმნილი გოროხ-ნატეხები საიმედოდ ჩაიძირებოდა, ადგილზევე დარჩებოდა. წყლის ნაკადს გაყოლებულ ნატეხებს კი მომდევნო, შედარებით თხელი გოლი შეაჩერებდა. მესამე გოლის სიგრძე 26,2 მეტრია. ამ მიმართებით იგი გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება (ტაბ. III/2). გოლისკენ წყვილი არხია გაყვანილი. საწარმოო კერა სრულდება კიდევ ერთი (№5) მოზრდილი გობითა და არხებით. არის №4 გოლიც. დაგვა II წარმოადგენდა ფერადი მეტალურგიის ერთ-ერთ მძლავრ კერას, რომელიც ამზადებდა იმპორტისათვის განკუთვნილ პროდუქციას. ეს კარგად უნდა ჩანდეს არტეფაქტების მიხედვითაც.

ბობოყვათი (კვირიკაული). დასაწყისში ქვის ლოდზე გამოკვეთილია ქვის გობი (ტაბ. V/1). მოსდევს შედარებით ვრცელი ტევადობის მოზრდილი გოლები და მასთან დაკავშირებული არხები (ტაბ. V/2; VI/1,2). ქვის გობების რიცხვი მცირეა. სამაგიეროდ, მრავლადაა მდინარის მდორე დინების მქონე გოლები. როგორც ჩანს, წელიწადის ნებისმიერ დროს ხდებოდა მთის ფერდობებიდან დაცურებული ფერადი ლითონების შედარებით წვრილი კრისტალების შეგროვება.

კვირიკე. კინკიშა (ქობრონას ხეობა) წარმოადგენს ფერადი ლითონების მორიგ მძლავრ კერას. მეტალურგებს შეუსრულებიათ მეგალითური ხასიათის დიდი სამუშაო. საწყისი მოედნის შექმნის მიზნით 20 მ სიგრძეზე ჩამოუსწორებიათ. ჩამოუკვეთავთ 2,37 მ სიმაღლის ქვის კედელი. აქვე აღმოჩნდა უროები, წვრილი არხები. მკვეთრად დაქანებულ კლდის მასივში ამოუძერწავთ დიდი თუ მცირე ზომის ქვის გოლები. ერთ-ერთ მათგანში განთავსებული იყო შესანიშნავად დამუშავებული ქვის ურო (ტაბ. VII/1,2,3), ორი ცალი ქვის მოდელი (ტაბ. VII/4,5).

მათგან ერთ-ერთი ოთხკუთხა შემოწერილობისაა. ძეგლი გამოირჩევა სხვადასხვა ზომის არხების სიმრავლით, რომელთა რიცხვი 12-ზე მეტია. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია წვრილი არხები. მათ მარჯვენა სანაპიროზე ერთგან მოზრდილი ტერიტორია უჭირავს. აქვეა თეთრი ფერის ძარღვები. არ გამორიცხავენ ოქროს მოპოვებასაც (ტაბ. VII/6; IX). აღმოჩნდა ქვის 12 გობი. უფრო ქვემოთ მდებარეობს მეორე კერა. სწორედ აქ დავაფიქსირეთ თხილნარის მსგავსი ქვის გობი (№13). არხების რიცხვმა 20-ს მიაღწია. გაიზარდა გოლების რიცხვიც (ტაბ. VII/7; VIII/1,2). დაგვა II მსგავსად, აქაური მელითონეები ამზადებდნენ იმპორტისათვის განკუთვნილ პროდუქციას. სახეზეა როგორც საფლოტაციო, ასევე დაფცქვნა-დაქუცმაცება და წვრილ არხ–გობებში ბუნებრივი კრისტალების შეგროვება.

ჭახათი. მდ. კინტრიშის მარჯვენა სანაპირო. ფერადი ლითონების კიდევ ერთ მიკროკერასთან უნდა გვქონდეს საქმე. დაფიქსირდა კასკადურად განლაგებული ქვის გოლი (ტაბ. XI/2), მათი დამაკავშირებელი არხ-ჩანჩქერები და 14 გობი (ტაბ. X; XI/2). არხების რიცხვი 10-ს აღწევს. ბუნებრივია, მათ ემატება საკმაოდ მრავლად წვრილი არხები. აქაც ფერადი ლითონების ბუნებრივი სახით მოპოვებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ხორციელდებოდა საკმაოდ ფართო მასშტაბის საფლოტაციო და ნედლეულის დაფცქვნა-დაქუცმაცების მაღალპროფესიული სამუშაოები.

მოსაზღვრე სოფელ ტყემაკარაულში მიკვლეულ იქნა დიდი ზომის ქვის ლოდზე ნაკვეთი ქვის გობი.

აჭყვისთავი. პირველ რიგში იკვეთება ხელოვნურად შექმნილი ჩანჩქერი, რომლის სიმაღლე 35 მეტრამდეა. ჩანჩქერი პირდაპირ ეცემა, როგორც იტყვიან, ეხეთქება ძირთან შექმნილ ქვის გოლს და ქმნის მძლავრ მორევ ბრუნვას. მარჯვენა სანაპიროზე მდ. აჭყვას მოსდევს ქვის გობები, აღმოჩნდა 7 გობი.

ამავე სოფლიდან მომდინარეობს შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს, როგორც ჩანს, თანადროული ცული, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება. მის აღმომჩენ ამირან ხაბაძესთან ერთად დავათვალიერეთ ეს ადგილები. დასტურდება კულტურული ფენების არსებობაც (კახიძე, 2007: 144, 383, სურ. 11/2; კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016: 42, სურ. 48; ღამბაშიძე...., 2010: 482, კატ. 844, ტაბ. LI).

ლეღვა. სახეზეა ფერადი ლითონების მეტალურგიის საინტერესო კერა. პირველ რიგში, თვალში საცემია მდინარის საკმაოდ გრძელ მონაკვეთზე ერთიმეორის მიყოლებით, შედარებით მდორე დინების ნაკადების დაქანების მქონე ადგილებში, დიდი ზომის გოლების სიმრავლე (ტაბ. XII), სადაც წელიწადის ნებისმიერ

დროს შესაძლებელი იყო მთის ქანებიდან ჩამოტანილი დაძირული ძვირფასი ლითონების შეგროვება. რელიეფის შესაბამისად ეს შესანიშნავი მოფიქრებაა. შემდგომ ცალკე გამოიყოფა უფრო დაქანებული კლდოვან-ქარაფოვანი მონაკვეთი, სადაც წამყვან ადგილს უკვე ქვის გობები იკავებს (ტაბ. XIII). ერთგან 15,7 მ სიგრძეზე კლდის სანაპირო კედელი საგანგებოდ ჩამოთლილ-ჩამოსწორებულია. შესააბამისად, შექმნილია უფრო ფართო სიგანის მქონე სივრცე. აქვე არის ქვის არხები (ტაბ. XIII/1,3). ამ ადგილებში დაფიქსირდა ქარაფებში დიდი რუდუნებით ნაკვეთი სხვადასხვა ზომისა და ფორმის 29 გობი. ბუნებრივია, აქაც არის ჩანჩქერები. ლეღვას მესამე, ბოლო მონაკვეთი ამჯერად მიუდგომელი აღმოჩნდა. მეგალითური კულტურის ეს მრავალპროფილიანი კერა ქვემოთკენაც მოზრდილ თვალსაწიერში მოჩანს. და ბოლოს, ძეგლის ოდნავ ზემოთ მიემატა ქვის მოზრდილ გოლზე შესანაიშნავად ნახვეწი კიდევ ერთი გობი. საველე სამუშაოების გაგრძელება პერსპექტიული ჩანს.

აჭი. ცალკეულ მონაკვეთებზე ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტები მიკვლეულია აჭარა-გურიის ზიარ აჭის ხეობაში. ლიხაურიდან ზემოთკენ შეყოლებით 2-3 კმ-ში დადასტურდა ქვის ორი გობის არსებობა (ტაბ. XIV/1,2). აჭის წყლის მარჯვენა შენაკად აჭიაღელეში მიემატა კიდევ ორი გობი. მორიგი მეგალითური ძეგლები განლაგებულია აჭჰესთან ახლოს, ზღვის დონიდან 241 მეტრ სიმაღლეზე. ერთ-ერთი გობი ნაკვეთია ქვის ლოდზე. საკმაოდ დიდი ზომის გოლში (სიგრძე 21 მ, სიფართე 7 მ) ჩაედინება არხი. აქვე აღმოჩნდა ქვის ოთხი გობი. გაგრძელებაზეც თავს იჩენს ცალკეული სახეობანი, რომლებიც მომავალში სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

სადაზვერვო თუ საველე არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული არტეფაქტები არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით. გოლ-რეზერვუარების ბოლომდე შესწავლა, ბუნებრივია, მათ რიცხვს კიდევ უფრო გაამრავლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ არქეოლოგიური მასალა, თავისებურად, სპეციფიკური ხასიათის მატარებელია და უპირატესად უკავშირდება ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დიდი წონის უროების ტრანსპორტირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა (მხედველობაშია კინკიშას მონაპოვარი). მიუხედავად ამისა, მაინც შეიქმნა საინტერესო კოლექცია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის წარმოების მასშტაბებსა და ხალხთა შორის სავაჭრო-ეკონომიურ თუ კულტურულ ურთიერთობებზე. ქობულეთის მაგალითზეც დასტურდება, რომ ქვის ხელგობები წამყვანი იყო ლითონის საუკუნეზე გადასვლის ადრეული ეტაპისათვის, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის (ჩაქვის ჩაისუბანი, კოხი). ჯერ კიდევ ლითონდამუშავებას ფართო ხასიათი არ ჰქონია. აკმაყოფილებდა შიდა მოთხოვნის ისედაც შეზღუდულ საჭიროებებს. მას თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს მომდევნო ნოვაციების ეპოქაშიც. სვანე-

თიდან დაწყებული მურღულამდე, ამ ბოლო წლებში მათი რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

თვით მეგალითური კულტურის ძეგლებზე უახლეს აღმოჩენათა შორის წამყვან ადგილს სხვადასხვა ფორმისა და ზომა-წონის ქვის უროები იკავებს. ისინი ახლად შექმნილი მექანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი, განმსაზღვრელი კომპონენტთაგანია. სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა წყლის ენერგიის გამოყენებით უკვე ჩვენთვის ცნობილ მრავალრიცხოვან გობებში განთავსებული ფლოტაციაქმნილი ნედლეულის დაფცქვნა-დაქუცმაცება. ამ გზით შრომის ნაყოფიერებამ არნახულ საზღვრებს მიაღწია. სჭარბობს შესანიშნავად დამუშავებული სფერული, ნახევარსფერული და განსაკუთრებით მრავალწახნაგა ქვის უროები. ყველა მათგანი მაგარი ჯიშის ქვისგანაა დამზადებული.

განსაკუთრებულია ფერადი ლითონების უძველეს კერებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნახევარსფერული ზოდების ჩამოსასხმელად განკუთვნილი თიხის ყალიბების გამოსაძერწი ქვის მოდელი. უახლეს აღმოჩენებამდე მსგავსი ნამზადი, როგორც ჩვენი სინამდვილისათვის, ასევე საერთოდაც, არ იყო ცნობილი. თვით ბრინჯაოს ზოდების გავრცელების არეალი მეტად ფართოა. ბუნებრივია, მსგავსი მოდელები მრავალჯერადი, შეიძლება ითქვას, მუდმივი გამოყენების საგანი იქნებოდა. შესანიშნავია დაგვა II აღმოჩენილი მოდელები, რაც მორიგი სიახლეა ფერადი ლითონების მეტალურგიის ისტორიაში. ფართოდ ჩანს გავრცელებული ყალიბებში ჩამოსხმული ბრინჯაოსა თუ სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები. რა თქმა უნდა, ისინი იმეორებენ ჩვენს ხელთ არსებულ ქვის მოდელებს – ბრტყელი ძირი, ამობურცული ნახევარსფერული ზედაპირი. ისინი მეტად მოხერხებული ჩანს როგორც სახმელეთო, ასევე სამდინარო და საზღვაო მაგისტრალებით ტრანსპორტირებისას.

ძველი მსოფლიოს ქვეყნებს შორის დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ, კოლხეთი ბრინჯაოს განძებითა და მათში შემავალი ზოდებით, წარმოადგენდა ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყანას. ათასწლეულთა მიჯნაზე მათმა რიცხვმა 150-ს მიაღწია. ამას ემატება ბრწყინვალე კოლხური კულტურის მოსაზღვრე რაიონებში აღმოჩენილი 16 განძი. XX საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარის მაგალითზე (კახიძე, მამულაძე, 2000; ლორთქიფანიძე, 2001: 191, სურ. 6; ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 102). ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით, დადგა საკითხი საუკუნეთა სიღრმეში მათი მიწაში ჩაფლვის საწყისი თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით (კვიციანი, ჯიბლაძე, 2015: 53; ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 110).

შესაბამისად გაიზარდა ინტერესი ამ სახის მონაპოვრების მიმართ. ყურადღება ექცევა მათი ფუნქციონალური დანიშნულების ინტერპრეტაციას, ასევე, ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრასაც (ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 104-105).

ქვის მოდელების უნიკალურმა აღმოჩენებმა სიახლე შემოიტანა ბრინჯაოს ზოდების გავრცელების არეალთან დაკავშირებით ჩვენი კვლევის სფეროში. სტანდარტული ფორმით ბრინჯაოს სხმულების ტრანსპორტირება უფრო ხელსაყრელი იყო.[1]

ძველი აღმოსავლეთის ფერადი ლითონების მეტალურგიის მრავალასპექტიან პრობლემატიკაში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ლითონის ზოდების უადრესი, მეტ-ნაკლებად სტანდარტული ფორმების გენეზისის, გავრცელების არეალისა და კონცენტრაციის საკითხებს. ყოველივე ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხებს შორის კულტურულ-ისტორიული კონტაქტების მიმართულებათა განსაზღვრაში. ბოლო წლებში სპეციალური კვლევები განხორციელდა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსი არტეფაქტების სისტემატიზაციის მიზნით (მხედველობაშია ანატოლია, მესოპოტამია, პალესტინა, ირანი და ცენტრალური აზია). ქრონოლოგიური დიაპაზონი შემოიფარგლება ძვ.წ. V-II ათასწლეულებით (Авилова, Терехова, 2006: 14-32). ზოდების ადრეული ფორმების შესახებ ინფორმაცია მწირია. ცნობილია ერთადერთი შემთხვევა გვიანნეოლითური ხანის აღმოჩენებთან დაკავშირებით – სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლია, ბეიჯესულთანი (Авилова, 2015: 51, სურ. 1 (8-10). მათი რიცხვი იზრდება ადრებრინჯაოს ხანიდან. ყურადღებას იქცევს ცენტრალური ანატოლიის კიზლის მაღარო – გამონამუშევრები, სადაც თანადროულ ნამოსახლარზე აღმოჩნდა კოლხური კულტურის მსგავსი, ე.წ. ბრტყელ-ამობურცულზედაპირიანი, სპილენძის ზოდი, დიამ. 40 სმ, C14-ის მონაცემების მიხედვით ძეგლი ძვ.წ. 2800-იანი წლებითაა დათარიღებული (Авилова, 2010: 6).

ძვ.წ. III-II ათასწლეულისათვის განძები გვხვდება სპარსეთის ზღვის გასწვრივ მდებარე ქვეყნებში. ბუნებრივია, კვლავაც ანატოლიაში. ცენტრალური ანატოლიის მახმატლარის განძში შედიოდა 18 ზოდი, რომლებსაც აქვთ ბრტყელი, კვერისებრი ფორმა (Авилова, Терехова, 2006: 6).

[1] კოლხურ კულტურაში განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს 4-10, 11-20, 21-35 კგ-მდე ზოდები. ზოგჯერ მათი წონა 50, 80, 100 კგ-ს აღწევს, ცალკეულ განძებში მათი რაოდენობა განისაზღვრება 4-29, 45-96-100 ერთეულით (ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 109; ჯიბლაძე, 2007: 73). ზოგჯერ განძები მარტო ბრინჯაოს ზოდებითაა წარმოდგენილი (8-15-16 ერთეული). უფრო ხშირია სხვა კომპონენტებთან ერთად აღმოჩენის შემთხვევები (ქორიძე, 1965: 60-68; 2006: 71, 74). ა.იესენი მიუთითებდა, რომ კოლხეთში უნდა არსებულიყო ბრინჯაოს მეტალურგიის მძლავრი თუ მცირე ცენტრები, საიდანაც ლითონის ნედლეული ვრცელდებოდა როგორც მზა ნაწარმის, ასევე ზოდების სახით (Иессен, 1939: 9). რაჭის მაგალითზე აღიარებულია, რომ სახეზეა სპილენძის პირველადი მეტალურგიული წარმოება. სასიცოცხლო ნედლეულის მოპოვება-გამოდნობის შემდეგ მისი დაფშვნა, გასუფთავება, გამდიდრება, დაწურვა ზოდებში ხდებოდა (გობეჯიშვილი, 1959: 110; ინანიშვილი, ჯიბლაძე, 2019: 53). სოხუმის მთაზე სხვადასხვა სახის მასალებს შორის ბრინჯაოს ზოდების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბის ნატეხებიცაა აღმოჩენილი. სხვაგან ჩვენს სინამდვილეში მსგავსი არტეფაქტები არ ფიქსირდება (კალანდაძე, 1954: 12-35; 52-59; 62-63, სურ. 29; Шамба, 1984: 14-18, 5. 20/1-4).

გვიანენეოლითით თარიღდება (ძვ.წ. 3500-3000 წლები) მდ. ევფრატის ზემო წელზე, ქორუდავითეფეზე მოპოვებული პატარა ზომის ზოდები. ძეგლი მდებარეობს სირია-მესოპოტამიიდან ანატოლიისკენ მიმავალ გზაზე. აქვე აღმოჩენილია კავკასიისთვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკა. მკვლევარნი მიდიან დასკვნამდე, რომ ქორუდავითეფე დიდი ხნის განმავლობაში მოქცეული იყო აღმოსავლეთ ანატოლიის, ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ამიერკავკასიის სისტემაში (Авилова, Терехова, 2006: 6).

ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება ზოდების შემცველი ტელ-ხუესისა და სუზას განძები, რომლებსაც ირანის საბადოებს უკავშირებენ (Авилова, Терехова, 2006: 6).

ბრტყელ-ამობურცულზედაპირიანი ზოდების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება ძვ.წ. II ათასწლეულისათვის. მათ შორის ყველაზე ადრეულებად გამოიყურება კ. ფაილაკის (პალესტინა), ტელ-რიფსის (შუმერი) განძები. არაერთი განძია აღმოჩენილი ტროას გათხრებისას. ეს განსაკუთრებით ითქმის შუაბრინჯაოს ხანის მიმართ (ტროა II). მათ შორის წარმოდგენილია ოქროსა და ვერცხლის ნამზადებიც. ასევე ითქმის მახმატლარისა და ესკეაპარშის მიმართაც. გვიანბრინჯაოს განძებს გაცვლით ფუნქციას აკისრებენ (Авилова, Терехова, 2014: 30, 31). ამ მიმართებით განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურება სამხრეთ თურქეთში 1982 წელს აღმოჩენილი ჩაძირული გემი (ძვ.წ. XIV ს). კვლევები დღესაც გრძელდება. დადასტურდა, რომ ჩაძირვამდე გემი, ყოველდღიური მოხმარების საგნებთან ერთად, დატვირთული ყოფილა ზოდებით (მათი რიცხვი 354-ს შეადგენს. საერთო წონა 10 ტონას აღწევს. ხოლო კალისაგან მიღებული სხმულის წონა 1 ტონას შეადგენს). ზოდებს შორის 121 ბრტყელ-ამობრუცულზედაპირიანია. საკმაოდ მრავალრიცხოვანია ხარის ტყავის ფორმის მსგავსი ზოდები. მსგავსი ყალიბის დასამზადებელი მოდელი ჩვენთანაც აღმოჩნდა (კინკიშა). ბევრ ქვეყანაში ერთიანია წონის სისტემებიც (მნა უდრიდა 470-500 გრამს, სიკლა – 5 გრამს). გაცვლითი ურთიერთობების რეგულირება სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენდა (დაწვრ. იხ.: Авилова, 2015: 49-68).

მელითონეთა განძებისა და სხვადასხვა სახის ლითონის ზოდების გავრცელების მორიგ საინტერესო რეგიონს ევროპის კონტინენტი წარმოადგენს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ევროპაც ბრინჯაოს ხანაში ფართო გაცვლითი კონტაქტებით გამოირჩეოდა.

ამ მიმართებით განსაკუთრებით მდიდარ ინფორმაციებს გვაწვდის ხმელთაშუაზღვასა და ლა-მანშის სრუტეში ჩაძირული გემების წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი. ზემოთ აღნიშნული ულემბერუმის მონაპოვართა მიხედვით გაკეთებულია დასკვნა, რომ ევროპასა და ეგეოსურ სამყაროს შორის არსებობდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი (ინანიშვილი, 2019: 74; Хардинг, 2013: 171). მნიშვნელოვანი ცენტრი იყო კვიპროსი.

ადრეული ეპოქებიდან ევროპის სხვადასხვა ნაწილში მიკვლეულია მეტ-ნაკლები სიმძლავრის ლითონგამოსავლები (ტრანსილვანია, სლოვაკეთი, ალპები,

კარპატები, გარციის მთები (სამხრეთ საფრანგეთი), ზალცბურგი (მიტელბერგი) და ა.შ.). პირველადი დამუშავების შემდეგ ლითონი მომხმარებლამდე ზოდების სახით გადაჰქონდათ. ადრეული ეპოქებიდან დადასტურებულია სამდინარო ტრანსპორტად ნავის გამოყენება (Хардинг, 2013: 170-181). ფიქრობენ, რომ ზოდების ჩამოსხმა ძვ.წ. V ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დაწყებულა. საყურადღებოა ისიც, რომ დისკოსებრი ზოდები ოქროსა და ვერცხლის სხმულების სახითაა წარმოდგენილი (ვარნას აღმოჩენები, 1972 წელი). ასევე ითქმის უნგრეთის, ტრანსილვანიის – მიოგორვისა და ტერიორლოვკის მიმართაც (Хансен, 2013a: 66-79). არის ასევე ელექტრუმის არტეფაქტებიც. ტყვიისგან ვერცხლის მიღება ძვ.წ. IV ათასწლეულიდან დაწყებულა. სხვა მხარეების მსგავსად, ადრეული ნივთები დარიშხნიანი ბრინჯაოსგანაა დამზადებული. მსგავსი ნოვაციები ევროპული ცივილიზაციების საწყის თარიღადაა მიჩნეული (Терницкая, 2013: 66-79).

გვიანბრინჯაოს ხანაში საგრძნობლად მრავლდება ბრინჯაოს განძები. ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესოა ბრტყელ-ამობურცულზედაპირიანი ზოდების რიცხვიც. ასევე ითქმის ხარის ტყავის ფორმის ზოდების მიმართაც (ლორთქიფანიძე, 2001: 178-194; Хансен, 2013a: 79-82, Хансен, 2013b 279-289).

ბრინჯაოს ზოდების შემცველი განძები გავრცელებული ჩანს ყობანურ კულტურაშიც – ჩრდილო კავკასიის ცენტრალური და დასავლეთი (ნოვოჩერკასკი, ბეშთაუ, კლინიარი, კიზაურანი, ბილიმსკი, მუკულანსკი და სხვ. (Крупнов, 1960: 320; Козенкова, 1996: 9, 13. 43). ეს არცაა გასაკვირი. ჩვენი ქვეყანა, დიდი თუ მცირე კავკასიის ხეობებში არსებული მაღალმთიანი გადასასვლელებით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც დიგორიას, ასევე ჩრდილო კავკასიურ თუ ყობანურ კულტურებთან. მარტო სვანეთის მაგალითზე 50, ხოლო რაჭის – 13-მდე ასეთი გადასასვლელის არსებობაზე მიუთითებენ.

უახლესი აღმოჩენები მიეკუთვნება არქეოლოგიური მეცნიერების მეტად საინტერესო მონაპოვართა რიცხვს. არსებითია, რომ ბრინჯაოს ზოდების ჩამოსასხმელი ქვის ყალიბების მოდელი პირველად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში, შემოქმედ მეტალურგთა კიდევ ერთ მიგნებათა არსენალში ექცევა. შეუქმნიათ ნებისმიერი ფორმის ტრანსპორტირებისათვის მოხერხებული ფორმა. მათი ფუნქციონირება და საკმაოდ ფართო გავრცელება ადრებრინჯაოს, აღმოსავლური ცივილიზაციების აღმობრწყინების ხანიდან უნდა იწყებოდეს. მათი რიცხვი განსაკუთრებით იზრდება შუა და გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანისათვის. სპილენძ-ბრინჯაოს ზოდების მიხედვითაც კარგად უნდა ჩანდეს, რომ სამხრეთ კავკასია, მათ შორის ჩვენი საკვლევი ტერიტორიაც, ყველა ეტაპისათვის დიდ როლს ასრულებდა ფერადი მეტალურგიის ერთიან სისტემაში. არაა გამორიცხული, რომ მსგავსი არტეფაქტების შექმნის იდეაც აქაურ პროფესიონალ ხელოსნებს ეკუთვნოდეს. დაგვა II მსგავსი დიდი ზომის მოდელები სხვაგან არცაა აღმოჩენილი.

როგორც ვხედავთ, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთისათვის ინტენსიურ სამეცნიერო თუ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა საკაცობრიო ცივილიზაციის უძველესი ისტორიისა და კულტურის აქტუალური ასპექტის მომცველი გლობალური პრობლემების კვლევისათვის. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიკვლეულია არქეოლოგიური მეცნიერებისათვის ადრე უცნობი, სრულიად ახალი კულტურა, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს ადამიანთა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. ესაა მილიონობით წლების მომცველი ქვის ხანიდან გარდამავალ ენეოლით-ხალკოლოთის, ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანა (ძვ.წ. V-II ათასწლეულები). უახლესი აღმოჩენებით მეცნიერულ სამყაროს შეემატა მეგალითური კულტურის სრულიად ახალი სახეობა, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით არაერთ სიახლეს იძლევა ფერადი ლითონების მეტალურგიაში. ეპოქალური მოთხოვნების კვალდაკვალ, შრომის ნაყოფიერების არნახულ ზრდასთან დაკავშირებით, დღის სინათლე იხილა ვრცელი არეალის მომცველმა ბრინჯაოს მეტალურგიის არაერთმა ძეგლმა, რომელთა ერთი ნაწილი აჭარის მაგალითზე არქეოლოგიური გათხრების ობიექტად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გობეჯიშვილი გ., განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეში. – საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ.190-205

გობეჯიშვილი გ., ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში. – ძეგლის მეგობარი, 6, თბ., 1966, გვ. 16-20

ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ., საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. – ძიებანი, №2, თბ., 1998, გვ. 52-62

ინანიშვილი გ., ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ., 2014.

ინანიშვილი გ., ჯიბლაძე ლ., კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბ., 2019

კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954

კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000

კახიძე ა., ყუაკვერიანი ცულების გენეზისის საკითხისათვის. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, IV, ბათუმი, 2007, გვ. 4-10

კახიძე ა., სურმანიძე ნ., ნაგერვაძე მ., აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. – კატალოგი, ბათუმი, 2016

კახიძე ა., სურმანიძე ნ., მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა. – საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლეთ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 2018 წლის 25-28 ივნისი), ბათუმი, 2019, გვ. 44-55

კახიძე ა., ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები, ძვ.წ. IV-II ათასწლეული), ბათუმი, 2021

კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ., უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში, თბ., 2015

ლორთქიფანიძე ოთ., განძები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციალური ინტერპრეტაციის ცდა). – კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი. დამატებანი, VI, თბილისი, 2001, გვ. 178-194

სურმანიძე ნ., ნეოლითისა და ენეოლითის ხანის მასალები ჩაქვისწყლის ხეობიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, 2005, გვ. 14-17

ფიცხელაური კ., სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით-ბრინჯაოს ხანაში. არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტების დინამიკა. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბ., 2003, გვ. 64-88

ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965

ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი ბ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბ., 2010

ჩართოლანი შ., სპილენძის ძველი სამთამადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971, გვ. 49-61, თბილისი

ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007

Авилова Л.И., Терехова Н.Н., Стандартные слитки металла на Ближнем Востоке в эпоху энеолита-бронзового века. – Краткие сообшения института археологии, вып. 220. М., 2006, сс. 14-33

Авилова Л.И., Обмен металлов на Ближнем Востоке в раннем и среднем бронзовом веке. – РА, N1, М., 2010, сс. 5-14

Авилова Л.И., О слитках из Анатолийских кладов. – Краткие сообшения института археологии, вып. 238. М., 2015, сс. 49-68

Грозный Б. Протоиндийские письмена и их расшифровка. – ВДИ, 2 (11), 1940

Иессен А., Древнейшая металлургия Кавказа и её роль в передней Азии. – III международный конгресс по иранскому искусству и археологии. Доклады, М.-Л., 1939, сс. 91-103

Крупнов Е.И., Древнаяя история Северного Кавказа, М., 1960

Козенкова В.И., Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (узловые проблемы происхождения и развития кобанской культуры), М., 1996

Мунчаев Р.М., Амиров Ш.Н., Еще раз о месопотамическо-кавказских связах в IV-III тис. до н.е. – РА, 4, 2012, сс. 37-47

Терницкая С.Б., Бронзовый век. Европа без границ. Четвёртое-первое тысячилетия до н.э. Каталог выставки. Санкт-Петербург, **2013,** сс. 66-79

Щамба Г.К., Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми, 1984

Черных Е.Н., Древнаяя металообработка на Юго-западе СССР. М., 1976

Черных Е.Н., Горное дело и металлургия в древнейшей Болгарии, София, 1978

Хансен С., Золотые диски эпохи бронзы. – Бронзовый век. Европа без границ. Четвёртое-первое тысячилетия до н.э. Каталог выставки. Санкт-Петербург, 2013ა, сс. 79-82

Хансен С., Клады в Европе эпохи бронзы. – Бронзовый век. Европа без границ. Четвёртое-первое тысячилетия до н.э. Каталог выставки. Санкт-Петербург, 2013ბ, сс279-289

Хардинг Э., Дальние связи Европы в эпоху бронзы. – Бронзовый век. Европа без границ. Каталог выставки. Санкт-Петербург, 2013, сс. 170-181

Kakhidze A., kakhidze E., Chkatarashvili G., Newly Discovered Culture Centers Related to the Metallurgy of Non-ferrous Metals in Euresia (Express Information). – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 17, №3, 2023

Amiran Kakhidze
Malkhaz Nagervadze

NEWLY DISCOVERED MEGALITHIC CULTURAL SITES RELATED TO THE NON-FERROUS METALLURGY

Our country is one of the oldest metallurgic sites of the world civilization. The study of polymetals in historiography has been started since the 80-ies of the XIX c. The subject of the study was the problems related to mining activity and metal extraction. The last discoveries in Adjara in 2014-2020 allowed us to specifically study the process of technological processing of raw materials taken from quarries according to certain sites.

It is confirmed that having increased the demand for metal on the international market, professional craftsmen intensively established novelties in order to increase work effectiveness. In this respect, in the cliff-rocky sections of rivers, they created stone channel-waterfalls and large stone reservoirs which were used for the flotation of the raw material taken out from mines. The water flow collected from these channel-waterfalls were directed towards the reservoirs, which created a whirlpool and cleaned rock layers from extra admixtures.

The implementation of the practice of using stone pans curved in rock is especially impressive. For this purpose, creative metallurgists created the first simple mechanism in human history, by which the ore after flotation was fragmented and crushed, in order to accelerate the process of metal melting in kilns in the stone pans. In this process, the leading role was played by water energy, for increasing the work effectiveness.

The oldest population of Kobuleti Municipality has certainly contributed to the metallurgy of precious metals. The discoveries of recent years confirm that many megalithic cultural sites of deterring gold and silver crystals penetrating from mountain slopes into alluvial layers, sites of flotation and crushing were arranged in the local hydrographic network. These sites include: Chaisubani in Chakvi, Sachino (Chakvi), Dagva I, Dagva II, Kvirikauli, Kvirike-Kinkisha, Tchakheti, Atchkvistavi, Legva and Atchi. In respect of large-scale manufacture, the production sites of Dagva II and Legva were prominent. The unique artefacts, the stone samples for making clay moulds for casting bronze bars are found. These findings lead us to conclude that casting bars in clay moulds was performed locally, in production sites. Then the products were transported by means of river transport (boats, rafts) to the seacoast and then exported to the continent of Eurasia.

ტაბულების აღწერილობა:

I. 1 – ჩაქვის ჩაისუბანის ქვის ხელგობი; 2-3 – კოხი ქვის ხელგობი;
5 – ჩაქვის ჩაისუბანი. ქვის გობი; 6 – ჩაქვი, საჩინო. გოლი-გობები;
7-8 – დაგვა I. მონოლითზე ნაკვეთი ქვის გობი, გოლი

II. დაგვა II. 1-2 – პირველი გოლის არქეოლოგიური გათხრების პროცესი

III. დაგვა II. 1 – გოლ-გობების კომპლექსი; 2 – არხ-გოლები

IV. დაგვა II . 1-4 – ქვის უროები; 5 – თიხის ყალიბების გამოძერწვისთვის მომზადებული ქვის მოდელები

V. კვირიკაული. 1 – გობი; 2 – გოლი

VI. კვირიკაული. 1 – არხი; 2 – გოლი

VII. კვირიკე, კინკიშა. 1-3 – ქვის უროები; 4-5 – თიხის ყალიბების გამოძერწვისთვის მომზადებული ქვის მოდელები;
6-7 – ჩანჩქერ-გოლი

VIII. კვირიკე, კინკიშა. 1 – გობი, გოლი; 2 – ჩანჩქერ-გოლი

IX. კვირიკე, კინკიშა. არხები

X. ჭახათი. 1 – არხი

XI. ჭახათი. 1 – გოლი; 2 – გობი


XII. ლეღვა. 1-2 – მდორე დინების მქონე გოლები

XIII. ლეღვა. 1-3 – არხ-გობები

XIV. აჭი. 1-2. გამდინარე არხებიანი ქვის გოლო, გობი; 3. გობი



1



2



3



4



5



6



7



8



1



2



1



2



1



2



3



4



5



1



2



1



2



1



2



3



4



5



6



7




1



2






1



1



2



1



2



1



2



3



1



2



3

ამირან კახიძე

ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი

ისპანი მდებარეობს კოლხეთის ზღვისპირა დაბლობის აკუმულაციური ველის სამხრეთ მონაკვეთზე, ახალშავზღვიურ ტერასაზე გაშენებულ საკურორტო ქალაქ ქობულეთის აღმოსავლეთ ნაწილში. სულ ახლოს, თითქმის მთელ სიგრძეზე, მიუყვება 2-2,5 მ სისქის ტორფქვეშა ნამოსახლარი. იგი გრძელდება და თანდათანობით მაღლდება ცეცხლაურ-მუხაესტატე-ხუცუბან-სამების ზოლზე განლაგებული გორაკებით. ემიჯნება აჭარა-გურიის მთების ჩრდილო და დასავლეთ კალთებს, სამხრეთით კი ციხისძირის ბორცვებს, რომლებიც მცირე კავკასიონის განშტოების ერთ-ერთი ნაწილია. ჩრდილოეთით მდებარეობს ფიჭვნარის ნაქალაქარი და სამაროვნები. ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე, კოლხეთის დაბლობზე, მოედინება მდინარეები ნატანები და სუფსა.

ისპანი ჩვენი ქვეყნის შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ტორფქვეშა ნამოსახლარი თითქმის უშუალოდ ექცევა ჩოლოქ-ოჩხამურის ვრცელი დასახლების კომპლექსში. მათ შორის დაშორება სულ რაღაც 1,5X2 კმ-ია. გარდა ამისა, მისი აღმოჩენით პირველად დადასტურდა, რომ კოლხეთის ვრცელი დაბლობის ათვისება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში ამ დასახლებით იწყება. ისპანის მოსახლეობის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობით; მელითონე ხელოსნების მსგავსად, მსოფლიო ისტორიული პროცესების აქტიურ მონაწილედ გამოიყურებიან.

სანამ ფიჭვნარის ნაქალაქარისა და მისი შემოგარენის შესახებ ვისაუბრებთ, მანამდე გვინდა მოკლედ შევეხოთ „ქობულეთის ქვეყნის“ პალეოგეოგრაფიულ გარემოს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი დიდი გამყინვარების (გიუნელი, მინდელი, რისი, ვიურმი) დასრულებისა და ჰოლოცენის ამსახველი ეპოქის კლიმატურ ცვლილებებს გვიდასტურებს. ამ მიმართებით მეტად საინტერესო კვლევითი სამუშაოები განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა. შემოვიფარგლებით მისი მეცნიერული მემკვიდრეობის რეზიუმირებული გადმოცემით.

ავტორისეული კონცეფციის მიხედვით დასტურდება, რომ გლობალური გამყინვარების შემდეგ (ძვ.წ. XII ათასწლეულის) მეტ-ნაკლები მასშტაბის კლიმატური რყევები (აცივება, დათბობა) არ შეწყვეტილა. ჩვენმა პლანეტამ მიიღო დასრულებული სახე. ჰოლოცენის საწყისი საფეხურიდან მსოფლიო ოკეანის, მათ შორის შავი ზღვის დონემ, თანამედროვე ნიშნულამდე დაიწყო ტრანსგრესიული და რეგრესიული პროცესები, რაც შემდგომშიც გაგრძელდა.

ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისისათვის იწყება აცივება, ოკეანის დონემ 3-5 მეტრით დაიწია. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანაში დაწყებული საერთო დათ-

ბობისა და ახალი ტრანსგრესიული მოვლენების (წყლის დონის აწევა) შედეგად იწყება აკუმულაციური ველის დაჭაობება, რის შედეგად ისპანის მოსახლეობას მიუტოვებია ადრინდელი საცხოვრისი. რადიოკარბონული მონაცემების მიხედვით ისპანის ქვედა ჰორიზონტი, რომელიც სილნარ ფენაში მდგარი ჯარგვალური ტიპის ნაშთების სახითაა წარმოდგენილი, ძვ.წ. 3180 და 3150 წლებით თარიღდება, ზედა ჰორიზონტი კი, სადაც ხიმინჯებზე მდგარ პლატფორმებზე ნაგები ჯარგვალებია დაცული, ძვ.წ. 2650 წელს მიეკუთვნება (Апакидзе, Бурчуладзе, 1987: 23-24).

შუაბრინჯაოს ხანაში ზღვისპირა ზოლი უშუალოდ ებჯინებოდა ახალშავზღვიურ ტერასას. ასეთივე სურათი ჩანს მთლიანად პონტოსპირეთში. გაკეთებულია დასკვნა, რომ კოლხეთის დაბლობის თანამედროვე ტორფების წარმოქმნის დასაწყისი ემთხვევა ქრონოლოგიურად ახალშავზღვიურ ტრანსგრესიას (ძვ.წ. XX-XVII სს). ამავდროულად ჩნდება ახალშავზღვიური ტერასაც. ძვ.წ. XVI საუკუნით თარიღდება „ნამჭედურის“ უძველესი, მე-6 კულტურული ფენა. ძვ.წ. II ათასწლეულისათვის მთავრდება ახალშავზღვიური ტრანსგრესიის პიკური პერიოდი, რასაც მოყვა მორიგი აცივება, ზღვის დონის დაწევა, მდინარეთა ეროზიული ბაზისის 1-3 მეტრით დადაბლება, ჭაობების დაშრობა. აკუთვნებენ ე.წ. ფანაგორიული ზღვური რეგრესიის საწყის საფეხურს, რომელიც ძვ.წ. III-II საუკუნეებამდე გაგრძელდა. მიჩნეულია, რომ სწორედ ეს პერიოდი კოლხეთის ველის აკუმულაციური ზოლის სამეურნეო და კულტურული აყვავების, ქვეყნის საერთო დაწინაურების, ლითონის წარმოების არნახული გაფართოების, პროტოქალაქური და ქალაქური კულტურის ხანა იყო. ეს ტერიტორია წარმოადგენდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის მატარებელი მოსახლეობის საბინადროს, რომელიც ძველმა ბერძნებმა არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ მითში ასახეს. ახალმა დათბობამ განაპირობა ზღვის დონის თანამედროვე ნიშნულამდე აწევა. ძვ.წ. II საუკუნისათვის წყლით დაიფარა ზღვის შელფის გარკვეული ნაწილი. კვლავ დაჭაობდა სამეურნეო სავარგულები (ე.წ. ტრანსგრესია დღემდე გრძელდება). სწორედ ამ დროისათვის წყვეტს ფუნქციონირებას პონტოსპირეთის ზოგიერთი საქალაქო ტიპის დასახლება. მათ შორის ფიჭვნარი. აღმავლობას იწყებს გონიო-აფსაროსი და პეტრა-ციხისძირი (დაწვრილებით იხ.: ხახუტაიშვილი, 1979: 3-18; 1995: 8-15; 2007a: 20-25; Хахутаишвили, 1984: 146-151).

ისპანის არქეოლოგიური კვლევა XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. 1964 წლის იანვარში ტორფნარი ადგილების დაშრობის მიზნით გაჰყავდათ საწრეტი არხები. ბულდოზერი, რომელიც დაახლოებით 2 მ სიღრმის სამუშაოებს ასრულებდა, დაზიანებულა. არხის კეთება მუშახელის გამოყენებით გაგრძელებულა. ჩასულან საკმაოდ ღრმად. ტორფის ფენის ქვეშ გამოჩენილა სხვადასხვა სახის არქეოლოგიური არტეფაქტი. მათ რიცხვს ეკუთვნის, ძირითადად, კერამიკული ნაკეთობანი, ქვის ხელსაფქვავები, როდინები, საბეგველები, ფილთაქვები, ბადის საძირევებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები, შურდულის ქვები, ქვის

მრგვალსატარენახვრეტიანი ცული, კაჟის ანატკეცები, ისრისპირები, ნამგლის ჩასართები და ა.შ. (ტაბ. XI; XII; XIII) ამონაყარი ფენების ცალკეულ მონაკვეთებში კარგად იკითხებოდა კერიის ნაშთები. დანახშირებულ ნაცარში წაბლის, რკოს, წიწიბოსა და თხილის ნაჭუჭებიც იყო შერეული.

1971 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივმა ექსპედიციამ ისპანის ნამოსახლარის ტეროტორიაზე სადაზვერვო სამუშაოებისას შეაგროვა ზედაპირული მასალა. გაკეთდა ძეგლის პირველადი ფიქსაცია (კახიძე, 1971: 21; ინაიშვილი, 1973: 19, 23; 1977: 75).

მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა 1974 წელსაც (ინაიშვილი, 1977: 67-90, ტაბ. XXIII-XXXVII), რომლის მიზანი იყო ძეგლის სტრატიგრაფიული ჭრილის დადგენა ტორფნარში სადრენაჟო არხების გაჭრისას ამოყრილი არქეოლოგიური მასალის გავრცელების ადგილებში. გავლებულ იქნა სამი საკონტროლო თხრილი (ზომები: 6X2 მ-ზე). ხელახლა შემოწმდა ამონაყარი მიწა. მნიშვნელოვნად გამდიდრდა წინა წლების მონაპოვართა რიცხვი. ესენია: ყუამილიანი ცულის ყალიბი, მეტალურგიული ქურის საქშენი მილი (შტვირი), თიხის ტერაკოტა ქალის გამოსახულებით, კაჟის ორი ცალი ისრისპირი, კაჟის სხვადასხვა სახის ნაკეთობანი და ა.შ. (ინაიშვილი, 1977: 75). ამის შემდეგ გათხრები გაგრძელდა ტორფიან ფენაში, რომლის სიმძლავრე იყო 90-100 სმ. გრუნტული წყლების მოძალების გამო მე-3 საკონტროლო თხრილში არქეოლოგიური სამუშაოები შეჩერდა. რაიმე სახის არტეფაქტი არ გამოჩენილა.

კულტურული ფენების არსებობა დაფიქსირდა №2 თხრილში, სადაც სამუშაოები ბოლომდე იქნა მიყვანილი (ტაბ. I/2). პირველ თხრილში ქვიშნარს მოყვა სილნარი ფენა, რომელშიც ნაგებობის ნაშთებიც გამოჩნდა (ტაბ. I/1). გაკეთდა დასკვნები: მეორე თხრილის ზედა 1 მ სიმძლავრის შრე ტორფნარია. აქ კულტურული ფენების არსებობა არ დასტურდება. მოხვედრილია ხის მერქნის ნაშთები. ტორფნარს მოსდევს კულტურული ფენების მომცველი თიხნარი. ქვედა ნახევარი მოშავო-მოლურჯო შეფერილობისაა. მთლიანობაში კულტურული ფენები 145 სმ სიღრმემდე ვრცელდება. მას ენაცვლება სილნარი, რომელშიც კულტურული ფენები აღარ ჩანს. ამ ეპოქაშიც შეგროვებითი მეურნეობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს წაბლის, თხილის, წიწიბოსა და რკოს ნაჭუჭთა მრავალრიცხოვნება. გამოიყო ორი კულტურული ფენა: ქვედა დონეზე (III-IV ბარისპირი) დაფიქსირდა ბრტყელძირა ქოთნები, ქილები და სხვა, ზედაზე (I-II ბარისპირი) ბრტყელძირა ჭურჭლებთან ერთად აღმოჩნდა შედრეკილძირიანებიც.

პირველ თხრილში დადასტურდა ხიმინჯიანი ნაგებობა. 10-15 სმ სისქის ხემრგვალები ვერტიკალურად იყო ჩარჭობილი გრუნტში. მათზე უნდა მდგარიყო ჯარგვალური ტიპის შენობა. ერთგან პრეპარირებულ იქნა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული ჰორიზონტალურად ჩალაგებული ხის მორები. ქვედა დონის ნაგებობები ძელური უნდა ყოფილიყო (ტაბ. I/1)

ისპანის 1964-1974 წლების მონაპოვრებით შეიქმნა მეტად საინტერესო კოლექცია. მოკლედ ვისაუბრებთ მათ შესახებ.

კერამიკა. ისპანის მონაპოვარში წამყვანი ადგილი სამეთუნეო ნაწარმს უკავია. მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოდგენილია სამეურნეო, უპირატესად სამზარეულო, სუფრაზე მოსახმარი, რთვა-ქსოვასთან, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული არტეფაქტები და საკულტო ნაკეთობები. გვხდება როგორც მთლიანი ცალები, ასევე პროფილირებული ნატეხები. როგორც წესი, ისინი ხელითაა ნაძერწი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. ბევრი მათგანი არქაული იერის მატარებელია. აქვთ ოდნავ გარეთკენ გადაშლილი პირი. ყელი ტანისაგან ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი. კორპუსი სწორკედლიანია. იშვიათად მომრგვალებულტანიანი ნიმუშებიც გამოერევა. სხვადასხვა ვარიაციას იძლევა ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად მიძერწილი ყურები. ჭურჭლების უმეტესობა ბრტყელძირიანია. ზედა ჰორიზონტში მათთან ერთად იკვეთება ძირშეწეული და ქუსლიანი ნაკეთობების დამზადების ტენდენციაც. წარმოდგენილია ჯამები, ქილები, დერგები, ქოთნები და დოქები. ფორმათა მრავალგვარობა მათ ფუნქციონალურ მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. იშვიათად მიმართავენ დეკორს. წითელკეციანი ჭურჭელი ჯერ კიდევ არ ჩანს. ერთეული ნატეხები მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი სამეურნეო ნაკეთობების მსგავსია. ისინი იმპორტადაა მიჩნეული. დ. ხახუტაიშვილი არ გამორიცხავს მათ ანატოლიურ წარმომავლობას (ხახუტაიშვილი, 1995: 34).

ისპანის კერამიკულ ნაკეთობებში ცალკე ჯგუფს ქმნის დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები. მათი ზედაპირი უსწორმასწოროა. აქვთ გარეთკენ გადაშლილი პირი, ოდნავ მომრგვალებული ტანი. ბრტყელგანივკვეთიანი, საკმაოდ პატარა ზომის ყურის ზედა ბოლო პირ-ქობაზეა დაძერწილი, ქვედა – ტანის არეში. ძირების ერთი ნაწილი ბრტყელია. არის შეზნექილებიც. შესამკობად გამოყენებულია სხვადასხვა მოტივი. გვხვდება მხრის არეში ღრმა ჰორიზონტალური ზოლით შემოფარგლული დახრილი, მოგრძო ხაზებით აქცენტირებული შევრონისებრი ორნამენტი. ზოგიერთი ჭურჭლის მხრის არე შემკულია არასიმეტრიულად დატანილი ჰორიზონტალური რელიეფური ზოლით (ტაბ. III, VII/5, 6; VIII/1, 2, 4; IX/1,2, 3).

დიდი ზომის ჭურჭლები, როგორც ჩანს, რძის პროდუქტებისა და მარცვლეულის შესანახად იყო გამოყენებული. საჭიროებისამებრ შეიძლებოდა ექსპორტისათვის განკუთვნილი ფლოტაციაქმნილი დაქუცმაცებულ-დაფშვნილი ლითონის მასის მოთავსება ტრანსპორტირება და ა.შ. ამის თქმის უფლებას უნდა გვაძლევდეს მახვილაურში ძვ.წ. III ათასწლეულის კულტურულ ფენაში უკვე მრავლად მოპოვებული ხათების (პროტოხეთების) ეთნოსთან დაკავშირებული წითელი წერნაქით დაფარული თიხის ჭურჭელი, რომელშიც წამყვან ადგილი სწორედ დიდი ზომის დერგებს უკავია (კახიძე, სურმანიძე, 2019: 44,52; კახიძე, 2021: 161, 162, ტაბ. XII, XIII, XIV).

ყურადღებას იქცევს მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი მასიურკედლიანი ჭურჭლის ძირი, რომლის ცენტრში 5 სმ დიამეტრის მქონე ხვრელია გაკეთებული. თუმცა მისი დანიშნულება გაურკვეველია (ტაბ. IX/2).

წამყვანია სამზარეულო ჭურჭელი. გვხვდება როგორც ორნამენტირებული, ასევე სადა ნიმუშები. როგორც წესი, აქვთ ფართო, გარეთკენ გადაშლილი პირი. ერთი ნაწილის მაღალი ტანი ოდნავ მომრგვალებულია. არის მკვეთრად მომრგვალებული ნიმუშებიც. პირ-ქობაზე მიძერწილ ბრტყელგანივკვეთიან ყურებთან ერთად გვხვდება ისეთი ცალებიც, რომლებზეც მასიური მარყუჟისებრი ყური ტანის არეშია დაძერწილი. სიახლეა მხრის არეში ბრტყელგანივკვეთიანი საკმაოდ ფართო ჰორიზონტალურად დაძერწილი ყურები. ერთ-ერთი მათგანი ღარებითაა შემკული (ტაბ. IV; V; VI/1, 2; VII/3, 4; VIII/3).

სხვა სახის სამკაულებიდან აღსანიშნავია ტანის დასაწყისთან ხელით დაუდევრად შესრულებული ტალღისებური და მხრის არეში დახრილი ღარებით შექმნილი შევრონების ჰორიზონტალური ზოლები. შევრონების ორნამენტი მუცლის არეშიც გვხვდება. სამკაულის ახალ სახეობას ქმნის მხრის არის შემომფარგლავი რომბისებური ორნამენტის უწყვეტი ჰორიზონტალური ზოლი. გვაქვს ისეთი ნიმუშები, რომელთა რელიეფური ჰორიზონტალური ზოლი ფართო ჭდეებითაა შემკული. გავრცელებული ჩანს მხრის ზედაპირის დაფარვა მოგრძო, ღრმად ნაკაწრი, ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული დახრილი ღარებით. ერთ-ერთი ჭურჭლის პირს ვიწრო წრისებრი ნახვრეტი აქვს დატანილი (ტაბ. VII/1; VII/2;).

სამზარეულო კერამიკის ცალკე სახეობას ქმნის ისეთი ნიმუშები, რომელთაც გააჩნიათ ჰორიზონტალურად მიძერწილი მორჩისებრი ყურები (ტაბ. VII/4; VIII/3).

ხშირად ზემოთ აღნიშნულ ფორმებს იმეორებს პატარა ზომის, სუფრაზე მოსახმარი თიხის ჭურჭელი.

ერთგვაროვანია პირ-ქობასა და მხრის არეში დაძერწილი პატარა ზომის ბრტყელგანივკვეთიანი ყურები (ტაბ. VIII/5). გამოერია ქვემოთკენ დაქანებული მორჩისებრყურიანი თიხის პატარა ზომის ქოთანი, რომლის პირთან ახლოს და ტანის არეშიც გაკეთებულია მცირე დიამეტრის მქონე წრიული ნახვრეტები.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს პირთან ახლოს მიძერწილი ყურის ზედა ბოლო, რომელზეც დაძერწილია ჰორიზონტალური რელიეფური ქედი (ტაბ. VIII/3). ფიჭვნარის მიხედვით ჩანს, რომ შემკობის ეს მოტივი კოლხ მეთუნეთა ისტორიაში ანტიკურ ხანამდე გრძელდებოდა.

ასევე ითქმის მაღალფეხიანი, ე.წ. კოლხური სასმისის შესახებ, რომლის ძირი მთლიანადაა შემორჩენილი. მისი მაღალმხატვრული ნიმუშები ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამარხეულ კომპლექსებშიცაა აღმოჩენილი.

ზემოთ აღნიშნულთა მსგავსად, სასმისთა დიდი ნაწილი ბრტყელძირიანებია. არის შელრმავებულებიც (ტაბ. IX/4).

ისპანის ნაკეთობათა ცალკე გამოკვეთილ ტიპს ქმნის თიხის ჯამი, რომლის გამოყენება სასმისადაც შეიძლებოდა. იგი ნახევარსფერული მოყვანილობისაა (ტაბ. IX/5). განეკუთვნება იშვიათ მონაპოვართა რიცხვს.

ისპანის კერამიკა სათავეს უდებს დასავლეთ ამირკავკასიაში, უფრო კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, კერამიკული წარმოების სრულიად ახალ ნაკადს. შემკობის მოტივების მიხედვით მათი ერთი ნაწილი ჩრდილო და ცენტრალური ანატოლიის ნაკეთობებთან პოულობს მსგავსებას. ჩანს, რომ ახალი ქვის ხანის მომდევნო ეტაპისათვის კერამიკულ წარმოებას მიუღია ფართო ხასიათი. ცალკეული ფორმები დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობისა თუ ხელოსნური წარმოების ცალკეულ დარგებთან.

ყურადღებას იქცევს თიხისაგან დამზადებული ქალის სკულპტურული გამოსახულება ანფასში. გადმოცემულია ტანის ზედა ნახევარი. აქვს მომრგვალებული, მასიური ტორსი. ნაწილობრივ შერჩენილია მარცხენა ხელი. თავი მომრგვალებულია, კისერი ჩაფსკვნილი. პირის ჭრილი და წყვილი თვალი წერტილებითაა აქცენტირებული. თვალები გამოირჩევია სქემატურობით (ტაბ. II/1). საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი ჩანს ანთროპომორფული პლასტიკა. ფართოდაა გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთშიც. ქალის ქანდაკებებზე გამოსახულია ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ნიშნები. აღიარებულია, რომ ქალის ქანდაკებები განასახიერებენ ნაყოფიერების, გამრავლების მფარველ ღვთაებას (კახიძე, მამულაძე, 2016: 13, ტაბ. VI/3).

ისპანის კერამიკა ჯერჯერობით სიახლოვეს პოვებს ლანჩხუთთან ახლოს (ადგილი ჭოლიპა) აღმოჩენილ სამეთუნეო ნაკეთობებთან.

მეტალურგია. ისპანის მოსახლეობა კარგად იცნობს ლითონდამუშავების ხერხებსა და მეთოდებს. ფლობენ როგორც ჩამოსხმის, ასევე ჭედვის ტექნიკასაც. ამის დასტურია ტორფქვეშა ნამოსახლარზე მოპოვებული საყურადღებო ინვენტარი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ყუამილიანი ცულის ხის მოდელი, რომლითაც მზადდებოდა ბრინჯაოს ცულების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბი (ტაბ. X/1). ჩვენს ხელთაა კონუსის ფორმის პატარა ზომის საქშენი მილები. ერთ-ერთ მათგანს ფუძესთან ახლოს ჰორიზონტალური ღარის და ერთმანეთთან დაკავშირებული სამკუთხედების ჰორიზონტალური სარტყელი შემოუყვება (ტაბ. X/4) (ხახუტაიშვილი, 2007b: 140-148; სურ. 10/4). გაუკეთებიათ აბაზანისებრი მინიატურული ტიგელი, რომლის ზურგსაც მთელ სიგრძეზე გადაბმული სამკუთხედების ორნამენტირებული ზოლი მიუყვება (ტაბ. X/3) (ხახუტაიშვილი, 2007b: 141, სურ. 10/10). ყველა მათგანი ახლო პარალელებს პოულობს ანატოლიისა და ეგეიდურ ცივილიზაციებთან (ხახუტაიშვილი, 1995: 37-39).

როგორც ვხედავთ, თიხის ნაკეთობანი საკმაოდ ფართოდ ყოფილა დანერგილი იმდროინდელ სამყაროში და, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ქობულეთის უძველეს მკვიდრთა შორისაც.

მშენებლობა. დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლების მსგავსად, ხუროთმოძღვრებაში უკვე დანერგილია ჭდევის ტექნიკა. დ. ხახუტაიშვილი ფიქრობდა, რომ ისპანის ნამოსახლარზე ძვ.წ. III ათასწლეულში ჩნდება ხიმინჯებზე ნაგები ჯარგვალური ტიპის სახლები. ზღვამ გადაფარა სანაპირო ზოლი, რამაც განაპირობა ხიმინჯიანი ნაგებობის შექმნა. მაგრამ მოსახლეობა მაინც იძულებული გამხდარა მიეტოვებინა საცხოვრისი და მთისწინეთისაკენ გადაენაცვლა.

მომდევნო ეპოქებისათვის სამშენებლო ხელოვნებაში არსებითი ცვლილებები არ ხდება, ჯარგვალური ტიპის მრგვალი მორებისაგან ჭდევის გამოყენებით ნაგები და თიხით შელესილი საცხოვრისები თუ სხვა სახის სამეურნეო ნაგებობანი კოლხეთის დაბლობს, მათ შორის, ქობულეთის „ქვეყანას“, გვიანობამდე შემორჩა (ხახუტაიშვილი, 1995: 39-40).

სამეურნეო საქმიანობა. მოწეული მარცვლეულის მომკა კაჟის ნამგლებით ხდებოდა. ეს ნამგლები ფართოდ გავრცელებული არტეფაქტებია. გამოიყენებოდა ათასწლეულების მანძილზე, ბრინჯაოს ნამგლების პარალელურადაც კი. აღიარებულია, რომ კიდევ უფრო ძველი სამკელი უნდა ყოფილიყო შნაკვი. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ მას სხვა დანიშნულებით დღემდე იყენებდნენ. ამავე იარაღით ხდებოდა ფუტკრის ფიჭისაგან თაფლის გამოწურვა და სანთლის ჩამოსასხმელი მასის მომზადება (ჩიტაია, 1980: 74; Брегадзе, 1982: 39-42).

როგორც ცნობილია, მსგავსი მეთოდით ჩვენი წინაპრები სანთლისაგან დამზადებულ იარაღ-საჭურველთა თუ სამკაულის ფორმებსაც ამზადებდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენს სინამდვილეშიც ეს ხერხი ფართო გამოიყენებოდა. მეფუტკრეობა შეგროვებითი მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგი ჩანს. თვლიან, რომ ამდროინდელი ადამიანი უარს არ იტყოდა ამ მეტად ძვირფასი, სამეურნეო და ნოყიერი პროდუქტით მომარაგებაზე (ხახუტაიშვილი, 1995: 35-36). ისპანშიც ცვილი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ლითონის სამსხმელო ფორმების დასამზადებლად. ფუტკარი მესამეული გეოლოგიური ეპოქიდანაა ცნობილი (რობაქიძე, 1960: 19). აქაურ მხარეში შესანიშნავი პირობები არსებობდა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ხინოს თაფლი ხალხური პოეზიის შთაგონების წყარო გახდა. თითქმის პირველყოფილი ფორმით იგი ამ ბოლო წლებამდე შემორჩა. წინა ეპოქებში დაგროვილი ემპირიული ცოდნის მიხედვით საგანგებოდ შეირჩეოდა ფუტკრის ოჯახის განსათავსებლად აღიარებული ხის მრგვალი შემოწერილობის მქონე გეჯები, სკები, ე.წ. ყავრანები. არსებითად განვითარებული იყო ტყის მეფუტკრეობაც. სკას შემოდგამდნენ გაშიშვლებულ წიფლის ხეზე (მარტო ამ წიფელზე ვერ ადიოდა თაფლის მოტრფიალე დათვი). საგანგებოდ ამზადებდნენ მსხვილ თოკებს, ე.წ. ჭაპანი, რომლითაც აჰქონდათ ცარიელი სკები. გაცოცხლების შემდეგ ჭაპანითვე უშვებდნენ ნახილ თაფლს, ე.წ. ფალაყას და ა.შ. მთელი რიგი ნოვაციების კვალდაკვალ, სამეურნეო საქმიანობის ამ სფერომ

ჩვენს დროშიც მეტად ფართო ხასიათი მიიღო და აღიარება მოიპოვა საერთაშორისო ბაზარზე.

მიუხედავად იმისა, რომ ისპანის კვლევის ისტორიაში ჯერ კიდევ ძალზე მცირე მასშტაბის საველე სამუშაოებია განხორციელებული, ზოგიერთი საინტერესო დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება. ერთი რამ ცხადია: ამ მეტად საინტერესო კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედი გახლავთ გორაკბორცვოვანი ზოლის დასახლებების მცხოვრებნი, რომელთაც განსაკუთრებით მდიდარი, მრავალფეროვანი ინფორმაციები დაგვიტოვეს ეპიპალეოლითის საწყისი ეტაპებისა და ხანგრძლივი ეპოქების მომცველი ქვის ხანიდან ლითონის საუკუნეზე გარდამავალი საფეხურების შესწავლისათვის. აქაური მკვიდრნი კოლხეთის დაბლობის სამხრეთი მონაკვეთის პირველ ამთვისებლებად გვევლინებიან, რომელთაც სათავე დაუდეს კულტურათა ახალ ნაკადს ძველ კოლხეთში.

ამ ეპოქებისთვისაც ხელაღებით არ მომხდარა წარმოებით ურთიერთობაში ძველი ფორმების მოშლა და ახლის დანერგვა. არაერთგან ფიქსირდება ქვის ინდუსტრიული ტრადიციების არსებობის მანიშნებელი კერები. ისპანიდან მომდინარეობს შესანიშნავად გაპრიალებული ქვის ცული. გადარჩენილია ორად გახლეჩილი ცულის ერთი ნახევარი, ოთხწახნაგა, ყუამომრგვალებული. ჰქონია მრგვალგანივკვეთიანი სატარე ხვრელი. პირი არაა შემორჩენილი (ტაბ. XII/1,2). მთლიანად დაცული ცული წარმოდგენილი იყო ასევე ჭოლიპაში, ჩვენ მიერ შეგროვებულ მასალებს შორის (ტაბ. XV/7,8).

ჩანს, რომ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის „ქობულეთის ქვეყნის“ მოსახლეობაში გრძელდება ადრინდელი ეპოქებიდან მომდინარე ქვის იარაღ-ნაკეთობათა გამოყენების ტრადიცია. კულტურულ ფენებში ცალკეულ ჯგუფებად იყო განლაგებული ქვის ინდუსტრიის მაჩვენებელი არტეფაქტები. საყურადღებოა კაჟის ყუნწიანი ისრისპირები, რომლის ორივე მხარე ფაცეტებითაა დამუშავებული, კიდეები კი რეტუშირებულია (ტაბ. XII/5-8). მსგავსი სანადირო იარაღი ფართოდ ჩანს გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის არტეფაქტებს შორის, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ აღნიშნულ ეპოქაში ნადირობას არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია. თევზჭერის ფართო მასშტაბის მაჩვენებელია ბადის საძირავებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები. საყურადღებოა, რომ მახვილაურის ნეოლითური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ცალგვერდამოღარული საწაფებისაგან განსხვავებით, ისპანის თევზმჭერებს ქვის წვეროს ორივე მხარეს გაუკეთებიათ ამოღარვა. გვხვდება შურდულის ქვებიც. არის ნავისებური ხელსაფქვავის ქვები (ტაბ. XI/1).

კვლავაც შენარჩუნებულია შეგროვებითი მეურნეობისა და ნადირობის ადრინდელი ფორმები. იგივე ითქმის მეფუტკრეობის მიმართაც. ჰიდროგრაფიული ქსელით, ფლორითა და ფაუნით მდიდარი მხარე არცერთ ეპოქაში არ ტოვებდა აქაურ მკვიდრთ ხელმოცარულს. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეების მსგავსად, ნეოლით-ენეოლითის კვალდაკვალ, სამეურნეო საქმიანობაში წამყვან,

უკვე გარანტირებულ ნოვაციებად გვევლინება მეტალურგია. მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნური წარმოების ფართოდ დანერგვამ, როგორც ვნახეთ, „ქობულეთის ქვეყნის“ ძველი მემთამადნე-მეტალურგები მსოფლიო ისტორიული პროცესების არაერთი ნოვაციის თანამონაწილეებად გახადა.

ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში გაჩენილი ახალი დასახლების შემოქმედნი ისპანელი მიგრანტები იყვნენ. ეს შესანიშნავად ჩანს ნამჭედურის გორა-სამოსახლოს VI კულტურული ფენის მონაცემების მიხედვით. ჩვენ ვთვლით, რომ დასავლეთ-ქართული ტომობრივი კულტურის გენეზისის საწყისი ეტაპიც ამ ეპოქასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს მართლაც ასეა. ფიჭვნარის გრანდიოზულმა დასახლებამ ათასწლეულების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ძველი კოლხეთის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დ. ხახუტაიშვილი, წევრები: ა. კახიძე, გ. თავამაიშვილი, ი. იაშვილი) მეტად საინტერესო საველე სადაზვერვო სამუშაოები განახორციელა დღევანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც, კერძოდ, მაჩხვარეთის საკრებულოს ე.წ. ჭოლიპას ტბის ტერიტორიაზე (ადგილი „ჯიგორფშა“). ტბა ახლა დამშრალია. კულტურული ფენები 1982 წელს „კოლხიდმშენის“ მიერ სადრენაჟე არხების გაჭრისას დაზიანდა. ექსპედიციამ შეაგროვა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რიყის ქვისაგან დამზადებული საბრძოლო იარაღი, ბრინჯაოს შუბისპირი, კაჟის ანატკეც-ანამტვრევები. პირველი ინფორმაცია ამ აღმოჩენის შესახებ ეკუთვნის გურიის არქეოლოგიურ ექსპედიციას (მურვანიძე, 1996: 73-78, ტაბ. IV-VIII; სადრაძე, ძნელაძე, გოგუაძე, დავლიანიძე, მურვანიძე, კალანდაძე, ჭანიშვილი, მგელაძე, წერეთელი, 1996: 22-40). გამოყოფილია დერგის, ქილის, ქოთნის, სასმისის, ფიალის, კოჭობის და ჯამისებრი ჭურჭლის ფორმები (ტაბ. XIV/1-7; XV/1-6). მოცემულია მათი ზოგადი დახასიათება. სიახლოვეს პოულობს დაბლაგომისა და ფიჩორის მონაპოვრებთან, ყურების მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურასთანაც, ასევე, ისპანის, შემოქმედისა და არგვეთის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ არტეფაქტებთან. რიონ-ყვირილის პარალელების მიხედვით, სასმისთა ერთი ნაწილი მაიკოპის კულტურის ნაკეთობადაა მიჩნეული. ყურადღებაა გამახვილებული გურიის ექსპედიციის მიერ სოფელ შემოქმედში აღმოჩენილ ტერასულად განლაგებულ თანადროულ ნამოსახლარზე. როგორც ჭოლიპას, ასევე შემოქმედის მონაპოვრების მიხედვითაც ხედავენ მტკვარ-არაქსის კულტურის იმპულსებს. ჩვენი აზრით, მსგავსი დასკვნის გაკეთება ნაადრევი უნდა იყოს. ჭოლიპასა და ისპანის კერამიკა ძირითადად ადგილობრივი ნაკეთობაა. მტკვარ-არაქსის იმპორტთან დაკავშირებული რამდენიმე ნატეხი მხოლოდ ისპანის მრავალრიცხოვან სამეთუნეო ნაკეთობებშია წარმოდგენილი.

ჭოლიპას თიხის ჭურჭელი ხასიათდება სისადავით. მხოლოდ დერგისებური ჭურჭლის ფრაგმენტებზე გვხვდება დაუდევრად დატანილი რელიეფური კოპები

(ტაბ. XIV/2,3,5). ერთ-ერთ ჭურჭელზე, გარკვეული მოტივაციის შესაბამისად, გაკეთებულია გამჭოლი ნახვრეტი. არაა გამორიცხული, სავენტილაციოდ (ტაბ. XIV/6). ჭურჭლის ორ ძირზე შემორჩენილია სხვადასხვა სახის ქსოვილების ანაბეჭდები (ტაბ. XV/5,6). თვით ნაკეთობის ორნამენტაციას არ უნდა უკავშირდებოდეს. ისპანის მსგავსად, ფართო გამოყენების საგანი ყოფილა დიდი ზომის სამეურნეო თუ სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელი. ჭოლიპას მონაპოვარში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სუფრაზე მოსახმარი ჭურჭელი – სასმისები (ტაბ. XV/1-4). მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია კონუსისებრძირიანი სასმისი (ტაბ. XV/4), რომელიც თამამად შეიძლება მოვაქციოთ პროტოკოლხურ საღვინე ჭურჭელთა რიგში. ეჭვგარეშეა, რომ იგი წარმოადგენდა ადრერკინისა და ანტიკურ ხანაში მეტად გავრცელებული კოლხური სასმისების პროტოტიპს, რომელსაც ფესვები პროტოკოლხურ კულტურებში ეძებნება. აგრეთვე, გვაქვს ცილინდრული და მრგვალძირიანი სასმისების სრულიად ახალი ტიპები.

ქვის ინდუსტრიაში ნოვაციას უნდა წარმოადგენდეს ჭოლიპაში აღმოჩენილი საბრძოლო ცული (ტაბ. XV/7,8). არაა გამორიცხული, მათი სხვა დანიშნულებით (ნადირობისათვის) გამოყენებაც. აღმოჩენილია ბრინჯაოს შუბისპირიც (ტაბ. XV/9).

ტორფქვეშა ნამოსახლარმა თავი იჩინა ცენტრალურ კოლხეთშიც, ონწყოში. 1997 წელს ერგეტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის ცნობილი გახდა, რომ ჭაობში არხის გაყვანის დროს ექსკავატორმა ამოყარა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნახშირი და ხის ძელები. დაჭაობებული მასივის სიმაღლე ზღვის დონიდან 0-0,5 მეტრია, ფართობი 90 კვ^2, ჭაობის სიმაღლე – 1,5 მ. ძეგლი ზღვიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 1,5 კმ-ითაა მოშორებული. ბათქაში, ნახშირი, ხის ძელები, თხილისა და წაბლის ნაჭუჭები, ცხოველთა ძვლები და კერამიკის ნატეხები 30 მ სიგრძეზე იყო მიმოფანტული. ნაგებობა ხის უნდა ყოფილიყო, კედლები თიხით შელესილი. რამდენიმე ათეულ ნატეხთა შორის გამოერია სამი პროფილირებული. ერთ-ერთი მათგანი პირგადაშლილი ქოთნის მოზრდილი ფრაგმენტია. ზედაპირი უხეშია და სადა, კეცი კი მოყავისფრო (პაპუაშვილი, 2002: 35, ტაბ. I/4). სიახლოვეს ამჟღავნებს ერგეტას, ანაკლიისა და ფიჩორის პროტოკოლხური ფენებიდან მომდინარე სამეთუნეო ნაკეთობასთან.

ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტს წარმოადგენს მეორე ნატეხიც. ჰქონია გადაშლილი პირი და გამობერილი კორპუსი. ყელის არე შემკულია ვერტიკალურად განლაგებული ფრჩხილისებრი ნაჭდევებით; მხარზე შემორჩენილია თავებჩაჭყლეტილი ძუძუსებრი გამონაზარდები. კეცი მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარია (პაპუაშვილი, 2002: 35, ტაბ. I/2). შედარებულია ფიჭვნარის ნამჭედურის VI ფენისა და ერგეტას ე.წ. მამულიების დიხა-გუძუბას IV ფენის მასალებთან.

მესამე პროფილირებული ნატეხი მოზრდილი ქოთნისა თუ დერგის პირ-გვერდია. აქვს სწორი პირი. კორპუსზე ჰორიზონტალურადაა მიძერწილი მრგვალნახვრეტიანი ორფერდა ყური. ნაძერწია უხეშად. კეცი რუხი, მინარევებიანი (პა-

პუაშვილი, 2002: 35, ტაბ. I/3). მსგავსი ყურები გავრცელებული ჩანს ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლზე, ასევე, ნაოხვამუს შუა ფენებში. აღმოჩნდა ყულევშიც. დათარიღებულია სხვადასხვა წლებით. სახეზეა პროტოკოლხური და ძველი კოლხური კერამიკის თანაარსებობა. თვით ონწყოშიას თარიღად წინასწარეულად მიჩნეულია ძვ.წ. III ათასწლეული და II ათასწლეულის პირველი ნახევარი (პაპუაშვილი, 2002: 36). ხედავენ სიახლოვეს ადრებრინჯაოს ხანის ტორფქვეშა დასახლებასთან და ასკვნიან, რომ ისპანის და ონწყოშას ნამოსახლარები წარმოქმნილია კოლხეთის დაბლობის დაჭაობებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები (1959-1971). – სდსძ, III, 1973, გვ. 3-37, სურ. 1

ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები. – სდსძ, VI, თბ., 1977, გვ. 67-90

ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები, 1979, გვ. 3-19

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთ-ფიჭვნარი), თბ., 1971

კახიძე ა., ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, ბათუმი, 2007, გვ. 135-139

კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2016.

კახიძე ა., სურმანიძე ნ., მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა. – საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლეთ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 2018 წლის 25-28 ივნისი), ბათუმი, 2019, გვ. 44-55

კახიძე ა., ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები – ძვ.წ. V-II ათასწლეულები), ბათუმი, 2021.

მურვანიძე ბ., ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარი ანალიზი), გურია I, თბ., 1996, გვ. 73-78

პაპუაშვილი რ., ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყოშიაში. – ძიებანი, 10, 2002, გვ. 35-38

რობაქიძე ალ., მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960.

სადრაძე ვ., ძნელაძე მ., გოგუაძე ე., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კალანდაძე კ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., წერეთელი კ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1991-1994 წწ. – გურია I, თბ., 1996, გვ. 22-40

ჩიტაია გ., შნაკვი. – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები, 1980

ხახუტაიშვილი დ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. – სდსძ, VIII, თბ., 1979, გვ. 3-18

ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995.

ხახუტაიშვილი დ., პალეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარება ჰოლოცენში აჭარაში და მიმდებარე მხარეებში. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, 2007ა, გვ. 20-25

ხახუტაიშვილი დ., ხელოსნობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I , 2007ბ, 140-143

Апакидзе А., **Бурчуладзе А.,** Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии, Тб., 1987, сс. 23-24

Брегадзе Н.А., Очерки этнографии Грузии, Тб., 1982

Хахутаишвили Д. А., Природа и человек в приморской полосе в эпоху голоцена. – «Кавказско-Ближневосточний сборник»,VII, 1984, сс. 146-151

Amiran Kakhidze

ISPANI UNDER-PEAT SETTLEMENT RUINS

Ispani is one of the prominent sites on the Black Sea coast in Georgia. It is located between the large settlement complex of Choloki and Ochkhamuri, on the south section of the accumulative field of the Colchis Lowland, in the east part of Kobuleti city and dates back to the end of the IV millennium BC and start of the III millennium BC.

The settlement ruins were accidentally discovered while arranging drainage channels in the peatland in 1964. The observational trenches were made on the site in 1974-75.

The remains of the beam structure erected on a wood-laid platform were found during the excavations. The most materials found are ceramics – pots, jars, bowls, cups, which mainly have simple handles, bottoms are flat and bent inwards. Sometimes the earliest types of ornaments are used (plant and geometric ornaments). The fragments of clayware, polished black ceramics imported from the east Transcaucasia were found as well.

The artefacts (wood samples of axes, moulds, crucible, blow pipes) related to metal production discovered in the Ispani Under-peat settlement ruins confirm that metallurgy there had a long-term tradition. A similarity is found between the synchronous material from Anatolia.

Furthermore, the stone industry is well manifested as well. Axes, hand grinders, mortars, mallets, pestles, sling stones, net sinkers, flint arrowheads, sickle fragments provide us the distinct information about the activity (harvesting, product storing and processing, fishing and hunting) of the local population.

A certain type of pagan pantheon seems to be established in Ispani. The clay sculpture of a woman found in the site represents the goddess of fertility.

Except for Ispani, the Tcholipa and Ontskosha settlements were created before bogging up the Colchis Lowland.

ტაბულების აღწერილობა:

I. ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი. 1974 წლის გათხრები

II. 1. თიხის ანთროპომორფული გამოსახულება; 2-5 კვირისტავები; 6-9 სამარილისებრი ჭურჭლები

III-IX. სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები

X. ყუამილიანი ცულის ხის მოდელი; 2. ყუამილიანი ცულის ყალიბის ფრაგმენტი; 3. აბაზანისებრი ტიგელი; 4. საქშენი მილები


XI. 1. ქვის ხელსაფქვავები; 2. ქვის საბეგველები

XII. 1-3. ქვის ცულები; 4. ქვის საწაფი; 5-8. კაჟის ისრისპირები


XIII. კაჟის იარაღ-ანატკეცები

XIV. ჭოლიპას ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტები. 1. თიხის ქოთანი; 2-7. სამეურნეო და სამზარეული ჭურჭლის ფრაგმენტები

XV. 1-4. სასმისების ფრაგმენტები; 5-6. ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები; 7-8. ქვის ცული; 9. ბრინჯაოს შუბისპირი



1




2




1




2




3




4




5




6




7




8




9




1




2




3




4



5



6



7



8





1



2



1



2



3




4



5



6



1 2



3 4




5 6



1 2



3 4



5



1



2



3




4







5




1




2




3



4




1




2




1




2



3




4




5




6



7



8





1



2



3



4



5



6





7



1



2



3



4



5



6



7



8



9

ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე

ძველი კოლხური გორანამოსახლარი, ნამჭედური I.

ფიჭვნარში, კერძოდ, მდინარე ჩოლოქსა და მის შენაკად ოჩხამურს შორის განლაგებულია ხელოვნური გორანამოსახლარები, რომელთა შორის გამოირჩევა დიდი ზომის ბორცვი (ტაბ. I,II), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნამჭედურს“ უწოდებს (კახიძე, 1971: 8). მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია. წარმოადგენს ფიჭვნარის ნაქალაქარის პირველ უბანს. სამხრეთიდან ესაზღვრება ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი. ჩრდილოეთით ექცევა ნაქალაქარის II და მის გაგრძელებაზე მდებარე VII უბანი. მდ. ჩოლოქის ორივე სანაპიროს ვრცელი თანადროული დასახლებები თითქმის 80 ჰა ფართობზეა გაშლილი. დასავლეთიდან ჩამოედინება მდ. ოჩხამური. მოშორებით მოსდევს ფიჭვნარის გრანდიოზული ქვიშაზვინულები და ზღვის სანაპირო ზოლი. აღმოსავლეთით მდებარეობს ე. წ. ჩოლოქის თანამედროვე დასახლება. სამართლიანად შენიშნავენ, რომ ფიჭვნარის დასახლებები წარმოადგენენ ისპანის გენეტიკურ და ქრონოლოგიურ გაგრძელებას, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს. ნამჭედური I გორანამოსახლარს დროთა განმავლობაში დაეკისრა აკროპოლისის ფუნქცია. არ გამოვრიცხავთ, რომ ანტიკურ ხანაში ხდებოდა უცხოელ მოგზაურ-მისიონერთა მიღებები.

ფიჭვნარის დასახლებამ დიდი როლი ითამაშა დასავლურ-ქართული, კოლხური ტომობრივი კულტურის შექმნაში. როგორც ითქვა, შესანიშნავად ჩანს გენეტიკური კავშირი ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლართან. ნამჭედური I გორანამოსახლარზე უწყვეტი ცხოვრების ამსახველია ძვ. წ. II და I ათასწლეულებით დათარიღებული კულტურული ფენები. სახეზეა არამარტო საცხოვრებელი ნაგებობები, არამედ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. სათავეს იღებს როგორც ახალი ფორმები, ასევე შემკობის მოტივები, რომლებიც დასავლურ-ქართული, კოლხური ტომობრივი კულტურის ძირითად კომპონენტებად იქცევა.

ფიჭვნარის გორასამოსახლოთა გეოგრაფიული მდებარეობა (ზღვის სანაპირო ზოლთან სიახლოვე, ჩოლოქ-ოჩხამურის ჰიდროგრაფიული ქსელი) შესანიშნავ პირობებს ქმნიდა ბრინჯაოს ხანიდან საკაბოტაჟო ნაოსნობის განვითარებისათვის. ანტიკურ ხანაში დასახლება ჩართული ჩანს როგორც მატერიკული, ასევე ანტიკური სამყაროს პერიფერიის სხვადასხვა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან. სამხრეთით ფიჭვნარის დასახლება, მათ შორის ნამჭედურიც, წარმოადგენს ქობულეთის გორაკ-ბორცვოვანი ზოლის ტერიტორიულ გაგრძელებას, რომელიც სამთო გადასასვლელებით დაკავშირებული იყო აჭარისწყლის ხეობასთან.

ფიჭვნარის ხელოვნურ გორანამოსახლარებზე, მათ შორის, ნამჭედურ I-ზე, მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრების დაწყება (1953, 1956 წწ) დაკავშირებულია ნ. ხოშტარიას სახელთან. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჩატარებული თანამიმდევრული, გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიყო ექვსი კულტურული ფენა და ხუთი სტერილური შრე. ბორცვის სიმაღლე 10 მ-ზე მეტია. ვარაუდობენ, რომ აქ პირველი დასახლება შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპისათვის გაჩენილა (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 9). ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამავე უბანზე უძველესი პლასტების არსებობასაც.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ძეგლი დაიყო ოთხ სექტორად (SW, SO, NW და NO) და კვადრატებად (კვადრატების ზომები 4X4 მ). სრულად გაითხარა სამხრეთი მონაკვეთი (SW და SO სექტორები). გარდა ამისა, ჩრდილოეთ სექტორებზე ფრთხილად მოიხსნა კორდოვანი ფენა. გამოჩნდა მოკირწყლული მოედანი (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 10). გაკეთებულია დასკვნები, რომ ელინისტური, კლასიკური, წინაკლასიკური ხანის (I, II, III) კულტურული ფენები, ბორცვის წვეროდან და ფერდებიდან, დიდი წვიმებისა თუ ხანგრძლივი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად ჩამოცურებულ-ჩამორეცხილია[2]. ბორცვის ძირთან ახლოს შექმნილია 2-3 მ სისქის ნარევი ფენა. ყველაზე მძლავრად გამოიყოფა პირველი ელინისტური ხანის ცხოვრების ამსახველი ფენა, რომელშიც სხვა ეპოქის მასალებიცაა შერეული. სამოსახლო დანგრეული ჩანს მძლავრი ხანძრის შედეგად (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 11).

გათხრების დაწყებისას გამოჩნდა თიხატკეპნილი ადგილები. მასში შერეული იყო საქშენი მილის, მრავალგანყოფილებიანი საკურთხეველ-სამსხვერლოსა და თიხის ჭურჭლის ორნამენტირებული ნატეხები. თვლიან, რომ თიხატკეპნილები V კულტურულ ფენას ედო. ნატეხებს აკროპოლისს უკავშირებენ (ხახუტაიშვილი, 1966: 64; Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 11). ბორცვს ირგვლივ უვლიდა წყლის ფართო და ღრმა არხი. გამაგრებული იყო, აგრეთვე, მსხვილი მორებისაგან ნაგები კოშკებით.

პირველ დაცურებულ ფენაში აღმოჩნდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიური მასალა, უპირატესად ადგილზევე დამზადებული თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქოთნები, კოლხური ამფორები, სხვადასხვა ზომის პირამიდული საკიდები, კვირისტავი და ა. შ. (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 12, ტაბ. 5, 6, 11, 17, 20). შერეული იყო ადრეული ნატეხები. სხვა სახის მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ხის მაქო ((Микеладзе, Хахутаишвили, 1985: ტაბ. 20/10). სამხრეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრ სინოპეს ამფორები, ლუთერიები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 12, ტაბ. 12, 13, 15, 16, 21). სხვა იმპორტულ მასალასთან ერთად აღმოჩენილია კლასიკური ხანის სვეტისებრყურებიანი

[2] 2015-2017 წლების გათხრებმა, რომელიც ბათუმის არქეოლოგიურმა მუზეუმმა განახორციელა, ამ ფენებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დააზუსტა.

კრატერის ნატეხიც (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 12, ტაბ. 12,/8, 22/1). კერამიკის ზოგიერთ ფრაგმენტზე გრაფიტოცაა შემორჩენილი. არის დამღებიც (Микеладзе, Хахутаишвили, 1985, ტაბ. 15/1, 2/3). გვხვდება ქიოსური და ჰერაკლეური ამფორების ძირები თუ სხვა სახის ნატეხები (ვაშაკიძე, 1982: 78-94).

ძვ. წ. VI-II საუკუნეებით თარიღდება მეორე კულტურული ფენა, რომელიც ასევე დაცურებულ-ჩამორეცხილი პლასტებითაა შექმნილი. მონაპოვრებს შორის წამყვანია სხვადასხვა ზომისა და ორნამენტის მქონე პითოსის ნატეხები. მეტ-ნაკლები რაოდენობით მოპოვებულია ქოთნები, ჯამები, ქიოსური და თაზოსური ამფორის ძირები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 13, ტაბ. 15, 16). ადგილობრივი მცხოვრებლები სადა თუ მოხატული იმპორტული კერამიკის საკმაოდ ფართო მომხმარებლები ყოფილან. ანტიკური ხანის ფენაში არეული არტეფაქტები შესწავლილია ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 13, ტაბ. 12/5,7; 21/1, 3, 4, 6-8; 23/5, 7). რადიონახშირბადული გამოკვლევის მონაცემებით მეორე ფენა ძვ.წ. V საუკუნითაა დათარიღებული (Семенов, Долуханов, Романова, 1972: 214; Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 13).

1964 წელს ნაქალაქარის პირველი უბნის ჭრილის სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით განხორციელდა საველე სამუშაოები[3]. პირველი უბნის საკონტროლო თხრილებში მოხერხდა მცირე დაღრმავებები. პირველ თხრილში აღმოჩნდა ელინისტური, მეორეში – კლასიკური, ხოლო მესამეში – წინაანტიკური ხანის არტეფაქტები. გრუნტული წყლების მოძალების გამო ამ უბანზე საველე სამუშაოები მალევე შეჩერედა. სამაგიეროდ საინტერესო აღმოჩენების მოწმენი გავხდით ნაქალაქარის მეორე უბანზე – ე. წ. ჩოლოქისპირა თხრილებთან ახლოს (50 მ^2 ფართობი). წარმოდგენილი იყო წინაანტიკური, კლასიკური და ელინიზმის ეპოქის მძლავრი კულტურული ფენები. მოპოვებული მასალით დადასტურდა, რომ აქ ცხოვრება ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ შეწყვეტილა (კახიძე, 1971: 14, ტაბ. V/1). ფენაში მოვიპოვეთ დიდძალი ნივთიერი კულტურის ძეგლები, განისაზღვრა ამ უბნის სტრატიგრაფიული ჭრილი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა მეტ-ნაკლები სიზუსტით გაგვესაზღვრა წინა წლებში ზედაპირულად შეგროვებული არტეფაქტების ქრონოლოგიური ჩარჩოები.

2015-2017 წლებში ფიჭვნარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება[4]. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს

[3] 1964 წელს საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ა. კახიძე. მონაწილეობა მიიღეს რ. ფუთურიძემ (ხელმძღვანელობდა მეორე უბანს), მ. იმნაძემ, ა. ქათამაძემ და ტ. დავითულიანმა

[4] 2016 წლის გათხრებში მონაწილეობდნენ ა. კახიძე (ხელმძღვანელი), ნ. სურმანიძე (რაზმის ხელმძღვანელი), მ. ნაგერვაძე (მეცნიერ-თანამშრომელი), ნ. კონცელიძე (ლაბორანტი), ა. ჯაველიძე (მხატვარი-არქიტექტორი), გ. დუმბაძე (ფოტოგრაფი), ზ. ვარშანიძე (ხელმძღვანელის მოადგილე სამეურნეო დარგში), ა. აბულაძე (საექსპედიციო სამუშაოების კორდინატორი), მ. ჭიჭინაძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალინოლოგი).

დაფინანსებით განახლდა სამუშაოები ნამჭედურ I-ზე. 2015 წელს პირველ რიგში მოიხსნა კორდოვანი ფენა. გამოვაჩინეთ მთელს ფართობზე მოკირწყლული მოედანი (ტაბ. IV), რომელიც გორა-სამოსახლოს მთელ ფართობზე ვრცელდებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთის ჩათვლით. გამოვაჩინეთ წინა საუკუნეში ჩატარებული გათხრების შედეგად სამხრეთით წარმოქმნილი სტრატიგრაფიული ჭრილი (ტაბ. I; VI; VII). მოვასწარით ჭრილის აღმოსავლეთი მონაკვეთის პრეპარაცია. SO-70 სექტორის 29-ე და 30-ე კვადრატებში (ტაბ. IX/2) შემორჩენილი იყო წვრილი თუ მოზრდილი ქვების შემცველი კენჭოვანი ფენა, ამავე დონეზე გამოჩნდა ბათქაშოვანი ფენის ცალკეული ნაგლეჯები – 2,4-1,4-1 მ, არის კერამიკის ნატეხები. აქ, როგორც ჩანს, წინაანტიკური ხანის დარღვეულ ფენებთან უნდა გვქონდეს საქმე. ადრინდელი გათხრების მიხედვით აღიარებული იყო, რომ სამოსახლოს პირველი ორი, ელინისტური და კლასიკური ხანის კულტურული ფენები წვიმებისა თუ მომდევნო ეპოქების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად ჩამოირეცხ-ჩამოცურდა ბორცვის ძირისაკენ. შეიქმნა საკმაოდ მძლავრი, მრავალრიცხოვანი ნივთიერი მასალის შემცველი, ერთმანეთში არეული ფენა. ახალმა გათხრებმა ჭრილის აღმოსავლეთ მონაკვეთთან გარკვეული კორექტივები შეიტანა: როგორც ჩანს, ადრეკლასიკური ხანისათვის აკროპოლისის ტერიტორიაზე გაჩენილა ახალი საზოგადოებრივი ნაგებობების დამატების აუცილებლობა; მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი, რის შედეგადაც გარკვეულად ჩამოუკვეთიათ წინა ეპოქის პლასტები. იონიური კერამიკის მიხედვით ჩანს, რომ ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. V საუკუნისათვის. ნაგებობის ფუნქციონირება ძვ. წ. II საუკუნეშიც გრძელდება. შესაბამისად შეიქმნა უძრავი კულტურული ფენა, რომელიც ამ საინტერესო მოზრდილი მონაკვეთის ახლებური კვლევის შესაძლებლობას იძლევა. ელინისტური და კლასიკური ხანის უძრავი კულტურული ფენების არსებობა ბორცვის ამ მონაკვეთში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაწყებული გათხრების შედეგად წარმოქმნილი სტრატიგრაფიული ჭრილის ჩამოსწორების დროს იქნა შენიშნული (ტაბ. VIII/1; IX/1) საწყისი სამუშაოები სწორედ 2015 წელს უკავშირდება. 30-ე კვადრატს სამხრეთით მიუყვება 0,5 მ სისქის ბათქაშოვანი ფენა, რომელიც გადადის 21-ე კვადრატში, მოსდევს 10 სმ სისქის მოყვითალო თიხნარი ფენა. ფიქსირდება ნახანძრალისა თუ ხის შავი ფერის ნაშთებიც. პირველ კვადრატში ფენა მოშავო-მონაცრისფროა. მრავლადაა შერეული III კულტურული ფენიდან მომდინარე რიყის ქვები, თიხის ჭურჭლის ნატეხები. ფენის სიმძლავრე 60 სმ-ია. სამოსახლოს კონფიგურაციის მსგავსად თანდათანობით ძირისაკენ ეშვება მოყვითალო თიხნარი (სიმძლავრე 35-80 სმ). შერეულია ბათქაშები, რიყის ქვები და ა. შ. გაგრძელებაზე ფენა სწორხაზოვან-ჰორიზონტალურია. მასზე მოკირწყლული იატაკის არსებობა შეინიშნება (ფენის სისქე – 40 სმ). აქ მორიგ სიახლესთან გვაქვს საქმე. ბათქაშოვანი ფენის ქვემოთ იჭრება სტერილური შრე (სიგრძე – 30 სმ). კლასიკური ხანისათვის ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ეს ადგილებიც მოუსწორებიათ (ტაბ.

VIII/1; IX/1) სწორედ აქ აღმოჩნდა იონიური ჭურჭლის ძირი (SO-51 სექტორი, 91-ე კვადრატი). დიდი შრომის ფასად საცხოვრისის დონის ამაღლების მიზნით ახლო-მახლო ადგილებიდან გადმოუზიდიათ სტერილური ბელტების განუსაზღვრელი რაოდენობა, რომელიც ბორცვის კონფიგურაციის შესაბამისად დაუყრიათ, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ მონაკვეთზე. აღმოსავლეთ ჭრილის მიხედვით მათი სიმაღლე 0,55-1,2-1,4 მ-მდე აღწევს. სრულდება ჯარგვალური ტიპის ნაგებობის ნაშთებით (ტაბ. VII/1). გვერდითი სტრატიგრაფიული ჭრილის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით დავკმაყოფილდით ამ ინფორმაციით და აღმოსავლეთ მონაკვეთზე საველე სამუშაოები შეჩერდა. გათხრების პერსპექტივები სახეზეა გარკვეული სახისა და მასშტაბების საკონსულტაციო სამუშაოების შესრულების შემდგომ.

საველე სამუშაოები გადავიტანეთ ჩრდილოეთით მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში. წინა საუკუნის გათხრების მიხედვით ვიცით, რომ სამოსახლოს მთელი ტერიტორია, მათ შორის, ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, დაფარული იყო ზღვის კენჭებით. აღმოჩენები შეივსო მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლით, ტიგელის ნატეხითა და ჭურჭლის ფრაგმენტებით. არის ბრინჯაოს ზოდების ნატეხებიც, თიხის კვირისტავი და ა. შ. დაბალ ადგილებში ხშირად ჩნდება კოლხური ამფორის ნატეხები, კაჟის ნამგლის ჩასართები. მოკირწყლული მოედანი ადრერკინის ხანაშია შექმნილი. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ელინთა აგორის მსგავსად ნამჭედური დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საერთო შეკრებების ადგილს. როგორც ჩანს, აქვე ხდებოდა უცხოელ სტუმარ-მისიონერთა მიღება.

მომდევნო 2016 წლისათვის SO-70-ე სექტორის 29-ე და 30-ე კვადრატებში გავაგრძელეთ ანტიკური ხანის უძრავი კულტურული ფენების შესწავლა. იმატა ბათქაშებიანმა ადგილებმა. ელინისტური ხანისათვის ბათქაში ყველა ეპოქასთან შედარებით ფართო გამოყენების საგანი გამხდარა (ტაბ. IX/2; X). მათ კონგლომერატებს საპრეპარაციო სამუშაოების შემდეგ ადგილზევე ვტოვებთ (მათი ნაწილი გასათხრელ ფართობში ექცევა). სხვა სივრცეში ხშირად ჩნდება III კულტურული ფენიდან მომდინარე რიყის ქვები. არის სხვა სახის არტეფაქტებიც. მე-20 კვადრატში აღმოჩნდა ქვის საწაფი, ქვევრის ნატეხები, ქოთნის ყურები, ლესბოსური ამფორის ცალკეული ფრაგმენტები, გვაქვს ე. წ. სასმისისებრძირიანი ამფორის ყურიც.

ნამჭედურის გორანამოსახლარის ერთიანი სტრატიგრაფიული ჭრილის ჩვენების მიზნით 91-ე კვადრატთან გაგრძელდა ცალკეული დონეების საპრეპარაციო სამუშაოები დასავლეთის მიმართულებით – ბორცვის ცენტრალური ნაწილიდან. აქაც ისახება მეტად რთული და საინტერესო სურათი. რკინის ხანის მოკირწყლულზედაპირიანი 61-71-81-ე კვადრატები სწორხაზოვან-ჰორიზონტალურია. ჭრილი ექცევა 41-31-ე და 21-ე კვადრატებში (SO-50-51 სექტორების მიჯნა). პირველი ზვინული IV და III კულტურულ ფენებს შორის დაფიქსირდა (სიმძლავრე – 25-30-50 სმ). მომდევნო ზვინული კიდევ უფრო მოზრდილი ჩანს.

შექმნილია 0,8-1,1-1,2 მ სისქის ხელოვნური დონე. მე-5 კულტურული ფენის მოკირწყლული მოედანი დარღვეული ჩანს. სიგრძე – 20 მ. მოსდევს 40-45 სმ სიმძლავრის სტერილური შრე. ჭრილში იკითხება ჯარგვალთა ნაშთების კვალი. ერთ-ერთის სიგრძე 11 მ-ია (ტაბ. VII; VIII/2).

2017 წელს გავაგრძელეთ სტრატიგრაფიული ჭრილის გამოჩენა 29-ე და 30-ე კვადრატებში. იქმნება შესანიშნავი სურათი. გაგრძელდა ელინისტური და კლასიკური ხანის უძრავი კულტურული ფენების შესწავლა. ელინისტური ხანის კულტურული ფენები ექცევა 30-ე 29-ე, 28-ე, მე-19 და მე-10 კვადრატებში (ტაბ. XI/2). ჰუმუსოვან-კორდოვან ფენაში ალაგ-ალაგ ჩნდებოდა რიყის ქვები, კერამიკისა და ბრინჯაოს ზოდის ნატეხები. 28-ე კვადრატი ნაწილობრივ ჩაჭრილ-დაზიანებული დაგვხვდა. ძირითადი სამუშაოები გადატანილი იქნა 29-ე და 30-ე კვადრატებში. მალე იჩინა თავი ბათქაშოვანმა ფენამ. თანმხლებია ხის ნაშთები. მოწითალო ფერის ფენაში ჩაყრილი იყო გაუთლელი ხის ტოტები (გადარჩენილი იყო ხის კანი). გათხრებმა დაადასტურა, რომ იატაკის მობათქაშებაც ხდებოდა. იატაკის მომზადება-მოტკეპნა ადრებრინჯაოს ხანიდან ჩანს გავრცელებული (ჯიბლაძე, 1997: 56-60). ასეთივე სურათი გრძელდება 30-ე კვადრატის ჩრდილოეთ მონაკვეთზე. 28-ე კვადრატში მეტწილად ხის ნაშთები იყო წარმოდგენილი. იკვეთება ნამწვავი ადგილები, შესაძლოა, კერასთან დაკავშირებული. ნივთიერი კულტურის ძეგლებს შორის წამყვან ადგილს კოლხური ამფორების ძირები, ყურები, პირისა თუ ტანის ნატეხები იკავებენ. ამ კვადრატში მივუახლოვდით კლასიკური ხანის კულტურულ ფენას.

ბათქაშებმა თავი იჩინა მომდევნო კვადრატებშიც (18, 8, 9, 19, 20) (ტაბ. X). ერთგან დადასტურდა მოტკეპნილი იატაკის არსებობაც (1X0,4 მ). მოგებული იყო საგანგებოდ დამზადებული ბათქაშოვანი ფილებით (სისქე – 10-15 სმ). მსგავსი იატაკი პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში. 1964 წლის გათხრების მიხედვით ვიცოდით, რომ ხის კედლების შელესვა ხდებოდა ბათქაშით (კახიძე, 1971: 59-60). მსგავსი სიახლე ანტიკური ხანისათვის მეტად პროგრესული ჩანს ქობულეთ-ფიჭვნარის ნესტიანი გარემოს გათვალისწინებით. საყურადღებოა, რომ იატაკის დასავლეთით თითქოს კედლის ფრაგმენტიც უნდა იყოს შემორჩენილი. სიგრძე – 1,3 მ, სიმაღლე – 30 სმ, სისქე – 30 სმ. ალაგ-ალაგ მონაცრისფრო ბათქაშიც გამოერია. აღმოჩნდა რკინის ლურსმანიც, ჭარბობს ქვევრისა და ამფორის ნატეხები. ყურადღებას იქცევს საქშენი მილის ნატეხი. გვაქვს ჰერაკლეური ამფორის ძირიც. იკვეთება დამწვარი ხის ნაშთები. ალაგ-ალაგ ქვის კენჭების გროვა. 55 სმ-ის სიღრმეზე ქვის სალესიც აღმოჩნდა. მთლიანობაში დონე ელინისტურ ხანას უკავშირდება. როგორც ვხედავთ, ამ დროისათვის ხდება რიგი ცვლილებები სამშენებლო ხელოვნებაში. სხვა ეპოქებთან შედარებით ბათქაში ფართო გამოყენების საგანი გამხდარა.

ჭრილისა და ანტიკური ხანის კულტურული ფენებიდან წარმოდგენილი მასალა არაერთგვაროვანია (ტაბ. XI-XVIII). ჭრილის შესწავლის დროს მეხუთე

კულტურულ ფენაში აღმოჩნდა თიხის ტიგელი (ტაბ. XVI/1), მრავალგანყოფილებიანი საკურთხეველი (ტაბ. XI/4). სხვადასხვა სახის ჭურჭლის ძირები (ტაბ. XI/3). მესამე კულტურულ ფენაში ყურადღება მიიქცია ბრინჯაოს ზოდებმა (ტაბ. XVI/3-5).

მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი ანტიკური ხანის ფენებიდან მომდინარეობს. ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში წარმოდგენილი იყო კვირისტავები (ტაბ. XIV/3-7; XVIII/3-6), ამფორის ძირები (ტაბ. XIII/4-7), ამფორისა და ქოთნის ყურები (ტაბ. XIII/1-3; XIV/1; XVIII/1-2), გვხვდება კაჟის ნამგლის ჩასართი (ტაბ. XIV/10; XVIII/7), რკინის ლურსმანი (ტაბ. XIV/9).

მესამე კულტურული ფენა ბორცვის წვეროზე არ იყო შემორჩენილი. გამოიკვეთა მხოლოდ მომდევნო, მეოთხე კულტურული ფენის ნანგრევებზე შექმნილი სტერილური შრე, რომლის სისქე 1 მ-მდეა. ადრე წარმოებული სამუშაოების შედეგად 10-80 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა საქშენი მილის ნატეხები. ერთ-ერთი მოზრდილი, ბოლოშევიწროვებული, მოღუნული მილი მთლიანად აღდგა. მას ანალოგი არ ეძებნება. აშკარაა, რომ ფიჭვნარი ათასწლეულების მანძილზე ასრულებდა მეტალურგიული წარმოების მეორადი კერის ფუნქციას. აქედანვე ხდებოდა მზა ნახევარფაბრიკატების მიწოდება საერთაშორისო ბაზარზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან ლითონზე მოთხოვნილება დიდი იყო (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 13, 47, ტაბ. 81). დაიწყო გამოჩენა თიხის მრავალგანყოფილებიანმა საკურთხევლებმა, წყვილშვერილიანმა სადგრებმა თუ სხვა სახის სამეთუნეო ნაკეთობებმა.

მოზვინვა ახლომდებარე ადგილებში მოჭრილი მიწის ბელტებით მომხდარა. ფერდებზე შემორჩენილი, წიდად ქცეული თიხის ჭურჭლის და ნახანძრალი ფენების ნაშთების მიხედვით გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ დროინდელი სამოსახლოც ძლიერ ცეცხლს გაუნადგურებია, მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ეტაპის ამსახველი სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი თიხის ჭურჭელი. მათი ერთი ნაწილი ზოომორფულყურიანია. დიდი მოთხოვნილება აქვს მოზრდილ დერგისებრ ჭურჭელს, რომლის ტანი ღარებით გამოყვანილი ფართო კანელურებითაა დაფარული. მახვილაურ-ისპანის მსგავსად ისინი ტარადაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. ხშირად მათი პირი ჭდეების სამკაულითაა დაფარული. ჩნდება კოლხური კერამიკის ახალი ფორმები, რომელთა დიდი ნაწილი სადა ჭდეებით, სამკუთხა შევრონებით, ჰორიზონტალური სარტყელ-ღარებით, ზიგზაგებით, ხაზებით, ბადისებრი და მცენარეული ორნამენტითაა შემკული. ფართოდ გავრცელებული გეომეტრიული მოტივი გარკვეული სახის სიმბოლიკის შინაარსის მატარებელია. მესამე ფენის მონაპოვართა შორის ცალკე ჯგუფებს ქმნის კოლხური ცულის, სათლელების, ისრისპირებისა და მძივ-სამკაულის ჩამოსასხმელი ყალიბები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985, ტაბ. 14, 36).

როგორც წესი, სამეთუნეო ნაკეთობებს აქვთ ბრტყელი ძირი, გამობურცული ტანი, დაბალი ყელი და გარეთკენ გადაშლილი პირი. არის სხვა ვარიაციებიც.

ყურები ძირითადად ზოომორფულია. ფართოდაა გავრცელებული კოლხურ კულტურაში (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 15). დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგით.

მთლიანად იყო შემონახული მეოთხე კულტურული ფენა, რომელსაც ზემოდან სტერილური თუ ყვითელი თიხნარი ფარავდა. შენიშნავენ, რომ გორა-ნამოსახლარის ზომები ეპოქების მიხედვით განსხვავებულია. მეოთხე კულტურულ ფენას დაახლოებით 2500 მ^2 ფართობი უკავია, მაშინ, როდესაც ანტიკურ ხანაში ბორცვი 4000 მ^2 შეადგენდა (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 15, 16).

მეოთხე კულტურულ ფენაში საკმაოდ კარგად იყო შემონახული, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართულული ხის ნაგებობა. იატაკი მოგებული იყო ზღვის სანაპიროზე საგანგებოდ შეგროვებული რიყის ბრტყელი ქვებით. არ გამორიცხება მოკირწყლული ეზოს არსებობაც. შენობის ზომა იყო 16X8 მ. თანმხლები მასალიდან აღსანიშნავია ზოომორფული ყურები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 16, ტაბ. 39, 48, 49), რომელთაც ნახევარსფერული დისკოსებრი დაბოლოებების მქონე შვერილები აქვთ. ყურები შემკულია მოგრძო ხაზებით გამოყვანილი მცენარეული ორნამენტით (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 16, ტაბ. 48/1-5). გვაქვს ისეთი ნიმუშები, რომელზეც სამკაული იწყება მცენარეულ-წიწვოვანი ორნამენტით, გრძელდება ორი-ორი რიგი ჭდეებითა და სადა რელიეფური სარტყელით. დისკოსებრი ზედაპირი კონცენტრული წრეხაზებითაა შემკული. ხმარებაში შემოდის დიდი ზომის კანელურებიანი დერგები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 16, ტაბ. 24/ 12, 13; 26/8, 32, 34). წინარე ეპოქებისათვის დამახასიათებელი, სწორკედლიანი ე. წ. ქილისებრი ჭურჭელი აღარ ჩანს. აგრძელებენ ფუნქციონირებას მეხუთე კულტურული ფენის ფორმები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 16, ტაბ. 67, 68).

ნამჭედურის მეხუთე კულტურულ ფენაში დაფიქსირდა 5 სამშენებლო პერიოდი. სამოსახლოს დაცემას ხანძარს მიაწერენ (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 17, ტაბ. 56). გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეხუთე კულტურულ ფენას წინ უსწრებდა შედარებით მცირე ფართობის მომცველი სამოსახლო. სამშენებლო მოედნები თიხატკეპნილითაა გამოყოფილი. მონაპოვრებს ფიჭვნარის საკულტო ძეგლზე აღმოჩენილ მასალებს ამსგავსებენ, რის მიხედვითაც, აღნიშნული კულტურული ფენა ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრითაა დათარიღებული (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 18). ნივთიერი კულტურის ძეგლებს შორის წამყვან ადგილს კერამიკა იკავებს. ყველა მათგანი საკმაოდ მაღალ დონეზეა ნაძერწი, გამოირჩევა ფორმათა მრავალგვაროვნობით. დიდი ნაწილი დაფარულია მაღალი გემოვნებით შესრულებული ორნამენტით (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 18, ტაბ. 58, 59-75). არის მოზრდილი ტევადობის ჭურჭლები, რომელთაც მდინარესავით დაკლაკნილი სარტყელი შემოუყვება. ერთ-ერთი მათგანის პირის არე წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული. მსგავსი სამკაული დატანილია ტანის დასაწყისშიც (Микеладзе, Хахутаишвили, 1985, ტაბ. 60, 62/2). ასევე ითქმის

სადა ჭდეების ჰორიზონტალური რიგების მიმართაც. ჭურჭლის მხატვრული დამუშავებისას ხშირადაა გამოყენებული ღარები. არის ბევრი სხვა ორნამენტი (ნახევაროვალები, ზიგზაგები, ე. წ. პარკეტული ორნამენტი). ამ ეპოქისათვის სიახლე იყო კულტმსახურებაში მრავალგანყოფილებიანი საკურთხეველი-სამსხვერპლოების გამოყენება. თანმხლებია რქისებრი სადგრები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული კოლხური ტომობრივი კულტურის ზღვისპირა ზოლში. ისინი უკვე ნამჭედურის მეექვსე კულტურული ფენიდან იჩენს თავს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კარბონირებული პურის მარცვლების (ზოგჯერ ძნად შეკრული) აღმოჩენის ფაქტიც. არის ქერის, ორმარცვლოვანი ხორბლის ნაშთები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 19, 58/2), მათი თანმხლებია ე. წ. ნავისებრი ხელსაფქვავები, ქვის საპრიალებლები და საწაფები (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 20, ტაბ. 114/2, 3, 4, 67; 115/5, 6; 116/4). მსგავსებას ხედავენ ანაკლიისა და ნოსირის მასალასთან, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება.

საფორტიფიკაციო სისტემის არსებობას მესამე კულტურული ფენიდან ვარაუდობენ. სწორედ ამ დროიდან იქცა ნამჭედური I ერთ-ერთ მსხვილ დასახლებად. გამაგრებული ყოფილა დამცავი თხრილით, მათ შიდა სანაპიროზე მსხვილი მორებით აშენებული კოშკებით. წყლით შევსებული თხრილები თევზსაჭერ ტბორებთან ერთად საკაბოტაჟო ნაოსნობის ფუნქციასაც ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია შემონახული ბერძენ ავტორებთან. ქსენოფონტე დრილების მაგალითზე საუბრობს ხის კედელ-კოშკების საფორტიფიკაციო დანიშნულებით გამოყენების შესახებ (ქსენოფონტე, ანაბაზისი V/1-27) ძეგლის შემსწავლელნი თვლიან, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან სამშენებლო ხელოვნებაში მკვიდრდებოდა ხის, ჭდევის ტექნიკით შესრულებული, ჯარგვალური ტიპის ნაგებობანი. ნაგებობების კედლები თიხით ილესებოდა, იატაკი მოკირწყლული იყო. ოთახების რაოდენობა სხვადასხვაა (ერთ კულტურულ ფენაში 9 ოთახიცაა დაფიქსირებული).

ნამოსახლარის ტერიტორიაზე საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენისა და სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ნაწარმის აღმოჩენის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში ფიჭვნარის მოსახლეობა უცხოური პროდუქციის ფართო მომხმარებელია. ესაა ატიკური შავფიგურული სვეტისებრყურებიანი კრატერის ფრაგმენტები, შტამპირებული პალმეტებით შემკული შავლაკიანი თასები, არიბალოსისებრი ლეკითოსები, გრაფიტოიანი შავლაკიანი იხთია, ღვინისა და ზეითუნის ზეთის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი სამოსური, ქიოსური, თაზოსური, მენდეს, ჰერაკლეის, პანტიკაპეონის ამფორების ნატეხები. ყოველივე ეს ნივთიერი მტკიცება გახლავთ აქაური საზოგადოების ფართო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობებისა ეგეოსური, ასევე, პონტოსპირეთის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებთან (იმპორტული ამფორების შესახებ იხ. ნ. ვაშაკიძე, 1982: 78-94).

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაშაკიძე ნ., იმპორტული კერამიკული ტარა „ნამჭედურის“ ნამოსახლარიდან. სდსძ, XI, თბ., 1982, გვ. 78-94

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი, 1971

კახიძე ა., სურმანიძე ნ., შალიკაძე თ., ძნელაძე ნ., თურმანიძე მ., ნაგერვაძე მ., ფარტენაძე თ., 2014-2015 წწ ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვანზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2017

კახიძე ა., სურმანიძე ნ., 2018 წელს ფიჭვნარში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2019

ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966

ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით), თბილისი, 1997

Микеладзе Т. К, Хахутаишвили Д. А., Древнеколхидское поселение Намчедури, Мецниереба, Тбилиси, 1985

Семенцов А. А., Долуханов П. М., Романова Е. Н., Радиоуглеродные даты лаборатории ЛОИА (1968-1969 гг). Советская Археология, №3, 1972

Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze

NAMCHEDURI I. ANCIENT COLCHIAN INHABITED HILL

Certain communal settlements have appeared in Pichvnari (Kobuleti), namely, in the area of the rivers Choloki and Ochkhamuri, since the earliest period of the Late Bronze Age. Among these settlements, the most significant one is the inhabited hill Namcheduri I.

As a result of the consequential, systematic archaeological excavations in the II half of the XX c., the south part of the hill is almost completely studied. 6 cultural layers and 5 sterile layers were separated. It seems that the inhabited hill was continuously settled from the middle periods of the II millennium BC to the start of our millennium. It is not excluded to find far earlier cultural layers in this area.

The cultural layers of the Pre-Antiques Age are presented by paved places, which are arranged on a specially stacked sterile layer. Wooden log-type houses are fixed in the lower layers.

The archaeological excavations in 2015-2017 provide us with interesting novelties. According to the previous points of view, it was considered that the cultural layers of the Hellenistic and Classical periods were washed from the top of the hill and spread to the lower places as a result of economic activities. The new discoveries revealed that the grandiose inhabited hill is surrounded by the fixed cultural layers of Hellenistic and Classical periods. The small fragment of a floor and wall preserved in the in situ condition was found on the east slope of the hill, in the cultural layer of the Late Classical Age. The floor is made by specially cut 3 flat plasters or tiles arranged side by side. Pursuant to the excavations carried out in 1964, we know that the walls of the wooden construction of Pichvnari were covered with plaster on squared timber, which seems practical for the environment of Pichvnari. The floor appearance is of course another significant novelty not only for this site but also for the archaeology of Colchis in general. The narrow layers of plasters are spread on a small section of the preserved fragment of the floor to the south and east, they are related to the whole complex of a residential or economic building.

A small number of fragments of a Qvevri, clay pitcher-shaped jar, amphora and other types of vessels are found in the cultural layers. There are imported goods as well.

ტაბულების აღწერილობა:


I. ნამჭედურის I -ის 2015-2017 წწ გათხრები
II. ნამჭედური I გათხრების სტრატიგრაფიული ჭრილი და გეგმა
III. 1. ნამჭედურის ბორცვის აღმოსავლეთი ხედი;
2. ნამჭედურის ბორცვის დასავლეთი ხედი
IV. ნამჭედურის ბორცვის ცენტრალური მონაკვეთი. მოკირწყლული მოედნები
V. ნამჭედურის ბორცვის ცენტრალური მონაკვეთის ჭრილები
VI. ნამჭედურის ბორცვის გათხრების აღმოსავლეთი ხედი. ჭრილებში გამოჩენილი ანტიკური ხანის კულტურული ფენები
VII. ნამჭედურის ბორცვის ჭრილები; ხედი აღმოსავლეთიდან
VIII. ნამჭედურის ბორცვის ჭრილის აღმოსავლეთი ხედი
IX-X. ნამჭედურის ბორცვის აღმოსავლეთი ხედი, ელინისტური ხანის კულტურული ფენები
XI. კულტურულ ფენებში დაფიქსირებული მასალა
XII-XVIII. ნამჭედურის I 2015-2017 წწ. გათხრებისას აღმოჩენილი მასალები




1



2


I - II
III
IV
V
VI
ჭრილი w0
სტერილური შრე
კულტურული ფენა
ნაგებობათა ნაშთები
ხის მესერი
4 0 4 8 12 მ

1


N
მდ. რიონი
0 4 8 12

2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



3



4



5



6



1



2



3



4



5



6



1



2



3



4




5




6



7



8



9



10



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



1



2



3



4



5



6



1




2




3




4




5




1 2 3 4 5 6 7




1




2




3




4



5



6



7

ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე

ფიჭვნარის საკულტო ძეგლი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთ-ერთი გამორჩეული, მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას, უნიკალური საკულტო ძეგლი მიკვლეულია ფიჭვნარში. იგი მდიდარი და მრავალფეროვანი ინფორმაციით გვანებივრებს კოლხთა რელიგიური პანთეონის, რწმენა-წარმოდგენების, სულიერი სამყაროს შესახებ.

1965 წელს საკულტო ძეგლის არსებობის პირველი ნიშნების გამოჩენა უკავშირდება ფიჭვნარის ელინიზმის დროინდელი სამაროვნის არქეოლოგიურ გათხრებს (შესწავლილია ძვ. წ. IV ს ბოლო მესამედისა და III საუკუნის 22 სამარხი) (კახიძე, 1981: 37-59; კახიძე, 1965: 67-94). სამარხებთან ერთად მეტ-ნაკლები რაოდენობით ჩნდებოდა კულტმსახურებასთან დაკავშირებული თიხის სადგრებისა და ე. წ. მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლების ნატეხები. ასევე, სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი თუ ქვის ნივთები. აღნიშნული მასალა წინასწარვე დათარიღდა შუაბრინჯაოს ხანის ფინალური საფეხურითა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით (ინაიშვილი, 1977: 64-65).

საკულტო ძეგლის არქეოლოგიური გათხრები 1973 წელს ელინისტური ხანის სამაროვნების შესწავლის პარალელურად დაიწყო[5]. გაგრძელდა 1974 წელსაც[6]. საველე სამუშაოები ბოლომდე იქნა მიყვანილი.

როგორც ითქვა, საკულტო ძეგლი მდებარეობს ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე. ადგილი მომაღლო ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს და ადგილობრივი მოსახლეობა „ახალი ჩაის“ სახელით მოიხსენიებს. სამხრეთიდან ესაზღვრება ცენტრალური ტრასიდან აღმოსავლეთისკენ, ჩოლოქის დასახლებაში შემავალი საავტომობილო გზა, ჩრდილოეთიდან – ბორცვი „ნაპურვალა“ (ძვ. წ. V ს. კოლხური სამაროვანი). მასთან ახლოს მიედინება მდ. ჩოლოქი, რომლის მარჯვენა მხარეს გაშლილია კოლხეთის დაბლობის ნატანების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ვრცელი მონაკვეთი. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროები და ფიჭვნარის ნაქალაქარის მეორე უბანი – „ძველი ფერმის“ მომცველი ადგილები, დასავლეთით კი – დიუნები (ქვიშაზვინულები). აქამდე აღწევს ელინისტური ხანის ვრცელი სამაროვნის საზღვრები, რომელსაც დაახლოებით 160-170 მ-ის მოშორებით მოსდევს ზღვის სანაპირო ზოლი.

[5] 1973 წლის ბათუმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ა. ინაიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დ. ხახუტაიშვილი (მოადგილე), ა. რამიშვილი, ი. გრძელიშვილი, ნ. ვაშაკიძე, ი. სამსონია, დ. დავითულიანი.

[6] ექსპედიციის შემადგენლობა – ა. ინაიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ს. გოგიტიძე, ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე, ა. ჯაველიძე და გ. ბიბილეიშვილი.

1973 წელს აგეგმილი თხრილის ზომები იყო 16X12 მ-ზე, ე. ი. 12 კვადრატი (კვადრატის ზომებია 4X4 მ-ზე), 1974 წელს გავლებული თხრილისა კი – 6X4 მ-ზე, ე. ი. 24 კვ.მ. ზედა ჰუმუსოვანი ფენის სიმძლავრე – 20 სმ. სხვადასხვა სახის არტეფაქტებთან ერთად ალაგ-ალაგ იხაზებოდა ჩაის პლანტაციის გაშენების მიზნით პლანტაჟის გაკეთებისას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული ტრაქტორზე დამონტაჟებული სახნის-გუთნის გავლებისას შექმნილი მოშავო შეფერილობის კვლების ანაბეჭდები. მსგავსი სურათი ფიჭვნარის სამაროვნების სხვა უბნებზეცაა, რომლებიც ჩაის ბუჩქებით დაიფარა. გარდა დაზიანებული კულტურული ფენების შემცველი უბნებისა, იყო ისეთი ადგილებიც, მაგალითად, პლანტაციებში შემავალი საავტომობილო გზები, სადაც კულტურულმა ფენებმა პირვანდელი სახით მოაღწია.

ჰუმუსს მოსდევს მოყვითალო შეფერილობის სილნარი ფენა, რომლის სიმძლავრე 1,5-1,75 მ-ს შორის მერყეობს. სწორედ აქაა შემორჩენილი კულტმსახურების შესრულებისას გამოყენებული საკმაოდ ინტენსიურად განფენილი ნივთიერი მასალები (კვადრატი 4/2, 4/3; 6/2; 6/3; 7/2; 7/3 და ა.შ.). თხრილის აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთზე პრეპარაციისას დაფიქსირდა სიმეტრიულად განლაგებული ცხრა ორმო, რომლებიც მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საკულტო ნაგებობის სვეტების, ბოძების ბუდეებადაა მიჩნეული (ტაბ.I). 6/1 და 6/2 კვადრატების დამაკავშირებელ ხაზთან, ცენტრალურ ნაწილში 20 სმ სიღრმეში იატაკის 5 სმ-ის სისქის თიხატკეპნილიც გამოჩნდა (ზომები 40X40 სმ-ზე). მისი ჩრდილოეთი გვერდი სწორხაზოვანი იყო. 3-5 სმ სისქის თიხატკეპნილები სხვა კვადრატებშიც დაფიქსირდა (კვადრატი 7/1 და 7/2). ამავე ფენაში, კერძოდ კი, 6/2 და 6/3 კვადრატების დამაკავშირებელ ხაზთან გაითხარა მოშავო-მოწითალო ფერის გამკვრივებული შრე, რომელიც ჭარბად შეიცავდა თითქოსდა საგანგებოდ ჩალეწილ თიხის ჭურჭლის ნატეხებს.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ღვთაებათა მსახურთ საკულტო ძეგლის აგებამდე საგულდაგულოდ მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი. საამისოდ მოუხსნიათ დაახლოებით 1 მ-ის სიღრმის სილის ფენა. სწორედ აქედან ამონაყარ სილის მასას უნდა შეექმნა შემაღლებული ადგილები. საძირკვლის დონეზე ჩაუდგამთ მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საკულტო ნაგებობა, რომელიც ხის სვეტებზე ყოფილა აღმართული. შემორჩენილი ბოძების მიხედვით ჩანს, რომ სამხრეთი მხარე ღია იყო, დანარჩენი სამი კი – ჯარგვალური ტექნიკით ნაშენები კედლებით შემოფარგლული. იატაკი წარმოადგენდა 3-5 სმ სისქის თიხატკეპნილს. სახურავად აჭარაში ფართოდ გავრცელებული და დღემდე შემორჩენილი ხის ყავარი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

სახეზეა დასახლებისაგან ცალკე, გამოკვეთილად წარმოდგენილი წარმართობის ხანის საკურთხეველი-სამსხვერპლო, სადაც აქაურ მკვიდრთა მიერ სრულდებოდა ასტრალურ ღვთაებებთან, ნაყოფიერებისა და ხარის კულტთან დაკავშირებული ღვთისმსახურება. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით

წამყვანი ადგილი უკავია რქისებრშვერილიან თიხის სადგრებს და ე. წ. მრავალგანყოფილებიან საოჯახო საკურთხეველ-სამსხვერპლოებს.

ფიჭვნარის აღმოჩენების განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმაშიც ვხედავთ, რომ ხშირ შემთხვევაში აქაური მკვიდრნი თავიანთი რელიგიური შეხედულებით ეხმაურებიან თანადროული მსოფლიოს ხალხების (მხედველობაშია აღმოსავლური სამყარო) რწმენა-წარმოდგენებს. ვიცით, რომ კერასთან დაკავშირებული მრგვალგანივკვეთიანი თუ სხვა სახეობის სადგრები ფართო გავრცელებას პოვებენ კავკასიასა თუ წინა აზიაში ადრებრინჯაოს ხანიდან. მათ გენეტიკურად მტკვარ-არაქსის კულტურას უკავშირებენ (ფხაკაძე, 2000: 15-26; ფხაკაძე, 2004: 16-24).

თიხის სადგრები ფართოდ ჩანს გავრცელებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხურ მოსახლეობაში. ჩვენი აზრით, ამ სახის საკულტო კერამიკის ევოლუციაში ორი ძირითადი ეტაპი უნდა გამოიყოფოდეს. პირველი ეტაპი თანმხლები ჩანს შუაბრინჯაოს ბოლო საუკუნეებიდან დაწყებული ძვ. წ. XII-XI საუკუნეებისათვის. სწორედ ამ დროს უკავშირდება მაღალგანვითარებული კოლხური ტომობრივი კულტურის გენეზისისა და კონსოლიდაციის პროცესები. ვფიქრობთ, ეს კარგად იყო ილუსტრირებული „ნამჭედურის“ მაგალითზეც. მეორე ეტაპი გვიანბრინჯაოს ფინალურ საფეხურსა და ადრერკინის ხანას უნდა მოიცავდეს (ძვ. წ. X-VII სს). რქისებრი სადგრები მრავლადაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ნაქალაქარის კულტურულ ფენებშიც (ნამჭედური I, II უბანი -„ფერმის ძველი შენობის“ ტერიტორია). ასევე ითქმის საქართველოს ზღვისპირეთის სხვა ძეგლების მიმართაც. ესენია: ბიჭვინთა, ახალი ათონი, შულკუარი, ვერესჩაგინის გორა, წითელი შუქურა, მაჭარა, აგუძერა, ტამიში, მოქვი, ოჩამჩირე, ურეკი, ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი, ჩაქვი, გონიო–აფსაროსი და ა.შ. (თავამაიშვილი, 1999: 29-39; კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013: 9).

ფიჭვნარის მაგალითზე ჩანს, რომ მეორე ეტაპისათვის მონუმენტური საკურთხევლების ასაგებად წამყვან ადგილს იკავებენ ოთხკუთხა წყვილშვერილიანი სადგრები, რომლებიც გამოირჩევიან მასიურობითა და დიდი ზომებით. ისინი ნაქალაქარის კულტურულ ფენებში არ გვხვდება. მრავლადაა მოპოვებული დიუნებზე, ე. წ. ქვიშაზვინულებზე. 2010 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ შესწავლილ იქნა მსგავსი სადგრებისაგან ნაგები ექვსი საკურთხეველი-სამსხვერპლო. მათთან ერთად განაგრძობენ ფუნქციონირებას მრგვალგანივკვეთიანი სადგრებიც. ამ დროისათვის მათი ზომები საგრძნობია – 50 სმ-მდე აღწევს. მართკუთხა სადგრები ცოტაა აღმოჩენილი აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში. ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია წითელი შუქურის მონაპოვრები (Трапш, 1958: 187, სურ. 2/7,8). წამყვანია მრგვალგანივკვეთიანი, მახვილბოლოებიანი ზესადგრები (Соловьев, 1950: 27, სურ. 6/5; Трапш, 1958: 187, სურ. 2). განსხვავებული სურათია ურეკის აღმოჩენებში (Хоштария, 1955: 32-37, სურ. 3, ტაბ II/7).

სამეცნიერო ლიტერატურაში სადგრების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებები. ვრცლად შევჩერდებით ჩვენს

მოსაზრებებზე. ვფიქრობთ, რომ პირველი, ადრეული ეტაპის სადგრები დაკავშირებული იყო ცალკეულ დასახლებებში საოჯახო კულტმსახურებასთან. გარკვეული მოტივაციის გამო მისი შემსრულებელი გახლავთ ზღვისპირა ზოლის მოსახლეობა. როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ეს სრულიადაც არაა ლოკალური ფენომენი. დიდი სიახლოვე შეინიშნება ჩრდილოეთი კავკასიისა და ანატოლიური ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მსგავსი არტეფაქტები არაერთგზის გვეხილა ანკარის ანატოლიური ცივილიზაციის, ამასიისა და თოქათის საექსპოზიციო დარბაზებში. როგორც ჩანს, წინა ეპოქების მსგავსად მცირე და დიდი კავკასიონის უღელტეხილების გადასასვლელებითა და სამდინარო ქსელისა (ერთი უმნიშვნელოვანესი არტერია მდ. ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო) თუ საზღვაო-სანაოსნო მაგისტრალებით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გრძელდებოდა უწყვეტი კავშირები ამ ცენტრებთან.

ჩვენს ხელთ არსებულ ნივთიერ მონაცემებს უნდა მივყავდეთ იმის აღიარებამდე, რომ კოლხურ კულტურაში ასეთი გამოკვეთილი საკულტო ძეგლი წარმოადგენდა ადრეული ეტაპისათვის ფიჭვნარის ვრცელი დასახლების სხვადასხვა სახის რელიგიური რიტუალების შესრულების ადგილს. არაერთი წარმართული კულტისადმი მიძღვნილი ცერემონიალი დიდი ხნის მანძილზე უწყვეტად სრულდებოდა. განსხვავებულ სურათს უნდა ვხედავდეთ აღმოსავლეთ პონტოსპირეთის ზღვისპირა ზოლში. გავრცელების არეალისა და კულტურული ფენების მიხედვით ირკვევა, რომ უკვე კონსოლიდირებული, ბრწყინვალე კოლხური კულტურის მატარებელი აქაური მეთემეები წელიწადის გარკვეულ დროს ქვიშაზვინულებზე მართავდნენ საერთო სატომო რელიგიურ რიტუალებს. განსხვავებული კონცეფცია შეგვექმნა ორივე ეტაპის საკულტო ძეგლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებითაც.

როგორც ცნობილია, საკულტო ძეგლებზე აღმოჩენილი სადგრების ფუნქციონალურ დანიშნულებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი მათგანი, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად ხარის სტილიზებულ გამოსახულებად მიიჩნევს (ჯაფარიძე, 1950; 118-119; Куфтин, 1947: 69-74). ი. კიკვიძე ხარს მთვარის კულტს უკავშირებს (კიკვიძე, 1972).

ი. წვინარიამ სადგრების რქისებრი დაბოლოებანი თევზის კუდს მიამსგავსა და ზღვის ღვთაებას დაუკავშირა (Цвинария,1978: 53-54). გვაქვს მოსაზრება მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებაც. ლ. სოლოვიოვი თვლიდა, რომ რქისებრი ზესადგრები მოიხმარებოდა მარილის ხარშვის პროცესში ქსოვილიანი თიხის ჭურჭლის ცეცხლზე შესაკავებლად (Соловьев, 1950: 281). ბ. კუფტინი თვლიდა, რომ მათზე ეწყობოდა გამოსაწვავი თიხის ჭურჭლები (1950: 31). ა. რამიშვილის მოსაზრებას თუ გავყვებით, მათი ერთი ჯგუფი (20 სმ სიმაღლის) გამოიყენებოდა მაგნეტიტური ქვიშის რეცხვის პროცესში, მსგავსი ძეგლებისათვის დამახასიათებელი, მზრალად გამომწვარი ე. წ. აბაზანისებრი ჭურჭლის ქვიშნარ გრუნტში დასამაგრებლად; უფრო დიდებს – საკულტო დანიშნულება ჰქონდათ

(Рамишвили, 1974: 138). საერთოდ კი ბევრი მეცნიერი მათ საკულტო ცერემონიალის ატრიბუტად მიიჩნევს (ხახუტაიშვილი, 1986: 53; თავამაიშვილი, 1999: 67; Цвинария, 1978: 32-38; 2012: 60-72, ტაბ. 18; Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 18; Соловьев, 1950; Рамишвили, 1974: 136-153; თავამაიშვილი, 2012). ახლა უკვე ქვიშაზვინულებთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ფიჭვნარის მკვიდრნი, არამედ ქობულეთის ქვეყნის ექსპოზიაში შემავალი დასახლებების მცხოვრებლებიც. როგორც ფიჭვნარის საკულტო ძეგლის, ასევე, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული ქვიშაზვინულების მიხედვით შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ისინი წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ზღვისპირეთის თვითმყოფადი, კონსოლიდირებული ბრწყინვალე კოლხური კულტურის მატარებელი ხალხების საერთო სატომო სამლოცველოებს, სადაც წელიწადის გარკვეულ დროს სრულდებოდა ხარისა და ზღვის ღვთაებებისადმი მიძღვნილი რელიგიური რიტუალები. სიტყვას აღარ განვავრცობთ საყოველთაოდ ცნობილ ხარის კულტთან დაკავშირებით. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ზღვის ღვთაებებზე.

მსოფლიო ხალხთა მითოლოგიაში წყალი მიჩნეულია სამყაროს პირველწყაროდ. შესაბამისად, ხდება კულტის საგანი. ქართულ მითოლოგიაში წყლის ღვთაების ფუნქციით გვევლინებიან „წყლის დედა“, „წყლის ქალი“, „წყლის დედაბერი“, „წყლის კაცი“, „წყლის ანგელოზი“, „მესეფი“, „ლარსა“ („ლასა“), „ლაზარე“, „თევზ-ვეშაპი“ და ა.შ. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ღვთაებისადმი, მათ შორის წყლის ღვთაებისადმი ლოცვა-ვედრება და მსხვერპლშეწირვა სათავეს იღებს ჯერ კიდევ ანიმიზმის ხანაში, რომელმაც მომდევნო ეპოქებში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ქვიშაზვინულების არსის გაგებაში ჩვენი ინტერესების სფეროში მოექცა თქმულება მესეფეების შესახებ, რომელიც გავრცელებულია სამეგრელოს მკვიდრთა რწმენა-წარმოდგენებში. მითის მიხედვით მესეფი ზღვის ადამიანია. არის ქალი მესეფი („ოსერი მესეფი“) და კაცი მესეფი („კოჩი მესეფი“). აქვთ ადამიანის სახე და უბერებელ-უკვდავნი არიან. ქალი მესეფი მეტად ლამაზია, ოქროსფერი თმა ამშვენებს, თეთრი სახე აქვს და ქათქათა ტანსაცმლითაა შემოსილი. მამაკაცი ჯმუხი და არასასიამოვნო შესახედავია; გახვეულია შავ ნაბადში. ზოგიერთი ვერსიის მიხედვით მესეფეები ზოოანთროპომორფული სახითაც არიან წარმოდგენილნი. ადამიანებია, მაგრამ ოთხ ფეხზე დადიან და ლაპარაკის ნაცვლად ძაღლივით ყეფენ. ისინი მიუვალ ადგილებში, ზღვის ფსკერზე ბინადრობენ. ხმელეთზე გამოსვლისას, წელიწადის გარკვეულ დროს (28 ოქტომბერი – 3 ნოემბერი) თან მოაქვთ ჯადოსნური კვერთხი და მოყვებათ მონადირე ძაღლი. ხმელეთზე ყოფნის მიზანია მათზე მინდობილ სამეფოში შემოსავალ-გასავალის შემოწმება და ზამთრის სარჩოდ ხარკის აკრეფა. ამ დროს მესეფეები ნადირთმფარველებიც არიან. სამეგრელოს მკვიდრთა რწმენით, როცა ზღვიდან ქალი მესეფეები გამოდიან, იმ წელიწადს კარგ ამინდებს დაიჭერს. მიწათმოქმედებისათვის მზე და ნესტი ზომიერად ეფინება ხმელეთს და უხვი ჭირნახული მოდის. კაცი მესეფეების გამოს-

ვლას თან სდევს კოკოსპირული წვიმები და მოსავალი ნადგურდება. მესეფეები ჯგუფ-ჯგუფად ნაწილდებიან, იჭრებიან ხეობებში, ნადირობენ, მართავენ ნადიმს, შემოუსხდებიან სუფრას, ძვლებს გაახვევენ ტყავში, დაარტყამენ კვერთხს, გააცოცხლებენ და ისევ ტყეში უშვებენ მომდევნო წლის მარაგად.

ხმელეთზე ყოფნისას თან ახლდათ არაჩვეულებრივი ძაღლი – „მესეფიშ ჯოღორი“. ჩანს, რომ სხვა წარმართული ღმერთების მსგავსად წმინდა არსებად იყო მიჩნეული. მისი თვითმხილველი სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. კოლხთა რელიგიურ პანთეონში ძაღლის კულტის არსებობას ნივთიერად ასაბუთებს კვლავაც ფიჭვნარში 2010 წელს ქვიშაზღვინულების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ძაღლის თავის სკულპტურული გამოსახულება (ტაბ. IV/2). შემორჩენილია დაცქვეტილყურებიანი თავი; მოკლე ხაზითა და წერტილებით აქცენტირებულია როგორც ნესტოები, ასევე პირის ჭრილი. ცხვირის კეხი ნახვრეტიანია. ეტყობა, საკურთხეველი-სამსხვერპლოების (ამ წელს ექვსი ასეთი სამსხვერპლო აღმოჩნდა) კომპლექსში ძაღლის გამოსახულებასაც ჰკიდებდნენ (კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013: 17, ტაბ. VI/1). ძაღლის კულტი გავრცელებული ჩანს ელინისტური ხანის ძველ კოლხურ მოსახლეობაშიც. ძაღლის თავის სკულპტურული გამოსახულება აღმოჩნდა ნამჭედური II ელინისტური ხანის კულტურულ ფენაშიც (ტაბ. IV/3,4). ეს მონაპოვარიც მესეფეების კულტს უნდა უკავშირდებოდეს, რომელთა მიმართ თაყვანისცემა ადრერკინის ხანიდან (თუ უფრო ადრე არა) უნდა იწყებოდეს. გრძელდება ელინისტურ ხანაში და მეგრული მითის მიხედვით ათასწლეულების მანძილზეა შენარჩუნებული (კახიძე, სურმანიძე, 2019: 198-200).

ექვსი დღის შემდეგ მესეფეები ზღვისკენ იბრუნებდნენ პირს. გზადაგზა აგროვებდნენ სოფლის დოვლათს და მიჰქონდათ ზამთრის სარჩოდ. ამ დროისათვის მეგრელთა წინაპარი კოლხები მარანში, ბეღელსა თუ სხვა ადგილებში დებდნენ რკინის ნაჭერს, რათა იქაურობას მესეფე არ გაკარებოდა. დასავლეთ საქართველოში სწამდათ, რომ მესეფე რკინას გაურბოდა. ზღვის ფსკერზე დაბრუნებას თან სდევს კოკისპირული წვიმები, ადიდებული ზღვის ტალღები რეცხავს მათ კვალს. როგორც ვხედავთ, მესეფები წყლის ღვთაებებია, ზღვის სტიქიის განმსახიერებელი. ეკისრებათ ამინდის მართვა და ნაყოფიერების ფუნქცია. ნადირთმფარველობა გვიანდელ ფენომენადაა მიჩნეული (თანდილავა, 1978; 1986; 1996: 132-158).

ფიჭვნარის ქვიშაზვინულების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მრგვალგანივკვეთიანი სადგრის მიხედვით ჩანს, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ხალხების მსგავსად გრძელდება მზის კულტებთან დაკავშირებული რიტუალების შესრულება. 2010 წელს ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილ მრგვალგანივკვეთიან ფალოსისებრ სადგარზე მუდმივი მოძრაობის სიმბოლო, ჯვარია დატანილი (ტაბ. IV/1) (კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013: 15, ტაბ.VI/4).

ზესადგრების შემდგომ სიმრავლით ე. წ. მრავალგანყოფილებიანი საოჯახო საკურთხევლები გამოირჩევიან (ტაბ. V). დამზადებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის თიხის ფილებისაგან (ზოგიერთის სისქე 3,5 სმ-ს აღწევს). მათი ზედაპირი საგულდაგულოდაა გაპრიალებული და მოშავო-მონაცრისფროა. არის ფერთა სხვა ვარიაციებიც. საკურთხევლის ზედაპირზევეა მოცემული რამდენიმე წრისებრი თუ ოვალური თეფშისებრი ჩაღრმავება. სიღრმე არც თუ ისე დიდია – 1X1,5 სმ; ეს გვაფიქრებინებს, რომ მათ რაიმე პრაქტიკული გამოყენება არ უნდა ჰქონოდა. თითოეულ საკურთხეველ-სამსხვერპლოზე დასტურდება რამდენიმე ასეთი თეფშისებრი გამოსახულებანი – ოთხი ან მეტი. თითოეულის დიამეტრი 15 სმ-მდეა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შედარებით უკეთესად გადარჩენილი საკურთხევლის დიამეტრია – 32 სმ. თეფშების სიღრმე – 1,5 სმ, კიდეებში კიდევ უფრო ნაკლები. სამსხვერპლოს სხვა სახით პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელი იყო.

1973 წლის გათხრებისას ერთ-ერთი საკურთხევლის ნაშთები აღმოჩნდა in situ მდგომარეობაში (ინაიშვილი, 1977: 64). მასზე შერჩენილი ნახშირის სქელი ლაქა ხანგრძლივი ცეცხლის დანთების კვალის ამსახველია. მსგავსი ნაშთები ბევრ სხვა ნიმუშზეც გვხვდება. არაა გამორიცხული, რომ საკურთხევლები გარკვეულ კულტმსახურებასთან დაკავშირებული კვერების გამოსაცხობად გამოიყენებოდა. ფიჭვნარის საკულტო ძეგლისა და ნაქალაქარის კულტურული ფენების მონაპოვართა შორის მათი რიცხვი განსაკუთრებით საგრძნობია. ქრონოლოგიური ჩარჩოები შუაბრინჯაოს ბოლო და გვიანბრინჯაოს ადრეული ხანის დასაწყისია. მსგავსი არტეფაქტები დიუნებზე აღარ გვხვდება. ერთეული ნატეხების სახით პარალელები ეძებნებათ ციხისძირში, ბათუმის ციხესა და მახვილაურში აღმოჩენილ მასალებთან. როგორც ვხედავთ, დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მოსახლეობისათვის. გამონაკლისია კორომხეთი, ჭარნალის მურვანეთი. ყურადღებას იქცევს ბ. პიოტროვსკის მიერ კარმირ-ბლურში აღმოჩენილი საკურთხეველი, რომელიც საკმაოდ დიდი ზომისაა (1,8 მ), სამ ჩაღრმავებიანი, წაგრძელებული ოვალური ფორმის. მასთან ერთად ჩნდებოდა ნაცრისა და მსხვერპლად შეწირული ცხოველების ძვლების გროვა (Пиотровский, 1952: 21, სურ.7). კარმირ-ბლურის 25-ე საწყობის ინვენტარს, სადაც დასახელებული სამსხვერპლო აღმოჩნდა, გამთხრელი ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოთი და VI ს დამდეგით ათარიღებს. ფიჭვნარში მსგავსი საკულტო საგნები გაცილებით ადრეულ ეპოქებში ჩნდება; არ გამოვრიცხავთ, რომ კულტმსახურების ეს ფორმა ჩვენი საკვლევი ტერიტორიიდან მომდინარე ინტეგრაციის პროცესებს უკავშირდებოდეს. როგორც ფერადი ლითონების მეტალურგიის კერებზე ვნახეთ, მსგავსი კონტაქტები ათასწლეულების მომცველია. სავსებით კანონზომიერად გვესახება ამ სისტემაში ჩართული იყო ურარტუს სახელმწიფოც, რომლის საზღვრები ამიერკავკასიამდე, მათ შორის საქართველომდე აღწევდა (კახიძე, 1971; Пиотровский, 1952).

საკულტო ძეგლზე აღმოჩენილია მეტად მრავალრიცხოვანი და მდიდრულად ორნამენტირებული სამეთუნეო ნაკეთობა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ხელოსნური წარმოების ეს დარგი ასულა განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათი დიდი ნაწილი დაფარულია მაღალი გემოვნებით შესრულებული ორნამენტით.

ფიჭვნარის უნიკალური საკულტო ძეგლი, მათ შორის, სამეთუნეო ნაკეთობანი მომავალში სპეციალური კვლევის საგანი იქნება. ჩვენი მონოგრაფიის ფორმატის შესაბამისად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშზე.

ფიჭვნარელ ხელოსნებს საკმაოდ მრავლად უძერწიათ სამეურნეო დანიშნულების დერგისებური ჭურჭლები. როგორც წესი, წარმოდგენილია ცალკეული ნატეხების სახით. ფორმებზე სრული წარმოდგენის შექმნა ჭირს. ჩანს, რომ ამ სახის ჭურჭელს ქონია გარეთკენ მიმართული მომაღლო პირი. ყელი ტანისაგან მკვეთრად არაა გამოყოფილი. ტანი სავარაუდოდ მაღალი, ოდნავ მომრგვალებული, ძირი ბრტყელი. ორნამენტაციაში წამყვან ადგილს იკავებს ყელისა და მხრის არეში დატანილი ჰორიზონტალური ღარებით შემკობის მოტივი, ზოგიერთ მათგანზე ენაცვლება ღარებითვე შემოფარგლული მოგრძო დახრილი ხაზების ორნამენტი, ან წყვილ-წყვილი ღარებით შექმნილი სამკუთხა შევრონების ჰორიზონტალური ზოლი. განსაკუთრებით მდიდრულად ჩანს შემკული ტანის არე. ერთ-ერთ მათგანზე გადმოცემულია ცენტრალური ფოსოს ირგვლივ შემოვლებული წრიული ღარების ორნამენტი, რომელიც სრულდება სიმეტრიულად განლაგებული წრიული ფოსოების რიგით. აშკარაა, რომ მსგავსი სამკაული უკავშირდება მზის სიმბოლიკურ გადმოცემას. ამავე შინაარსის მატარებელი უნდა იყოს დერგის ნატეხი, რომლის ცენტრში აღმართული ყოფილა წყვილი ძუძუსებრი შვერილი (ერთი მათგანი მომტვრეულია). გარს უვლის ღრმა ღარებისაგან შექმნილი წრიული სარტყელი. გაგრძელებაზე შემორჩენილია ვერტიკალური ღარების მცირე მონაკვეთიც. აღმოჩენილია დიდი ზომის დერგის პირის, მხრისა და ტანის ნატეხი. პირის შიდა კალთა ჭდეების ორნამენტითაა დაფარული. მხრის არეს მიუყვება მოზრდილი ვერტიკალური შევრონების ჰორიზონტალური რიგი. დაცულია ნახევარფესტონი. დერგის ტანის ნატეხზე ვხედავთ ჭდეებით შემკულ რელიეფურ ჰორიზონტალურ ზოლსაც. სამზარეულო კერამიკის შემკობისას უპირატესობა მიუნიჭებიათ მხრის არეში ორი თუ სამი ძუძუსებრი შვერილის გაკეთებას. კიდევ უფრო მდიდრულადაა ორნამენტირებული შედარებით პატარა ზომის სუფრაზე მოსახმარი ჭურჭელი. მათი ერთი ნაწილის ტანი მთლიანად ყოფილა დაფარული სხვადასხვა სახის სამკაულით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მაღალმხატვრულად გამოიყურება პატარა ზომის დოქისებრი ჭურჭელი, რომლის ბრტყელი ძირის გარდა კალთას შემოუყვება წვრილი ღარების ჰორიზონტალური რიგი. ძირიდანვე ტანის მთელი ზედაპირი დაფარულია მჭიდროდ

განლაგებული უფუძო სამკუთხედებისაგან შექმნილი მდიდრული სამკაულით (ტაბ. VI/1; VII/1; VIII/1, 2; IX/2,3,4).

ფიჭვნარის საკულტო ძეგლზე აღმოჩენილია ისეთი ნიმუშებიც, რომლებზეც ზომიერადაა გამოყენებული ორნამენტაციის სხვადასხვა მოტივი. ერთ-ერთ მათგანზე ვხედავთ ტანის დასაწყისთან ვერტიკალურად მჭიდროდ განლაგებული მოგრძო ხაზების ჰორიზონტალურ ზოლს (ტაბ. IX/2). სხვა ნიმუშებზე კი ჰორიზონტალურ წყვილ წრიულ ზოლებს მოსდევს ფესტონისებური შევრონების ორნამენტი (ტაბ. IX/1). სხვა სახის მოტივებიდან აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის პირისა და მხრის ნატეხი, რომლის მხრის არეში დატანილია რელიეფური კოპი. მას გასწვრივ მიუყვება ჰორიზონტალური ზოლით შემოფარგლული სამკუთხა შევრონები. თავს იჩენს კოლხურ კულტურაში გავრცელებული მცენარეული ე. წ. წიწვოვანი ორნამენტი. მის შესაქმნელად აქაც გამოყენებულია დახრილი ღრმა ჭდეები (ტაბ. X/5). არის სადა ნიმუშებიც. ერთ-ერთი მათგანი თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი. ქონია დაბალი სწორი პირი და არც თუ ისე მაღალი მომრგვალებული ტანი, ძირი – ბრტყელი (ტაბ. VI/2). ასევე ითქმის მეორე პროფილირებული ნატეხის მიხედვითაც, რომელსაც აქვს ოდნავ გამოყოფილი პირი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი.

ნაირსახეობით გამოირჩევიან სუფრაზე მოსახმარი სამეთუნეო ნაკეთობის ყურები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინა ეპოქების მსგავსად გვიანბრინჯაოს ხანაშიც გრძელდება შვერილიანი სადა თუ ორნამენტის მქონე ნაწარმის შექმნა. არის სადა ყურებიც, რომელთა ზედა ნაწილი რელიეფური შვერილებით მთავრდება. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მთლიანად ორნამენტირებული პატარა ზომის ჭურჭლის ყურები, რომელთა არე ვიწრო წრიული შემოწერილობისაა. ზედაპირი დაფარულია მცენარეული ორნამენტით. აღსანიშნავია პატარა ზომის ჭურჭლის ოთხწახნაგა ყური, რომლის ზედა კალთა და ფერდები შემკულია ჭდეებით გამოყვანილი მცენარეული ორმამენტით; ყურის ზედა ბოლოს გასწვრივ იგივე სამკაული გრძელდება ჭურჭლის მხრის არეშიც. ერთ-ერთ მათგანზე კოპიცაა მოცემული. ყურადღებას იქცევს თითქმის ოთხკუთხაგანივკვეთიანი ჭურჭლის ყური, რომლის ზედა ბოლოზე დატანილია წყვილი წრიული ფოსო, ხოლო ზურგს მიუყვება ფაქიზი ჭდეებით შემკული წყვილი ჰორიზონტალური ღარი. ბოლოში სამკუთხედისებურად განლაგებულია სამი წრიული ფოსო. ფოსოები ტანის არეშიცაა შემორჩენილი (ტაბ. VII-VIII).

ძველ კოლხებს წარმართულ ღვთაებათა პატივსაცემად არც თიხის კვირისტავების შეწირვა დავიწყებიათ. ყველა მათგანი ბრტყელი წრიული შემოწერილობისაა. ცენტრალურ ნაწილში გაუკეთებიათ ხერტლის ტარზე მოსარგები ნახვრეტი. არის როგორც თიხის, ასევე, ერთი ცალი ქვისაგან დამზადებული კვირისტავი (ტაბ. XI/2). საფეიქრო ხელოსნობის ეს დარგი ქვის ხანიდან დაწყებული ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ანტიკური ხანისათვის, როცა ქსოვილთა გარკვეულმა სახეობამ სასაქონლო ხასიათი მიიღო.

განსაკუთრებით მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს კოლხმა მეთუნეებმა თიხის სადგრების სახით (ტაბ. II-IV). მათ შორის მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან ცალქიმიანი სადგრები (ტაბ. II/1, 2), ისინი ნაყოფიერების კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ზოგიერთ მათგანზე წვერსა და შუა წელზე წრიული გამჭოლი ნახვრეტი გაუკეთებიათ. გვაქვს სახელურებიანიც, რომლებიც იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. წამყვანია ხარის კულტთან დაკავშირებული წყვილშვერილიანი სადგრები (ტაბ. II/3, 6). განსაკუთრებით საინტერესო ჩანს დაბალტანიანები. მათ მრავლად მოეძებნებათ პარალელები ანატოლიურ კულტურაში. ხშირად შვერილებს შორის ღრმა ფოსოა დატანილი (ტაბ. II/4). არაა გამორიცხული, რომ კულტმსახურებისას მასში ჩასმული იყო წმინდა სანთელი. ფოსოები მოცემულია ტანის არეშიც, ზოგჯერ რამდენიმე (ტაბ. II/5). ფიჭვნარის საკულტო ძეგლის არტეფაქტთა შორის თავს იჩენს აგრეთვე სამშვერილიანი სადგრები. უმეტესად მასიური და დაბალტანიანებია. რქები საკმაოდ მაღალი აქვს (ტაბ. III/1). ერთეული ცალების სახით ექვს შვერილიანი დაბალტანიანი სადგრებიც ყოფილა დანერგილი კულტმსახურებაში. დაცულ ნიმუშს შვერილები ორივე მხრიდან მოტეხილი აქვს. ტანის ცენტრალურ ნაწილში დატანილია ვერტიკალური გამჭოლი ნახვრეტი (ტაბ. III/2). გვაქვს რვაშვერილიანი სადგარიც (ტაბ. III/3).

სხვა სახის მონაპოვრებიდან აღსანიშნავია ბადის საძირავებად გამოყენებული ბრტყელი რიყის ქვებისაგან დამზადებული ე. წ. საღვანავზე მჭიდროდ მიმაგრების მიზნით ორგვერდამოღარული საწაფები. ასევე ითქმის ქვის საფქვავ-სასრესების მიმართ. უფრო ხშირად ჩნდებოდა ქვის სანაყ-საბეგველები. აშკარაა, რომ მსგავს რიტუალში ფიჭვნარელი პროფესიონალი მეტალურგი ხელოსნებიც იღებენ მონაწილეობას.

განსაკუთრებულია ფიჭვნარის საკულტო ძეგლის ადგილი კოლხური მოსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ გარკვეული კონცეფციის შექმნის თვალსაზრისით. აშკარაა, რომ წინა ეპოქებისაგან განსხვავებით კულტმსახურებას მნიშვნელოვანი პროგრესი განუცდია. თვითმყოფადი ორიგინალური კოლხური კულტურის შემოქმედ საზოგადოებას მიუღწევია იმ დონისათვის, როცა საოჯახო კულტმსახურების პარალელურად მთლიანი სამოსახლოს გარკვეული სახეების ერთიანი რელიგიური ცერემონიალების შესრულებაც დაუწყიათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქაური მკვიდრნი მხოლოდდამხოლოდ ადგილობრივი ლოკალური კულტმსახურების აღმსრულებელნი არიან. როგორც ითქვა, ძველი ფიჭვნარელები შესანიშნავად იცნობენ მცირე აზიის, ძველი აღმოსავლეთის ხალთა კულტმსახურებაში დანერგილ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მზადდება ნიადაგი ადრერკინის ხანისათვის ერთიანი სატომო რელიგიური რიტუალებისათვის, რაც შესანიშნავად იკვეთება ზემოთ აღნიშნული მესეფეების კულტმსახურების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

თავამაიშვილი გ., უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე, 1999

თავამაიშვილი გ., ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე, 2012

თანდილავა ზ., მასალები მესეფეებზე, სდსძ, IV, 1978

თანდილავა ზ., ღვთაება მესეფის მითოლოგიური სახის გაგებისათვის. სდსძ, VIII, 1986

თანდილავა ზ., წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი, 1996

ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). სდსძ, 1977ა, გვ. 54-66

ინაიშვილი ა., სამხრთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში). სდსძ, 1977ბ, გვ. 67-90

კახიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის ტერიტორიაზე 1965 წელს. სდსძ, 1981, გვ. 37-59

კახიძე ა., მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. მსკა, IV, თბ., 1965, გვ. 67-94

კახიძე ა., თავამაიშვილი გ., ჩავლეიშვილი ი., საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, 2013, გვ. 8-20

კახიძე, სურმანიძე, 2018 წლის ფიჭვნარში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, 2019, გვ. 198-200

კიკვიძე ი., ხიზანაანთ გორის გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბილისი, 1972

ფხაკაძე გ., კერებისა და სადგრების გავრცელების საკითხისათვის. ძიებანი, 5, 2000, გვ. 15-26

ფხაკაძე გ., ხარის რქისებრი სადგრები კავკასიასა და წინა აზიაში, ძიებანი, №13-14, 2004, გვ. 16-23

ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მაცნე, XVI, 1950, გვ. 118-121

ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, 1986

Пиотровский Б. Б., Кармир-Блур. II (Результаты работ археологической экспедиции Института истории АН Армянской ССР и Государственного Эрмитажа 1949-1950), 1952

Соловьев Л. Н., Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. СА, XIV, 1950

Трапш М. М., Археологические раскопки в окрестнестях Сухуми, Труды, АБИЯЛИ, XXIX, Сухуми, 1958

Хоштария Н., Археологические раскопки Уреки. მსკა, I, 1955, გვ. 25-65

Куфтин Б. А., К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осети, ВГМГ, XIV, 1947, сс 69-74

Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950

Цвинария И. И., Поселение Гуандра (новый памятник энеолита и ранней бронзы в Абхазии), Тбилиси, 1978

Рамишвили А. Т., Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960-1964 гг и 1967 г. – СА, I, 1974, сс. 136-153

Микеладзе Т., Хахутаишвили Д., Древнеколхидское поселение «Намчедури», Тбилиси, 1985

Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze

PICHVNARII CULTIC SITE

One of the prominent cultic sites of the Late Bronze-Early Iron Ages is found in Kobuleti-Pichvnari, which provides us with rich and diverse information about the religious pantheon, beliefs, spiritual nature of Colchians.

The site was discovered on the territory of the old cemetery of the Hellenistic period in 1965. The archaeological excavations were conducted in 1973-1974.

The cultural layer of the cultic site was fixed at a depth of 1.75 cm. The almost equally distanced 9 pits, considered as bases for wooden pillars (columns), surrounded it from three sides (north, east, west). Possibly, a chapel could be situated in a wooden structure (shed type) of the (cultic) complex. Supposedly, the site was partially damaged during the arrangement of burials of the Hellenistic period.


The most noteworthy materials found are cultic clay stands. Their great number and diversity is one more evidence that this site had a religious function. So-called multi-section “pans“ should be separately mentioned, many analogues of which are found in the cultural layers of the Late Bronze-Early Iron periods of the inhabited hills of Pichvnari. A small number of such pans are found in Batumi Fort, settlements of Tsikhisdziri, Makhvilauri, Kolotauri and Charnali.

Domestic vessels are presented as fragments of pots, jars, small cooking-pots, clay pitcher-shaped jars. It is deemed that the vessels were specially made for rituals.

It seems that the society of the indigenous Colchian culture reached the level when simultaneously with the domestic cult rites, they started performing the unified religious ceremonials.

ტაბულების აღწერილობა:

I. საკულტო ძეგლის გათხრების გეგმა
II. 1-2. ცალქიმიანი სადგრები; 3-6. ორქიმიანი სადგრები
III. 1. სამქიმიანი სადგარი; 2. ექვსქიმიანი სადგარი;
3. რვაქიმიანი სადგარი; 4. სადგრები
IV. 1. სადგარი ჯვრის გამოსახულებით (ფიჭვნარის დიუნა);
2. ძაღლის თავის გამოსახულება (ფიჭვნარის დიუნა);
3-4. ძაღლის თავის გამოსახულება (ნამჭედური II)
V. მრავალგანყოფილებიანი საოჯახო საკურთხევლები
VI-XI. სამეურნეო და სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლის ფრაგმენტები


0 1 2მ



1



2



3



4



5



6



1



2



3



4




1



2



3



4



1



2



3



4



5



6



7



1





2



1



2



1



2



3



1



2



3



4



5



6



7



1




2



3



4





5



1



2

ირაკლი ჩავლეიშვილი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამოსახლოები და მშენებლობის ტექნიკა II-I ათასწლეულში

წერილობითი წყაროები

ბერძენი და რომაელი ავტორები (ქსენოფონტე, ვიტრუვიუსი, პრისციანი, ჰიპოკრატე და სხვა) არაერთ ცნობას გვაწვდიან კოლხების სამოსახლოებისა და საცხოვრისების შესახებ. თუმცა, ეს ცნობები იმდენად მწირია, რომ რაიმე კონკრეტული განზოგადოებული აზრის გამოტანა ჭირს. საქმე იმაშიცაა, რომ მკვლევრები ამ წერილობითი წყაროების ინტერპრეტირებისას ყოველთვის ერთი აზრისა არ არიან. თუმცა, მათი შეჯერება არქეოლოგიურ მონაცემებთან მიახლოებული სურათის წარმოდგენის საშუალებას მაინც იძლევა. მართალია, ეს ცნობები გაცილებით მოგვიანო პერიოდისაა, ვიდრე ჩვენი საკვლევი ეპოქა, მაგრამ კოლხეთში დასახლების ტიპებს, საცხოვრებელს, სამეურნეო და სხვა სახის დამხმარე ნაგებობებს დღემდე შემორჩათ არქაულ ტრადიციებთან უწყვეტი კავშირის კვალი.

ჩვენი აზრით, ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ვიტრუვიუსი. კერძოდ, ის წერს: „კოლხები, ტყეებით მდიდარ პონტოს მხარეში, მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან მორებს აწყობენ და მათ თავებს შორის ტოლ მანძილს ტოვებენ, თავსა და ბოლოებს შორის გარდიგარდმო ძელებს გასდებენ და ამგვარად შემოსაზღვრავენ სახლის შიდა სივრცეს. შემდეგ ოთხივე მხარეს, კუთხეებში შეუღლებული ჭდეული ძელებით თანდათანობით ამოჰყავთ ძირითადი შვეული კედლები და აგებენ სახლს. ძელებს შორის დარჩენილ სივრცეს ნაფოტებითა და ტალახით ამოავსებენ“ (Витрувий, 1936; სუმბაძე, 1945: 491-502).

„ასევე (აგებენ) სახურავებსაც, – განაგრძობს ვიტრუვიუსი – (კედლის) ნაპირიდან დაცილებით გასდებენ რა გასაყრებს, რომლებიც ზევითკენ ოთხივე მხრიდან თანდათანობით მოკლდება (ნაგებობის) შუისკენ. ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფათხებითა და მიწითაა დახურული, წარმოადგენენ ბარბაროსთათვის ესოდენ ჩვეულებრივ, კუსმაგვარ სახურავებს“ (წიგნი II). როგორც ქრისტოფორო კასტელის ნაშრომიდან ჩანს, ასეთი გადახურვის მქონე ნაგებობებს დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნეშიც აშენებდნენ (კასტელი,1976: 164).

ჩვენთვის საინტერესო ცნობებია ქსენოფონტეს „ანაბასისში“. ქსენოფონტეს მონათხრობის მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველ ტომთა განსახლების ტერიტორიაზე ძირითადი სამშენებლო მასალა მაშინაც მერქანი ყოფილა. დრილების მეტროპოლისი, მოსინიკების კოშკები, თუ რიგი სხვა დასახლება, ხისგან ყოფილა ნაგები (Лежава, 1971: 103). აღწერს რა დრილების მეტროპოლისის საფორტიფიკაციო სისტემას, ქსენოფონტე მიუთითებს,

რომ ელინებმა „ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის აღება, რადგან მას გარშემო განიერი თხრილი და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი“ (V2, &5). ასევე, ხისგან იყო ნაგები ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული სახლები, რომელთაც ბანური გადახურვა ჰქონიათ (V2, &22-26). ბრძოლის დროს გადაიწვა მთელი ქალაქი, სახლები, კოშკები, მესრული კედელი და ყველაფერი სხვა, გარდა შიდა სიმაგრისა (V2, &27). არანაკლებ საყურადღებოა მოსინიკების მეტროპოლისის აღწერილობა. როცა ბერძენი პოპლიტების შეტევის შემდეგ ქალაქის დამცველებმა იგრძნეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს სიმაგრეც. მოსინიკების მეფემ არ მოისურვა გამოსვლა ხის კოშკიდან, რომელიც ყველაზე მაღალ ადგილზე იყო აგებული. ისევე, როგორც იმ მეფემ, რომელიც ადრე აღებულ სიმაგრეში იმყოფებოდა და ისინი დაიწვნენ თავიანთ ხის კოშკებთან ერთად (V2, &26).

V-VI სს. ლათინი ავტორი პრისციანი თავის ნაწარმოებში „მიწის აღწერა“, ასევე, ადასტურებს მოსინიკების ცხოვრებას ხის კოშკებსა და ჯარგვალურ საცხოვრებელ სახლებში.

დასახლების სისტემა და კარმიდამო

კოლხეთის დაბლობის დასახლების ტიპის შესახებ დღეს უკვე არსებობს ჩამოყალიბებული აზრი. ამის საშუალებას იძლევა ის ძეგლები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიურადაა შესწავლილი. „მათთვის დამახასიათებელია თიხაზვინულების სხვადასხვა სისტემა, როგორც სამოსახლოს ხელოვნური სუბსტრატი. თუმცა შეიძლება, რომ იგი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ იყოს გამოხატული. ჩანს, რომ დიდი თიხაზვინული ქმნიდა სამოსახლოს ცენტრს და, შეძლებისდაგვარად, იგებოდა ბუნებრივად შემაღლებულ ადგილას. ნოსირისა და მუხურჩის ძეგლებს გარდა („ნოსირის ბორცვი“, „კეკეულური ზუგა“, „ნაჭვის ზუგა“), გრუნტის ასეთ შემაღლებას მოწმობს ნაოხვამუს ბორცვიც, რაზედაც მიუთითებდა კუფტინი“ (ყაუხჩიშვილი, 1965: 44-45; გოგაძე, 1982: 80).

ჰიპოკრატე (ძვ.წ. 400-356 წწ.), კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი პირობების აღწერისას, გადმოგვცემს: „... ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტენიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა მთლიან ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“ (Микеладзе, 1990: 18).

საეტაპო ძეგლად, ამ მხრივ, შეიძლება მივიჩნიოთ ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში მოთავსებული დასახელება (ტაბ. I, II). აქ, ნამჭედურის ცენტრალური ბორცვ-სამოსახლოს ირგვლივ, თავმოყრილია მრავალი მომცრო ხელოვნური თიხაზვინული. ისინი განფენილია როგორც მდ.ოჩხამურის, ასევე, მდ.ჩოლოქის

ორთავე მხარეს. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორაა ჩვენამდე მოსული წერილობით წყაროში გადმოცემული ცნობა კოლხების განსახლების შესახებ.

ბრინჯაოს ხანის სამოსახლოებს არც თუ ისე დიდი ტერიტორია უჭირავთ (დაახლოებით 1200-1600 მ^2, უკიდურეს შემთხვევაში – 2000 მ^2). ასეთია ანაკლია I და II, ნოსირი, ნამჭედური, ნაოხვამუ, ზურგა (ჭალადიდში) და სხვ.

ანაკლიის ნამოსახლარის შესწავლის საფუძველზე თ.მიქელაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ძეგლების 1-2 კმ-ის სიახლოვეს სინქრონული ძეგლები არ არსებობს. „ამ დასკვნამდე – აღნიშნავს ავტორი – მიგვიყვანა კოლხური ბორცვების ტოპოგრაფიამ. რაც შეეხება ნამჭედურს, მის გარშემო ბორცვების კონცენტრაცია ხდება „ნამჭედური III“-ის პერიოდში, ე.ი. I ათასწლეულის I მეოთხედში. ასევე, მდ.პიჩორის სამოსახლოებთან დაკავშირებით ცენტრალური ბორცვის ირგვლივ განლაგებული ბორცვების კულტურული ფენები თარიღდებიან I ათასწლეულის I ნახევრით“ (Микеладзе, 1990: 18).

თავს უფლებას მივცემთ, არ დავეთანხმოთ პატივცემული მეცნიერის იმ მოსაზრებას, რომ ნამჭედურის ირგვლივ მდებარე ბორცვებზე სინქრონული კულტურული ფენები არაა დაფიქსირებული. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის შესწავლის დროს დაფიქსირებულია ის ექვსივე კულტურული ფენა, რომელიც ნამჭედურის ცენტრალური ბორცვის იდენტურია. კიდევ უფრო მეტი, ნამჭედურის ბორცვზე თუ ხელოვნურად მოხსნილია I და II ფენები, ჩოლოქისპირა ნამოსახლარებზე მისი ფიქსაცია ფრაგმენტულად მაინც ხერხდება. ჩვენი ვარაუდით, რომელიც სხვა ბორცვებზე წარმოებულ დაზვერვაზეა დაფუძნებული, აქ იგივე სურათი მეორდება. ეს არის ბოლო წლების მონაცემები და ამიტომაც, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა მისი ფართო პუბლიკაცია. ეს და სხვა მონაცემებიც, საშუალებას აძლევს მკვლევრებს (დ.ხახუტაიშვილი, ა.კახიძე და, მათ შორის, მეც), ზემოთხსენებულ ხერთვისში აღმოჩენილი დასახლება მივიჩნიოთ კოლხური არქეოლოგიისათვის საეტაპო ძეგლად. რაც შეეხება მდ.პიჩორის ტერიტორიაზე არსებულ ნამარნუს დასახლებას, აქ ვერაფერს დავამატებთ, გარდა იმისა, რომ ეს ძეგლი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია და, შესაძლებელია, სურათი შეიცვალოს ჩვენი ძეგლის იდენტურად.

რაც შეეხება სამოსახლოების განლაგებას კოლხეთის დაბლობში, არქეოლოგიური მონაცემები სავსებით ადასტურებს ამის თაობაზე ვიტრუვიუსის მიერ ზემოთ მოტანილ ცნობას. აქ აღმოჩენილი ყველა ნამოსახლარი განლაგებულია ხელოვნურ, შედარებით შემაღლებულ ბორცვებზე, რომელთაც ირგვლივ აკრავთ დაჭაობებული მდელოები (Микеладзе, 1990: 18).

ბორცვების ტოპოგრაფიული მდებარეობა იყო იმის საფუძველი, რომ შექმნილიყო ოვალური ტიპის სამოსახლო თავისი თავდაცვითი ნაგებობებით. პირველი რიგის საზრუნავი იყო ბუნებრივი სტიქიისაგან თავდაცვა, რომელიც ყოველდღე ემუქრებოდა ზღვისპირას მცხოვრებ ადამიანებს. ამიტომ ბორცვს ირგვლივ შე-

მოვლებული ჰქონდა ხის გალავანი, რომელიც სამოსახლოს იცავდა როგორც წყლის მოვარდნისაგან, ასევე, მომხდურისგანაც. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გათხრებისას (ტაბ. IV) ჩვენ მიერ აღმოჩენილია ხის ვერტიკალურად ჩარჭობილი მესრის ორმაგი წყობა, რომელიც შიგნიდან ამოვსებული იყო ქვებითა და საოჯახო ნარჩენებით. მის შიგნით კი განლაგებულია ხის ჯარგვალური, ერთმანეთისაგან დაახლოებით 3 მ-ით მოშორებული სამი მცირე ნაგებობის საძირკველი. აქ ჩვენ ვვარაუდობთ ხის კოშკებს, რომლებიც სამოსახლოს სამხრეთის მხრიდან იცავდა.

ამის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაივალოთ ის გარემოება, რომ მათ სიახლოვეს (სხვა ნაგებობების ნაშთებისაგან განსხვავებით) ვერ ვპოულობთ ვერავითარ ინვენტარს და, ერთიც – ერთი ნაგებობის შიგნით ვიპოვეთ ბრინჯაოს ისრისპირი და სატევრის ფრაგმენტი. თუმცა, მაინც, ამ აზრს მხოლოდ ჰიპოთეზის უფლება აქვს (IV კულტ. ფენა).

სხვადასხვა ეპოქაში სამოსახლო იცვლიდა თავის მოხაზულობას, თუმცა ძირითადი სუბსტანცია იგივე უნდა ყოფილიყო. ჩვენ მიერ გათხრილი ძეგლით თუ ვიმსჯელებთ, ერთ სამოსახლოზე ორ-სამ ოჯახს უნდა ეცხოვრა. შესაძლებელია ერთი პატრიარქალური ოჯახის არსებობაც. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დღემდე შენარჩუნებულია ორ ან სამოჯახიანი კარმიდამო და ეთნოგრაფიაში იგი ცნობილია „კოლხური კარმიდამოს“ სახელით (ადამია, 1967: 37).

კარმიდამოს ხუროთმოძღვრული კომპოზიცია დამოკიდებული იყო რელიეფის ხასიათზე, შრომა-საქმიანობასა და ბუნებრივ გარემო პირობებზე. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის მაგალითზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უძველესი კოლხური სამოსახლოს სრული სურათი: ცენტრალურ ნაწილში, ბორცვის თხემზე, განლაგებულია ბრინჯაოს ლითონსამსხმელო სახელოსნო, აღმოსავლეთით – საცხოვრებელი სახლი, ნალია; დასავლეთით – ფარეხი თავისი წნული ნაგებობით და სხვა (ტაბ. IV/2; VII/2; IX/1).

უძველესი კარმიდამოს შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ.ურუშაძეს, კასპის რაიონის სოფ. გამდლისწყაროში აღმოჩენილი განძის ერთ-ერთი ნივთის მიხედვით (ტაბ. VI/2). მას ოვალური ფორმა აქვს და ადამიანთა თუ ცხოველთა ფიგურებით გადმოცემულია რიტუალური სცენა (Урушадзе, 1988: 99-100).

ის მასალა, რომელიც თან ახლდა ამ ნივთს, მის გურია-აჭარის ტერიტორიიდან წარმომავლობაზე უნდა მეტყველებდეს, რაც ჩვენთვის ორმხრივ საინტერესოა. პირველად ეს განძი გიმოიკვლია არქეოლოგმა დ.ქორიძემ და მისი ასაკი განსაზღვრა II-I ათასწლეულთა მიჯნით. მისი აზრით, აქ გადმოცემულია ცხვრის კულტთან დაკავშირებული ნაყოფიერების რიტუალური სიუჟეტი. აკადემიკოს შ.ამირანაშვილის აზრით, აქ გამოხატულია ე·წ. საღვთო „ნიშა“, რომლის მფლობელია ის ღვთაება, რომელიც მასზე ზურგითაა მიყრდნობილი. აკადემიკოსი ა.აფაქიძე თვლის, რომ ამ კომპოზიციაში მოცემულია საქონლის შესარეკი ფარეხი,

მსგავსი აფხაზეთის ალპურ ზონაში არსებული „აცანგვარასი“ (Урушадзе, 1988: 101).

ჩვენთვის ყველაზე უფრო მისაღებია ნ.ურუშაძის მოსაზრება, რომელმაც მოცემული სიუჟეტის სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია მოგვცა. ამ მოსაზრების გაზიარების საფუძველს გვაძლევს ის პარალელური არქეოლოგიური მონაცემები, რომლებიც ჩოლოქისპირა ნამოსახლარზეა დაფიქსირებული.

ნ.ურუშაძემ, ანიმალური შესწავლის შედეგად, მოახერხა საქონლის ფიგურებში, ცხვრების გარდა, გაერჩია ხარები, თხები და ღორები. მოქმედების ძირითადი კვანძი ვითარდება ორფერდასახურავიანი „კარვის“ ტიპის ნაგებობის ირგვლივ. მისი ერთი მხარე დაბალი ზღუდითაა შემოსაზღვრული და მასში დევს გარკვეული სახის ნივთები. მეორე შენობა ტოვებს ხის ბოძებით ნაგები და ისლით გადახურული მსუბუქი ნაგებობის შთაბეჭდილებას. მის ქვეშ ჩამოკიდებულია სხვადასხვა სამეურნეო ნივთები და ცხვრის ტყავები. შუაში დგას გრდემლი, ირგვლივ კი მიმოფანტულია ჩაქუჩები, ცულები, თოხები, ლითონის სხმულები და ფორმები. ასე, რომ ცენტრალური ნაგებობა ლითონსასხმელ სახელოსნოს (ან სამჭედლოს) უნდა წარმოადგენდეს. იქვე, სამსხვერპლოზე, დევს რიტუალური მრგვალი პურები. ამ კომპოზიციაზე გამოსახული კაცებისა და ქალების ითიფალური ფიგურები (Урушадзе, 1988: 103-104). უდავოა, რომ აქ საქმე გვაქვს წრიულ რიტუალურ სცენასთან, რომელიც ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემას გამოხატავს. ამ შემთხვევაში, ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ამ სცენის ინტერპრეტაცია. ჩვენთვის მთავარია, რომ აქ წარმოდგენილია კოლხური სამოსახლო თავისი გალავნით, ლითონსასხმელო სახელოსნოთი და ფარეხით. თუ გავავლებთ პარალელს ჩოლოქისპირა სამოსახლოს არქეოლოგიურ მონაცემებთან, საოცარ მსგავსებას დავინახავთ. ამასთანავე, თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მსგავსი რიტუალი ჩვენს სამოსახლოზეც სრულდებოდა, ნ.ურუშაძისეული ინტერპრეტაცია ჩვენთვის ყველაზე უფრო მისაღებია.

კონსტრუქციული სტრუქტურა და მშენებლობის ტექნიკა (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები)

II-I ათასწლეულის დასახლებანი, როგორც ითქვა, განსაკუთრებული კომპაქტურობით გამოირჩევიან. ამასთან, აქ მშენებლობის ხელოვნებაში შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები. ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისის აუზში აღმოჩენილი ნამოსახლარების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, აქ, ისევე, როგორც კოლხეთის სხვა თანადროულ ძეგლებზე, ნაგებობის კონსტრუქციული თვალსაზრისით, წამყვანი ტიპია ჯარგვალი. გვხვდება წნულებით ნაგები შენობები. თუ სხვა ნამოსახლარებზე დომინირებს სწორკუთხა ფორმის ნაგებობანი, ჩოლოქის ნამოსახლარზე, IV კულტურულ ფენაში, აღმოჩენილია წრიული დაგეგმარების ნაგებობა (ტაბ. IV/2; VII/2;). ამ მხრივ იგი სრულიად ახალი სიტყვაა და შეიძლება დავინახოთ მსგავსება კუფტინის მიერ შესწავლილ ნაოხვამუს თიხით შელესილ,

წრიული ფორმის ნაგებობასთან, კონუსური სახურავით და წნული კარკასით (Джавахишвили, 1973: 361).

ჩვენს შემთხვევაში დაფიქსირებულია ორმაგი ძელური წყობა. ეს არის მიწაში დარჩენილი საძირკველი, რომელიც ცეცხლსა და ნგრევას გადაურჩა. შუა სივრცე ამოვსებული იყო ბათქაშითა და ქვებით. მორები ერთმანეთის მიმართ პარალელური წყობითაა ნაგები. ხშირ შემთხვევაში ხერხდება პალოების დაფიქსირება. ისინი მიწაში ვერტიკალურადაა ჩარჭობილი, როგორც ჩანს, მორების გასამაგრებლად. საყურადღებოა ის სიზუსტე, რომელიც იმდროინდელ მშენებლებს დაუცავთ. შიგა კედლის მორების სიგრძე, როგორც წესი 1,90 მ-ია, ხოლო გარეთასი კი – 2,20 მ. აღნიშნული შენობა ძლიერ ნახანძრალია და ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენამდე მხოლოდ საძირკველმა მოაღწია. გეგმაზე ნათლად იკითხება ძელების გადაბმის ადგილები. ის კოლხეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ძელების ჭდობით, ანუ ძელის თავთან მის ქვედა მხარეს ნაკვეთი ღარის საშუალებითაა შეკავშირებული (ტაბ. V/2). სახელოსნოს ცენტრში მოთავსებულია მრგვალი, ხის ძელებით ამოყვანილი და თიხით ამოვსებული მაგიდა, რაზეც მზადდებოდა ლითონის ნივთები. შენობა თორმეტწახნაგაა და ფორმით წრეს უახლოვდება. მისი კედლის გარეთა დიამეტრი დაახლოებით 8,80 მ-ია, ხოლო შიგნითა კედლის დიამეტრი 6,60 მ. შენობა საკმაოდ მასიურია, სასარგებლო ფართობი შეადგენს 34,2 მ^2.

სამხრეთით, მდინარის მხრიდან, აღნიშნულ შენობას მიდგმული აქვს მართკუთხა ფორმის (2,20X2,00 მ) მინაშენი. ის წნულებით ყოფილა ამოყვანილი. იმის გამო, რომ პრეპარირებული წნელები ჰაერზე მოხვედრისთანავე განიცდიან დეფორმაციას, ფოტოფიქსაცია ვერ მოვახერხეთ. ვფიქრობთ, ამ შენობას ჰქონდა საკუჭნაოს დანიშნულება, სადაც ხელოსანი თავის ნაწარმს და იარაღს ინახავდა. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს იქ აღმოჩენილი სათანადო მასალა. შენობის იატაკი, როგორც ჩანს, თიხით ყოფილა მოტკეპნილი, ხოლო გადახურვაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ჭირს. აქ ორი ვარიანტია; შესაძლებელია, მას ჰქონოდა კონუსური ფორმის ისლით გადახურული სახურავი ან მორების გვირგვინული წყობის გადახურვა.

ხსენებული სახელოსნოს არეალში გათხრებმა ნათელყვეს, რომ მოსახლეობას იმავე ადგილას, V ფენაშიც, ჰქონია ტიპური კონსტრუქციის სახელოსნო. დაკვირვებამ გვიჩვენა ამ ორი სახელოსნოს გამყოფი შრე; იგი მდინარის მიერ შემოტანილი ქვიშიანი მასისაგან შედგება. სახელოსნოთა კონსტრუქციულ მსგავსებას რომ ვუსვამთ ხაზს, მხედველობაში გვაქვს ჯარგვალური წყობა და მორების სიგრძე (აქაც 2,20 მ). ამ მორებსაც გვერდებიდან პალოები ამაგრებს. არის განსხვავებაც: თუ IV კულტურული ფენის შენობა ორმაგი კედლითაა ნაგები, V კულტურულ ფენაში მორების მხოლოდ ერთ ფენასთან გვაქვს საქმე. საგულდაგულო შესწავლამ მოგვცა დასკვნების გაკეთების საშუალება იმის შესახებ, რომ V-IV კულტურულ ფენებს შორის დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი

არ უნდა არსებობდეს. მეტიც, აქ შეინიშნება ერთი ეპოქის უწყვეტობა. ეს კარგად ჩანს კერამიკული მასალის ფორმებისა და მათი დეკორით შემკობის შედარების მაგალითზეც. როგორც ჩანს, V კულტურული ფენის სახელოსნო ერთმაგი კედლით იყო ნაგები. ის დიდი წყალდიდობის შედეგად დანგრეულა, რაზეც მიგვანიშნებს მდინარეული ქვიშა, რომელიც აღნიშნულ სახელოსნოებს ერთმანეთისაგან სტრატიგრაფიულად გამოყოფს. წყალდიდობის გამო, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ისევ და ისევ ბუნებრივ კატაკლიზმებს, აქედან აყრილი მოსახლეობა, გარკვეული ხნის შემდეგ, ამ სამოსახლოზე ისევ ბრუნდება და აგებს მსგავსი კონსტრუქციის ნაგებობას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში შეაქვს სიახლეც – ორმაგი კედელი (რომელიც თიხითაა ამოვსებული), რაც სახელოსნოს უფრო მეტ სიმყარეს აძლევს. IV კულტურული ფენის მოსახლეობას, ბორცვის ნიველირების დროს, უფრო ძველი ფენა (ნაწილობრივ სახელოსნოც) ამ ადგილას დაუზიანებია. ამიტომ ვერ მივაგენით ქურასა და სხვა მისთვის დამახასიათებელ მასალას. ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს უნდა განეკუთვნებოდეს B-C-8 კვადრატში აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთები. ზემოდან მას ედო საკმაოდ სქელი წითელბათქაშოვანი პლასტი, რომელსაც ეტყობოდა ძლიერი ცეცხლის კვალი. ჭრილში კარგად ჩანს, რომ ის IV ფენას განეკუთვნება. იქვე C-7 კვადრატში აღმოჩნდა ოვალური ფორმის ბრინჯაოს სამაჯური, წყვილვერძისთავებიანი გულსაკინძი. შენობის შიგნით აღმოჩნდა ბაზალტის ქვის რამდენიმე მოზრდილი ფრაგმენტი, შესაძლებელია, შუაცეცხლისა. საძირკველი ნაგებია თხმელის ხეებით. წყობა ჯარგვალურია, რამდენიმე ადგილას შემორჩენილია ძელური ჭდობა. ნაგებობის სიგრძეა – 6 მ, სიგანე – 7 მეტრამდე.

საძირკველი ბადისებურადაა მოწყობილი, ოღონდ აღმოსავლეთის მხრიდან დარღვეულია. აღმოსავლეთით დავაფიქსირეთ სამი ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებლად განლაგებული ხის ჯარგვალური წყობა. მათ უჯრის ფორმა აქვთ, სავარაუდოა, რომ სახლის საძირკველი, განსაკუთრებით აღმოსავლეთი ფასადი უჯრებიანი ფორმის ხიმინჯებზე იყო შემოდგმული. მსგავსი არქიტექტურული გადაწყვეტა დღემდეა შემორჩენილი აჭარაში. ნაგებობის სიახლოვეს მოვიპოვეთ უამრავი საოჯახო ჭურჭელი, მათ შორის – დაუზიანებელი კერამიკაც, ასევე, ხის კოვზი, ჯამი, დამუშავებული ტყავის ფრაგმენტი, ხის სახვნელი. მრავლადაა ნასუფრალი ძვლოვანი მასალა, განსაკუთრებით დელფინის თავის ქალები.

აღნიშნული ნაგებობის სიახლოვეს D-E-6-5 კვადრატებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ხის მორები, რაიმე ფორმის შენობის დაფიქსირება არ ხერხდება, მაგრამ საგულისხმო აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს E-8 კვადრატში აღმოჩენილი ხისგან გამოთლილი დისკოს ფორმის არქიტექტურული დეტალი. მისი დიამეტრია 65 სმ, ხვრელის დიამეტრი 12 სმ. ამ ნივთის ფუნქციას ნათელი მოჰფინა ეთნოგრაფიულმა მასალებმა. ზემოთ დასახელებული ნივთი აღმოჩნდა ნალიის (ბეღლის) ორგო (ტაბ. IX/2). ის ჩამოცმული იყო ბოძზე ზემოდან და იცავდა ნალიას მღრღნელების შეღწევისაგან. ასეთი ნალიები დღემდეა შემორჩენილი აჭა-

რასა და გურიაში (ტაბ. X; XI/2). საინტერესოა იქვე ნაპოვნი ხის მორი, რომელზედაც საფეხურებია ამოჭრილი. ეს დეტალიც ფართოდაა ცნობილი ეთნოგრაფიაში და წარმოადგენს ნალიაზე ასასვლელ კიბეს. ეს აღმოჩენები აუცილებელს ხდის, აღნიშნული ჯარგვალური ნაშთები მივიჩნიოთ დამხმარე სამეურნეო ნაგებობად, კერძოდ, ნალიად. ეს აღმოჩენა თითქოს დასტურია იმ ცნობისა, რომელსაც ქსენოფონტე გვაწვდის მოსინიკების შესახებ: „სიმაგრეების ძარცვის დროს სახლებში წააწყდნენ ხორბლის დიდ მარაგს, რომელიც, როგორც მოსინიკები ამბობდნენ, წინაპართა ანდერძის თანახმად, წინა წელს იყო განაწილებული. ახალი მოსავალი კი თავთავებად ჰქონდათ დაზვავებული; განსაკუთრებით ბევრი იყო ახალი. ამფორებში აღმოჩნდა ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისე იყენებდნენ, როგორც ელინები ზეითუნის ზეთს“ (მიქელაძე, 1967: 103-104)

აქვე აღვნიშნავ, რომ სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული ხიმინჯებზე შემოდგმული, წნელებით ნაგები საქონლის სადგომი. ასევე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად მიგვაჩნია სამოსახლოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი წნული ნაგებობანი, რომლებიც ხიმინჯებზე უნდა ყოფილიყო შემოდგმული და ფარეხს უნდა წარმოადგენდეს. ამას მიანიშნებს ის მესერიც, რომელიც ამ კომპლექსს განეკუთვნება. იქვეა აღმოჩენილი ძვლის სალამური, რომელიც, ასევე, მწყემსურ ყოფასთანაა დაკავშირებული.

ჩოლოქ-ოჩხამურის ორმდინარეთის სამოსახლო კომპლექსის ყველაზე უფრო ადრეულია ნამჭედური I-ის VI ფენაში აღმოჩენილი ნაგებობა (ტაბ. III/2), რომლის ფუნქციონალური დანიშნულება ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 23). სახლის მშენებლობაზე გამოყენებულია კარგად შერჩეული და ცულით გათლილ-გასუფთავებული მორები, რომელთა აბსოლუტური ასაკი, რადიოკარბონის მეთოდით, ძვ.წ. 1380-1480 წლებით განისაზღვრა (ქავთარაძე, 1981: 27; Кавтарадзе, 1983: 30). მშენებლობის ხელოვნების ამ დონეს კოლხეთის ბარმა მიაღწია ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში, როცა სახლები სპეციალურად შერჩეული, ცულით გათლილი ძელებით იგებოდა. ამისი მოწმობაა ძველი ნამოსახლარი ანაკლია II (Микеладзе, 1976: 97-98, таб. XVI; Кавтарадзе, 1983: 30). ამასთან, როგორც დადასტურდა, ნამოსახლარი ანაკლია II საგრძნობლად გვიანდელია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარსა და რამდენადმე ადრინდელი ნამჭედურის ნამოსახლარის ყველაზე ადრეულ (ნამჭედური VI) ფენასთან შედარებით (ხახუტაიშვილი,1986: 106).

ადრერკინის ხანას მიეკუთვნება ნამოსახლარ ნამჭედურის სამი ფენა. ესენია ნამჭედური V, ნამჭედური IV და ნამჭედური III. უკანასკნელი, თავის მხრივ, ძვ.წ. VI სს ფენითაა გადახურული, რომელსაც III ფენის ნანგრევებზე მდებარე სტერილური შრე აქვს დაგებული. ასე, რომ თუ ნამჭედური V ძვ.წ. XIII-XII სს მიეკუთვნება, ნამჭედური III ძვ.წ. IX-VIII სს. ძეგლი ჩანს (Микеладзе, Хахутаишвили, 1983: 14-16). ადრერკინის ხანის ეს დასახლებანი, როგორც ითქვა, განსაკუთ-

რებული კომპაქტურობითა და ინტენსიურობით გამოირჩევა. ამასთან, მშენებლობის ხელოვნებაში შეინიშნება რიგი სიახლე, რაც ასახულია, აგრეთვე, სადურგლო იარაღების კომპლექტის გამდიდრებაშიც. აღსანიშნავია, რომ V ფენის დასახლების მშენებლები უკვე აღარ კმაყოფილდებიან თიხატკეპნილი იატაკით და ნერგავენ სახლისა და ეზოს ქვით მოკირწყვლის ტრადიციას. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ასეთივე პრაქტიკა დასტურდება შიდა ქართლშიც (ნამოსახლარი ხოვლეგორა III, ხოვლეგორა IV, ხოვლეგორა) (მუსხელიშვილი,1978). ხოვლური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც იქ ადრერკინის სანაში ჩანს გავრცელებული, ისეთივე დაგეგმარებისაა, როგორც, ვთქვათ, ნამჭედური V-ის და ნამჭედური IV-ის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და, ალბათ, მთელი კოლხეთის ზღვისპირეთში გავრცელებული სახლები.

ადრერკინის ხანაში მკვიდრდება კიდევ ერთი სიახლე – ჯარგვალური ნაგებობის კედლების თიხის ხსნარის სქელი შრით შელესვა. მაგრამ, როგორც ვიტრუვიუსის ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, ტრადიციული ხერხები, რაც ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე, ნამჭედური VI-სა და ისპანშია ფიქსირებული, გვიანაც განაგრძობს არსებობას.

ქობულეთში ჩატარებულმა საკვლევაძიებო სამუშაოებმა, კერძოდ, ნამჭედურისა და ჩოლოქისპირა გორა-სამოსახლოების არქეოლოგიურმა გათხრებმა, კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ძვ.წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული ძელური და ჯარგვალური ნაგებობანი საყოველთაოდაა გავრცელებული კოლხეთის ხალხურ სამშენებლო ხელოვნებაში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ ზემოთდასახელებული ძეგლების გათხრების დროს წარმოჩნდა კოლხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები – ჯარგვალური საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, აგრეთვე, წნულებით ნაგები დამხმარე სათავსოები, გამაგრების სისტემა, აქვე შეიძლება გავაერთიანოთ საკარმიდამოს შიგა შეღობვაც.

ნაგებობათა დაგეგმარება – ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე აღმოჩენილმა ნაგებობის ნაშთებმა მოგვცეს შემდეგი სურათი: II ათასწლეულის ბოლოსათვის უკვე თანაარსებობდნენ ისეთი დაგეგმარების ნაგებობანი, რომლებიც ხასიათდებიან როგორც სწორკუთხა, ასევე, კვადრატული მოხაზულობითაც. ახალი სიტყვაა მათ გვერდით უფრო რთული კონსტრუქციის მრგვალი დაგეგმარების ჯარგვალი. ამ შემთხვევაში ჩვენ სახეზე გვაქვს ამ ტიპის დაგეგმარებაში მიმდინარე ევოლუციური მომენტი, როდესაც ჯერ ნაგებობა აშენდა ჯარგვალების ერთმაგი წყობით, ხოლო შემდგომ გვაქვს გაუმჯობესებული ვარიანტი – ძელების ორმაგი პარალელური წყობით ნაგები სახელოსნო.

რადგან ძველ კოლხეთში, თავისი ტენიანობის და ჭარბნალექიანობის გამო, გეოკლიმატური პირობები რთული იყო, იმდროინდელი ადამიანი ყოველმხრივ ცდილობდა შეექმნა ისეთი სასიცოცხლო პირობები, რომ თავიც დაეცვა, ჭირნა-

ხულიც და პირუტყვიც. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენ მიერ გათხრილ ნაგებობათა იატაკის სტრუქტურა. დავუბრუნდეთ იმას, რომ კოლხები, მაქსიმალური სიმშრალის შენარჩუნების მიზნით, სამოსახლოდ არჩევდნენ ბორცვებს ან ხელოვნურად აწყობდნენ მას. აქვე ხაზგასასმელია ერთი გარემოებაც: როგორც წესი, ასეთი საცხოვრისები მდინარეების სიახლოვესაა განლაგებული და, როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, ერთმანეთთან მრავალი არხით არიან დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ნაგებობანიც ისეთი კონსტრუქციის უნდა აეგოთ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაქსიმალურად გამოეყენებინათ ის სამოსახლო ბორცვები, რომელთა ფართობი, როგორც აღვნიშნეთ, საშუალოდ 1500-20000 მ^2-ს შეადგენს. ბორცვის ნიველირება, ხშირ შემთხვევაში, არახელსაყრელი იქნებოდა იმიტომ, რომ ჭარბნალექიანობის დროს ვაკე ადგილებში დიდი ხნით დადგებოდა წყალი. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბორცვის კონფიგურაცია უცვლელი უნდა დარჩენილიყო, რათა, წვიმების და წყალდიდობის დროს, წყალს მისცემოდა ბუნებრივად დაწრეტის საშუალება. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა ნაგებობათა იატაკის სტრუქტურაში.

იატაკის სტრუქტურა – მთავარი ნაგებობა, რომელიც ბორცვის თხემზეა განლაგებული, არის ლითონსამსხმელო სახელოსნო (რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი დაკვირვებით საკულტო დანიშნულებაც გააჩნია) მისი იატაკი პირდაპირაა მიწაზე გამართული და თიხატკეპნილია.

სხვა მდგომარეობაა საცხოვრებელი სახლების დაგეგმარებისას, სადაც სახლის საძირკვლის ერთი კიდე ჩამოდებულია ფერდობზე, ხოლო მოპირდაპირე მხარე კვადრატული ხის ფორმის ძელებისაგან შედგენილ (1X1 მ-ზე) – ხიმინჯებზე.

ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტით იმდროინდელმა მშენებლებმა მოახერხეს როგორც ნაგებობის (ბუნებრივი პირობებს გათვალისწინებით) ნიველირება, ასევე, სიმშრალის დაცვა. ჭარბწყლიანობის დროს სახლი მშვენივრადაა ქვემოდან დაცული და კარგ ამინდში დატოვებული აქვს საჰაერო, რომელიც იძლევა იატაკის და, საერთოდ, მთელი შენობის სინოტივისაგან დაცვის საშუალებას. ეს კონსტრუქციული ელემენტი შემთხვევით აღმოვაჩინეთ, როდესაც ეთნოგრაფმა ჯ.მიქელაძემ მოგვცა საშუალება გავცნობოდით მის მიერ აჭარის ტერიტორიაზე შესწავლილ ხის არქიტექტურასთან დაკავშირებულ მასალებს.

ასეთი ტიპის ჯარგვალები დღესაც გვხდება აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. გაოცებას იწვევს მხოლოდ ერთი გარემოება, თუ რაოდენ დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება იარსებოს ადამიანის მიერ უკვე აპრობირებულმა, ტექნიკურად გამართლებულმა არქიტექტურულმა დეტალმა. ჩვენი აზრით, ხიმინჯის ასეთი ტიპი უზადოა, რადგან ის უფრო მყარია, ვიდრე ცალკე აღებული ხის ან ქვის ბოძი და მდგრადია, თუ გავითვალისწინებთ კოლხეთის ჭაობიან გრუნტს. რაც შეეხება იატაკს, სანამ საძირკველს მივაღწევდით, მოვხსენით ხის ძელები და გადაწითლებული ბათქაში, რომელიც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას,

რომ აქ შესაძლებელი იქნებოდა გამართულიყო შუაცეცხლი (როგორც ზემოთ ვახსენეთ იატაკის დონეზე აღმოვაჩინეთ რამდენიმე მოზრდილი გრანიტის ქვა). ასეთი იატაკი ზამთარში დიდხანს შეინარჩუნებდა სითბოს.

არანაკლები პრობლემები ჰქონდა იმდროინდელ ადამიანს საკვები პროდუქტის ხანგრძლივად შენახვის მხრივაც. პირველ რიგში, ჭარბწყლიანობისა და სინოტივისაგან თავდაცვის მიზნით შეიქმნა ბეღლის (ნალიის) ისეთი კონსტრუქციული ტიპი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (თითქმის უცვლელად). როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ჭირნახული, კერძოდ, მარცვლეული, ორმოებში შეენახათ. რაც შეეხება კოლხეთს, ჭაობიანი გეოკლიმატური პირობები ამ მხრივ ზღუდავდა იმდროინდელ მეურნეს. მოსაზრება (ხახუტაიშვილი,1986: 53), რომ, თითქოს, დიდი ზომის ჭურჭელში ხდებოდა მარცვლეული კულტურების შენახვა, მცდარი გვეჩვენება, თუნდაც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჭარბი სინოტივის პირობებში ისინი მალევე დაიწყებდნენ ლპობას.

სწორედ ნალიის ორგოს აღმოჩენის ფაქტია სათავე იმ დებულებისა, რომელიც ეჭვგარეშე ადასტურებს, რომ II ათასწლეულის მიწურულს მოსახლეობა ძველ კოლხეთში მარცვლეულსა და სხვა სახის ჭირნახულს აბინავებს ჯარგვალური ტიპის, ხიმინჯებზე შემოდგმულ ბეღელში. ამასთან დაკავშირებით, მინდა მოვიშველიო ცნობილი ეთნოგრაფის თ.ჩიქოვანის მოსაზრება: „საველე კვლევა-ძიებისას, ეთნოგრაფიული იქნება ის თუ არქეოლოგიური, არცთუ იშვიათად, სათანადო ყურადღების გარეშე რჩება, ხოლმე, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრის მთქმელი, მაგრამ ფაქტიურად შემდეგში უკვე მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული ელემენტი. სწორედ ასეთი ვითარების გამოა საჭირო, რომ ერთნაირად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკვლევ ობიექტში არსებულ ყველა ელემენტს, რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი. ეს იმიტომ, რომ მატერიალური სახით ჩვენამდე მოღწეული რაიმე მოვლენისა თუ ნივთის გენეზისის, ანდა მათი ეთნოკულტურული წარმომავლობის გარკვევისას, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო დეტალი უფრო საყურადღებო ინფორმაციის შემცველია, ვიდრე ეს დიდ, თვალსაჩინოს შეუძლია მოგვცეს“ (ჩიქოვანი, 1989: 4). სავსებით ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, რისი დასტურიც ზემოთ დასახელებული არქიტექტურული დეტალებია, რომელთა აღმოჩენამაც ახალი სიტყვა თქვა კოლხური არქიტექტურის სათავეების კვლევა-ძიების საქმეში.

ცალკე ყურადღების ღირსია „ნამჭედურის VI“ ფენაში აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთები (ტაბ. III/1). ეს ნაგებობა საკმაოდ მოზრდილია, სამშენებლო ტექნიკა აქაც ტრადიციულია. ძელების თავები ჩაჭდევა-ჩაბოყვით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ნაგებობა ზემოდან გამომწვარი ბათქაშის სქელი პლასტით იყო დაფარული. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ ძეგლის გამთხრელების (Микеладзе, Хахутаишвили, 1985: 23) მოსაზრებას, თითქოს ეს ნაგებობა შედგებოდეს 9 ოთახისაგან, იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ გამოვლენილი ნაგებობის საძი-

რკველი 9 ნაწილადაა დაყოფილი. ეს დანაყოფები იმდენად ვიწროა, რომ მათ რაიმე პრაქტიკულ გამოყენებაზე საუბარი ზედმეტია. გაურკვეველია, აგრეთვე, საცხოვრებელი იყო ეს ნაგებობა თუ სხვა დანიშნულების სათავსო. ის მასალა, რომელიც გათხრების პროცესში იქნა მოპოვებული, უფრო პირველზე მიუთითებს. მიუხედავად გვიანბრინჯაოს ხანისა, საზოგადოება ამ პერიოდისათვის საკმაოდ მაღალგანვითარებულია. თუ მხედველობაში მივიღებთ პატრიარქალურ ოჯახს, მას ერთიანი სივრცის მოთხოვნილება უფრო აქვს, ვიდრე მისი ოთახებად დაყოფისა. ასეთი ტიპის ჯარგვალები გვიანობამდე შემორჩა კოლხეთში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს საძირკვლის ბადისებურ დაგეგმარებასთან. ერთმანეთთან ჭდევით შესრულებული დანაყოფები სამშენებლო ტექნიკურ ელემენტს წარმოადგენს, რათა მასზე აღმართული შენობა სრულყოფილი და მდგრადი ყოფილიყო. იატაკის ასე მოწყობის ტექნიკა შემდგომ ეპოქებშიც ხშირად გვხდება ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე.

ნაგებობათა კედლები – ძირითადად, ორი სახისაა:

1. აქ მთავარია ჯარგვალური ტექნიკით, გათლილი მორებით ამოყვანილი კედლები, რომელთა შორის დარჩენილი ღრიჭოები შევსებულია თიხით. ვიტრივიუსი განსაკუთრებით ამახვილებს ამ ფაქტზე ყურადღებას: „შემდეგ, ოთხივე მხარეს, კუთხეებში შეუღლებული ძელების თანდათანობით დაშენებით ამოყავთ ძირითადი შვეული კედლები და აგებენ სახლს. ძელებს შორის დარჩენილ სივრცეს ნაფოტებითა და ტალახით ამოავსებენ (სუმბაძე, 1945: 497-498). ამიტომაც ვპოულობთ, სახლების გათხრების პროცესში, ძელებთან ერთად გადამწვარ ბათქაშს, რაც ეჭვგარეშეა, კედლებს წარმოადგენს. ესაა პირველი უტყუარი საბუთი იმისა, რომ აქ საცხოვრებელ სახლთან უნდა გვქონდეს საქმე. არც სახელოსნოსა და არც ბეღლის ნარჩენების გათხრების დროს, ბათქაშოვანი პლასტები არ დაგვიფიქსირებია. აქვე დავძენთ, რომ ბეღელს დღესაც ხელოვნურად უტოვებენ ღრიჭოებს, რათა მოხდეს მარცვლეულის განიავება და დაიცვან ჭირნახული დაობებისაგან.

2. წნელებისაგან ამოყვანილი კედლები. ის, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა დამხმარე სათავსების შენების დროს (წვრილფეხა საქონლის, ფრინველის შესარეკი ადგილი და სხვა), რომელთა ნაშთები, არცთუ იშაიათად, გვხდება ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გათხრების დროს.

გადახურვის ტექნიკა – ყველაზე რთულია გადახურვის ტექნიკის კვლევა, რადგანაც, ფაქტიურად, არქეოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია. აქ მხოლოდ ეთნოგრაფიული მასალების მოშველიება თუ გამოგვადგება. პროფესორ თ.ჩიქოვანის გამოკვლევით, შენობის გადასახურავ მასალას ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მიხედვით არჩევდნენ. ნაკლებად წვიმიან ადგილებში ყავარს ენიჭებოდა უპირატესობა (აჭარის მთიანეთი). კოლხეთის დაბლობში, ეთნოგ-

რაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდში, შენობის დასაბურავად, ძირითადად, ისლი გამოიყენებოდა (ჩიქოვანი,1989: 65). „ისლი ჯერ კონებად უნდა შეკრულიყო, რომელსაც შემდეგ ფენა-ფენად აწყობდნენ და ამაგრებდნენ სახურავის კარკასზე. ამგვარად დაბურული ისლის სახურავის სისქე 20-25 სმ-ს აღწევდა. კერიდან ასული ბოლისა და წვიმის ერთობლივი ზემოქმედების შედეგად ისლის ზედაპირზე მუქი ლურჯი თხელი აპკი წარმოიქმნებოდა. აპკი, დროთა განმავლობაში, თანდათანობით სქელდებოდა და სახურავიც უფრო წყალგაუმტარი ხდებოდა. ამგვარად დაკონსერვებული ისლის სახურავი 50-60 წელს ძლებდა. ჯარგვალური სახლი, როგორც წესი, უჭერო და აქედან გამომდინარე, უსხვენო ნაგებობა იყო (ჩიქოვანი, 1989: 69).

არქიტექტორი გ.ლეჟავა მორულ ნაგებობებში გადახურვის ორ სისტემას გამოჰყოფს: ცენტრალურგუმბათოვანს და ორფერდას. მისი ვარაუდით, კოლხურ კოშკებს პირამიდული, ცენტრალურგუმბათოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. მის მიერ დახასიათებულ, სვანეთში აღმოჩენილ ხის მორული ნაგებობის ოქროს მოდელს, რომელიც ძვ.წ-III-II საუკუნეებს მიეკუთვნება, ღია ფრონტონებიანი ორფერდა სახურავი აქვს (ლეჟავა, 1979: 9). ასეთივე ორფერდა გადახურვა აქვს კასპის რაიონის სოფ.გამდლისწყაროში აღმოჩენილ ნივთს, რომელსაც კოლხური წარმომავლობა აქვს.

ვიტრუვიუსი დაწვრილებით აღწერს კოლხური სახლის სახურავს: „ასევე (აგებენ) სახურავებსაც, კედლის ნაპირიდან დაცილებით გასდებენ რა გასაყრებს, რომლებიც ზევითკენ ოთხივე მხრიდან თანდათანობით მოკლდება (ნაგებობის) შუისკენ, ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფათხებითა და მიწითაა დახურული და წარმოადგენს ბარბაროსთათვის ესოდენ ჩვეულებრივ კუსმაგვარ სახურავებს“ (წიგნი II).

ჩვენ მიერ შესწავლილი საცხოვრებელი ნაგებობანი ერთელემენტიან ჯარგვალს უნდა წარმოადგენდნენ. ერთოთახიანი ძელური სახლი, ინტერიერის გეგმის სიმარტივის გამო, ყველა სხვა ძელურ სახლთან შედარებით მარტივი და არქაულია. ეთნოგრაფიულად შესწავლილი ასეთი ტიპის სახლების ზომები თითქმის იდენტურია არქეოლოგიური აღმოჩენებისა (ჩიქოვანი, 1989: 70). ოთხკუთხოვანი გეგმარების გარდა, ერთოთახიანი ჯარგვალი ხასიათდება თიხატკეპნილი იატაკით, შუაცეცხლით – კერიით, ცალყურა კარით და ერთი პატარა სარკმლით, რომელიც გრძივ კედელში იყო ამოჭრილი. ამასთანავე, კერის თავზე გამართული იყო ლასტებმოფენილი აყარი, თავისი ქვაბსაკიდი ჯაჭვით. რაც შეეხება სახურავს, როგორც ვიცით, იგი ორფერდა იყო.

საყურადღებოდ მიგვაჩნია პროფესორ თ.ჩიქოვანის მიერ აღწერილი ერთელემენტიანი ჯარგვალის შიგა ფართის აღწერილობა. ამ აღწერილობაში კარგად ჩანს ოჯახის ეკონომიკური პოტენციალი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რამდენ ოჯახის წევრს შეეძლო ასეთ სახლში ცხოვრება. მიგვაჩნია, რომ ეს მო-

ნაცემები საინტერესოა მოსახლეობის რაოდენობის საერთო სტატისტიკური მონაცემების მიახლოებითი მაჩვენებლის დადგენისას. მის მიერ აღწერილი ჯარგვალი ტიპურია მთელი კოლხეთის დაბლობისათვის. ნაგებობა გეგმაზე ოთხკუთხოვანი მოყვანილობისაა. სამოსახლო ადგილის მაგარი გრუნტის გამო, იატაკი ჩვეულებრივ სახეს ატარებდა – თიხატკეპნილი იყო. თიხის ცენტრში არსებულ კერას ერთმანეთის პარალელურად დაწყობილი ორი ცეცხლგამძლე და კუთხური ქვის ბლოკი ქმნიდა.

ყველა სახის ჯარგვალში არსებულ კერას, ისევე, როგორც სხვა ტიპის მიწურიატაკიან სახლებში, მეტად მნიშვნელოვანი სამეურნეო, საოჯახო და რელიგიური ფუნქციები ჰქონდა მინიჭებული. ოთახის გასანათებლად ღამე ჭრაქი გამოიყენებოდა, დღისით კი გრძივ კედელში დატანებული სარკმელი. სარკმელი, უპირატესად, აღმოსავლეთის კედელში იყო დატანებული. ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ ალიონი არ გამოპარვოდა ოჯახს.

ჯარგვლის შიგა სივრცეში, კარიდან მარცხენა მხარეს, გრძივი კედლის გასწვრივ იდგა საკმაოდ დიდი ფართის მქონე ტახტი, რომელიც თავით პირდაპირ განივ კედელზე იყო მიდგმული. მას მუდამ შინ ნაქსოვი ფარდაგი ეფარა. ტახტის ერთ კუთხეში ეწყო აკეცილი ლოგინი. ეს ტახტი წარმოადგენდა ოჯახის მთავარ საწოლს. იქ იძინებდა ოჯახის უფროსი და მოზრდილი თაობა. თუ სახლში სხვა საქორწილო წყვილიც იყო, მაშინ ოთახის ბოლოში ერთ პატარა ტახტსაც დგამდნენ. ორივე საწოლზე დაახლოებით ექვსი-შვიდი სული თუ მოთავსდებოდა. ერთელემენტიანი ჯარგვალი მცირერიცხოვანი ოჯახის საცხოვრებლად ითვლებოდა. ტახტის ბოლოში მდგარი საოჯახო ნივთებისა და ტანსაცმლის შესანახი სკივრის გვერდით, კედელზე, მიმაგრებული იყო საჯამჭურჭლე თაროები. თაროების ქვეშ გამართული მცირე ფიცარნაგი „საწყლეს“ წარმოადგენდა (საწყლე ჭურჭელი; დორა, ჩაფი, დოქი). პატარა საფქვილე კიდობნის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო პროდუქტების შესანახი თიხის ჭურჭლეული (სხვადასხვა ტევადობის ქოთნები). ამგვარ ჭურჭლეულში ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი ცხიმი, ყველი, მწნილი და ზოგიერთი სხვა პროდუქტი (ჩიქოვანი, 1989: 73). ამ ეთნოგრაფიული მასალის მოყვანა დაგვჭირდა იმისათვის, რომ მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეგვექმნოდა საცხოვრებლის შიგა ინტერიერის მოწყობის შესახებ. როგორც ვხედავთ, ყოველი კუთხე-კუნჭული მაქსიმალურადაა ათვისებული. ოჯახის წევრები, შეიძლება, ჩვენს საკვლევ ეპოქაში ოდნავ მეტი იყო, მაგრამ არცთუ შესამჩნევად. კოლხური სამოსახლოს დაგეგმარება იცვლებოდა მატერიალური დოვლათის ზრდასთან ერთად. ნამატი პროდუქტის დაგროვებამ, კულტურულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლამ, გამოიწვია კარ-მიდამოს გაფართოება და დამხმარე სათავსების საკარმიდამოზე (ბოსელი, წვრილფეხა პირუტყვის შესარეკი, ბეღელი და სხვ.) მიზნობრივად გადანაწილება. ჩვენი აზრით, კოლხეთის დაბლობში ეს პროცესები გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ი.ადამია, ხალხური ხუროთმოძვრების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილას ზემოდინების ხეობაში, მაცნე, XII. თბ., 1967

ე.გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982

დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ., 1976

გ.ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979

თ.მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, თბ., 1967

დ.მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978

ლ.სუმბაძე, კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვიის მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე,“ ტ. VI, თბ., 1945

გ.ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981

თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქარველოს შესახებ, თბ., 1965

ნ. ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ადრერკინის ხანაში, თბ., 1986

თ. ჩიქოვანი, ეთნოარქეოლოგიური ეტიუდები, თბ., 1989

Витрувий, Десять книг об архитектуре, перевод Ф.А.Петровского. М, 1936

Кавтарадзе Г.К, хронологии эпохи енеодита и бронзы Грузии, Тб., 1983

Г. Лежава, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта, მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971

Микеладзе Т. К., Барамидзе М. В., О некоторых итогах полевых иследований в колхидской низменности в зонах новостроек, В сб. Археологические исследования на новостроиках Грузинской ССР. Тб., 1976, таб. XVI;

Микеладзе Т. К., Хахутаишвили Д. А., Древнеколхидское поселение Намчедури, Тб., 1985

Микеладзе Т. К., археологии Колхиды, Тб.,1990

Урушадзе. Н., Древнегрузинское класическое искусство, Тб., 1988

Irakli Chavleishvili

DWELLING HOUSES AND CONSTRUCTION TECHNIQUES OF SOUTH-WESTERN GEORGIA IN THE 2ND-1ST MILLENNIUM BC

Greek and Roman authors (Xenophon, Vitruvius, Priscian, Hippocrates and others) provide us with numerous information about the dwellings of Colchis. However, these reports are so scarce that it is difficult to make any specific general opinion. The point is that scholars do not always agree on the interpretation of these written sources. However, the preserved reports allow us to imagine at least an approximate picture when compared with the archaeological data. Actually, these references are from a much later period than our research period, but the types of settlement, housing, agricultural and other types of auxiliary buildings in Colchis have preserved traces of continuous connection with archaic traditions.

In this regard, we may consider the settlement located at the confluence of Choloki and Ochkhamuri as an example of this. There are a lot of small artificial clay hills gathered around the central inhabited hill of Namcheduri. They are located on both sides of the Ochkhamuri and Choloki rivers. This is a classic example of how the information about the settlement of Colchis is conveyed in the written source that has come down to us. The paper discusses settlement system and courtyard, construction system and construction techniques, residential and agricultural buildings, building planning, floor structure, walls of buildings, roofing technology.

ტაბულების აღწერილობა:

I. 1. მდ. ჩოლოქ-ოჩხამურის შესართავი; 2. მდ. ჩოლოქი

II. 1. მდ. ოჩხამური; 2. კოლხური დასახლების რეკონსტრუქცია (მხატვარი ა.ჯაველიძე)

III. 1. ნამჭედური II გათხრების საერთო ხედი; 2. ნამჭედური I-ის VI კულტურულ ფენაში დაფიქსირებული სახლის გეგმა

IV. 1. ჩოლოქისპირა ნამოსახლარის გათხრების საერთო ხედი; 2. ლითონსამსხმელო სახელოსნოს გეგმა

V. 1. ნამჭედური I. გეგმა; 2. ლითონსამსხმელო სახელოსნისა და ღობის რეკონსტრუქცია (მხატვარი ა.ჯაველიძე)

VI. ლითონსამსხმელო სახელოსნოს ე.წ. საზედაშე ორმო; 2. სოფ. გამდლისწყაროს განძის საკულტო ნივთი. ადამიანთა და ცხოველთა ფიგურებით გადმოცემული რიტუალური სცენით. ძვ.წ. I ათასწლეული

VII. 1. ჩოლოქისპირა ნამოსახლარი. IV კულტურული ფენის სახლის გეგმა; 2. გათხრების საერთო ხედი

VIII. ზემო აჭარის საცხოვრებელი სახლის ხიმინჯებზე აღმართვის სამშენებლო ტექნიკა

IX. 1. ნალიის გეგმა; 2. ნალიის ორგი

X. 1. ნალია. გურია. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო; 2. ლაზური ნალიის ორგო

XI. 1. ქრისტოფორო კასტელის მიერ დახატული მეგრული კარ-მიდამო; 2. ნალია. გურია (მხატვარი ა.გიგოშვილი. 1904 წ)

XII. 1. სამოსახლო. სამეგრელი (მხატვარი ა.გიგოშვილი); 2. სამზარეულო სახლი. ინტერიერი (მხატვარი ა.გიგოშვილი)

XIII. გურული სამოსახლო. XX საუკუნის დასაწყისი

XIV. 1. ჯარგვალური სახლი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თხილნარი. (ფოტო ი.დუმბაძე)

XV. 1. წნული თიხით შელესილი მარანი. გურია სოფ. ბაღდათი (ფოტო ზ.ბაუჟაძე); 2. აჭარული სამოსახლო. ქობულეთი, სოფ. ლეღვა



1



2



1



2



1




2




1



2



1



2



1




2




1



2




1


ოთხკუთხა ფორმის
ბურჯი – კორკომელი
ძირა კოჭის ხეები
საფუძველი – ბინა
საძირკველი

2



1



2




1



2




1



2



1



2



1



2



1



2



1



2

გიორგი თავამაიშვილი

საქართველოს ზღვისპირეთის დიუნური სადგომები (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი)

საქართველოს ზღვისპირა ზოლი არქეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი, რაც ქართველ არქეოლოგთა არაერთი თაობის დამსახურებაა. მრავალწლიანი და გეგმაზომიერი კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა ლოკალურ ჩარჩოებს და ძველი ცივილიზაციების მკვლევართა ყურადღების არეალში მოექცა.

ძველი კოლხეთის მკვიდრთა სამეურნეო და სულიერი ცხოვრების გააზრებისთვის, საინტერესო ინფორმაციის შემცველია ახალშავზღვური ტერასის ქვიშაზვინულებზე მიკვლეული ნამოსახლარები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში დიუნური სადგომების[7] სახელითაა ცნობილი. სამწუხაროდ, აღნიშნულმა ძეგლებმა, ზღვასთან სიახლოვის თუ ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ამ ვითარებამ განაპირობა სადგომების ხასიათთან დაკავშირებული მოსაზრებების განსხვავებული და, მეტწილად, ჰიპოთეტური ხასიათი.

ახალშავზღვური ტერასა ერთ-ერთ ყველაზე კარგად შემორჩენილ ტერასაა. მისი წარმოქმნის დრო ჰოლოცენის გეოლოგიურ ეპოქას უკავშირდება. ტერასა მთელი შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივაა გავრცელებული,[8] გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის ადგილები, სადაც კონცხის ფუძისეული ჯიშები უშუალოდ შეჭრილია ზღვაში. ტერასა კარგად არის განვითარებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც მისი აბსოლუტური სიმაღლე შეადგენს 4-5 მეტრს. ტერასას ზემოდან აძევს ახალგაზრდა, ნაკლები სიმაღლის, ქვიშაზვინულები.[9] ფიჭვნარში გამოიყოფა ქვიშაზვინულების ორი რიგი: პირველი, შედარებით დაბალი, რომელიც ფიქსირდება მთელი სანაპიროს გასწვრივ 3-5 მეტრის სიმაღლეზე, მეორე, უფრო მაღალი, ვრცელდება აღმოსავლეთით 5-6 მეტრის სიმაღლეზე.

[7] „დიუნური სადგომები“-ს სახელის დამკვიდრება სამეცნიერო ლიტერატურაში მიუნიშნებს, რომ აქ არა ტიპურ ნამოსახლარებთან, არამედ დროებით (სეზონურ) სადგომებთან გვაქვს საქმე.

[8] ახალშავზღვური ტერასა ფიქსირდება კავკასიის სანაპიროზე, ყირიმში, აზოვის ზღვის სანაპიროზე, უკრაინის სამხრეთ ნაწილში, ბულგარეთის და რუმინეთის სანაპირო ზოლში (Мамаладзе, 1975). ტერასის ფხვიერ გრუნტზე ქარის მოქმედების შედეგად იქმნება ქვიშაზვინულები (დიუნები).

[9] მათ ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მცენარეული საფარისგან გაუმაგრებელი ქვიშების მასების არსებობა, ასევე განმეორებადი ქარების მოქმედება ზღვიდან სანაპიროს მიმართულებით (Леонтьев, 1955: 190).

უშუალოდ ქალაქი ქობულეთი განთავსებულია 4-5 მეტრის სიმაღლის ახალშავზღვურ ტერასაზე. ტერასა, რომელიც ფიჭვნარში შედარებით ფართოა, ციხისძირის მიმართულებით ვიწროვდება. ის განვითარებული ჩანს კვირიკეში, ბუკნარსა და მწვანე კონცხზე. ბათუმის მიმართულებით ტერასა თანდათანობით ვიწროვდება. გონიოსა და სარფის ტერიტორიაზე ის შედარებით მკრთალადაა გამოხატული.

დიუნური სადგომების შესწავლის ისტორია. 1934 წელს გეოლოგმა ლ. სოლოვიოვმა, ქალაქ სოხუმის გარეუბან „წითელ შუქურასთან“ ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე მიაკვლია მანამდე უცნობ კერამიკას, რომელიც ყურადღებას იპყრობდა მორგვის გარეშე გამოძერწვის არქაული ფორმითა და გარე ზედაპირზე ქსოვილის ანაბეჭდებით. ცნობა ამ აღმოჩენების შესახებ 1937 წელს გამოქვეყნდა (Иессен, 1937: 251-252). წერილის ავტორმა ა. იესენმა, ლ. სოლოვიოვთან ერთად, ხელმეორედ დაზვერა აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორია[10]. შემაჯამებელ ნაშრომში ლ. სოლოვიოვმა ქვიშაზვინულებზე მიკვლეული ნამოსახლარები, ქსოვილისანაბეჭდიანი და ამ ტიპის ჭურჭლების თანმხლები საყოფაცხოვრებო კერამიკის საფუძველზე, ყობანური და ყობანურის ზედა ფენების პერიოდით (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისი) დაათარიღა.[11] ლ. სოლოვიოვმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ნამოსახლარები ფიქსირდება უშუალოდ ზღვასთან სიახლოვეში, ხოლო კულტურული ნაშთები წარმოდგენილია არა უწყვეტი ფენის, არამედ უხეშად ნაძერწი კერამიკით გაჯერებული ცალკეული ბუდეების სახით.

ოჩამჩირის ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილი ნამოსახლარების სპეციფიკურ ხასიათს ხაზი გაუსვა ბ. კუფტინმა (Куфтин, 1950: 274). მოგვიანოდ, დასახლება „წითელ შუქურასთან“ გათხრები ჩაატარა მ. ტრაპშმა. ძეგლზე დაფიქსირდა 0,25 მეტრის სიმძლავრის კულტურული ფენა, რამდენიმე ადგილას კი ინტენსიური ცეცხლის კვალის შემცველი ორმოები, სადაც ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკა იყო ჩაზავებული. მ. ტრაპშმა სადგომი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დაათარიღა (Трапш, 1958: 185).

1950 წელს ურეკის ქვიშაზვინულებზე, სოფ. გრიგოლეთთან ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრების საფუძველზე, ოთ. ჯაფარიძემ ურეკის ნამოსახლარი წინა ელინისტური ხანით დაათარიღა (ჯაფარიძე, 1950: 118-121). ურეკში გათხრები გააგრძელა ნ. ხოშტარიამ, რომელმაც მიუთითა, რომ კერამიკული მასალა სადგომებზე ჰორიზონტალურად კი არ არის განლაგებული, არამედ რკალისებურად მი-

[10] მოქვი, მაჭარა, სოხუმი, ვერეშაგინის ბორცვი, ახალი ათონი, მდინარე ფსირცხა (Соловьев,1947).

[11] მათ შორის: მაჭარის ნამოსახლარი – ძვ.წ. X-IX საუკუნეები, მოქვის ნამოსახლარი – ძვ.წ. VIII-VI, ოჩამჩირის ნამოსახლარი – ძვ.წ. VII-VI საუკუნეები, სოხუმის ნამოსახლარი – ძვ.წ. VII-V საუკუნეები (Соловьев, 1950: 265-286).

უყვება დიუნის კონფიგურაციას. საყოფაცხოვრებო კერამიკის ანალიზის საფუძველზე, მკვლევარმა ზღვისპირა ნამოსახლარები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო და I ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა, თუმცა, შესაძლებლად მიიჩნია უფრო ადრეული ფენების არსებობის შესაძლებლობა (Хоштариа, 1955: 25-75).

ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით 1953 და 1956 წლებში შედარებით მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა ქობულეთ-ფიჭვნარში. სხვა ძეგლებთან ერთად შეისწავლეს ზღვისპირა სადგომის ნაშთები, რომელიც მკვლევარმა ძვ. წ. II ათასწლეულით დაათარიღა (Хоштариа, 1957).

საქართველოს ზღვისპირა დიუნებზე ადრეულ ეტაპზე ჩატარებული საძიებო სამუშაოები (აფხაზეთში, გურიაში, აჭარაში) მცირე მასშტაბის იყო. ისინი, ფაქტობრივად, დაზვერვით ხასიათს ატარებდა. ამიტომ, არქეოლოგებმა ვერ შეძლეს სადგომებზე რაიმე ტიპის კომპლექსების დაფიქსირება (რამიშვილი, 1972: 140).[12] თუმცა, უკლებლივ ყველა მკვლევარი მიუთითებდა ცეცხლის კვალზე, სპეციფიკურ ქსოვილისანაბეჭდიან ჭურჭლებზე, რქისებრშვერილიან სადგრებზე, თიხის ფილებსა და ტიპურ საყოფაცხოვრებო კერამიკაზე.

ასეთი გახლავთ მოკლე ისტორია არქეოლოგიური სამუშაოებისა, რომელიც საქართველოს ზღვისპირეთში მიკვლეული სადგომების შესწავლის საწყის ეტაპს უკავშირდება. ინფორმაცია, ზღვისპირა ზოლში სხვადასხვა ეპოქის ძეგლების გათხრების დროს ქსოვილისანაბეჭდიანი კერამიკის ან რქისებრშვერილიანი სადგრების აღმოჩენის შესახებ, პერიოდულად ჩნდებოდა არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშებში.

XX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ზღვისპირა ქვიშაზვინულების გეგმაზომიერი შესწავლა და ის ფიჭვნარის დიუნურ სადგომს უკავშირდება. ეს იყო პირველი, მეტ-ნაკლებად მასშტაბური, გათხრები საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე. შეიძლება ითქვას, რომ იმ გამოცდილებამ, რომელიც დაგროვდა ფიჭვნარის დიუნური სადგომის გათხრების შედეგად, შექმნა მყარი მეთოდოლოგიური საფუძველი ანალოგიური ტიპის ძეგლების შესწავლისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ბობოყვათის ქვიშაზვინულებზე ჩატარებულ სამუშაოებს. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბობოყვათის დიუნურ სადგომზე მოპოვებულმა მასალამ საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა დიუნურ სადგომებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.[13]

---

[12] მაგალითად, ნ. ხოშტარიამ ურეკის დიუნაზე მიაკვლია რქისებრი სადგრებისგან შედგენილ ნაგებობას, მაგრამ იმდენად დაზიანებულს, რომ თავი შეიკავა ნაგებობის ხასიათის განსაზღვრისაგან და მიუთითა მხოლოდ, როგორც „რთულ ნაგებობაზე“ (Хоштариа, 1955: 18).

[13] მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა ურეკის, ციხისძირის, ჩაქვის და გონიოს ქვიშაზვინულებზე. აქ აღ-მოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ფაქტობრივად, ერთგვაროვანია და, ძირითადად, კერამიკით არის წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენს ციხისძირის დიუნური სადგომი, სადაც აღმოჩნდა ორიგინალური კონსტრუქციის სამსხვერპლო, რომლის თაობაზე კიდევ ვისაუბრებთ.

ფიჭვნარის დიუნური სადგომი. ფიჭვნარის დიუნური სადგომი ყველაზე კარგად შესწავლილ ანალოგიური ტიპის ძეგლებს განეკუთვნება. ტერიტორიულად, სადგომი მდებარეობს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის დაშორებით. სადგომის ნაშთები განფენილია 2 კმ-ს მანძილზე. XX საუკუნის 60-იან წლებში შესწავლილი იქნა 1800 მ^2 ფართობი.[14] მის გაგრძელებაზე, ჩრდილოეთით, გარკვეული მოცულობის სამუშაოები ჩატარდა 2010 წელსაც.[15] გათხრების პროცესში გამოიკვეთა 6 კულტურული ფენა, რომლებიც ერთმანეთისგან სტერილური შრეებით იყო გამოყოფილი. თითოეულ ფენაში რამდენიმე დონე დადასტურდა. ყველაზე ადრეული მასალის შემცველი ქვედა ფენა თანამედროვე ზედაპირიდან 7,5 მეტრის სიღრმეზე იყო დაფიქსირებული (Рамишвили, 1975: 138). ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე, ძეგლის მდგომარეობიდან გამომდინარე, შედარებით სრულყოფილად მოხერხდა მხოლოდ ზედა, I-II ფენის შესწავლა, სადაც ნაგებობათა ნაშთები და სამსხვერპლოები იყო აღმოჩენილი. ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების კულტურულ ფენებში (ზოგ შემთხვევაში ერთ ფენაში) პირველად დაფიქსირდა, ერთი მხრივ, ანტიკური ხანის, ხოლო მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში წინა ანტიკურ პერიოდში გავრცელებული თიხის ჭურჭლების ფორმების და შემკულობის თანაარსებობის ფაქტი (რამიშვილი, 1974: 108). ფიჭვნარის დიუნური სადგომის III და IV ფენებს შორის გამოიკვეთა ზღვის მიმართულებით დამხრობილი კენჭებისგან შედგენილი შრე, რომელიც ბუნებრივი (ზღვური) წარმოშობის აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ზღვა იმდენად ახლოს იყო ნაპირთან, რომ დროდადრო ტალღები სადგომზე გადმოდიოდა კიდეც. ეს დეტალი (სადგომისთვის ადგილის ზღვის ნაპირთან შერჩევა) საგულისხმოა და, პირდაპირ თუ ირიბად, სადგომების ფუნქციონალურ დანიშნულებასთან არის დაკავშირებული.

ბობოყვათის დიუნური სადგომი. ბობოყვათის დიუნური სადგომი მდებარეობს ქობულეთში, სოფ. ბობოყვათის ტერიტორიაზე, ზღვის თანამედროვე ნაპირიდან 200-250 მეტრის დაშორებით. სადგომს ჩრდილოეთით საზღვრავს მდ. დეხვას ძველი კალაპოტი, აღმოსავლეთით – ბათუმი-თბილისის საავტომობილო ტრასა, სამხრეთით სადგომის საზღვრები დადგენილი არ არის. ბობოყვათის დიუნაზე

[14] 1961-64 წლებში შესწავლილი იყო 1500 მ^2, ხოლო 1965-67 წლებში 300 მ^2.

[15] 2010 წელს ფიჭვნარის დიუნაზე გათხრები ჩატარდა ფორს-მაჟორულ სიტუაციაში. მშენებლებმა, კონკრეტულ უბანზე, სასტუმროების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, მძიმე ტექნიკის გამოყენებით, ფაქტობრივად, ნიველირება მოახდინეს 20 ათასი მ2 ფართობის. ზამთარში (ნოემბერ-დეკემბერი), არ-ქეოლოგიური სამუშაოებისთვის არასახარბიელო პირობებში, ბათუმის არქეოლოგის მუზეუმის თანამ-შრომლების და მათი კოლეგების დიდი მონდომების შედეგად, მოხერხდა ძეგლის გარკვეული მონაკვეთის შესწავლა და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტების (მათ შორის სამსხვერპლოების) გადარჩენა (კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013: 8).

ვრცელი ტერიტორიის შესწავლა მოხერხდა. ჰუმუსოვანი ფენა მოიხსნა 12 ათასი მ^2 ფართობზე. დიუნური სადგომის ნაშთები დადასტურდა აღნიშნული ფართობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. დეხვას ზღვასთან შეერთების ადგილას. ზღვის მიმართულებით დაქანებული ფერდი, დღევანდელ ჰორიზონტამდე, შევსებული იყო ზღვის ტალღების მოქმედებით დაფენილი ქვიშაქვით. საწინააღმდეგო მიმართულებით ფენები შემდეგი თანმიმდევრობით იყო განლაგებული: I – ქარის მოქმედებით წარმოქმნილი მკვრივი შავი ფენა, რომელშიც გვიანი შუასაუკუნეების და თანამედროვე მასალა ერთმანეთში იყო არეული; II – ელინისტური ხანის მასალების შემცველი ფენა; III – სილნარი, თითქმის სტერილური ფენა და IV – დიუნური მასალის შემცველი მოწითალო – მოშავო ქვიშნარი ფენა. ბობოყვათის დიუნური სადგომი ერთფენიანი ძეგლია (ჩაქვის სადგომის მსგავსად). აღნიშნულ კულტურულ ფენაში დონეების გამოყოფა ვერ მოხერხდა.

ზღვისპირა სადგომებზე ადრე ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანალიზის კვალობაზე, ფაქტობრივად, გამოირიცხა ამ ტიპის ძეგლებზე კაპიტალური ნაგებობების არსებობის ვარაუდი. დიუნური სადგომის სპეციფიკური კონფიგურაციიდან გამომდინარე, მცირე მასშტაბის საძიებო სამუშაოებით, ცალკე, ან ერთმანეთთან დაკავშირებული კომპლექსების მიკვლევის ალბათობაც დაბალი იყო. მხოლოდ, გათხრების მეთოდოლოგიის დახვეწის შემდეგ, შესაძლებელი გახდა საკულტო-სარიტუალო ადგილების – სამსხვერპლოების და ოვალური ფორმის მოშავო-მოწითალო ფერის მოედნების მიკვლევა. ეს უკანასკნელი სათავსოს ან დროებითი საცხოვრებლის ნაშთად იყო მიჩნეული.

დროებითი საცხოვრებელი ნაგებობები. როგორც აღვნიშნეთ, ზღვისპირა დიუნური სადგომებისთვის კაპიტალური ნაგებობები არ არის დამახასიათებელი.

ფიჭვნარის დიუნური სადგომის ცენტრალურ ნაწილში, პირველი ფენის სხვადასხვა დონეზე, დაფიქსირდა ერთმანეთზე დაფენილი ოვალური ფორმის სამი მოშავო-მოწითალო ფერის და, ფაქტობრივად, ერთნაირი ფართობის მოედნების იატაკი. აღნიშნული მოედნები ძეგლის მკვლევარმა ა. რამიშვილმა სათავსოების ნაშთად მიიჩნია (რამიშვილი, 1964 : 18). სათავსოებს, როგორც წესი, 200-250 მ^2, ხოლო ნაყართან ერთად 500-600 მ^2 ფართობი ეკავა. სათავსოს გასწვრივ, ვრცელ ფართობზე, უწყვეტ ზოლად, სხვადასხვა სიმძლავრის ბუდეების სახით, კერამიკის ნატეხები იყო მიმობნეული. სათავსოების იატაკი რამდენიმე სანტიმეტრის სისქის იყო და, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა დონეზე იყო დადასტურებული.[16] ნიშანდობლივია, რომ შავი ფერი განსაკუთრებით მკვეთრი იყო მოედნების ნაპირთან, სადაც არშიასავით იატაკის დონეზე მაღლა იყო დაფიქსირებული. ა. რამიშვილი თვლიდა, რომ ეს დეტალი იმის მოწმო-

[16] ეს სურათი ირიბად მაინც მიუნიშნებს, რომ ქვიშაზვინულებზე კონკრეტული მიზნით მოსულები აღნიშნულ ადგილებს პერიოდულად (სეზონურად) უბრუნდებოდნენ.

ბა იყო, რომ მოედანზე მსუბუქი კონსტრუქციის „ფაცხისებური“ ნაგებობა იყო გამართული. ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ ნაშრომში მკვლევარმა ეს მოედნები ჯერ „სათავსოებად“, ხოლო შემდეგ „საცხოვრებელ“ ნაგებობათ ნაშთებად მოიხსენია.[17] ფიჭვნარის დიუნური სადგომის ქვედა ფენებში ნაგებობათა ნაშთები არ ყოფილა დაფიქსირებული, რაც, სხვადასხვა ბუნებრივ მოვლენებთან ერთად, ზღვის ტალღების მოქმედების შედეგადაც იყო მიჩნეული.

საინტერესო ინფორმაციის შემცველი იყო ბობოყვათის დიუნურ სადგომზე მიკვლეული გეგმაში ოვალური ფორმის მოშავო-მოწითალო შეფერილობის მოედანი (ზომები: 8X4 მ), რომლის მთელ პერიმეტრზე, განსაკუთრებით კი საზღვრის გაყოლებით, შავი ფერი მკვეთრად იყო გამოხატული. მოედნის საზღვრის გასწვრივ, მიმობნეული იყო სქელკედლიანი და უხეშად ნაძერწი ჭურჭლების, საყოფაცხოვრებო კერამიკის, რქისებრი სადგრების და ოთხკუთხა ფილების ფრაგმენტები. დიუნური სადგომებისთვის სიახლეს წარმოადგენდა მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ქვიშაში ჩაჭრილი ბაზალტის ფლეთილი ქვებისგან ნაგები წყობის (ზომები: 1,1X1,0X0,45 მ) ნაშთის მიკვლევის ფაქტი. წყობის შიგნით ქვიშა შავად იყო შეფერილი, რაც ხანგრძლივი ცეცხლის მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ქვების მრავალწახნაგა ფორმისა, მათი მოსწორებული ნაწილი, სავარაუდოდ, წყობის ფუნქციიდან გამომდინარე (ჩვენ ის კერის ნაშთად მივიჩნიეთ), წყობის შიგნით იყო მოქცეული. წყობის დასავლეთით, მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, აღმოჩნდა, ერთმანეთში ჩაწყობილი, საშუალო ზომის ორი პირმომტვრეული დერგი. ჩვენი აზრით, ასევე კერის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს თხრილის სამხრეთ – დასავლეთ მონაკვეთში გაწმენდილი მოედნის (ზომები: 7,5x3 მ) შუაწელზე, აღმოსავლეთის საზღვართან, ბაზალტის ქვებისგან შედგენილი წყობის ნაშთი. ამ შემთხვევაშიც, ქვების მოსწორებული მხარე შიგნით იყო მოქცეული. წყობის წინ ჰორიზონტალურად ჩაწყობილი იყო ხარისხიანად გამოძერწილი და კარგად გამომწვარი ორი სადგარი, რომლებსაც რქისებრი შვერილები მომტვრეული ჰქონდათ. სადგრებთან ელაგა მოზრდილი კანელურებიანი პითოსის ორი ნატეხი, რომლებიც კონცენტრირებული წრეების ფორმის რელიეფური ქედებით იყო გაფორმებული. სავარაუდოდ, აქ ფლეთილი ქვებით ნაგებ კერასთან მცირე საკურთხეველი იყო მოწყობილი. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა მოედნის საზღვართან მთლიანი (ზოგჯერ დაზიანებული) ჭურჭლები (დერგები, ქოთნები) იყო ჩალაგებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთი მოედნის (ზომები: 6,5x3 მ) ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საზღვართან (კონკრეტულად, მოედნის გარეთ), ზღვის პატარა კენჭებისგან შედგენილი ბუდეებიც დაფიქსირდა, რაც, შესაძლოა, მსუბუქი გად-

[17] ლ.სოლოვიოვი მოშავო ფერის დატკეპნილ მოედნებს, სადაც ქსოვილისანაბეჭდიან კერამიკას აშკარად სჭარობდა ტრადიციული საყოფაცხოვრებო კერამიკა, მიიჩნევდა პატარა ზომის (3X4 მეტრის) მიწისზედა საცხოვრებელის ნაშთად.

ახურვისთვის საჭირო საყრდენი ბოძების ქვიშაში მყარად ჩასამაგრებლად უნდა ყოფილიყო მოფიქრებული და მოწყობილი.

სამსხვერპლოები. როგორც წესი, ფიჭვნარის დიუნური სადგომის შავი ფერის მოედნების სამხრეთ ნაწილში მართკუთხა განივკვეთის მქონე დიდი ზომის რქისებრი სადგრებისგან ნაგები საკულტო-სარიტუალო ადგილები – სამსხვერპლოები იყო მოწყობილი.[18] ბობოყვათის და ციხისძირის დიუნურ სადგომებზე, სამსხვერპლოები ცალკე იყო გამართული და, ფიჭვნარის სამსხვერპლოებისგან განსხვავებით, დიდი კომპლექსის შემადგენელ ნაწილად არ იყო დაფიქსირებული.

ფიჭვნარის დიუნური სადგომის პირველი ფენის პირველ დონეზე მიკვლეული სამსხვერპლო სათავსოს სამხრეთ ნაწილში იყო გამართული. სამსხვერპლო, სათავსოს მსგავსად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ იყო დამხრობილი. როგორც აღვნიშნეთ, სამსხვერპლო თიხის მასიური რქისებრი შვერილების მქონე სადგრებისგან იყო შედგენილი. კონკრეტული სამსხვერპლოს სადგრებს შვერილები მომტვრეული ჰქონდათ, შემორჩენილი იყო სამსხვერპლოს მხოლოდ ქვედა ნაწილი (სადგრების სიმაღლე 20-25 სმ). სამსხვერპლოს, ისევე როგორც სათავსოს, სპეციალურად მოწყობილი იატაკი არ ჰქონდა. სამსხვერპლო ჩაჭრილი იყო სათავსოს იატაკში და ზემოთ მხოლოდ ნაწილობრივ იყო ამოწეული (რამიშვილი, 1964: 18). სამსხვერპლოსთან აღმოჩნდა იატაკში ჩადგმული ერთმანეთისგან განცალკევებული ხუთი მსგავსი სადგარი, ხოლო იქვე, იატაკზე დაძერწილი უხეშად ნაძერწი და არათანაბრად გამომწვარი ჯამი. სათავსოს გასწვრივ, ვრცელ ფართობზე, უწყვეტ ზოლად, სხვადასხვა სიმძლავრის ბუდეების სახით, კერამიკის ნატეხები იყო მიმობნეული. მეორე დონის სათავსოშიც აღმოჩნდა სამსხვერპლოს ნაშთი (ზომა: 2x1,8 მ). სადგრების შემორჩენილი სიმაღლე შეადგენდა 20 სმ. მეორე დონეზე სამსხვერპლო სათავსოს ცენტრში იყო განთავსებული, ხოლო სადგრები არა ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად იყო ჩალაგებული. მესამე დონის სამსხვერპლო, ფაქტობრივად, პირველი და მეორე სამსხვერპლოს ზომის იყო (2,13x1,07 მ). სამსხვერპლოს გათხრები შედეგიანი იყო იმ მხრივაც, რომ აღნიშნული ნაგებობიდან მოხერხდა მთლიანი სადგრის ამოღება და, შესაბამისად, სადგრების ზომის მეტ-ნაკლებად დაზუსტება. როგორც ჩანს, სამხვერპლოს ასაგებად იყენებდნენ 49-53 სმ სიმაღლის (რასაც ჩვენ მასიურს ვუწოდებთ) სადგრებს.

ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე 2010 წელს ჩატარებული გათხრების დროსაც აღმოჩნდა სამსხვერპლოების ნაშთები, რომლებიც შედგენილია მასიური რქისებრშვერილიანი სადგრებით (ზომები: 2,4x1,3 მ; 2,35x1,1 მ; 1,9x1,3 მ.) და დამხრობილია სამ-

[18] სამსხვერპლოებად ეს ნაგებობები პირველად ა. რამიშვილმა მოიხსენია. მისი აზრით, ის, რომ სამსხვერპლოები, როგორც წესი, სათავსოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, შეიძლება მიუნიშნებდეს, რომ სათავსოებს შესასვლელი ჩრდილოეთის მხარეს ჰქონდა (რამიშვილი, 150-151).

ხრეთიდან ჩრდილოეთისკენ (ტაბ. I). ფაქტობრივად, ეს სამსხვერპლოებიც ანალოგიურია ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე ადრე აღმოჩენილი სამსხვერპლოების.

როგორც აღვნიშნეთ, დიუნურ სადგომებზე მიკვლეული სამსხვერპლოები, ძირითადად, ქვიშნარ გრუნტში ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ჩალაგებული სადგრებისგან იყო შედგენილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ბობოყვათის დიუნურ სადგომზე, სამსხვერპლოების ასაგებად, თიხის სადგრებთან ერთად მსგავსი ფორმის (ძირი წაწვეტებული, ზედა ნაწილი გაფართოებული) და სიმაღლის ბაზალტის ქვები იყო გამოყენებული (თავამაიშვილი, 2012: 48).

ბობოყვათის სამსხვერპლოებიც (ტაბ. IV-VI), ფიჭვნარის სამსხვერპლოების მსგავსად, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ არის დამხრობილი და ერთმანეთის მიჯრით არის გამართული. სამხრეთით მდებარე სამსხვერპლო (ზომები: 2,40X1,20X0,35 მ) მასიური რქისებრშვერილიანი სადგრებითაა ნაგები. სადგრებს ძირი წაწვეტებული აქვთ, რაც მოსახერხებელს ხდის მათ ქვიშაში ჩარჭობა/ჩამაგრებას. ზოგ ადგილას, სამსხვერპლოს კედლის ამოსაყვანად, ბაზალტის ქვებია გამოყენებული, რომლებიც ზომით და ფორმით სადგრებისგან არ განირჩევიან. სამსხვერპლოს შიგნით ქვიშას, სადგრებს და ქვებსაც ეტყობათ ხანგძლივი ცეცხლის მოქმედების კვალი. სამხრეთის სამსხვერპლო შუაში გადატიხრულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დამხრობილი ერთ რიგად ჩალაგებული 6 სადგრით. სამსხვერპლოს კედელი სადგრებს ზემოთ ოთხ რიგად დალაგებული აბაზანისმაგვარი ჭურჭლების დიდი ნატეხებითაა მოწყობილი, ისე, რომ ამ უკანასკნელთა მოსწორებული პირის მხარე სამსხვერპლოს შიგნითაა მოქცეული. შედეგად, წყობა ფილებით ამოყვანილი კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩრდილოეთით მდებარე სამსხვერპლო (ზომები: 2,50X1,30X0,25 მ.) საკმაოდ დაზიანებულია (მოშლილია დასავლეთის და სამხრეთის კედელი). ისიც სამხრეთით მდებარე სამსხვერპლოს ანალოგიური უნდა ყოფილიყო.

ფიჭვნარის სადგომის სამსხვერპლოები ძირითადად ვერტიკალურად ჩალაგებული სადგრებისგან იყო შედგენილი. ფიჭვნარის ერთ-ერთი სამსხვერპლო სხვებისგან განსხვავდება იმით, რომ ვერტიკალურად ჩადგმული სადგრების გვერდით ჰორიზონტალურად დალაგებული სადგრებია გამოყენებული (რამიშვილი, 1971).

ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ჩალაგებული სადგრებით შედგენილი სამსხვერპლო გაითხარა ციხისძირში, რომელმაც ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია: ანტიკურ ხანაში, სადგომის ტერიტორია სამაროვნისთვის ყოფილა გამოყენებული. შედეგად, დიუნური კულტურული ფენა ბევრ ადგილას დარღვეული იყო ინჰუმაციური სამარხების ჩაჭრის შედეგად.

ციხისძირის სამსხვერპლო ოვალური ფორმისაა და დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ (ზომები: 2,5X1,0 მ) (ტაბ. VII). სამსხვერპლოს სამხრეთი მონაკვეთი შედგენილი იყო ნახევარწრედ ვერტიკალურად ჩალაგებული 13 სადგრით, ხოლო შუაწელი და ჩრდილოეთის მონაკვეთი ასევე ვერტიკალურად ჩა-

ლაგებული 13 სადგრით. სადგრების ძირი წაწვეტებულია, რქისებრი შვერილები კი მომტვრეული, რის გამოც სამსხვერპლოს წყობა ერთი სიმაღლის აგურებით ნაგები კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამსხვერპლო აღმოსავლეთით და სამხრეთის კიდესთან შემოსაზღვრულია ჰორიზონტალურად ჩალაგებული სადგრებით (თავამაიშვილი, 1988).

დასკვნის სახით შეიძლება განვაცხადოთ, რომ დიუნური სადგომების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, ძველი და ახალი მასალის შეჯერების კვალობაზე, საკულტო-სარიტუალო ცერემონიალებისთვის მოწყობილ ადგილებად – სამსხვერპლოებად, შეგვი,ძლია მივიჩნიოთ ნაგებობები, რომლებიც თიხის მასიური რქისებრშვერილიანი სადგრებით არის შედგენილი და რომელთა ზომები, მეტ-ნაკლებად, მსგავსი პარამეტრებისაა (სიგრძე: ±2,5, სიგანე: ±13). ჩვენ ვერ ვხედავთ არსებით განსხვავებას ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე აღმოჩენილ სამსხვერპლოებსა და საკურთხევლებს შორის, რომ ისინი სხვადასხვა სახელით მოვიხსენიოთ. ფიჭვნარის საკურთხევლების ზომები (±2X1,8 მ), დამხრობა (სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ), კედლის სადგრებით ამოყვანა, ფაქტობრივად იმეორებს სამსხვერპლოების მოწყობის წესს და პარამეტრებს (კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013). ვფიქრობთ, რომ საკურთხევლებს უფრო მიესადაგება ბობოყვათის დიუნურ სადგომზე in situ დაფიქსირებული ერთმანეთზე სამ რიგად დაწყობილი თიხის მრგვალკუთხიანი ორნამენტირებული ფილებისა და თიხის სადგრებისგან მოწყობილი სივრცე, ან კიდევ, სადგრითა და პითოსების ორნამენტირებული ფრაგმეტებით გაფორმებული ადგილი, რომლებიც ჩვენ, თავის დროზე, საკურთხევლებად მოვიხსენიეთ (თავამაიშვილი, 2012: 78). რაც შეეხება დიდი ზომის, შავად თუ წითლად შეფერილ მოედნებს, სადაც დიუნური სადგომებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კერამიკა (აბაზანები, სადგრები, ფილები და საყოფაცხოვრებო ჭურჭლები) ფრაგმენტულად ან ნაყარის სახით გვხვდება, ისინი სათავსოების ან დროებითი საცხოვრისების ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ.

საწარმოო უბნები. დიუნურ სადგომებზე ყველაზე დიდი რაოდენობით აბაზანისმაგვარი ჭურჭლებია (მეტწილად ფრაგმენტების სახით) აღმოჩენილი. ისინი საკმაოდ მასიურია და, დიდი ალბათობით, არატრანსპორტაბელური. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მათი გამოძერწვა და გამოწვა ადგილზე (დიუნაზე) უნდა მომხდარიყო, რისი დასტურიც იყო სხვადასხვა სადგომზე თიხის გამჭლევებული გუნდების მიკვლევის ფაქტი. ბობოყვათის აღმოჩენებით, ახალი არგუმენტებით გამყარდა მოსაზრება, რომ მათი გამოწვა ნახევრადღია კერებში უნდა მომხდარიყო. ამის საფუძველს გვაძლევს ოვალური ფორმის ღია კერის მსგავსი წყობის ნაშთი, რომელიც ბობოყვათის დიუნური სადგომის ჩრდილო-დასავლეთ უბანზე გამოვლინდა (ზომები: 2,5X1,2 მ). წყობის კედლები მთლიანად ბაზალტის ქვებისგან იყო ნაგები, რომელსაც ეტყობოდა ხანგრძლივი ცეცხლის მოქმედების კვალი. ცეცხლის კვალი იკითხებოდა წყობის შიგნითაც. წყობის

კედლებზე აბაზანისმაგვარი ჭურჭლების მოზრდილი ნატეხები იყო მიწყობილი და ამ ფორმით შემორჩენილი. აღნიშნული ნაგებობა ცალკე უბნად წარმოდგება და არ შეადგენს სხვა, უფრო დიდი კომპლექსის, ნაწილს.

არქეოლოგიური მასალა. ფიჭვნარის და ბობოყვათის დიუნური სადგომების არქეოლოგიური მასალა ძირითადად კერამიკული ნაწარმია: მნიშვნელოვანი წილი მოდის ქსოვილისანაბეჭდიან, დიდი ზომის და უხეშად ნაძერწ ჭურჭლებზე ე.წ. „აბაზანებზე“. როგორც წესი, შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ჭურჭლები, საკულტო ხასიათის რქისებრშვერილიანი სადგრები და ბრტყელი ოთხკუთხა ფილები. ქვის ინვენტარიდან ყველა დიუნურ სადგომზე გვხვდება სათევზაო ბადის გვერდებამოღარული საძირავები, ნანახია ასევე წრიულად ამოღარული ქვის უროს რამდენიმე ნიმუში. ლითონის ნივთებიდან გამოვყოფდით ბრინჯაოს ორი ნემსკავს. სხვა თითო-ოროლა ლითონის ნაკეთობა, სავარაუდოდ, პირადი ნივთი უნდა იყოს და ძეგლის ხასიათს არ უკავშირდება.

აბაზანისმაგვარი ჭურჭლები. აბაზანისმაგვარი კერამიკა მხოლოდ დიუნური სადგომებისთვის არის დამახასიათებელი. ისინი, თუ არ ჩავთვლით ზოგ არასრულ ინფორმაციას მათი აღმოჩენის ადგილის (ოქუმი, მაჭარა) და პირობების შესახებ, ჯერჯერობით, არ დასტურდება თანადროულ და ზღვისგან მოშორებულ ნამოსახლარებზე[19]. დიუნურ სადგომებზე აბაზანისმაგვარი ჭურჭლები ორი სახის გვხვდება: აბაზანები, რომელთა ზედაპირზე ქსოვილის ანაბეჭდია შემორჩენილი[20] და აბაზანები, რომელთაც სადა ზედაპირი აქვთ.[21] ორივე ტიპის აბაზანები უხეშადაა ნაძერწი, თიხაც ზერელად არის გაცრილი და მსხვილი მინარევებითაა გაჯერებული.[22] გამოწვის ხარისხიც დაბალია: სავარაუდოდ, ეს

[19] ი. ვორონოვი მიუთითებს ქსოვილიანანაბეჭდიანი კერამიკის ფრაგმენტების მიკვლევის ფაქტზე მაჭარა 2-ს ნამოსახლარზე, რომელიც ზღვიდან 5 კილომეტრის მანძილზე არის დაშორებული და ზღვის დონიდან 200-250 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (Воронов, 1980, с. 29-34).

[20] ლ. სოლოვიოვი ამ ძეგლებს ქსოვილისანაბეჭდიანი სადგომების სახელით («селища с текстильной керамикой») მოიხსენიებდა. ა. რამიშვილმა დეტალურად შეისწავლა ქსოვილის ანაბეჭდები. გაირკვა, რომ ისინი სელის ნაჭრებს ეკუთვნოდა, რომელიც, დაზგის გარეშე, ხელით იყო დამზადებული.

[21] ქსოვილისანაბეჭდიანი აბაზანისმაგვარი ჭურჭლები აღმოჩნდა მხოლოდ III ფენაში, მაშინ, როდესაც სადაზედაპირიანი აბაზანები დადასტურდა ყველა ფენაში (Рамишвили, 1975: 142).

[22] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ძირითადად პლასტიკური თიხებია დადასტურებული, რომლებიც სუფთა სახით წარმოებაში გამოუსადეგარია (მათ გამორჩეულად აქვთ შეკუმშვის უნარი, რაც გაშრობის დროს გაბზარვას იწვევს), ამიტომ მათ მინერალებით (მაგალითად, ქვიშებით) „განზავებას“ ან „გამჭლევებას“ ახდენენ. როგორც ჩანს, ზღვისპირა სადგომებზე მოსულთ ჰქონდათ ეს გამოცდილება და სასურველი კერამიკის დამზადების დროს ამ ცოდნას წარმატებით იყენებდნენ.

ჭურჭლები მზეზე ან ღია ცეცხლზე იყო გამომშრალი. რაც შეეხება აბაზანების ზომებს: უფრო ხშირად ჩნდება აბაზანები, რომელთა სიმაღლე 15 სმ-ია, სიგანე -20 სმ, ხოლო სიგრძე – 50 სმ. ნაკლებად გვხვდება აბაზანები, რომლებიც ამ უკანასკნელებზე ორჯერ დიდია (პირობითი ზომები: 50X50X100 სმ). მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვერცერთ დიუნურ ძეგლზე ვერ მოხერხდა მთლიანი ნიმუშის აღება,[23] ცალკეული ფრაგმენტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭურჭლები გეგმაში მოგრძო კუთხეებმომრგვალებული ფორმის აბაზანებს წარმოადგენდნენ. თვით ფორმა აბაზანებისა უნდა მიანიშნებდეს, რომ ის უნდა გამოეყენებინათ არა რაღაცის შენახვისთვის, რაც მარტივად მოხერხდებოდა დიდი ზომის პითოსებსა და დერგებში, არამედ უფრო დინამიური პროცესისთვის, რისთვისაც ჭურჭლის მოცულობას და ფორმის ცალკეულ დეტალს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჭურჭლის პირზე და ტანზე ნათლად იკითხება ხელით მოსწორების კვალი. პირის კუთხეები, ზოგ შემთხვევაში, სადინარის მსგავსი ღარითაა გაფორმებული (განსაკუთრებით, ეს ითქმის ქსოვილისანაბეჭდიან ნიმუშებზე), რაც, სითხის გადმოსაღვრელად უნდა ყოფილიყო მოფიქრებული. სხვებს კი კუთხეები მომრგვალებული აქვთ. აბაზანებს ოვალური ფორმის ძირი უნდა ჰქონოდათ, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ისინი არა მყარ გრუნტზე დასადებად, არამედ ქვიშაში ან სილაში ჩასამაგრებლად იყვნენ გამიზნულნი.[24]

ბ. კუფტინი თვლიდა, რომ აბაზანები ხის სპეციალურ ფორმებში მზადდებოდა, რომლებშიც ჯერ ქსოვილის ნაჭრებს აგებდნენ, შემდეგ კი თიხით ამოლესავდნენ (Куфтин, 1950: 290). ა. რამიშვილის აზრით, აღნიშნული ჭურჭლების დამზადება ქვიშაზვინულის გრუნტში ამოღებულ უბრალო ფორმაშიც იყო შესაძლებელი (Рамишвили, 1975: 143). დიუნურ სადგომებზე მიკვლეული აბაზანების დიდი რაოდენობიდან და დამზადების დაბალი ხარისხიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო მართებულად ა. რამიშვილის მოსაზრება მიგვაჩნია. აბაზანების ზომების, დამზადების (გამოძერწვის დ გამოწვის) ხარისხის გათვალისწინებით, შეჯერდა მკვლევართა აზრი, რომ აღნიშნული ჭურჭლების სხვა ადგილას (მაგალითად, სახლში) დამზადება და ტრანსპორტირება (დაზიანების დიდი ალბათობით) არარენტაბელური უნდა ყოფილიყო. შეიძლება უფრო კატეგორიულადაც კი განვაცხადოთ, რომ აბაზანისმაგვარი ჭურჭლების დამზადება და მოხმარე-

[23] ადრეულ ნაშრომებში, ისინი (განსაკუთრებით ეს ითქმის სადაზდაპირიან აბაზანებზე) ღარიანი კრამიტის ნატეხებადაც კი იყო მიჩნეული (ჯაფარიძე, 1950: 118; აფაქიძე, 1963: 75; Инадзе, 1968: 31). დიუნურ სადგომებზე მსჯელობის დროს სადაზედაპირიან აბაზანებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ ლ. სოლოვიოვს, მ. თრაპშს, ბ. კუფტინს. პირველად სადაზედაპირიანი აბაზანები, ფიჭვნარის დიუნის მასალებზე დაყრდნობით, განიხილა ა. რამიშვილმა.

[24] ამ კონტექსტში ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერიმენტალურად დადასტურებულია: ოვალურძირიანი ჭურჭლები გამოშრობის პროცესში ნაკლებად იბზარებიან, ვიდრე ბრტყელძირიანები. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ძირის დიამეტრის შემცირებაა (Семёнов, Коробкова, 1988: 222).

ბაც მხოლოდ სტაციონარულ მდგომარეობაში (ქვიშაზვინულებზე) იყო შესაძლებელი.

როგორც მოგახსენეთ, აბაზანისმაგვარი ჭურჭლები, დიუნურ სადგომებზე ნაყარის სახით, ფრაგმენტულად და დიდი რაოდენობითაა მიკვლეული. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მკვლევრები მათ სადგომების ხასიათის განმსაზღვრელ არტეფაქტებად მიიჩნევენ. სხვადასხვა დროს გამოითქვა მოსაზრება აბაზანების ზღვის წყლიდან მარილის გამოსახდელად, მაგნეტიტური ქვიშების ფლოტაციისთვის და თევზის დასამარილებლად გამოყენების შესახებ. ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებებს აქვთ და კვლავაც ექნებათ, ჰიპოთეტური ხასიათი, სანამ არ მოხერხდება აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ძირითადი ფუნქციონალური დატვირთვით (საწარმოო თუ სხვა პროცესში) დაფიქსირება. ფაქტია, რომ ბობოყვათის დიუნურ სადგომზე in situ დადასტურდა აბაზანისმაგვარი ჭურჭლების გამოყენება სამსხვერპლოების მოსაწყობად, მაგრამ, კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი ღრმა რწმენით, აბაზანისმაგვარი ჭურჭლების მეორადი დანიშნულებით გამოყენებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები (ტაბ. IX). აბაზანისმაგვარი ჭურჭლების შემდეგ დიუნურ სადგომების არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე მრავალრიცხოვანი რქისებრშვერილიანი სადგრებია. ფიჭვნარში ორი ტიპის სადგრებია წარმოდგენილი: მასიური და შედარებით პატარა ზომის. მასიური სადგრები (სიმაღლე: ± 50 სმ) ჭრილში მართკუთხაგანივკვეთიანი ან კვადრატული ფორმის იყო, წაკვეთილი რქისებრი შვერილებით და სოლისებრი კორპუსით. შედარებით პატარა და საშუალო ზომის სადგრები (სიმაღლე: ±18-20 სმ) უფრო მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი: დიდი ნაწილი ჭრილში მართკუთხა და მრგვალგანივკვეთიანია, დაბალი ტანით და მკვეთრად გაფართოებული ძირით, სწორი კორპუსით და გადაშლილი რქისებრი დაბოლოებით, წაწვეტებული ტანით და მრგვალად გაბრტყელებული ძირით (Рамишвили, 1975: 144). სადგართა სიმაღლე 15-20/25-30 სმ-ა. პატარა ტანის სადგრებზე ხშირად გამჭოლი ნახვრეტია გაკეთებული, საშუალო ზომის სადგრების ზოგი ნიმუში ჭდეული ხაზებითაა გაფორმებული. ა. რამიშვილის დაკვირვებით, დიდი ზომის სადგრებს საკულტო ხასიათი ჰქონდათ და სამსხვერპლოების მოსაწყობად გამოიყენებოდა, ხოლო პატარა და საშუალო ზომის სადგრები ქვიშაზვინულებზე მიმდინარე საწარმოო პროცესში აბაზანების გასამაგრებლად იყო გამოყენებული.

ბობოყვათის დიუნურ სადგომზე სადგრების სამი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: I – მასიური სადგრები. მათი ტანი და გამოკვეთილი შვერილები ჰორიზონტალურ ჭრილში მართკუთხედის ფორმისაა. ძირი ბრტყელი, რქისებრი შვერილები კორპუსის გარეთაა გადაშლილი; II – საშუალო ზომის მართკუთაგანივკვეთიანი სადგრები. მათი შვერილები ასიმეტრიულადაა გამოყვანილი, კორპუსი ძირისკენ წაწვეტებულია, რაც მოსახერხებელს ხდიდა სადგრების ქვიშაში ჩამაგრებას.

ბობოყვათში ამ ტიპის სადგრებით სამსხვერპლოებია აგებული; III – საშუალო ზომის კვადრატულგანივკვეთიანი სადგრები. ისინი შედარებით კარგადაა გამოძერწილი და გამომწვარი. სადგრების რქისებრი შვერილები ზოგჯერ კორპუსისგან ოდნავ გადაშლილია, ზოგჯერაც აგრძელებს კორპუსის კედლის ხაზს. ამ ტიპის სადგრებს ახასიათებთ ბრტყელი, ბოლოსკენ ოდნავ გაფართოებული ძირი. საშუალო ზომის კვადრატულგანივკვეთიანი სადგრებით მოწყობილია მცირე საკურთხევლები. სადგრის რამდენიმე ნიმუშის წახნაგი გაფორმებულია. მათზე დატანილია ტალღისებური და წერტილოვანი ორნამენტი. ზოგ სადგარზე ცხოველის (ძაღლი) და გველის გამოსახულებაა ამოკაწრული (თავამაიშვილი, 1987: 40).

დიუნურ სადგომებზე მიკვლეული თიხის რქისებრშვერილიანი სადგრების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ნაწილი მათ საკულტო საგნებად მიიჩნევს[25], სხვები კი მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობას ხედავს. ის, რომ სადგრები სამსხვერპლოების და საკურთხევლების მოსაწყობად გამოიყენებოდა, ამაში დავრწმუნდით ფიჭვნარის და ბობოყვათის სადგომების მაგალითზე. თუ ჩვენ სადგრებს რაღაცის გარკვეულ სიმაღლეზე შესამაგრებლად განვიხილავთ და ამ პროცესს ქვიშაზვინულებზე მოვიაზრებთ, მაშინ სადგრების ბრტყელი ძირი, წაწვეტებული ძირის სადგრების გამოყენების ცოდნის პირობებში, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელი ჩანს. თუ რქისებრ შვერილებს პრაქტიკულ დანიშნულებას მოვუძებნით, მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რატომ არის ზოგი სადგრის რქისებრი შვერილი ისე გამოძერწილი, რომ მათ შორის თხელი ფირფიტის ჩადებაც კი გაჭირდება? ამიტომ ვხედავთ ჩვენ რქისებრ შვერილებში უფრო სიმბოლიკას, ვიდრე კონკრეტული ფუნქციის მატარებელი ნივთის დეტალს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადგრის კონფიგურაცია ზღვისპირა სადგომებზე არ შექმნილა. ეს ფორმა, მიუხედავად გარკვეული სახეცვლილებისა (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთქიმიანი), ცნობილია რეგიონის უფრო ადრეული ეპოქის ძეგლებიდან (ინაიშვილი, 1973; ჩავლეიშვილი, 1987) და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეინარჩუნა არსებითი ნიშნები. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია სადგრების გარკვეული ფორმით გამოყენება საწამოო პროცესშიც, მაგრამ სიმბოლურ გამოხატულების დატვირთვით, რასაც კონკრეტული პროცესისთვის სასურველი შედეგი უნდა უზრუნველეყო (მაგალითად, მაგიური ძალით დაეცვა გამოწვის პროცესში აბაზანისმაგვარი ჭურჭლები გაბზარვისგან).

თიხის ფილები (ტაბ. VIII). ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე მართკუთხედის ფორმის კუთხეებმომრგვალებული თიხის ფილები მცირე რაოდენობითაა მოპოვე-

[25] განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სადგრის რქისებრ შვერილებზე. მკვევართა ერთი ნაწილი ამ დეტალში ხარის რქები სტილიზებულ გამოსახულებას ხედავს, სხვები ნახევარმთვარის. სადგრების შვერილებს თევზის კუდსაც ამსგავსებენ (Цвинария, 1980).

ბული, თან, მეტწილად, ფრაგმენტების სახით (მთლიანი ფილის მხოლოდ ერთი ნიმუში გვაქვს). გაცილებით მეტია რიცხვი ფილებისა, რომლებსაც ბობოყვათის დიუნურ სადგომზე მივაკვლიეთ. ისინი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთი ზომისაა (სიგრძე: 27-29 სმ; სიგანე: 14-16 სმ; სისქე: 1,8-2,0 სმ). ფილების ზედაპირი ზოგჯერ სადაა, ზოგჯერ სხვადასხვა სახის ორნამენტითაა გაფორმებული. ორნამენტი ფილის მხოლოდ ერთ მხარეზეა დატანილი, რაც მიანიშნებს, რომ ორნამენტის დატანა ყალიბში ხდებოდა.[26] ორნამენტის მიხედვით შეგვიძლი ფილების ოთხი ჯგუფი გამოვყოთ: I – ფილები, რომლებიც წერტილოვანი ორნამენტითაა გაფორმებული. ერთ ჯგუფს წერტილები თავსა და ბოლოში აქვს დატანილი (წერტილების შეფარდება (10-12/10-11; 14-16/12-12; 10-10/11-11; 10-11/12-11). სხვებს მთელ ზედაპირზე, ზოგსაც ორ რიგად პერიმეტრის გაყოლებაზე. გვხვდება ფილები, რომლებიც თავსა და ბოლოში 2-3 წერტილითაა შემკული; II – ფილები, რომლებიც ტალღისებრი ორნამენტითაა გაფორმებული: ზოგ ფილაზე ორნამენტი მთელ ზედაპირზეა დატანილი, ზოგ ნიმუშზე მხოლოდ თავსა და ბოლოში; III – ფილები, რომლებზეც ერთმანეთის პარალელური ან გადამკვეთი ხაზებია გამოყვანილი; IV – ფილები, რომლებზეც ორნამენტი კომბინირებული (ტალღები, წერტილები, ხაზები) სახითაა დატანილი.

ფორმით და ორნამენტაციით ბობოყვათის ფილები მსგავსია კორინთოში აღმოჩენილი ფილებისა, რომელთაც მკვლევრები საკულტო საგნებად მიიჩნევენ და ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებენ (Weinberg, 1954: 109-115. pl.25).[27] დიუნურ სადგომებზე აღმოჩენილი ფილები ქართველ და კავკასიელ ხალთა ეთნოგრაფიაში კარგად ცნობილ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ სარიტუალო პურებს თუ კვერებს უნდა მიესადაგებოდნენ და მათ თიხის იმიტაციას უნდა წარმოადგენდნენ.

ადრერკინის ხანის ზღვისპირა ზოლის მკვიდრთა წარმართული რწმენა-წარმოდგენების და კოსმოგონიური შეხედულებების გასააზრებლად, საინტერესო არტეფაქტად მიგვაჩნია ციხისძირის დიუნურ სადგომზე აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელზეც წრიულად მოძრავი ცხოველების (სამი ცხენი და ერთი ირემი) გამოსახულებაა რელიეფურადაა დატანილი (თავამაიშვილი, 2002).

საყოფაცხოვრებო კერამიკა. ფიჭვნარის დიუნური სადგომის საყოფაცხოვრებო კერამიკა წარმოდგენილია სამეურნეო (ქვევრები, დერგები, ქოთნები),

[26] როგორც აღვნიშნეთ, ბობოყვათის დიუნურ სადგომზე in situ დაფიქსირდა ერთმანეთზე სამ სვეტად დაწყობილი თიხის კუთხეებმომრგვალებული და სხვადასხვა ორნამენტით (წეტილები, ტალღები და ა.შ.) შემკული ფილები.

[27] კორინთოში არსებული წესის თანახმად მეთუნეები გამოწვის პროცესის დაწყებემდე ფილებს უძღვნიდნენ მათი ხელობის მფარველ ღვთაებებს (Блавадский, 1953: 33). შუა აზიელი მეთუნეები მიძღვნით საგნებს გამსაწვავი მოედნის ახლოს მიწაში ფლავდნენ (Пещерева, 1959: 120).

სამზარეულო (ქილები, ქოთნები, კოჭბები), სუფრის (თეფშები, დოქები, ჯამები და სხვადასხვა ფორმის სასმისები) ჭურჭლებით. ყველა ფენაში გვხვდება ქოთნები, კონუსის ფორმის და პირჩაბრუნებული თასები. ფიჭვნარის დიუნურ სადგომზე 6 კულტურული ფენაა შესწავლილი.[28] ყურმილიანი დოქები დასტურდება I-II ფენაში, სქელკედლიანი ქვევრების ფრაგმენტები მხოლოდ ზედა ფენებშია მიკვლეული. როგორც აღვნიშნეთ, ფიჭვნარის დიუნური სადგომის ერთ ფენაში სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ნიმუშებიც გვხვდება: ერთი მხრივ, კოლხური სასმისები, ყურმილიანი დოქები, პირჩაბრუნებული ჯამები, რომლებიც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებისთვის (დაბლაგომი, ჭოგნარი, საქორქიო, ფიჭვნარი), ასევე, სიტულის ფორმის ჭურჭლები, ზოომორფულყურიანი ქოთნები, რომლებიც დამახასიათებელია წინაანტიკური ხანის ძეგლებისთვის (ნაოხვამუს ზედა ფენა, დაბლა გომი, ჭალადიდი, ნოსირი, ფიჭვნარი) (Рамишвили, 1975: 147). მიუხედავად იმისა, რომ ფიჭვნარის სადგომის კერამიკული მასალა, ფაქტობრივად, ერთგვაროვანია, ა. რამიშვილი შესაძლებლად მიიჩნევს ფორმებით და შემკულობით ჭურჭელთა ქრონოლოგიურ დიფერენცირებას. მკვლევარი ფიჭვნარის დიუნურ სადგომს საყოფაცხოვრებო კერამიკის საფუძველზე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებს (რამიშვილი, 1964: 17-27).

ბობოყვათის დიუნური სადგომის კერამიკული მასალა ფიჭვნარის სადგომის III ფენაზე ადრინდელი არ ჩანს. ბობოყვათის სუფრის ჭურჭელთათვის დამახასიათებელია გოფრირებულყელიანი დოქები, რომელიც ფიჭვნარის III ფენაში ჩნდება. ბობოყვათის კერამიკისთვის უცხოა მაღალყელიანი, კონუსისებრძირიანი და ტალღისებურორნამენტიანი ნიმუშები, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი ფიჭვნარის ქვედა (IV-VI) ფენებში. არსებითი დეტალია ისიც, რომ ქსოვილისანაბეჭდიანი აბაზანები, რომელიც უცხოა ბობოყვათის დიუნური სადგომისთვის, ფიჭვნარის სადგომზე III ფენიდან ჩნდება. და ბოლოს, რქისებრშვერილიანი სადგრებისგან შედგენილი სამსხვერპლოები დასტურდება ფიჭვნარის სადგომის მხოლოდ ზედა ფენებში. ამ მონაცემებით ბობოყვათის დიუნური სადგომის ფუნქციონირების პერიოდი ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლო და ძვ.წ. VII საუკუნის I ნახევრით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

ქვის და ლითონის ინვენტარი. დიუნური სადგომების ქვის ინვენტარში მნიშვნელოვანი წილი მოდის სათევზაო ბადის საძირავებზე. ისინი ბრტყელი ქვისგანაა დამზადებული და უმეტეს შემთხვევაში ორმხრივამოღარულია. მსგავსი ტიპის საძირავები სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში ცნობილია ნეოლითის ხანიდან (გოგიტიძე, 1978). რამდენიმე ნიმუში გვაქვს ქვის საპრიალებლებისა. თუ

[28] არქეომაგნიტური მეთოდით სხვაობა ფიჭვნარის დიუნური სადგომის II და VI ფენებს შორის არანაკლებ 100 და არა უმეტეს 200 წელია.

გავითვალისწინებთ სადგომებზე მიმდინარე სამეთუნეო პროცესის მასშტაბს, მათ ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდათ. დიუნურ სადგომებზე (ოჩამჩირე, ფიჭვნარი, ბობოყვათი) აღმოჩენილია რიყის ქვისგან დამზადებული უროები, რომელთაც ბოლოები აქტიური გამოყენებისგან დამუშავებული აქვთ, ხოლო შუა წელზე შემოუყვებათ წრიული ღარი. ეთნოგრაფიული მასალებით ტარის დამაგრების მსგავსი ფორმა ცნობილია „ამერიკული წესის“ სახელით. მიჩნეულია, რომ ამგვარი უროები დამახასიათებელია იმ ხალხებისთვის, სადაც არ იყო გავრცელებული სატარეხვრელიანი ცულები. რით აიხსნება ასეთი უროების არსებობა ჩვენ რეგიონში, სადაც სატარეხვრელიანი ცულები მრავლადაა მიკვლეული, ძნელი ასახსნელია. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსგავსი უროებით სადგომებზე სამსხვერპლოების და კერების მოსაწყობად საჭირო ბაზალტის ქვების დასამუშავებლად იყო გამოყენებული.

ლითონის ნივთები დიუნურ სადგომებზე ნაკლებად ჩნდება. ფიჭვნარის დიუნაზე მოპოვებული ბრინჯაოს ორიოდე ნაკეთობა უფრო პირად ნივთს უნდა წარმოადგენდეს და სადგომის ხასიათთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ბობოყვათის სადგომზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ნემსკავი, რომლებიც დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სადგომებზე არა მარტო ბადით, არამედ ანკესებითაც თევზაობდნენ.

დიუნური სადგომების ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: ერთნი ამ პროცესს ზღვის წყლიდან მარილის (Соловьев, 1950), სხვები კი რკინის სადნობი სახელოსნოებისთვის საჭირო ნედლეულის (მაგნეტიტური ქვიშის) (Рамишвили, 1975; Хахутайшвили, 1987; თავამაიშვილი, 2012) მოპოვებას უკავშირებენ. სხვები არ გამორიცხავენ აღნიშნული საწარმოო პროცესების სეზონურ თანაარსებობასაც (ხოშტარია, 1950; ხახუტაიშვილი, 1987). გამოითქვა მოსაზრება, რომ ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე ადგილობრივები თევზჭერით და მათი დამარილებით იყვნენ დაკავებული (მირიანაშვილი, 1975). ასევე, შემოთავაზებული იყო ვერსია, რომ დიუნური სადგომები წარმოადგენდა კულტმსახურების აღსრულების ადგილს, სადაც პერიოდულად სრულდებოდა რელიგიური ცერემონიალები (კახიძე, 1971). და ბოლოს, გამოითქვა ერთგვარი კომპრომისული მოსაზრება, რომ ქვიშაზვინულებზე წლის სხვადასხვა დროს, სეზონურად, სრულდებოდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოო პროცესი და საკულტო ცერემონიალები (ხახუტაიშვილი, 1987).

ქვიშაზვინულების გათხრების პროცესში გარკვეული კანონზომიერება დადგინდა. როგორც წესი, სადგომების ნაშთებს ვხვდებით მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას, რაც მარილის მოპოვების პროცესისთვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. პირიქით, ზღვის წყლებში მარილის შემცველობა ყველაზე დაბალი იმ ადგილებშია, სადაც მდინარეები ზღვას უერთდებიან (Керингтон, 1964: 22). ამავე დროს, გაუცემელი რჩება პასუხი კითხვაზე,

თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო ქვიშაზვინულებზე წყალი, როდესაც ფიჭვნარის დიუნის ზედა ფენები ზღვის თანამედროვე ნიშნულიდანაც კი 7-8 მეტრის ზემოთ არის განთავსებული. გეომორფოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ იმ ისტორიულ პერიოდში, როდესაც დიუნური სადგომები ფუნქციონირებდა, ზღვის დონე თანამედროვე ნიშნულთან შედარებით 5 მეტრით დაბლა იყო დაწეული (Джанелидзе,1980: 52).

მოსაზრება, რომ დიუნურ სადგომებზე მაგნეტიტის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი (Хоштариа, 1950; Рамишвили, 1971) გამყარებული იყო ფსევდო-არისტოტელეს (ძვ.წ. IV საუკუნის) ცნობით ხალიბური და ამისური რკინის ტექნოლოგიის შესახებ.[29] ა. რამიშვილის აზრით, სადგომების განლაგება ზღვის ნაპირთან ახლოს ამ საქმიანობით იყო განპირობებული. მკვლევარს ეს პროცესი ასე წარმოედგინა: მაგნეტიტური ქვიშით შევსებულ ქსოვილისანაბეჭდიან ჭურჭლებში მიუშვებდნენ მტკნარ წყალს. შედარებით მსუბუქი მინარევები წყალს გადაყვებოდა, ხოლო უფრო მძიმე მაგნეტიტის მარცვლები ჭურჭლის ფსკერზე დაილექებოდა. მტკნარი წყლის ფაქტორის მნიშვნელობა განაპირობებდა სადგომების გამართვის აუცილებლობას მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილას (Рамишвили, 1975: 42). მიუხედავად ამ მოსაზრების საინტერესო კონტექსტისა (რკინის მეტალურგიის სანედლეულო ბაზა), მასაც აქვს სუსტი მხარეები. მეტწილად, ეს ეხება ფლოტაციის პროცესისთვის აუცილებელი მტკნარი წყლის მიწოდების ტექნიკურ მხარეს, რაც არქეოლოგიური არტეფაქტებით ჯერჯერობით დადასტურებული არ არის.

რასაკვირველია, ქვიშაზვულებზე თევჭერითაც იყვნენ დაკავებულნი. მიუხედავად ამისა, მეთევზეობის და თევზის დამარილების პროცესის მიჩნევა სადგომების ფუნქციონირების განმსაზღვრელ პირობად მართებულად არ იყო მიჩნეული. ამის თაობაზე მიუთითებდნენ ლ. სოლოვიოვი, ბ. კუფტინი და ა. რამიშვილი. ჯერ ერთი, აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება დიუნური სადგომების ტოპოგრაფია, ასევე, ქსოვილისანაბეჭდიანი ჭურჭლების დეტალური ანალიზი. აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ფორმა კონკრეტულ მიზანს ემსახურება, რომელშიც თევზის დამარილებისთვის მოსახერხებელი დეტალის გამოყოფა გაგვიჭირდება.

სეზონური დიფერენციაციის ვერსიასთან დაკავშირებით გვსურს შევნიშნოთ, რომ ზამთრის პერიოდი არ წარმოადგენდა მოსახერხებელ დროს ზღვისპირა სადგომებზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვისთვის. როგორც აღვნიშნეთ, სადგომებზე სერიოზული ნაგებობის კვალი არ არის აღმოჩენილი. ამიტომ, გამოითქვა ვარაუდი, რომ აქ საცხოვრებლად მხოლოდ მსუბუქი ფაცხისებრი ნაგებობები იყო გამოყენებული. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აბაზანისნაგვარი ჭურჭლების გამოძერწვა და გამოწვა ადგილზე, ქვიშაზვინულზე, ხდე-

[29] ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია ნ. ხოშტარიამ.

ბოდა: ჯერ ჭურჭელს გამოაშრობდნენ მზეზე, ხოლო შემდეგ გამოწვავდნენ ნახევრადღია კერებში. საეჭვოა, რომ ზამთარში შესაძლებელი ყოფილიყო როგორც მსუბუქ ფაცხებში ცხოვრება, ასევე ცივ წყალთან მუდმივი კონტაქტი. ამავე დროს, კარგი ამინდის მოლოდინში, უსასრულოდ გაჭიანურდებოდა (თუ საერთოდ მოხერხდებოდა) აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ადგილზე გამოშრობა და გამოწვა.

ის, რომ, დიუნურ სადგომებზე კულტმსახურებას და მასთან დაკავშირებულ ცერემონიალებს ჰქონდა ადგილი, ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს მატერიალური ნაშთებით ყველაზე თვალსაჩინოდ დასტურდება (სამსხვერპლოები, რქისებრშვერილიანი სადგრები, კუთხეებმომრგვალებული სადა და ორნამენტიანი ფილები). მაგრამ, სადგომების ხასიათის განმსაზღვრელი მაინც აბაზანისმაგვარი ჭურჭლებია. კვლავაც ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ აბაზნისმაგვარი ჭურჭლები ადგილზე მზადდებოდა (გამოძერწვა და გამოწვა). ისინი აშკარად არატრასპორტაბელურია. შესაძლოა, ჩვენ დავიწუნოთ აბაზანისმაგვარი ჭურჭლების გამოძერწვის და გამოწვის ხარისხი, მაგრამ, ფაქტია, რომ მათი დამზადება მაინც საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, დიუნურ სადგომებზე ასეთი დიდი რაოდენობით აბაზანების მიკვლევა უფრო საწარმოო პროცესის არსებობაზე უნდა მიუნიშნებდეს, ვიდრე რიტუალური ცერემონიალების მატერიალურ უზრუნველყოფაზე. როგორც აღვნიშნეთ, აბაზანისმაგვარი ჭურჭლები ჯერჯერობით არ არის მიკვლეული ქვიშაზვინულებისგან დაშორებულ არცერთ თანადროულ ნამოსახლარზე, რაც კონკრეტულ კულტთან ასოცირების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, გარკვეული ფორმით დადასტურდებოდა ნამოსახლარების არქეოლოგიური კვლევის პროცესში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მიკვლეული დიუნური სადგომების კვლევის შედეგები თვალნათლივ მეტყველებს, რომ ადრერკინის ხანის კოლხეთში განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა სამეურნეო ცხოვრება, შეიქმნა მყარი ეკონომიკური საფუძველი წარმოების ახალი დარგების განვითარებისთვის. ზღვისპირა რეგიონი ქართველური სამყაროს მატერიალური და სულიერი ცხოვრების თანაზიარია, რაც ასახულია წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და იმ ნივთიერ კულტურაში, რომელიც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად არის გამოვლენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963

გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978

თავამაიშვილი გ., ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, XXII, თბილისი, 2012

თავამაიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ქვიშაზვინულებზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი, 1987

თავამაიშვილი გ., ციხისძირის სამსხვერპლო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XIX, თბილისი, 1988

თავამაიშვილი გ., ზღვისპირა სადგომების დანიშნულების შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, XIX, თბილისი, 1991

თავამაიშვილი გ., რიტუალური ჭურჭელი ციხისძირიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი, 2002

ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები (ანგარიში), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბილისი, 1977

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბილისი, 1971

კახიძე ა., თავამაიშვილი, გ., ჩავლეიშვილი, ი., საველე არქეოლოგიური ძიებანი ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, თბილისი, 2013

მირიანაშვილი ქ., თევზჭერის იარაღის შესწავლისთვის: ანკესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XVIII, თბილისი, 1973

რამიშვილი ა., ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე (1961 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბილისი, 1964

რამიშვილი ა., ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში (1960 წლის არქეოლოგიური დაზვერვის მასალები), ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ბათუმი, 1964

რამიშვილი ა., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი, თბილისი, 1971

ჩავლეიშვილი ი., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარებზე 1983 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი, 1987

ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში, თბილისი, 1987

ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მაცნე, ტ. XVI-B, თბილისი, 1950

Weinberg S., Corinthian Relief Ware: Pre-Hellenistic period ... Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens. Vol. 23, No. 2, Apr. – Jun. 1954

Блаватский В., История античной расписной керамики. Москва,1953

Воронов Ю. Н., Диоскуриа-Себастополис-Цхум. Москва, 1980

Джанелидзе Ч., Палеография Грузии в голоцене. Тбилиси, 1980

Керингтон Р., Биография моря. Ленинград, 1964

Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды. т. II, Тбилиси, 1950,

Мамаладзе Дж., Морской плейстоцен Колхиды. Тбилиси, 1975.

Леонтьев О, Геоморфология морских берегов и дна. Москва,1955.

Пещерева Е., Гончарное производство Средней Азии. Ч.1. Москва-Ленинград, 1959.

Рамишвили А., Раскопки приморских стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960-1964 и 1967 гг. «Советская археология», 1, 1975

Рамишвили А., О назначений стоянок с текстильной керамикой Восточного Причерноморья, «Советская археология», 4, 1975

Семёнов, Коробкова, 1988

Соловьев Л., Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчире.Труды АБГМ, I, Сухуми, 1947

Соловьев Л., Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. Советская Археология, XIV, Москва-Ленинград, 1950

Трапш М., Археологические раскопки в окрестностях Сухуми. Труды АБИЯЛИ, XXIX, Сухуми, 1958

Хоштариа Н., Археологическое исследование Уреки. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიური შესწავლისთვის. ტ. I, თბილისი, 1950

Хоштариа Н., Археологические раскопки в Пичвнари и Чолоки. Газета «Батумский рабочий», 07.04.1957

Цвинария И., Поселение Гуандра (Новый памятник энеолита и ранней бронзы в Абхазии), Тбилиси, 1980

Giorgi Tavamaishvili

DUNE SETTLEMENTS OF THE COASTAL AREA OF GEORGIA (PICHVNARI, BOBOKVATI, TSIKHISDZIRI)

The settlements (which in the scientific literature, are called dune settlements) discovered on dunes of the new Black Sea terrace of west Georgia provide significant information with respect to the study of the economic and spiritual life of the inhabitants of the old Colchis. This type of settlement is preserved in a quite damaged condition due to the proximity to the sea or natural cataclysms. This circumstance significantly conditioned the diversity of points of view regarding the nature of these settlements.

The excavations (in Abkhazia, Guria, Adjara) carried out earlier on the dune settlements of the coastal area of Georgia were small-scale, which actually had an observational nature. Thus, the archaeologists could not manage to fix any type of complex at the early stage of the study.

The systematic study of the dune settlements of the coastal area of Georgia started in the II half of the XX c. and it is related to the Pichvnari dune settlement.

It was the first, more or less large-scale excavation of the coastal dune settlements. It can be said that the experience gained as a result of the excavations of the Pichvnari dune settlement, created a solid methodological basis for the study of similar sites.

ტაბულების აღწერილობა:


I. ფიჭვნარის დიუნური ნამოსახლარი. საკურთხევლები (2010 წ გათხრები)
II. ბობოყვათის დიუნური სადგომი. საცხოვრისის ნაშთი
III. ბობოყვათის დიუნური სადგომი. კერა. საკურთხეველი
IV. ბობოყვათის დიუნური სადგომი. სამსხვერპლო
V-VI. ბობოყვათის დიუნური სადგომი. თიხის რქისებრშვერილიანი სადგრებისაგან და აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ნატეხებიდან ნაგები სამსხვერპლო
VII. ციხისძირის სამსხვერპლო
VIII. თიხის კუთხეებმომრგვალებული ფილები
IX. თიხის რქისებრშვერილიანი სადგრები
X. ციხისძირის რიტუალური ჭურჭელი



1




2




1



1



2


N
k
l
A-A
B-B
C
A-A
E-E
Г




1




2



1



2


I
N




1



2



3



4




1




2



3



4



5



1



2



3

ამირან კახიძე
ნარგიზ სურმანიძე
მალხაზ ნაგერვაძე

გორანამოსახლარი ნამჭედური II

ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ერთ-ერთ გორანამოსახლარს ნამჭედური II წარმოადგენს. იგი ცენტრალური ბორცვის, ნამჭედური I-ის გარეთ წარმოქმნილი სამოსახლო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. ძეგლზე არქეოლოგიურ სამუშაოებს 2007, 2010 წლებში საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა, ხოლო 2018-2019 წლებში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით სსიპ აჭარის მუზეუმი – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი (ხელმძღვანელი ა.კახიძე) (კახიძე, სურმანიძე, 2019; კახიძე, სურმანიძე, 2020: 377-380)

ამ ეტაპზე შესწავლილი მონაკვეთი ექცევა SO –I/76 სექტორის მე-15, 25-ე, 35-ე, მე-14, 24-ე, 34-ე, მე-13, 23-ე, 33-ე, მე-12, 22-ე, 32-ე, მე-11, 21-ე, 31-ე კვადრატებში. თხრილის ზომებია 20x12 მ. სიღრმეები ჭრილის მიხედვით არაერთგვაროვანია: აღმოსავლეთით – 1,50 მ, სამხრეთით – 1,45 მ, დასავლეთით -1,35 მ, ჩრდილოეთით – 1,20 მ (ტაბ. I-IX).

ფიჭვნარის ნაქალაქარის სხვა უბნების მსგავსად ეს ადგილი სიმინდისა თუ ბრინჯის ყანებად გამოიყენებოდა, შესაბამისად არ ხდებოდა ღრმა კულტივაცია, ამიტომაც ზოგიერთ მონაკვეთში ჰუმუსი თითქმის არ გამოიყოფა (კვ. 25, 35). ჭრილის ზედა ნაწილი მოყვითალო თიხნარი ფენითაა წარმოდგენილი, რომელსაც მოსდევს მოშავო ფერის ცალკეული მონაკვეთები (მსგავსი პლასტები დამახასიათებელია ფიჭვნარის კლასიკური ხანის ფენებისათვის).

არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოიყო ელინისტური ხანის ორი კულტურული ფენა. პირველზე შემორჩენილია ბათქაშებნარევი მოტკეპნილი მოედანი, რომელიც იატაკის შთაბეჭდილებას ტოვებს (სიმძლავრე 12-22 სმ). გამართული უნდა ყოფილიყო ხის კონსტრუქციაზე. მეორე დონეც ბათქაშოვანი ფენის მომცველია. პირველისაგან 15 სმ-ით დაბლაა. იატაკი აქაც საგანგებოდ მოტკეპნილია (ტაბ.II/2; VI/1).

შესწავლილი ფართობის დიდი ნაწილი მოყვითალო თიხნარითაა მოზვინული (ტაბ. I/1; X/2), გარკვეული მონაკვეთები რიყის ქვებით იყო მოგებული (ტაბ. IX/2). მე-14-15 კვადრატების მიჯნაზე ზვინულში 80 სმ სიღრმეზე გამოერია ადრეული ზოომორფული ყურის ფრაგმენტები, რაც ფიჭვნარისათვის არაა გასაკვირი. ნამჭედური I-ის მიხედვით ვიცით, რომ ეზო-კარის მოწყობის მიზნით, ახლო-მახლო ადგილებიდან მოტანილი მიწის მასა ხშირად შეიცავს წინაანტიკური ხანის ამსახველ არტეფაქტებს (Микеладзе, Хахутаишвили, 1985). ამის გათვალისწინებით ვასკვნით, რომ ფიჭვნარის სახით ჩვენ საქმე გვაქვს, ვრცელი ტერიტორიის

მომცველი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვანი და შესანიშნავად სტრატიფიცირებული დასახლების ნაშთებთან.

ანალოგიურ სურათი გამოიკვეთა ძვ.წ. V საუკუნის კულტურული ფენის შესწავლის დროსაც (სიმძლავრე 20-25 სმ). ზოგიერთ მონაკვეთებში (კვ. 35) შემორჩენილია მოყავისფრო ბათქაშისა და ხის ნახშირების გროვა (ტაბ. XI/1). მის ირგვლივ კომპაქტურად განლაგებულია სხვადასხვა სახის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. VI/2). ბათქაშების შეფერილობა ელინისტურთან შედარებით გარკვეულ სხვაობას იძლევა. ესენი მუქი მოყავისფროა, ელინისტურისა კი – შედარებით ღია. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად ჩნდება ხის ნახშირის ნაშთები. არაა გამორიცხული, რომ ხის კონსტრუქცია ბათქაშებით იყო დაფარული.

32-33-ე კვადრატებშიც გამოიკვეთა ბათქაშოვანი შელესილობის ნაშთები, დანახშირებული ძელები (სიღრმე -1,55 მ. ზომები 6X4 მ) (ტაბ. IV/1; V/2; XI/2; XII/1). მისგან დასავლეთით (კვ. 12, 13, 32) ვრცელდება გაშავებული მოედნები და დამწვარი ხის ანაბეჭდები. ასევე მოტკეპნილი მოედნის დასასრულს ჩნდება თიხის ჭურჭლის ნატეხები. მათ შორის შესანიშნავად დაცული კოლხური სასმისი (მე-13 კვადრატი). არის სხვა სახის ფრაგმენტები. ზედაპირიდან ეს დონე 1,35-1,40 სმ-ზეა.

განსხვავებულ სურათია თხრილის ჩრდილოეთ (მე-11 და 21-ე) კვადრატებში. პრეპარირებულია კულტურული ფენა, რომელსაც ზემოდან ადევს 64-70 სმ სიმძლავრის ყვითელი ფერის თიხნარი. ფენაში წარმოდგენილი იყო ელინისტური და კლასიკური ხანებისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი და უცხოური არტეფაქტები (ტაბ. III/1; IV/1; XIV/3).

31-ე კვადრატში ზედაპირიდან 1,35-1,40 მ სიღრმეზე in situ მდგომარეობაში გამოჩნდა წინაანტიკური ხანის ჯარგვალური ტიპის ნაგებობის ნაშთები. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ ეტაპზე გაიწმინდა ხის კედლის ორი წყობა, რომელთა შორისაც მოქცეულია პერპენდიკულარულად, სამხრეთისაკენ მიმართული მოკლე, სოლისებურად წაკვეთილი მორები (I – დიამ. – 8 სმ, სიგრძე – 26 სმ; II – დიამ. – 12 სმ, სიგრძე- 26 სმ). კედლის შიდა მხარეს ჩნდება უწესრიგოდ, ზოგან კი – პარალელურად განლაგებული ხის ფრაგმენტები, ასევე წვრილი ტოტები თუ ნაფოტები. ზოგიერთი მათგანი ნაწილობრივ დანახშირებულია. ჩანს, რომ ხის კონსტრუქცია დასავლეთით ვრცელდება 21-ე კვადრატში, ზემოთ აღნიშნული ანტიკური ხანის მძლავრი კულტურული ფენის ქვეშ (ტაბ. XII/2).

შესასწავლი ფართობის დიდი ნაწილი თიხნარითაა მოზვინული, სიმძლავრე – 70-75 სმ. ზვინულის შემდეგ ერთგან გამოჩნდა კომპაქტურად განლაგებული რიყის წვრილი ქვებით მოკირწყლული მოედანი (სიგრძე – 69 სმ, სიგანე – 70 სმ). მოყვითალო თიხნარში წარმოდგენილი იყო კოლხური სასმისი (კვ. 12), ქვევრის პირისა (კვ. 14,15) და მრავალგანყოფილებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები (კვ. 22) (ტაბ. XIV/2).

25-35-ე კვადრატებში, 1,50 მ სიღრმეზე თავი იჩინა წინაანტიკური ხანის კულტურული ფენის ზედა მონაკვეთმა, სადაც დაფიქსირდა მხოლოდ დერგებისა და ქოთნების ნატეხები. არაა გამორიცხული, რომ აქ სამეურნეო-საკუჭნაო განყოფილებასთან გვქონდეს საქმე.

მონაპოვრებს შორის გვხვდება სხვადასხვა სახის ნაკეთობანი. სამეურნეო კერამიკაში ჭარბობს ქვევრის პირისა და ტანის ფრაგმენტები. მათზე დატანილი ორნამენტი დაკბილული იარაღითაა გამოყვანილი. ზომიერადაა წარმოდგენილი კოლხური სასმისები, ცილინდრულტანიანი და მაღალქუსლიანი ნიმუშები, რომელთა ერთი ნაწილი შემკულია ტალღისებური, ჭდისებრი და წერტილოვანი ორნამენტით (ტაბ. XVIII/2-5). მსგავსი სასმისები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე. საყოფაცხოვრებო კერამიკას შორის ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს ქოთნები. ფორმა ტიპური. კოლხურ კულტურაში გვიანბრინჯაოს ხანიდან პოვებენ გავრცელებას და ძვ.წ. VI-II სს მასობრივი მოხმარების საგანს წარმოადგენენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაფისებური ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. XVIII/1). სამკუთხა მოყვანილობის ყური პირ-ქობაზეა ჰორიზონტალურად დაძერწილი. როგორც ჩანს, სამზარეულო ჭურჭლის ამ სახეობას მოპირდაპირე მხარეს მეორე ყურიც ქონდა, რომელთა ნახვრეტში ირჭობოდა ცეცხლგამძლე ღერაკი. უახლესი მონაპოვარი შედარებით ახლო პარალელს პოულობს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მასალებს შორის, ოღონდაც ამათი ყურების წრისებრი ნახვრეტი შედარებით არასიმეტრიულია. მათი დანიშნულება მრავალმხრივი უნდა იყოს.

გათხრებისას აღმოჩნდა ადგილობრივი და იმპორტული ამფორის ფრაგმენტები. კოლხური ამფორებიდან შემორჩენილია პირ-ყელის, ყურისა და ძირ-კედლის ნატეხები. მსგავსი ამფორები ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ III საუკუნის II ნახევრიდან.

იმპორტული ნაკეთობებიდან გვხვდება თაზოსური ამფორის, შავლაკიანი კილიკისა თუ სხვა სახის ჭურჭლის ფრაგმენტები. საინტერესოა ცილინდრულძირიანი ჭურჭელი. იგი განეკუთვნება ადრეული კლასიკურ ხანას. პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში.

საკულტო ნივთებიდან გამოიყოფა ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი, ძაღლის თავის გამოსახულება (ტაბ. XX). აკლია ერთი ყური და დრუნჩი. თიხა ყავისფრად გამომწვარია. აქვს ზემოთკენ მიმართული დაცქვეტილი ყურები. თვალები წრიული ფოსოთია გამოყვანილი. იკითხება ცხვირის რელიეფური კონტური. როგორც ჩანს, მესეფეების კულტი ადრერკინის ხანიდან ელინიზმის ეპოქამდე ვრცელდება. ზღვის მკვიდრთა თანმხლები ყურშას გამოსახულება ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზეცაა აღმოჩენილი (კახიძე, თავამაიშვილი, ჩავლეიშვილი, 2013: 17, ტაბ. VI/1).

ლითონის წარმოებას უკავშირდება თიხის ტიგელი. სამშენებლო კერამიკა ერთი გვერდაკეცილი კრამიტის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. XIX/5,6). დამზა-

დებულია სინოპური კრამიტების სტანდარტების მიხედვით. რიყის ქვის ნაკეთობებიდან მრავლად გვხვდება ოვალური მოყვანილობის ორგვერდამოღარული საწაფები (ბადის საძირავები), მოგრძო ნავისებური ფორმის ხელსაფქვავი, ოვალური ფორმის საპრიალებელი, გვაქვს ნამგლის კაჟის ჩასართებიც. მონაპოვრებს შორის წარმოდგენილია ერთი ცალი თვალადი მძივი.

არქეოლოგიური სამუშაოების გარკვეული წილი ნაქალაქარის იმ უბნის კვლევას დაეთმო, რომელიც ნამჭედური I-ის ჩრდილოეთითა და ნამჭედური II-ის დასავლეთით მდებარეობს (კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე, ძნელაძე, თურმანიძე, ნაგერვაძე, ფარტენაძე, 2017: 113-206). 2015 წელს, ადრინდელი სამელიორაციო არხების გაწმენდისას ამოყრილ ფენებში, სტუდენტთა ძალების გამოყენებით შევაგროვეთ დიდძალი ზედაპირული მასალა. გარდა ამისა, ნაქალაქარის პირველი უბნის ჩრდილო მონაკვეთზე, სამელიორაციო არხთან ახლოს აიგეგმა ორი კვადრატი (ტაბ. XXII). გვაინტერესებდა ანტიკური ხანის კულტურული ფენების არსებობა. თხრილი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ – სიგრძე 8 მ; სიფართე 4 მ. ექცევა SO – 55 სექტორში, კვადრატები 74 და 84. ჰუმუსის სისქე შეადგენდა 30-40 სმ, მას მოსდევს ყვითელი თიხნარი. ამის შემდგომ იწყება შავი ფერის ფენა, რომლის შესწავლა ჯერ კიდევ ბოლომდე არაა მიყვანილი. ჩნდება ბათქაშებიანი შრე. 84-ე კვადრატში ჰუმუსს მოსდევს მოშავო ფენა. არაა გამორიცხული, რომ ეს ადგილი წარმოადგენდა კლასიკური ხანის შემაღლებული ბორცვის წვეროს, რომელიც გრძელდება 74-ე კვადრატშიც. თხრილში ელინისტური ხანის ნაგებობის ნაშთების არსებობა არ შეინიშნება, თუმცა ეს ადგილები საგანგებოდ იყო მოსწორებული. ეტყობა ახლო მდებარე საცხოვრისის ეზოს ეკუთვნოდა. თანდათანობით მომრვალდა ბათქაშის ნაშთები. ყველაზე მაღალ დონეზე, 84-ე კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, გამოჩნდა იატაკისებურად მოსწორებული, ოდნავ დაბალი ბათქაშიანი დონე. იგი გაგრძელდა 74-ე კვადრატის დასავლეთ მონაკვეთზეც. ამავე კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში თხელი შრეების სახით ავიღეთ ყვითელი ფენა, აქაც მივუახლოვდით შავ ფენას, მასალა საკმაოდ მწირია. ამ მონაკვეთზე აღმოჩნდა სასმისისებრძირიანი ამფორის ძირისა და კედლის ნატეხები. ჩრდილო აღმოსავლეთი კუთხის გარდა ელინისტური ხანის ფენის აღების შემდეგ სხვა ადგილებშიც გამოიკვეთა ბათქაშების მომცველი სწორი იატაკისებრი დონე. სიღრმე თანამედროვე ზედაპირიდან შეადგენდა 65-70 სმ, შესანიშნავად გამოიკვეთა ჰუმუსი, ყვითელი თიხნარი და სხვადასხვა დონეზე ბათქაშებიანი ფენა. ბათქაშებიანი მონაკვეთი 74-ე კვადრატში იწყება თანამედროვე ზედაპირიდან 40 სმ. სიღრმეში, ხოლო აღმოსავლეთ კუთხეში – 50 სმ. სიღრმეში; თითქოს გამოიყოფა ეზო-მოედნის ორი ჰორიზონტი. შავ ფენასთან მიახლოებისას ჩნდება ხის ნახშირის ნაშთები ვიწრო ზოლის სახით. ალაგ-ალაგ თავი იჩინა ფიჭვნარისათვის დამახასიათებელმა ე.წ. მტრედისფერმა თიხნარმა.

არქეოლოგიური მონაპოვრები შედარებით მცირერიცხოვანია. ამასთან გასაგები მიზეზების გამო ერთი ნაწილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისაა. გარ-

კვეულ ჯგუფს კლასიკური ხანის არტეფაქტები ქმნიან, დანარჩენები კი ელინიზმის ეპოქას განეკუთვნებიან. გვიანბრინჯაო-რკინის ხანის მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან მრგვალგანივკვეთიანი რქისებრი სადგრები, რომელთა ერთი ნაწილი წყვილშვერილიანია, ნაწილი კი – კონუსისებრი მოყვანილობის, ასევე ითქმის მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლების შესახებ (ტაბ.XXIII/1-5). ადრეულია დიდი ზომის ჰორიზონტალურშვერილიანი ჭურჭლის ნატეხი. კეცი ნაცრისფერი. არის ვერტიკალურკანელურებიანი ჭურჭლის ფრაგმენტი. მოპოვებულია თიხის ყალიბის ნატეხიც.

კლასიკური ხანით თარიღდება სამკუთხაგანივკვეთიანი ქვევრის პირი, რომლის ფართო კალთაზე დაკბილული იარაღით დატანილია რომბისებური ბადის ორნამენტი (ტაბ. XXIV/1). ამავე პერიოდის ჩანს დოქის ყური, რომლის ბოლოზე კოპია დაძერწილი, კეცი ნაცრისფერი (ტაბ.XXIV/3), დანარჩენი იმპორტულ ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება. ასეთია წყვილღეროიანი ჭურჭლის ყური, რომელზეც შემორჩენილია მეწამული წითელი ფერის სადა ჰორიზონტალური ზოლები (ტაბ. XXIV/7). ერთადერთია მაღალფეხიანი შავლაკიანი თიხის ნატეხი (ტაბ. XXIV/6). დანარჩენი მასალა პროტოთაზოსური თუ თაზოსური ამფორების ყურებისა და კედლის ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. ელინიზმის ეპოქის მასალებს შორის აღსანიშნავია ქვევრის პირი, ყავისფერკეციანი ხუფი (ტაბ. XXIV/2), კოლხური ამფორის ძირები (ტაბ. XXIV/4,5), ყურების და კედლის ნატეხები. გამოერია სინოპური ამფორის ფრაგმენტიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, მეცნიერება, თბ., 1971

კახიძე ა., თავამაიშვილი გ., ჩავლეიშვილი ი., საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები V, თბ., 2013

კახიძე ა., სურმანიძე ნ., შალიკაძე თ., ძნელაძე ნ., თურმანიძე მ., ნაგერვაძე მ., ფარტენაძე თ., 2014-2015 წწ ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვანზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2017

კახიძე ა., სურმანიძე ნ., 2018 წელს ფიჭვნარში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. – 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, თბ., 2019

კახიძე ა., სურმანიძე ნ., 2019 წელს ფიჭვნარში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. – 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, თბ., 2020

Микеладзе Т.К, Хахутаишвили Д.А., Древнеколхидское поселение Намчедури, мецниереба, Тб., 1985

Amiran Kakhidze
Nargiz Surmanidze
Malkhaz Nagervadze

THE INHABITED HILL OF NAMCHEDURI II

Namcheduri II is the component of the settlement complex created out of Namcheduri I – the central hill of the Pichvnari ruins. As a result of the field archaeological works carried out on this site in 2007, 2010, 2018 and 2019, the Hellenistic and Classical cultural layers separated from each other by stacked levels are studied.

The excavations revealed the construction site of both periods. The rammed-down plastered sections seemed to be a floor. The plasters in the Classical period were dark brownish, and in the Hellenistic period – they had comparatively light colour. The building could be arranged on a wooden construction. It should be outlined that charcoal appeared quite often. It is not excluded that wooden constructions were also plastered by the start of the Classical period. Most part of the area is stacked with yellowish loam, certain sections are paved with cobblestone. It seems that the buildings had well-arranged yards.

At one place, the remains of a log-type building of the Pre-Antique period were found in the in situ condition at the depth of 1,35-1,40 m. Two layers of a wooden wall are preserved. Wood fragments, small branches and wood chips scattered or arranged in parallels in some places, were found in the internal side of the wall. Some fragments were turned to charcoal. The findings include various types of economic and domestic ceramics, most part of which is the fragments of Kvevri; a significant number of pots and cups are found as well.

The fragments of the local and imported amphorae, fragments of polished black kylix were also discovered during the excavations. The cylindrical-bottom vessels of the early Classical period are also interesting.

The most prominent cultic item is the image of a dog head found in the cultural layer of the Hellenistic period.

Clay crucible is related to metal production. The construction ceramics is represented by one side-folded tile, produced according to the Sinopian tile standards. As for the cobblestone items, sinkers, polishers, hand grinders were found. Also, flint sickle fragments and one large bead were found.

ტაბულების აღწერილობა:

I-II.	გორანამოსახლარ ნამჭედური II გათხრების საერთო ხედი.
III-V.	2007-2010 წლების გათხრები. თხრილის ჩრდილოეთი მონაკვეთი. ელინისტური ხანის კულტურული ფენების ზედა დონე.
VI-VII.	2018 წლის გათხრები. თხრილის სამხრეთი მონაკვეთი. ელინისტური და კლასიკური ხანის კულტურული ფენები.
VIII.	თხრილის სამხრეთი და დასავლეთი ჭრილები.
IX.	2019 წლის გათხრები. თხრილის სამხრეთი მონაკვეთი. ელინისტური და კლასიკური ხანის კულტურული ფენები.
X.	1. კლასიკური ხანის მოკირწყლული მოედანი; 2. ელინისტური ხანის კულტურული ფენები და ჭრილი.
XI.	1. კლასიკური ხანის ბათქაშოვანი ფენა; 2. ბათქაშოვანი შელესილობისა და დანახშირებული ძელების ნაშთები.
XII.	1. ბათქაშოვანი შელესილობისა და დანახშირებული ძელების ნაშთები, გაშავებული მოედნები; 2. წინაანტიკური ხანის ჯარგვალური ნაგებობის ნაშთები.
XIII.	კლასიკური ხანის კულტურულ ფენაში დაფიქსირებული არტეფაქტები.
XIV.	1. ბათქაშები; 2. თიხატკეპნილში დაფიქსირებული მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლის ფრაგმენტები; 3. ელინისტური ხანის კულტურული ფენა.
XV-XXI.	2018-2019 წლების გათხრების დროს აღმოჩენილი მასალები.
XXII.	ნამჭედური I-ის ჩრდილოეთითა და ნამჭედური II-ის დასავლეთით მდებარე თხრილი. გათხრების საერთო ხედი.
XXIII-XXV.	მოპოვებული მასალა.



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



3



4



5




1




2




3




1




2




3







1




2




3




4




5




1 2




3 4




5 6




7




1




2




3




4




5



6




7




8




1




2



3



4





1



2



1



2



3



4



5



6



1



2



3



4




5




6




7



1




2




3




4




5




6



7



8



9

მაია ჭიჭინაძე
ელისო ყვავაძე

პალეოდაავადებები, პალეოდიეტა და ეთნომედიცინა ადრე ანტიკური ხანის კოლხეთში (ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგები)

არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეთა მტვრის მიხედვით, შესაძლებელია სხვადასხვა დაავადებების გამოვლენა, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი უძველესი პერიოდიდან დღემდე ერთსა და იმავე სამკურნალო ბალახებს მოიხმარს. ამის კარგი მაგალითია ფარსმანდუკი *(Achillea)* და ღიღილო (*Centaurea*). ამ მცენარეთა სამკურნალო თვისებები ხალხურ მედიცინაში ცნობილი იყო ჯერ კიდევ პალეოლითური ხანის ადამიანისთვის. ძუძუანას, ბონდის, საწურბლიასა და კოტიას კლდის გამოქვაბულებში მცხოვრები ადამიანები ზედა პალეოლითში აღნიშნულ მცენარეებს და აგროვებდნენ და მღვიმეში ინახავდნენ (Martkoplishvili, Kvavadze 2015). ფარსმანდუკისა და ღიღილოს მტვრის მარცვლები ნაპოვნია ერაყში მდებარე შუა პალეოლითურ მღვიმე შანიდარ IV-შიც (Leroi-Gourhan 1975; Lietava 1992). სამკურნალო მცენარეთა მტვერი და მათი მნიშვნელობა პალეოფარმაკოლოგიაში სხვა არქეოლოგიური ძეგლების კვლევის დროსაც არის აღწერილი (Merlin 2003; Chaves, Reinhard 2003; Kvavadze et al. 2010, 2013, 2016).

არქეოლოგიურ ძეგლებზე პალინოლოგიურად არის შესწავლილი მიცვალებულის მუცლის არესთან და გავის ძვალთან აღებული ორგანული ნაშთები, ასევე ადამიანის განამარხებული ექსკრემენტები (Matsui et al. 2003; Oeggl 2008; Brinkkemper and Haaster 2012; Deforse at al. 2017; Kvavadze 2016; Kvavadze et al. 2011). მიცვალებული ჩონჩხის მუცლის არესა და გავის ძვალთან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრები ძალიან ხშირად ერთმანეთის მსგავსი შემადგენლობისაა. როგორც წესი, ორივე ნიმუშში გვხვდება ერთი და იგივე საკვები და სამკურნალო მცენარეების მტვერი, პარაზიტრული ჭიის კვერცხების ნაშთები და სხვა (Kvavadze 2016; Kvavadze et al. 2013, 2015; 2020).

პალინოლოგიური კვლევის თანახმად, ადამიანის განამარხებული ექსკრემენტებიც (კოპროლიტები) ზემოთ განხილული მასალის მსგავსად შეიცავენ კარგად დაცულ საკვებ, სამკურნალო მცენარეთა მტვერს, სხვადასხვა პარაზიტული ჭიის კვერცხების ნაშთებსა და სხვა არაპალინოლოგიურ სახის პალინომორფებს (NPP). პალეოპარაზიტოლოგებისა და პალეობოტანიკოსების მიერ გამოკვლეულია უძველესი, განამარხებული საპირფარეშოს მასალა, რომელიც ძალიან იშვიათი აღმოჩენაა. ამ მასალის კვლევის მთავარი მიზანი ჰელმინთოზების, მცენარეთა თესლებისა და მწერების მაკროსკოპიული ნაშთების გამოვლენა

იყო (Han et al. 2003; Le Bailly et al. 2007; Araujo et al. 2008; Hoon Shing et al. 2009). ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განამარხებული საპირფარეშო დღემდე პალეობოტანიკურად და პალინოლოგიურად შესწავლილი არ ყოფილა.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური შესწავლა პალეოეკოლოგიური გარემოს დეტალური აღდგენის, ადამიანის დიეტის (კვების რაციონი), იმ დროს გავრცელებული დაავადებების გამოვლენისა და სამკურნალო მცენარეების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 2019 წლის ზაფხულში არქეოლოგიური გათხრების დროს, ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგები. შესწავლილი ფენები არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით თარიღდება ძვ.წ. V-IV საუკუნით. აღნიშნული ძეგლი შედის ფიჭვნარის ნაქალაქარის კომპლექში და ფიჭვნარის ნაქალაქარის მსგავსად, ამ ძეგლსაც შესწავლის ხანრძლივი ისტორია აქვს (Kakhidze 2001; 2020; Vickers and Kakhidze 1999; 2006; Mikeladze, Khakhutasvili 1985)

მასალა და მეთოდი

ნამოსახლარ ნამჭედური II-ის პალნოლოგიური კვლევის დროს, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ხის ძელების ნაშთებთან (ტაბ.I), №31 კვადრატში (სექტორი CD-1/76) აღებული ნიმუშები (ნიმუში №1,2). არქეოლოგების აზრით ეს ნაგებობა ჯარგვალური ტიპის ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ორი (№1, 2) სინჯის პალინოლოგიური სპექტრი კარდინალურად განსხვავდება იმავე კვადრატიდან აღებული ბათქაშისა და იატაკის ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრებისგან. ამასთან ნიმუშები ავიღეთ თანამედროვე ნიადაგიდან, იმ მიზნით, რომ გამოგვერიცხა მასალის დანაგვიანების შესაძლებლობა.

შესწავლილი ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრები დატანილია დიაგრამებზე (ტაბ.II/1,2). პალინოლოგიური (ტაბ. III, IV, V). და არაპალინოლოგიური პალინომორფების მიკროსკოპიული ფოტოები წარმოდგენილია ტაბულებზე (ტაბ.VI).

მასალა დამუშავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში სტადარტული მეთოდით (Erdtman 1969; Moore et al. 1991. პირველ ეტაპზე მასალა 10-15 წუთის მანძილზე იხარშებოდა კალიუმის ტუტის (KOH) 10% სხნარში. 24 საათის შემდეგ მასალა გაირეცხა კალიუმის ტუტის მოსაცილებლად. მეორე ეტაპზე მოხდა მასალის ცენტრიფუგირება მძიმე სითხეში (ორგანული და მინერალური მასალის განცალკევება), მესამე ეტაპზე მასალის მძიმე სითხისაგან გარეცხვის შემდეგ ხდება მისი აცეტოლიზი, რაც მიკროსკოპიულ ნაშთებს კიდევ ერთხელ ასუფთავებს და სძენს მათ უფრო მუქ შეფერილობას.

პალინომორფების იდენტიფიკაცია, დათვლა და ტაქსონების ფოტოგრაფირება სინათლის მიკროსკოპ Olympus BX43 -სა და Omax-ის ფირმის მიკროსკოპის

გამოყენებით ჩატარდა. მიღებული შედეგების დამუშავება და დიაგრამების აგება სტატისტიკური პროგრამა "TILIA"-ს გამოყენებით შესრულდა (Grimm 2016).

კვლევის შედეგები

ხის ძელებთან აღებული ნიმუში 1. ამ ნიმუშს პალინოლოგიური სპექტრიდან გამომდინარე, პირობითად საპირფარეშო დავარქვით. ის აღებულია 31-ე კვადრატში, in situ მდგომარეობაში, დამუშავებული ხის ძელისებურ ნაშთებთან (ტაბ.I). პალინოლოგიური თვალსაზრისით, ნიმუში ძალიან მდიდარი აღმოჩნდა მცენარეთა მტვრის შემადგენლობითა და არაპალინოლოგიური ტიპის ნაშთებით (NPP). წიწვოვნებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ფიჭვია (*Pinus*) წარმოდგენილი, შედარებით ნაკლებია ნაძვის და ერთეულია სოჭის (*Abies*) მტვერი. ხემცენარეებიდან მრავლად გვხვდება მურყნის (*Alnus*) მტვერი **(**ტაბ.**II).** რაოდენობრივად მას მოსდევს რცხილა (*Carpinus*), წაბლი (*Castanea sativa*), თხილი (*Corylus*), შედარებით ნაკლებია ჩვეულებრივი ვაზის (*Vitis vinifera*) (ტაბ.III/3-6), ძახველის (*Viburnum*), თელას (*Ulmus*), ძელქვის (*Zelkova*) მტვრის მარცვლები**,** მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი იფანი (*Fraxinus*), მუხა (*Quercus*), ტირიფი (*Salix*).

ბალახოვნებიდან უხვადაა სათესი მარცვლოვნების, ხორბლის (*Triticum*) მტვერი (ტაბ.IV/1,2,3,4,6). ნიმუშში წარმოდგენილია ნაცარქათამას (*Chenopoium album*), მრავალძარღვას (*Plantago*), ნარშავის (*Carduus*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ჭინჭრის (*Urtica*), ლაშქარას (*Symphytum*), მატიტელას (*Polygonum*), გოქშოს (*Dipsacus*), კანაფისა (*Cannabis*) და მჟაუნას (*Rumex*) მტვრის მარცვლები. ნიმუშში აღმოჩნდა გვიმრის ოჯახის წარმომადგენელთა სპორები (Polypodiaceae), როგორიცაა: გვიმრუჭა (*Asplenium*), ტაბელა (*Pteris c*retica), შვიტა (*Equisetum*) (ტაბ.V/7,8), გველის ენა (*Ophioglossum*) (ტაბ.V/1) და ეწრის გვიმრა (*Pteridium aquilinum*) **(**ტაბ.V**).**

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან წარმოდგენილია, როგორც განუსაზღვრელი სოკოების (Undiff. ascospores), ისე სხვადასხვა სახეობის სოკოების, კერძოდ კი, ჰაეტომიუმის (*Chaetomium)*, სორდარიას (*Sordaria*), გელასინოსპორა (*Gelasinospora*), ბრაჰისპორიუმის (*Brachysporium*), ცერკოფორას (*Cercophora*) და პოდოსპორას *(Podospora*) სპორები.

ნიმუშში მრავლადაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, მათ შორის განსაზღვრულია ფიჭვის და თელას უჯრედები. დიდი რაოდენობით ვხვდებით სახამებლის მარცვლებს (Starch grains), სადაც უხვადაა წარმოდგენილი ხორბლეულის სახამებლებიც. ქსოვილის ბოჭკოებიდან სელი და ბამბა აღმოჩნდა. მცენარეთა ეპიდერმისი, ხავსის, ზოომასალისა და ზოეპიდერმისის ნაშთები ნიმუშში ბევრია, მათ შორისაა ფუტკრის და მწერების ბუსუსები. ერთეულია ფსეუდოშიზეას (*Pseudoschizaea*), დინოფლაგელატას (*Dinoflagellata*), სპიროგირას (*Spirogyra*) და არცელას (*Arcella*) ნაშთები. არაპალინოლოგიური პალინომორფებიდან ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარაზიტული ჭიის, როგორიცაა, კერძოდ

ტრიხურას (*Trichuira*), ასკარიდის (*Ascaris lumbricoides*), კაპილარიას-ენტერობიუსის (*Enterobiusvermicularis*), იოკოგავას (*Yokogawa fluke*) და განუსაზღვრელი ჭიის (Undiff, egg) კვერცხების აღმოჩენა (ტაბ.VI**).**

ხის ძელებთან აღებული ნიმუში №2 ასევე საპირფარეშოს სხვა დონეს წარმოადგენს. წიწვოვნებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ფიჭვია (*Pinus*) წარმოდგენილი, შედარებით ნაკლებია ნაძვის (*Picea*) და კიდევ უფრო ცოტაა სოჭის (*Abies*) მტვერი. ხემცენარეებიდან ასევე მრავლადაა მურყნის (*Alnus*) მტვერი, ბევრია თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები, ერთეულია მუხის (*Quercus*), ტირიფის (*Salix*), ცაცხვის (*Tilia*), კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*), ძახველისა (*Viburnum*) და მაყვლის (*Rubus*) მტვერი. მარცვლოვნებიდან ხორბლეულის რაოდენობრივი შემადგენლობა ძალიან მაღალია, ბალახოვნებიდან პალინოლოგიურ სპექტრში ნაცარქათამას (*Chenopodium album*), მრავალძარღვას (*Plantago*), ღიღილოს (*Centaurea*), ავშნის (*Artemisis*), ირმისმსხალას (*Serratula*), ლაშქარას (*Symphytum*) (ტაბ.III/8) და მატიტელას (*Polygonum*) (ტაბ.III/7) მტვერია წარმოდგენილი. ნიმუშში გვიმრისებრთა ოჯახის წარმომადგენლებთან ერთად ვხვდებით კილამურას (*Polypodium vulgare*), გვიმრუჭას (*Asplenium*), ტაბელას (*Pteris cretica*), შვიტის (*Equisetum*), გველის ენისა (*Ophioglossum*) და ეწრის გვიმრის (*Pteridium*) სპორებს.

არაპალინოლოგიური ნაშთების სპექტრი თითქმის ნიმუში №2-ის მსგავსია. რაოდენობრივად შედარებით ნაკლებია განუსაზღვრელი სოკოების, ერთეულია სოკო ჰაეტომიუმის, სორდარიას, გელანისპორას, ბრაჰისპორიუმის, ცერკოფორას სპორების რაოდენობა. ამ ნიმუშშიც მრავლადაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, მათ შორისაა ფიჭვისა და თელას ჭურჭლოვანი უჯრედები. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სახამებლის მარცვლები. ქსოვილის ბოჭკოებიდან მხოლოდ სელია ნაპოვნი. ხავსის, ზოომასალისა და ზოოპიდერმისის ნაშთები ნიმუშში ბევრია. ფუტკრის და მწერების ბუსუსებთან ერთად ცხოველის ბეწვიც არის განსაზღვრული. ნიმუშში ნაპოვნია მტკნარი წყლის წყალმცენარის ფსევდოშიზეას (*Pseudoschizaea*) და აგრეთვე ტესტატური ამებას, არცელას (*Arcella*) ნაშთები. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ნიმუშში პარაზიტული ჭიების, კერძოდ კი ტრიხურას (*Trichuira*), ასკარიდის (*Ascaris lumbricoides*), იოკოგავას (*Yokogawa fluke*) და განუსაზღვრელი ჭიის კვერცხების აღმოჩენა.

***იატაკიდან აღებულ* ნიმუშში** სულ 20 ტაქსონი განისაზღვრა. ეს ნიშნული ორჯერ ნაკლებია ვიდრე №1 და №2 ნიმუშებში, სადაც 45 ტაქსონის მტვერი იყო ნაპოვნი. იატაკზე არსებულ ორგანულ ნაშთში აღმოჩენილია 10 ხემცენარის მტვრის მარცვლები. აქ ჭარბობს მურყანი *(Alnus*), ცოტაა სოჭის (*Abies nordmanniana*), ნაძვისა (*Picea orientalis*) და ფიჭვის (*Pinus*) მტვერი. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ღვიის (*Juniperus*), წიფლის (*Fagus orientalis*),

ტირიფის (*Salix*), რცხილას (*Carpinus betulus*), თელასა (*Ulmus*), და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. ბალახოვნებს შორის აღინიშნება მხოლოდ ადამიანის საცხოვრებლის ეზოსა და ნათესების სარეველათა მცენარეების მტვრის ერთეული მარცვლები. ესენია: ნაცარქათამა (*Chenopodium album*), მატიტელა (*Polygonum*), ავშანი (*Artemisia*), ნარშავი (*Carduus*). განხილულ სპექტრში უხვადაა წარმოდგენილი ტყის გვიმრის სპორები (Polypodiaceae). არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ჭარბობს ხის მერქნის დანახშირებული უჯრედები, სოკოს სპორები და სახამებელი (სურ. 3**)**. საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკოს ნაშთები**.** მცირე რაოდენობით ვხვდებით ფიტოლიტების, ზოომასალისა და წყალმცენარე ფსეუდოშიზეას ნაშთებს.

ბათქაშის ნიმუში პალინოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად ღარიბული აღმოჩნდა. აქ ნაპოვნია მხოლოდ 13 მცენარის მტვერი და სპორა (ტაბ.II/1**).** ხემცენარეთაგან ვხვდებით ნაძვის (*Picea)*, ფიჭვის (*Pinus*), წიფლის (*Fagus orientalis*), მურყნის (*Alnus*), რცხილასა (*Carpinus betulus*) და წაბლის (*Castanea sativa*) მტვერს. უფრო ნაკლები შემადგენლობით ხასიათდებიან ბალახოვნები. დაფიქსირდა სათესი (Cerealia) და ველური მარცვლოვნების (Poaceae), მატიტელას (*Polygonum*), ღორის ბირკის (*Xanthium*), ჭინჭრის (*Urtica*), ქოლგოსნების (Apiaceae) მტვრის მარცვლები და გვიმრის (Polypodiaceae) სპორები. არაპალინოლოგიური ტიპის ნაშთები უფრო კარგადაა წარმოდგენილი. აქ ჭარბობს ხის მერქნის დაშლილი უჯრედები. განისაზღვრა ფიჭვისა და თელას მერქნის პარენქიმული უჯრედებიც. ბევრია მარცვლოვნების სახამებლის ნაშთები. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო. ბამბის ბოჭკო არც თუ ისე ცოტაა. მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი კანაფის ქსოვილის ბოჭკო. ცოტაა მწერებისა და ტკიპების მიკროსკოპიული ნაშთები (ტაბ.II/1).

თანამედროვე ნიადაგის სპექტრი. აღნიშნული სინჯის პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ხელოვნური ნარგავების წიწვოვნები, რომლებიც განხილულ რეგიონში ფართოდაა გავრცელებული. ესენია კრიპტომერია (*Cryptomeria*), კედარი (*Cedrus)*, ნაძვისა (*Picea*) და ფიჭვის რამოდენიმე სახეობა (*Pinus*). ნაძვისა და ფიჭვის მტვერი პალინოლოგიურ ნიმუშში ნიადაგში ხელოვნური ნარგავებიდან უნდა მოხვედრილიყვნენ (ტაბ.II/1**).**

ნიადაგის პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა ასახული ბუნებრივად შემორჩენილი ტყის მასივების ელემენტები. პირველ რიგში ეს ჭალის ტყეებია, სადაც იზრდება მურყანი (*Alnus barbata* type), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), ტირიფი (*Salix*). პალინოლოგიურ სპექტრში ფიქსირდება აგრეთვე წიფლის (*Fagus orientalis*), მუხის (*Quercus*), რცხილის (*Carpinus betulus*), თელასა (*Ulmus*) და წაბლის (*Castanea sativa*) მტვერი. ბალახოვნებიდან ჭარბობს ისეთი სარეველა მცენარეთა მტვერი, რომლებიც იზრდება სანაგვეებზე, გზისა და ბილიკების პირას.

ესეთია, მაგალითად, ღორის ბირკა (*Xanthium*), ავშანი (*Artemisia*), მრავალძარღვა (*Plantago*), ისლიანები (Cyperaceae) და ველური მარცვლოვნები (Poaceae). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სიმინდის მტვერი (ცხრილი №1)..

ნიადაგის სპექტრში არაპალინოლოგიურ ნაშთების შემადგენლობა სულ სხვა ტიპისაა. დომინირებს სახამებელი, მათ შორისაა სათესი მარცვლოვნების სახამელიც არის განსაზღვრული. ნიმუშში ბევრია სოკოს სპორა და მხოლოდ აქ გამოჩნდა სოკო გლომუსი (*Glomus*), რომელიც იზრდება მხოლოდ ეროზიულ, დამუშავებულ ნიადაგზე და ამ შემთხვევაში მიანიშნებს ადამიანის მოქმედების კვალზე (van Geel 1998). აღინიშნება ასევე სოკო ბრახისპორიუმის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ეს სოკო იზრდება მოჭრილი ხის ტოტებზე და კუნძებზე (van Geel 1998). ნიმუშში გვხვდება ხავსის, საკმაოდ დიდი რაოდენობით მწერებისა და სხვა უხერხემლო ცხოველთა მიკროსკოპიული ნაშთები. ნიმუშში ცოტაა მტკნარი წყლის წყალმცენარეები *Spirogyra, Pseudoschizeae* ((ტაბ.II/2).

დისკუსია

ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგების აღწერამ აჩვენა, რომ შესწავლილი ნიმუშები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პალინოლოგიური კვლევისთვის აღებულ თანამედროვე ნიმუშებში დღევანდელი მიწით დანაგვიანების არანაირი კვალი არ აღინიშნება. შესწავლილი თანამედროვე ნიადაგის სპექტრი წარმოდგენილია დღეს არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის მცენარეულობით – შერეული ფართოფოთლოვანი ტყის სახეობებით (Zazanashvili et al. 2000; Nakhutsrishvili 1991; 2013) და ინტროდუცირებული დეკორატიული ჯიშებით, როგორიცაა : კედარი (*Cedrus*), კრიპტომერია (*Cryptomeria),* ნაძვისა (*Picea*) და ფიჭვის (*Picea*) სხვადასახვა შემოტანილი სახეობები.

ნამჭედურის II თანამედროვე ნიმუშში ასევე განისაზღვრა ღორის ბირკისა და *(Xanthium*), ჩვეულებრივი მატიტელას *(Polygonum aviculare*)) მტვერი. ეს ბალახოვანი სარეველა მცენარეები, როგორც წესი ადამიანის მიერ მიტოვებულ ადგილებზე ფართოთ ვრცელდება. ამდენად, ნიმუშებში ღორის ბირკისა და ჩვეულებრივი მატიტელას აღმოჩენით პალინოლოგიურად დავადასტურეთ, რომ დღეს ეს ადგილი დაუსახლებელია.

ნამოსახლარი ნამჭედური II-ის ფენებიდან აღებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური სპექტრების შედარებამ გამოავლინა ბევრი საინტერესო მომენტი. საპირფარეშოს ნიმუშების პალინოლოგიურ სპექტრებში ჭარბობს ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი. საკვები მცენარეებიდან წიფლის (*Fagus orientalis*), მუხის (*Quercus*), კაკლის (*Juglans regia*), თხილის (*Corylus*), ვაზის (*Vitis vinifera*), მაყვლის *(Rubus*), ძახველის *(Viburnum*) მტვრის მარცვლებია ნაპოვნი. ბალახოვნებიდან განსაზღვრულია ნაცარქათამას (*Chenopodium album*), ჭინჭრის (*Urtica*) ნარშავის (*Carduus*), ღოლოს (*Rumex*), ვარდკაჭაჭა-

სებრთა ოჯახის წარმომადგენელთა მტვერი (Rivera et al. 2012a,b). ამ შენობის იატაკისა და ბათქაშის ნიმუშებში მსგავსი სურათი არ აღინიშნება, რაც სრულიად ბუნებრივია.

პალინოლოგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს არქეოლოგიური მასალის კვლევის დროს. პალინოლოგიურად დადასტურებულია, რომ სხვადასხვა ჭურჭლის ნიმუშში აღმოჩენილ მცენარეულ საკვებში რჩება ამავე მცენარეთა მტვრის მარცვლები, ფიტოლიტები და სახამებელი (Kvavadze, Narimanishvili 2006; Kvavadze et al. 2010, 2020; Kvavadze, Martkoplishvili 2018). პალინოლოგიურმა შესწავლამ ადრებრინჯაოს ხანის თეთრიწყაროს №2 ყორღანში აღმოჩენილი პურისა და ორცხობილას (ძვ. წ. 2474-2335 წწ.) ნიმუშებში ხორბლის მტვრის მარცვლები და სახამებელი გამოავლინა. ეს არტეფაქტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში (Kvavadze 2016; Kvavadze et al. 2020).

პალინოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ საკვების გარდა, მცენარეთა მტვერი ადამიანის სასმელსაც მიჰყვება. მაგალითად, არქეოლოგიურ ჭურჭელში ვაზის მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობის განსაზღვრით სხვადასხვა სახეობის ღვინის, მათ შორის მსოფლიოში უძველესი 8 000 წლის ღვინის არსებობა დადასტურდა (Rosch 2005; Kvavadze et al. 2010; 2014; 2015; 2019; 2020; Chichinadze et al. 2012; Bitadze et al. 2011; McGovern et al. 2017). თაფლოვან მცენარეთა მტვრის სიუხვე კი უძველეს ჭურჭელში თაფლის არსებობის კარგი არგუმენტია (Rosch 1999; Pokorny, Marik 2006; Kvavadze et al. 2007; Kvavadze 2016; Chichinadze et al. 2017; 2019).

ზემოთ აღწერილი ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრის უმეტესობა, თითქმის ყველა სამკურნალო მცენარეთა მტვერს და სპორებს განეკუთვნება. მათი რიცხვი 32-ს შეადგენს, რაც ორჯერ აღემატება საკვები მცენარის ტაქსონების რაოდენობას. შესწავლილ ნიმუშებში სამკურნალო მცენარეთა სიჭარბე იმდროინდელ მოსახლეობაში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებებზე მიუთითებს. ასე, მაგალითად, მურყანი (*Alnus*), კუჭ-ნაწლავის დაავადებების, მათ შორის დიზინტერიის სამკურნალოდ დღესაც ფართოდ გამოიყენება (Duke et al. 2002; Quattrocchi 2012).

№1 და №2 ნიმუშში აღწერილი ბალახოვნებიდან უმრავლესობა სამკურნალო მცენარეებს განეკუთვნება. უფრო დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი დიარეის საწინააღმდეგო ბალახები (Alacron et. Al. 2015; Fortini et al. 2016). ესენია: ფარსმანუკი (*Achillea*), ირმის მხალა (*Serratula*), ლაშქარა (*Symphytum*), კანაფი (*Cannabis sativa*), მრავალძარღვა (*Plantago).* არც თუ ისე მცირეა რევმატიზმისა და ართრიტის სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების რაოდენობა (Said et al. 2002; Dahui 2012a; Wiersema, Leon 2013), როგორიცაა, მაგალითად, ღიღილო (*Centaurea),* ავშანი (*Artemisia*) და გოგშა (*Dipsacus*). ავშანი მალარიის კარგი წამალიც არის (Hayta et al.2014; Bussmann et al. 2016; Martkoplishvili, Kvavadze 2015).

ნამჭედურის ადამიანის ექსკრემენტების პალინოლოგიურ სპექტრში (ნიმ. №1, №2) ფართოდაა წარმოდგენილი მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახის წარმომადგენელთა მტვერი (ტაბ.II/1). ამ მცენარეების სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე (Chandra, Rawat, 2015) მკურნალობენ ანთებებს, სოკოვან და ვირუსულ დაავადებებს.

სპექტრში მცირე რაოდენობით ვხვდებით დიაბეტის სამკურნალოდ გამოყენებულ ფარსმანდუკის მტვერს (Alarcon et al.2015; Fortini et al. 2016). აღნიშვნის ღირსია ორი მცენარე, რომელიც აღწერილი იყო საკვებ მცენარეთა შორის. ესენია: ნაცარქათამა და ჭინჭარი. ნაცარქათამა (*Chenopodium album*) ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დავაადებების სამკურნალოდ. ესენია: ართრიტი, რევმატიზმი, ჰელმინტოზები და სხვა (Jabbar et al 2007; Yadav et al 2007; Altundağ, Özhatay 2009; Egamberdieva et al. 2012; Meuninck 2013; Polat et al. 2015; Bibi et al 2014. Al-Snafi 2015). ეთნომედიცინაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭინჭარი (*Urtica*), რომლითაც იკურნება რევმატიზმი, ასთმა, ანთება, ანემია და სხვა (Asgarpanah, Mohajerani 2012; Quattrocchi 2012; Wiersema, León 2013; Bibi et al. 2014; Zlatović et al. 2014; Fontini et al. 2016; Kregiel et al. 2018).

სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე, პალინოლოგიურ ნიმუშებში (№1, №2) აღმოჩენილი თითქმის ყველა სპოროვანი მცენარე ხალხურ მედიცინაში გამოიყენება. მაგალითად, შვიტა (*Equisetum*), რომელიც სპექტრებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, შუა საუკუნეებში და მთელ ისტორიულ დროში გამოიყენებოდა რევმატიზმის დასამარცხებლად. თუმცა, შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ შვიტა, გარდა რევმატიზმისა საუკეთესო საშუალებაა დიაბეტის, სიმსივნის, ტკივილისა და სოკოვან დაავადებისთვის დასამარცხებლად (Asgarpanah, Rochi 2012). კარგ ტკივილგამაყუჩებელს მიეკუთვნება გვიმრა კილამურა (*Polypodium vulgare*), რომელიც ადამიანის ექსკრემენტებში დიდი რაოდენობით გვხვდება (Said et al. 2002; Allen, Hatfield 2004; Black 2004; Jarić et al. 2011; Dar et al. 2012; Quattrocchi 2012; Wiersema, León 2013). ანტისეპტიკურ საშუალებას მიეკუთვნება გვიმრა გველის ენა (*Ophioglossum vulgatum*), რომლის სპორები განისაზღვრა საპირფარეშოს მასალაში (Duke et al. 2002; Allen, Hatfield 2004; Hatfield 2004; Mannan et al. 2008; Quattrocchi 2012). რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებენ სამეფო გვიმრას (*Osmunda regalis*). რომლის სპორები ასევე ნაპოვნია საპირფარეშოს ორგანულ ნაშთებში (Molina et al. 2009).

ნიმუშების (№1; №2) პალინოლოგიურ სპექტრში არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფებიდან დაფიქსირდა რამდენიმე სახეობის პარაზიტული ჭიის კვერცხის ნაშთი (ტაბ.IV). ყველაზე დიდი რაოდენობით ნემატოდა ტრიხურას (*Trichuris trichuira*) კვერცხებია განსაზღვრული ((ტაბ.IV/6,7). ამ ჰელმინტოზს ტროპიკულ დაავადებას უწოდებენ, რადგან ძირითადად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში ვრცელდება. ტრიხურას კვერცხები მხოლოდ თბილ და ნოტიო კლიმატურ პირობებში მწიფდება (Araujo 1981; Boucer 2003). საინტერე-

სოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტრიხუროზის კვალი საწურბლიას ზედა პალეოლითის ფენებშია აღმოჩენილი (Kvavadze et al. 2011), იმ დროს, როდესაც კლიმატური ოპტიმუმია დაფიქსირებული. ტრიხურას ჭიის კვერცხები გვხვდება ნეოლითური ხანის ძეგლ გადაჭრილი გორის კულტურულ ფენებსა(Kvavadze et al. 2014) და ანანაურის ადრე ბრინჯაოს ყორღანში მიცვალებულის ჩონჩხის გავის ძვალთან (Kvavadze 2016) აღებულ ნიმუშებში.

შესწავლილი №1 და №2 ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ასკარიდის (*Ascaris lumbricoides*) კვერცხების ნაშთები (ტაბ.IV/8). მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ნემატოდა *Capillaria, Enterobius vermicularis, Yokogava fluke* კვერცხების ნაშთები (ტაბ.IV; ცხრილი №2.). ყველა ჩამოთვლილი ჰელმინთის კვალი პირველადაა ნაპოვნი ჩვენი ქვეყნის კლასიკური პერიოდის არქეოლოგიურ ფენებში.

ნამჭედურის მოსახლეობაში ჰელმინთოზების ფართო გავრცელება უკავშირდება იმდროინდელ ნესტიან და თბილ კლიმატურ პირობებს. ცნობილია, რომ ნესტიან და თბილ ნიადაგში პარაზიტული ჭიების კვერცხები დიდი დროის მანძილზე ინახება.

პალინოლოგიური კვლევის თანახმად, ადამიანის ექსკრემენტებში (ნიმ. №1, №2) აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეთა ჩამონათვალმა (ცხრილი №1) აჩვენა, რომ მათი უმეტესობა რევმატიზმისა და ართრიტის სამკურნალო საშუალებებს განეკუთნება. ეს ფაქტი კი იმდროინდელ ნოტიო კლიმატური პირობების არსებობით უნდა აიხსნას (Chichinadze et al. 2012; Chichinadze, Kvavdze 2013; 2019; Kvavadze, Chichinadze 2020). ნოტიო კლიმატურ პირობები მალარიის გავრცელებასაც უწყობდა ხელს, რასაც პალინოლოგიურ სპექტრში არსებული სამკურნალო მცენარეების აღმოჩენით ვხსნით.

ნიმუშებში იმ სამკურნალო მცენარეთა ღარიბული სპექტრის გათვალისწინებით, რომლებიც ეპილეპსიას და დიაბეტს კურნავენ, დავადგინეთ, რომ იმდროინდელ მოსახლეობაში აღნიშნულ დაავადებებს დიდი გავრცელება არ უნდა ჰქონოდა.

დასკვნა

ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის თანახმად, განხილულ პერიოდში მოსახლეობის დიეტას ძირითადად მარცვლეულისაგან შემდგარი პროდუქტი წარმოადგენდა. იმდროინდელი ადამიანის კვების რაციონში ასევე შედიოდა წაბლი, თხილი, კაკალი და ყურძენი.

ადრე ანტიკური ხანის კოლხეთში ეთნომედიცინა საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო განვითარებული. პალინოლოგიურ სპექტრებში აღმოჩენილი მცენარეების უმრავლესობა სამკურნალოა. მათი უმეტეოსობა გამოიყენებოდა რევმატიზმის, ართრიტის და დიარეის სამკურნალოდ. სავარაუდოდ, მალარია, დიაბეტი და ეპილეპსია მოსახლეობაში იშვიათად ვლინდებოდა.

ნიმუშებში აღმოჩენილი სხვადასხვა სახეობის პარაზიტული ჭიის (*Trichuris trichuira, Ascaris lumbricoides, Enterobius vermicularis*, *Yokogava fluke*) კვერცხების ნაშთების სიმრავლე და მათი ტაქსონომიური მრავალფეროვნება ჰელმინთოზის ფართოდ გავრცელებასა და იმდროინდელ ნესტიან და თბილ კლიმატურ პირობებზე მიუთითებს.

პალინოლოგიური კვლევის თანახმად, ნამჭედური II-ის ნამოსახლარზე, კერძოდ კი ხის ძელებთან აღებულ ნიმუშებში აღმოჩენილი საკვები და სამკურნალო მცენარეების მდიდრული სპექტრი, სხვადასხვა სახეობის პარაზიტული ჭიის კვერცხების სიმრავლე, მათი მრავალფეროვნება და კარგი დაცულობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნაგებობის ის ნაწილი, საიდანაც ორგანული ნაშთები ავიღეთ საპირფარეშოს წარმოადგენდა.

ცხრილი №1. ნამჭდური II. ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან მოპოვებული პალინოლოგიური მასალის რაოდენობა

Namcheduri II	1	2	3	4	5
Pollen sum	Modern soil	toilet (1)	toilet (2)	floor	plaster
Abies		3	2	3	
Picea	9	7	5	3	1
Cedrus	1				
Cryptomeria	5				
Pinus	42	12	8	15	5
Cupressaceae	2				
Betula			1		
Juniperus				1	
Fagus	1	3	4	1	3
Alnus	61	55	39	42	4
Fraxinus		1			
Quercus	2	1	2		
Salix	1	1	1	1	
Acer					
Tilia			2		
Carpinus betulus	1	4	2	2	2
Ulmus	1	2	1	2	
Zelkova		2		1	
Corylus	5	4	3	3	1

Castanea sativa	8	28	27		4
Juglans			1		
Pterocarya fraxinifolia	1				1
Vitis vinifera		2	3		
Rhus				1	
Viburnum		2		1	
Rubus			2		
Triticum		35	19		
Cerealia	3	45	58	1	17
Poaceae	5	10		3	6
Cyperaceae	4				
Chenopodium album		4	2		
Chenopodium-type		3	4	1	
Plantago lanceolata	2	3	3		
Apiaceae	3		1		3
Aster	3				
Carduus		1		2	
Centaurea			3		
Achillea		2		1	
Artemisia	4		2	1	
Xanthium	17				2
Cichorioideae		10	4	5	
Serratula			1		
Centaurea					
Caryophyllaceae	1	1	2		
Ranunculus	2				
Lamiaceae				1	
Urtica		1	2		1
Symphytum		3	2		
Polygonum	2	2		2	2
Polygonum aviculare		1	1		
Polygonum persicaria	17	2			
Dipsacus		1			
Viola					1
Cannabis sativa-type		2			

Rumex		3	1		
Ranunculaceae					
Polypodiaceae	21	6	4	60	7
Polypodium vulgare	1	1	3		
Polypodium seratum	1	1		2	
Asplenium	1				
Osmunda regalis			2	1	
Pteris cretica			2	1	
Equisetum		2	3		
Ophioglossum cf. O. vulgatum			3		
Pteridium aquilinum			1		
Trees and Shrubs	140	127	103	76	21
Upland Herbs	63	129	105	17	32
Pteridophytes	24	10	18	64	7
Total Pollen Sum	227	266	226	157	60

ცხრილი №2. ნამჭდური II. ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან მოპოვებული არაპალინოლოგიური მასალის რაოდენობა

Namcheduri II	1	2	3	4	5
NPP sum	modern soil	toilet (1)	toilet (2)	floor	plaster
Undiff. ascospores	19	9	10	72	9
Sporormiella				4	
Chaetomium	1	2	3		
Sordaria		6			
Gelasinospora		5	3		
Brachysporium	15	2	1	4	
Cercophora		7	9		
Podospora		2			
Glomus	12				
Tracheal cells of undiff. wood	62	85	98	87	89
Tracheal cells of Pinus		2	6		2
Tracheal cells of Ulmus		4	3		3

Wood vessel			2	5	
Starch grains	98	13	12	61	27
Starch of cerealia	38				15
Fibre of flax	4	3	4	10	23
Fibre of flax wool					1
Fiber of cotton		2		3	7
Fiber of Cannabis					3
Seeds	3				
Phytoliths				2	2
Plant epidermis		11			
Zoomaterial	14	10	20	4	
Zooepidermis	28	15	15	6	6
Hear of bee		2	2		
Hair of insecta	5	6	8		1
Claw of insecta	3				
Chela of acari					1
Hair of acari	2				
Cuticle of butterfly wing		1			
Hair of animal			2		
Pseudoschizaea	1	3	4	2	
Dinoflagellata		2			
Spirogyra	1				
Arcella			2		
Moss rermains	3	9	7		
Eggs of Trichuira		23	17		
Eggs of Ascaris lumbricoides		7	6		
Eggs of Capillaria		2			
Eggs of Enterobius vermicularis		2			
Eggs of Yokogawa fluke			2		
Undiff. eggs			2		
Total NPP Sum	309	235	238	260	189

გამოყენებული ლიტერატურა:

Alarcón, R., Pardo-de-Santayana, M., Priestley, C., Morales, R., Heinrich, M., 2015. Medicinal and local food plants in the south of Alava (Basque Country, Spain). Journal of Ethnopharmacology. 176, 207–224

Allen, D.E., Hatfield, G., 2004. Medicinal plants in folk tradition. Timber Press. Portland, Cambridge

Altundağ, E., Özhatay, N.F., 2009. Local names of some useful plants from Iğdır province (EastAnatolia). Journal of Faculty Pharmacy of Istanbul University. 40, 102–115.

Asgarpanah, J., Mohajerani, R., 2012. Phytochemistry and pharmacological properties of *Urtica dioica* L. Journal of Medicinal Plant Research. 6(46), 5714-5719

Asgarpanah, J., Rochi, E., Phytochemistry and pharmacological properties of Equisetum arvence L. Journal of Medicinal Plant Research. 6(21), 2012, 3689-3693

Bibi, S., Sultana, J., Sultana, H., Malik, R.N., 2014. Ethnobotanical uses of medicinal plants in the highlands of Soan Valley, Salt Range, Pakistan. Journal of Ethnopharmacology. 155,352–361

Bitadze, L., Chitanava, D., Laliashvili, Sh, Kvavadze, E., Zubalashvili, T., 2011. Questions of Ethnic Entity of the Population of Kartli Region and Changes of Anthropological Type from III Millenium B.C. Trough XX Cent. A.D. Meridiani Press, Tbilisi (in Georgian)

Black, S., 2004. Medicinal plant names-sample excerpt.http: //www.naturalhealth-wizards.com,

Bussmann, R.W., Paniagua., Zambrana, N.Y., Sikharulidze, S., Kikvidze, Z., Kikodze, D., Tchelidze, D., Batsatsashvili, K., Robbie, H.E., 2016. Medicinal and Food Plants of Svaneti and Lechkhumi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. Medicinal & Aromatic Plants. 5: 266.doi: 10.4172/2167-0412.1000266, Demiray 2009

Brinkkemper, O., & van Haaster, H., 2012. Eggs of intestinal parasites whipworm *(Trichuris trichiura)* and mawworm *(Ascaris):* Non-pollen palynomorphs in archaeological samples. Review of Palaeobotany and Palynology. 186, 16–21. doi: 10.1016/j.revpalbo.2012.07.003

Chandra, S., Rawat, D.S., 2015. Medicinal plants of the family Caryophyllaceae: a review of ethno-medicinal uses and pharmacological properties. Integrative Medicine Research. 4,123-131

Chaves, M., Reinhard, K.J., 2003. Paleopharmacology and pollen: theory, method, and application. Memórias do Instituto Oswaldo Cruz. 98(1), 207–211

Chichinadze, M., KvavadzeE, E., Kacharava, D., Akhvlediani, D. and Kvirkvelia, G., 2012 Palynological characteristics of organic remains of Burial no. 22 from the site of the ancient settlement Vani. Proceeding of Natural and Prehistoric Section, Georgian National Museum. 4, 95–108 (in Georgian)

Chichinadze M., Kvavadze E., 2013. Pollen and non-pollen palynomorphs in organic residue from the hoard of ancient Vani (western Georgia). Journal of Archaeological Science, 40: 2237-2253

Chichinadze, M., Kvavadze, E., Martkoplishvili, I., 2017. Environmental conditions at the Vani Site of the Classical period according to palynological data. Bulletin of The Georgian National Academy of Sciences. 11(4),112-118

Chichinadze, M., Kvavadze, E., Martkoplishvili, I., Kacharava, D., 2019. Palynological evidence for the use of honey in funerary rites during the Classical Period at the Vani. Quaternary Internation. 507, 24-33

Dar P. A., Sofi, G., Jafri, M.A., 2012. *Polypodium vulgare* Linn. a versatile herbal medicine: a review. International Journal of Pharmaceptical Sciences and Research (IJPSR). 3(6),1616-1620 of Medical, Health, Biomedical, Bioengineering and Pharmaceutical Engineering. 3(6), 74-79.

DeForce, K., 2017. The Interpretation of pollen assemblages from medieval and post-medieval cesspits: new results from northern Belgium. Quaternary International. 460,124-134

Duke, J.A., Bogenschutz-Godwin, M.J., Duke, P.A.K., 2002. Handbook of Medicinal herbs, second edition. CRC Press Boca Raton

Egamberdieva, D., Mamadalieva, N., Khodjimatov, O., Tiezzi., A. 2012 Medicinal plants from Chatkal Biosphere reserve used for folk medicine in Uzbekistan. Medicinal and Aromatic Plant Science and Biotechnology. 7(1), 56-64

Erdtman, G., 1969. Handbook of Palynology. Munksgaard, Copenhagen

Fortini, P., Di Marzio, P., Guarrera, P.M., Iorizzi, M., 2016.Ethnobotanical study on the medicinal plants in the Mainarde Mountains (central-southern Apennine, Italy). Journal of Ethnopharmacology. 284, 208-218

Grimm, E.C., 2016. Tilia 2.1.1, Illinois State Museum, Research and Collections Centre, Springfield, USA

Hatfield, G., 2004. Encyclopededia of folk medicine: old world and new world traditions. ABC-CLIO, California

Hayta, S., Polat, R., Selvi, S., 2014. Traditional uses of medicinal plants in Elazığ (Turkey). Journal of Ethnopharmacology. 154, pp. 613-623

Jabbar, A., Zaman, M.A., Iqbal, Z., Yaseen, M., Shamim, A., 2007. Anthelmintic activity of Chenopodium album (L) and Caesalpinia crista (L) against trichostrongylid nematodes of sheep. Journal of Ethnopharmacolgy. 114, 86–91

Jarić, S., Mitrović, M., Djurdjević, L., Kostić, O., Gajić, G., Pavlović, D., Pavlović, P., 2011. Phytotherapy in medieval Serbian medicine according to the pharmacological manuscripts of the Chilandar Medical Codex (15–16th centuries). Journal of Ethnopharmacology. 137, 601-619

Kakhidze, A., 2001. Specimens of Classical bronze toreutics from Pichvnari. In: G.R.Tsetskhladze and J.G. de Boer (eds). The Black Sea Region in the Greek, Roman, and Byzantine Periods: Proceedings of the Duch Archaeological and Historical Society Volumes, Talanta 32-33, pp. 41-60

Kakhidze, A., 2020. New archaeological finds at Pichvnari (November-december 2010). – Wonders Lost and found. In.: N. Sekunda ed). A celebration of the archaeological work of Professor Michael Vickers. Archaeopress archaeology. Ashmolean Museum, University of Oxford, pp. 82-89

Kregiel, D., Pawlikowska, E., Hubert, A., 2018. Urtica spp: Ordinary plants with extraordinary properties. Molecules, 23(7), 1664

Kvavadze, E., 2016. Palynological study of organic remains from the Ananauri Kurgan. In Z. Makharadze, N. Kalandadze; B. Murvanidze (eds.) Ananauri Big Kurgan N3. Georgian National Museum Press Tbilisi, pp. 156-196

Kvavadze, E., Meshveliani, T., Jakeli, N., Martkoplishvili, I., 2011. Results of palynological investigation of the material taken in the Cave Satsurblia in 2010. Proceedings of Natural Sciences and Prehistory Section. Georgian National Museum. 3, 35–50 (in Georgian)

Kvavadze, E., Martkoplishvili, I., Chichinadze, M., Rukhadze, L., Kakhiani, K., Jalabadze, M., Koridze, I., 2013. Palynological and paleobotanical data about Bronze Age medicinal plants from archaeological sites in Georgia. In.A.Vekua (ed).Proceedings of Georgian National Museum, Natural and Prehistoric Section. 5, 36-49

Kvavadze, E., Gambashidze, I., Mindiashvili, G., Gogochuri, G., 2007. The firs find in southern Georgia of fossil honey from Bronze Age, based on palynological data. Vegetation History and Archaebotany, 16: 399-404

Kvavadze, E., Bitadze, L., Narimanishvili, G., Kakhiani, K., Jalabadze, M., Koridze, I., Rukhadze, L., Chichinadze, M., Martkoplishvili, I., Laliashvili, Sh., 2010a. The Bronze Age first-kit, according to palaeobotanical data from archaeological sites in Georgia. Abstract os 15th Simpozium of IWGE, Wilhelmshaven, Germany, p.54

Kvavadze, E., Boschian, G., Chichinadze, M., Gagoshidze, I., Gavagnin, K., Martkoplishvili, I., & Rova, E. 2019. Palynological and Archaeological Evidence for Ritual Use of Wine in the Kura-Araxes Period at Aradetis Orgora (Georgia, Caucasus). Journal of Field Archaeology, pp. 1–23. doi: 10.1080/00934690.2019.1669254

Kvavadze, E., Chichinadze, M., 2020. Palynological analysis of organic materials from Pichvnari (including the earliest silk in Georgia). Wonders Lost and Found edited by Nicholas Sekunda, Oxford, Archaeopress 2020, pp. 102-107

Kvavadze, E., Jalabadze, M., Shakulashvili, N., 2010b. Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palynology and chemical analysis. Proceedings of 33rd World Congress of Vine and Wine 8th General Assembly of the OIV 20-25 Jun., Tbilisi (OIV online)

Kvavadze, E., Jalabadze, M., Koridze, I., Rusishvili, N., Chichinadze, M., Martkoplishvili, I., 2014. The results of the palynological researches of the habitation layers and the vessels at the settlements og Gadachrili Gora and Shulaveri (on the basis of the materials obtained in 2007). Proceedings of Georgian National Museum, Natural and Prehistoric Section. 6, 20-32 (in Georgian)

Kvavadze, E., Jalabadze, M., Sagona, A., 2016. Tetritskaro (Nadarbazevi) Burial Mound 2: Bread, Ruck and the Bedeni Period. In: G.Narimanishvili (ed). Proceedings of the International Workshop: Aegean World and South Caucasus, Tbilisi. pp. 128-138

Kvavadze, E., Martkoplishvili, I., 2018. The significance of pollen and non-pollen palynomorphs in archaeological material for human paleodiet reconstruction. In Context and Connection, Studies on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona. Batmaz, et al. (eds.). Leuven: Peeters. Forthcoming, pp. 751-769

Kvavadze, E., Martkoplishvili, I., Chichinadze, M., 2020 Ancient Human Activities and Environment: Palynological Data from Early Bronze Age of Georgia, Caucasus. Sezanne Printing House, Tbilisi, ISBN 978-9941-9681-3-6

Kvavadze, E., Narimanishvili, G., 2006. An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze Age burials in Saphar-Kharaba, southern Georgia. Abstracts of the 7th European Palaeobotany-Palynology Conference, Prague, pp. 77-78

Kvavadze, E., Sagona, A., Martkoplishvili, I., Chichinadze, M., Jalabadze, M., Koridze, I., 2015. The hidden side of ritual: New palynological data from Early Bronze Age Georgia, the Southern Caucasus. Journal of Archaeological Science: Reports. 2, 235-245

Martkoplishvili, I., Kvavadze, E., 2015. Some popular medicinal plants and diseases of the Upper Palaeolithic in Western Georgia. Journal of Ethnopharmacology. 166, 42-52

Matsui, M. S., Muizzuddin, N., Arad, S., & Marenus, K., 2003. Sulfated Polysaccharides from Red Microalgae Have Antiinflammatory Properties In Vitro and In

Vivo. Applied Biochemistry and Biotechnology, 104(1), 13–22. doi: 10.1385/abab: 104: 1: 13

McGovern, P., Jalabadze, M., Batiuk, S., Callahan, M.P., Smith, K.E., Hall, G.R., Kvavadze, E.,Maghradze D., Rusishvili N., Bouby L., Failla O., Cola G., Mariani L., Boaretto E., Bacilieri R., This P., Wales N., and D. Lordkipanidze., 2017. Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus. Proceedings of the National Academy of the United States of America, 2017, 114 (48), Patrick McGovern, E10309–E10318, doi: 10.1073/pnas.1714728114

Mannan, M.M., Maridass, M., Victor, B., 2008 A Review on the Potential Uses of Ferns. Ethnobotanical Leaflets. 12, 281-285

Meuninck, J., 2013. Edible Wild Plants and Useful Herbs. Morris Book Publishing. USA

Molina M., Reyes-Garcia V., Padro-de-Santayana M., 2009. Local knowledge and management of the royal fern (Osmunda regalis L.) in Northem Spain: implications for Biodiversity Conservation. American Fern Journal, 99(1),45-55

Merlin, M.D., 2003. Archaeological evidence for the tradition of psychoactive plant use in the Old World. Economic Botany. 57(1): 295–323

Mikeladze, T.K., Khakhutasvili, D.A.,1985. Drevne kolkolidskoe naselenie Namcheduri II.Metsniereba, Tbilisi (in Russian)

Moore, P.D., Webb, J.A., Collinson, M.E., 1991. Pollen Analysis.Blackwell Scientific Publications, Oxford

Nakhutsrishvili, G.S., 1999. The vegetation of Georgia (Caucasus). Braun-Blanquetia, 15, 1–68

Nakhutsrishvili, G., 2013. The vegetation of Georgia (South Caucasus). Springer

Polat, R., Cakilcioglu, U., Kaltalioğlu, K., Ulusan, M.D., Türkmen, Z., 2015. An ethnobotanical study on medicinal plants in Espiye and its surrounding (Giresun-Turkey). Journal of Ethnopharmacology. 163, 1–11

Pokorny P., Marik J., 2006 . The find honey –sweetened cereals food residues from Early Medieval burial site near Libice nad Cidlinou: evaluation of the find from the point of landscape and vegetation reconstruction (in Czech, with English summary). Archaeological Rozhl. 57, 559-569. 1111.

Quattrocchi, U., 2012. CRC World Dictionary of Medicinal and Poisonous Plants. Taylor & Francis Group, LLC. New York

Rivera D., Matilla G., Obon C., Alcaraz F., 2012a. Plants and humans in the Near East and the Caucasus. Vol.1. Servicio de Publicaciones. Universidad de Murcia, Spain

Rivera D., Matilla G., Obon C., Alcaraz F., 2012b. Plants and humans in the Near East and the Caucasus. Vol.2. Servicio de Publicaciones. Universidad de Murcia, Spain

Rösch, E., 1999. Evalution of honey residues from Iron Age hill-top sites in south-western Germany: implications for local and regional land use and vegetation dynamics. Vegetation History and Archaeobotany. 8: 105-112

Said, O., Khalil, K., Fulder, S., Azaizeh, H., 2002.Ethnopharmacological survey of medicinal herbs in Israel, the GolanHeights and the West Bank region. Journal of Ethnopharmacology. 83, 251-265

van Geel, B., 1998. In: van Hoeve, M.L., Henndrikse, M. (Eds.), A Study of Non- pollen Objects in Pollen Slides (The Types as Described by Dr Bas Van Geel and Colleagues). Utrecht

Vetter, J., 2010. Toxicological and medicinal aspects of the most frequent fern species *Pteridium aquilinum* (L.) Kuhn. In: M.A.R. Bahillo et al. (eds). Working with ferns: Issues and applications: Springer Science + Business Media, L.L.C.

Vickers, M., Kakhidze, A.,1999. Pichvnari, Ajarian AR, Georgia 1999. Anatolian archaeology. 5, 11-12

Vickers, M, Kakhidze, A., 2006. Pichvnari. Results of Excavations conducted by the Joint British–Georgian Pichvnari Expedition. Volume I. Pichvnari 1998–2002. Greeks and Colchians on the East Coast of the Black Sea. Part 1: Text. Pp. 280, b/w & colour pls. Oxford: The Ashmolean Museum, University of Oxford/ Batumi: The Batumi Archaeological Museum, Cased. No ISBN. Published online by Cambridge University Press

Wiersema, J.H., León B., 2013. World Economic Plants.Taylor & Francis Group, London

Zazanashvili, N., Gagnidze R., Nakhutsrishvili , G., 2000. Main types of vegetation zonation on the mountains of the Caucasus. Acta Phytogeographica Suecica. 85: 7-16

Zlatović, K.B., Bogosavljević, S.S., Radivojević, R.A., 2014. Traditional use of the native medicinal plant resource of Mt. Rtanj (Eastern Serbia): ethnobotanical evalution and comparison. Journal of Ethnopharmacology. 151, 704–71

Maia Chichinadze
Eliso Kvavadze

PALEODISEASES, PALEODIET AND ETHNOMEDICINE IN THE EARLY CLASSICAL COLCHIS: RESULTS OF THE PALYNOLOGICAL STUDIES CARRIED OUT AT THE SETTLEMENT OF NAMCHEDURI II

Organic remains from the cultural layers of the Namcheduri II settlement (Western Georgia) dated to 5th -4th centuries BC were studied by means of the palynological method. The samples taken from the base of building are of the great interest, because the mentioned material is distinguished by abundance, diversity and excellent presetvation of Palynological and Non Palynological palynomorph (NPP) remains.

Processed cereals were the main component of the population's diet of the Early Classic Colchis. Chestnut, hazel, walnut, and grapes were included intothe nutritive ratio of the population.

The majority of the plants found in the samples apparently used for medical purposes represent medicinal remedies against rheumatism, arthritis, and diarrhoea. Presumably, malaria, diabetes, and epilepsy occurred rarely among the population since the medicinal remedies used against them were poorly evidenced.

Plenty of eggs of parasitic worms (*Trichuris trichuira*, *Ascaris lumbricoides*, *Nematode Capillaria*, *Enterobius vermicularis*, *Yokogava fluke*) discovered in the group of non-pollen palynomorphs in some samples and their taxonomic variety indicates at wide spreading of helminthosis in the population in the period under discussion.

The abundance and diversity of eggs of parasitic worms in the obtained material gives grounds for supposition that this part of the building was used as a latrine.

ტაბულების აღწერილობა:

I. ნამოსახლარი ნამჭედური II. ჯარგვალური ნაგებობის ნაშთები

II. 1. ნამჭედური II-ის ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან აღებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური დიაგრამა;
2. ნამოსახლარ ნამჭედური II-ის კულტურული ფენებიდან აღებული ნიმუშების არაპალინოლოგიური ნაშთების (NPP) დიაგრამა


III. ნამოსახლარი ნამჭედური II. საპირფარეშოს ნიმუშში აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1-ცაცხვი (Tilia); 2-მურყანი (Alnus); 3, 4, 5, 6 – ჩვეულებრივი ვაზი (Vitis vinifera); 7 – მატიტელა (Polygonum persicaria); 8 – ლაშქარა (Simphtum); 9 – (Betula); 10 – ფარსმანდუკი (Achillea)

IV. ნამოსახლარი ნამჭედური II. საპირფარეშოს ნიმუშში აღმოჩენილი საკვებ მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1,2,3,6 -ხორბალი (Triticum); 4,5 – წაბლი (Castanes sativa).


V. ნამოსახლარი ნამჭედური II. საპირფარეშოს ნიმუშში აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეთა მტვრის მარცვლები და გვიმრის სპორები: 1. – გველის ენა (Ophioglossum vulgatum); 2,3 – სამეფო გვიმრა (Osmunda regalis); 4 – Polypodium serratum; 5,6 – Polypodium vulgare; 7,8 – შვიტა (Equisetum)

VI. ნამოსახლარი ნამჭედური II. საპირფარეშოს ნიმუშში აღმოჩენილი პარაზიტული ჭიის კვერცხების ნაშთები: 1,2 – კაპილარია (Cappilaria); 3,4,5 -ენტერობიუსი (Enterobius vermicularis); 6,7 – ტრიხურა (Trichuira) ; 8, 9, 10 – ასკარიდა (Ascaris lumbricoides)






Nancheduri, pollen
modern
toilet (1)
toilet (2)
floor
plaster
Alnus
Pinus
Cerealia
Upland Herbs
Pteridophytes
Pollen Sum


1


Namcheduri II, NPP
modern
toilet (1)
toilet (2)
floor
plaster
Tracheal cells of Pinus
Tracheal cells of Ulmus
Wood vessel
Starch grains
Starch of cerealia
Fibre of flax
Seeds
Plant epidermis
Zoomaterial
Zooepidermis
Eggs of Trichuris
Eggs of Ascaris lumbricoides
Eggs of Capillaria
Eggs of Enterobius vermicularis
Unidiff. eggs
Total NPP Sum

2


1
2
3
4
5
6
7
20μm
8
9
10


1
2
3
4
5
6
20μm


1
2
3
4
5
6
20μm
7
8


1
2
3
20μm
4
5
6
7
8
9
10

ირინე ვარშალომიძე

ფიჭვნარი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით

ფიჭვნარი ნუმიზმატიკური თვალსაზრისით მეტად საინტერესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის მონაპოვრებიც გვანებივრებს, როგორც ძველი კოლხეთის, ისე საერთაშორისო კონტაქტების ბევრი აქტუალური პრობლემის კვლევის სფეროში. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა არცერთ ძეგლზე არაა მოპოვებული, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური მონეტების მსგავსი მდიდარი კოლექცია. უფრო მეტიც, მათი ნაწილი მიეკუთვნება უნიკალურ მონაპოვართა რიცხვს.

ფიჭვნარის ნუმიზმატიკურმა ძეგლებმა მკვლევართა ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიიპყრო. აქ გამოვლენილი კლასიკური, ელინისტური, რომაული, ბიზანტიური, ევროპული მონეტები თუ სამონეტო განძები შესწავლილი და გამოქვეყნებულია კ. გოლენკოს, ა. კახიძის, გ. დუნდუას, ი. იაშვილის, ი. ვარშალომიძის და სხვა მეცნიერთა მიერ. ნაშრომის მიზანია თავი მოუყაროს ფიჭვნარში სხვადასხვა დროს გამოვლენილ მუმიზმატიკურ მასალას, ასევე, სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანოს საკვლევ პუნქტში აღმოჩენილი გამოუქვეყნებელი საფასეები.

კოლხური თეთრი

ბერძნულ კოლონიზაციას შედეგად მოყვა ანტიკური სამყაროს წამყვან ცენტრებთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. ძვ. წ. VI საუკუნეში სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა ადგილობრივი სამონეტო ემისიის (კოლხური თეთრი) წარმოშობა და უცხოური მონეტების შემოდინება.

ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან იჭრება კავკასიაში პირველი ფული, ე. წ. კოლხური თეთრი, რომელიც ძვ. წ. V-IV სს-ში ყველაზე გავრცელებული მონეტაა დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა რეგიონებში, ასევე – სანაპირო ზოლში. ცნობილია კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი: ე. წ. ტეტრადრაქმა, სამი ტიპის დიდრაქმა, დრაქმა, ორი ტიპის ნახევარდრაქმა და ჰემიტეტარტემორიონი (დრაქმის 1/48).

კოლხური თეთრის ემიტენტის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი მის ემისიას კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ზოგი კი მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნების მიერ დაარსებულ ახალშენს – ფაზისს (დღევანდელი ფოთი) აკუთვნებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხური თეთრის მცირე ნომინალი -ტრიობოლის ფართოდ გავრცელებული (ტაბ. I/1) და, ასევე, 1 ცალი იშვიათი პირველი ტიპის ნახევარდრაქმა (სულ 4 ცალია ცნობილი) გამოვლენილია

ფიჭვნარში შემთხვევით თუ არქეოლოგიური შესწავლისას. ფიჭვნარშივეა აღმოჩენილი კოლხური თეთრის უნიკალური ნომინალი – ჰემიტეტარტემორიონებიც (დრაქმის 1/48), რომელთა მსოფლიო მარაგი 8 ცალით შემოიფარგლება (ტაბ.II/2-3). აქედან 3 დაცულია საქართველოს ეროვნულ და 5 – ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში. მათ პარალელი არ ეძებნებათ მსოფლიო ნუმიზმატიკაში. ისინი ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება, საფასეებზე გამოსახულია რომელიღაც ფრინველი და ადამიანის თავი. ამ მონეტებმა მეცნიერებას მისცა კოლხური თეთრის ახალი ტიპი და ნომინალი (დუნდუა, 1978: 48-62, 1979: 66-73; Kakhidze, 2010: 1-2)

უცხოური მონეტები:

ქალაქ ქიზიკის ელექტრუმის სტატერები – 3 ცალი: 1952 წელს სოფელ ფიჭვნარში შემთხვევით აღმოჩნდა მეორე ტიპის კოლხური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ძვ. წ. 500-460 წლებით დათარიღებული ქიზიკის სტატერი, გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით და ზურგზე ჩაჭდეული კვადრატით. 1968 წელს ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს, ბერძნული სამაროვნის №15 სამარხში იპოვეს ქიზიკური მონეტა ტრიტონის გამოსახულებით. სტატერი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის დასასრულით. 1967 წელს იმავე სამაროვანზე, №6 სამარხში მიკვლეულ იქნა ქიზიკური სტატერი ნიმფა კლიტეს გამოსახულებით (ტაბ.II/1). მონეტა თარიღდება ძვ. წ. 460/430 წლებით (Пахомов, 1954: 38-39, №1898; კახიძე, 1961: 7; კახიძე, 1974: 79-86; Кахидзе, 1974: 88-89).

სინოპური დრაქმები: 1967 წელს ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. VI-V საუკუნეების სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი – quadratum incusum) (ტაბ.II/2). 1983 წელს, ბერძენ მოახალშენეთა ძვ. წ. V საუკუნის სამაროვანზე აღმოჩნდა ძვ. წ. 500-453 წწ. დათარიღებული სინოპური დრაქმა (ტაბ.II/3) (კახიძე, 1961: 121, კახიძე 1974: 79-86, Кахидзе, 1974: 88-92, იაშვილი, 1983: 54-55).

1948 წელს ფიჭვნარში საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, წონით 6-8 კგ. მისი ძირითადი ნაწილი გაიფანტა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 149 მონეტაა დაცული, საქართველოს მუზეუმში – 9. გადარჩენილი ნაწილიდან 110 სინოპური დრაქმაა, რომელიც ძვ. წ. 360-320 წლებით თარიღდება; დანარჩენი კი მეორე ტიპის კოლხური ტრიობოლებია. განძის მეცნიერულმა შესწავლამ დააკონკრეტა მისი დაფლვის თარიღი – ძვ. წ. 350-345 წწ. (Голенко, 1961: 98-112). ანალოგიური სინოპური დრაქმები (რამდენიმე ათეული), სხვადასხვა წლებში გამოვლინდა ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს (ვაშაკიძე, კახიძე, 1977: 35-37; ვაშაკიძე, კახიძე, 1978: 51-56; ვაშაკიძე, 1983: 43-47; კახიძე, 1961: 116-124) და შემთხვევით ბათუმთან ახლოს სოფელ განთიადში (ვარშალომიძე, 1996: 28-29) (ტაბ.II/4). ფიჭვნარშივეა სხვა-

დასხვა დროს გამოვლენილი ძვ. წ. III საუკუნეში სინოპში მოჭრილი დრაქმებიც (ტაბ.III/1-4)

ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი, ბოსფორის სამეფო: 1967 წელს, ფიჭვნარში, ბერძნული სამაროვნის №5 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 475-450 წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (შუბლი – დელფინი; ზურგი – quadratum incusum).

1968 წელს, ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანის №8 სამარხში აღმოჩნდა ნიმფეიონში მოჭრილი დიობოლი, დათარიღებული ძვ. წ. V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით (შუბლი – ნიმფას თავის გამოსახულება; ზურგი – quadratum incusum-ში მოთავსებული ვაზის ლერწი, ყურძნის მტევნითა და ფოთლებით) (ტაბ.IV/1) (კახიძე, 1961: 121, კახიძე, 1974: 79-86, Кахидзе, 1974: 88-92).

ფიჭვნარში, 1998 წელს, ძვ. წ. V ს-ის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე აღმოჩნდა პანტიკაპეონის აპოლონიაში ძვ. წ. 460-450 წწ. მოჭრილი ვერცხლის მონეტა (ტაბ.IV/2), ქ. თეოდოსიის ვერცხლის ძვ. წ. 413-403 წწ. დათარიღებული 2 მონეტა (კახიძე, იაშვილი, 1999: 22-23) (ტაბ.IV/3,4).

სიცილია, სირაკუზი: 2004 წელს ფიჭვნარშივეა შემთხვევით ნაპოვნი სირაკუზში მოჭრილი ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით დათარიღებული სპილენძის მონეტა (ტიპი: პეგასი/ათენა კორინთულ მუზარადში) (ვარშალომიძე, 2005: 128) (ტაბ.V/1).

ალექსანდრე მაკედონელი (ძვ. წ. 336-323 წწ), სტატერი, მოჭრილია 336-329 წწ. ტრელიუმში.

შუბლი: მონეტის ცენტრში გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ ათენას თავი გრძელი თმებითა და კორინთული მუზარადით.

ზურგი: მარცხნივ მიმართული ფრთოსანი ნიკე გრძელ ქიტონში. მარჯვენა ხელში უჭირავს გვირგვინი, მარცხენაში – სტილიდა. მარჯვენა ხელის გვერდით მოცემულია მონოგრამა, ქალღმერთის უკან კი ბერძნული წარწერა (კახიძე, 1974: 79-86).

ამისო. 1966 წელს ქ. ქობულეთში,ზღვის სანაპიროზე შემთხვევით აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. ამისო-პირეოსის მონეტა ჰერასა და ფრთებგაშლილი ბუს გამოსახულებით (ტაბ.V/2) (Брашинский, 1967: 759-764; ვარშალომიძე, 2021: 191)

კაპადოკიის სამეფო: 2007 წელს საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ელინისტურ სამაროვანზე მუშაობისას 227-ე სამარხში გამოავლინა კაპადოკიის სამეფოს პირველი მეფის **არიარათეს I** (ძვ. წ. 333–322) სახელით ქალაქ გაზიურაში მოჭრილი დრაქმა (ტაბ.V/3).

შუბლი: მონეტის ცენტრში მოცემულია გაზიურას ღვთაება ბაალის მჯდო-

მარე გამოსახულება, გვირგვინითა და მარცხენა ხელში კვერთხით. მას მარჯვენა ხელში, რომელზეც არწივი დგას, უჭირავს თავთავი და ვაზის რტო ყურძნით. არამეული წარწერა (“ბა’ალ გაზირი“, ანუ “გაზიურას მბრძანებელი“) არ ჩანს ცუდად დაცულობის გამო.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია გრიფონი, რომელიც თავს ესხმის მუხლმოდრეკილ ირემს, არიარათესის სახელი – ცუდად დაცულობის გამო არ იკითხება (Erkiletlioğlu, 2019: 203).

ახ. წ. II-IV სს.

რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი (138-161 წწ), აღმოჩნდა ფიჭვნარში 1998 წელს, მე-5 (179) სამარხში. მონეტა ცუდადაა დაცული,ზურგის მხარე არ იკითხება.

2017 წელს ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში ფიჭვნარში მცხოვრებმა ნათია გიორგაძემ განსაზღვრისთვის მოიტანა 5 მონეტა, ისინი გასული საუკუნის 70-იან წლებში ფიჭვნარში, ხუსეინ გიორგაძის საყანე ნაკვეთის ტერიტორიაზეა შემთხვევით ნაპოვნი. მუზეუმმა მონეტები შეიძინა. 3 – რომაული ხანის მონეტაა, 1- სასანური ირანის, 1 კი ბიზანტიის იმპერიის. III-IV სს მონეტები პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში:

სასანური ირანი, ვარანგ I (271-274). ვერცხლის დრაქმა, გახვრეტილი, ზომა: 27/28 მმ, წონა 4 გრ. (ტაბ.V/4).

შუბლი: მონეტის ცენტრში მარჯვნივ მიმართული ვარანგ I გამოსახულება, იგი შემკულია გვირგვინით. გამოსახულების ირგვლივ ფალაური ლეგენდა მოუყვება, გარშემო – შეერთებული წერტილებისაგან შემდგარი ერთმაგი რკალი.

ზურგი: საკურთხეველი სვეტის სახით, რომელზედაც მაზდეანობის სიმბოლო – წმინდა ცეცხლი ანთია. საკურთხეველს ორივე მხრიდან მახვილებით შეიარაღებული ორი მცველი დარაჯობს. თარიღის და ზარაფხანის აღმნიშვნელი ფალაური ზედწერილები თითქმის არ იკითხება.

რომის იმპერია

ტიბერიუს იულიუს ინინთიმეოსი (234-238 წწ.), ბოსფორის მეფე, სპილენძი. ზომა: 20 მმ, წონა – 5.51 გ.

შუბლი: მონეტის ცენტრში მეფისა და აფროდიტეს ბიუსტები ერთმანეთის პირისპირ. ირგვლივ : BACIΛEWC ININΘIM

ზურგი: მარცხნივ ტახტზე ზის გვირგვინოსანი აფროდიტე, მარჯვნივ ვარსკვლავი, მარცხნივ B, დანარჩენი გადასულია.

რომის იმპერატორი ფლავიუს ვალენტინიანე II უმცროსი (375-392 წწ) (ტაბ. VI/2), მოჭრილია ქიზიკში, ვერცხლი, ზომა: 12/13 მმ, წონა 1.09 გრ.

შუბლი: მონეტის ცენტრში იმპერატორის მარცხნივ მიმართული ბიუსტი, იგი შემკულია მარგალიტების 2 მწკრივიანი დიადემით. ირგვლივ: DN VALENTINIANVS PF AVG

ზურგი: მონეტის ცენტრში ფრთოსანი ვიქტორია, რომელსაც მარჯვენა ხელში ნადავლი უჭირავს, მარცხენათი კი ტყვე ყავს დაჭერილი.ირგვლივ: SALVS REIPVBLICAE.

მაქსიმიანუსი (305-313 წწ.), სპილენძი , ზომა: 15/16 მმ, წონა 4 გრ. (ტაბ.VI/3).

შუბლი: მონეტის ცენტრში იმპერატორის მარცხნივ მიმართული თავის გამოსახულება, იგი შემკულია ეკლისებური გვირგვინით. ირგვლივ იკითხება IMP MAXIMI…

ზურგი: მონეტის ცენტრში, რომელიღაც ღვთაება ფეხგადადგმული, ხელებით უჭირავს შუბი (?). მონაკვეთს ქვემოთ იკითხება XXIS. გამოსახულების ირგვლივ კი იკითხება მხოლოდ IOVI

ბიზანტიის იმპერია V-VI სს

ანასტასი I (491-518 წწ.), სპილენძი, კონსტანტინეპოლი, წონა – 16,00 გრ, ზომა – 29/30 მმ. მონეტა გახვრეტილია (ტაბ.VI/4).

შუბლი: კეისრის გამოსახულება წელზევით პროფილში მარჯვნივ, დიადემით, მხედრის სამოსელით, რომელიც მარჯვენა მხართან ფიბულით არის შეკინძული, შემოწერილია ...ANASTASIVSPP AYG=Dominus noster Anastasius perpetuus augustus (ბატონი ჩვენი ანასტასი მუდამ აღზევებული), ირგვლივ მძივისებური რკალი.

ზურგი: მონეტის ცენტრში M (=40 ნუმიას), ზევით ჯვარი, ქვევით კიდურებს შორის B (= მეორე სახელოსნოს), მონეტის არეზე მარჯვნივ და მარცხნივ თითო ექვსქიმიანი ვარსკვლავი, მონაკვეთს ქვემოთ CON=Constantinopolis, ირგვლივ მძივისებური რკალი (აბრამიშვილი 1966: 38, №44).

ბრანდერბურგ-პრუსიის სახელმწიფო, XVII საუკუნე

2016 წლის არქეოლოგიურმა შესწავლამ ფიჭვნარს ევროპული მონეტა შესძინა. ვერცხლის მონეტა ნამჭედურზე, ქვაფენილში, ჰუმუსოვან ფენაში, 5 სმ. სიღრმეზე აღმოჩნდა. ბრანდერბურგ–პრუსიის სახელმწიფო. მარკგრაფი გეორგ ვილჰელმი (1619–1640 წწ). კროსენის ზარაფხანა. 1624 წელი. ორტა.

შუბლი: შერწყმულ წერტილოვან რკალში პროფილით მარჯვნივ კურფიურისტ გეორგ ვილჰემის წელზევითი გამოსახულება, კვერთხით მარცხენა და მახვილის ტარით მარჯვენა ხელში; ირგვლივ თოკისებური რკალით გარშემორტყმული გერმანული ზედწერილი: GEORG: WILHELM: V: G: G: M: Z: BRAN (გეორგ ვილჰელმი, ღვთის წყალობით, მარკგრაფი ბრანდერბურგისა).

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალში საგერბო ფარი პრუსიის, ნიურბერგის, კლეევსისა და ბრანდერბურგის გერბებით. საგერბო ფარის თავზე გვირ-

გვინი, გვერდებზე–თარიღის დასასრული 24, ირგვლივ თოკისებური რკალით გარშემოვლებულია გერმანული ზედწერილი : D: H : R: R: ERT: C: V: CHVRF: I: P: Z: G: C: B: H: (რომის საღვთო იმპერიის უფროსი ხაზინადარი და კურფიურისტი, ჰერცოგი პრუსიის, იულიხის, კლეევსის, ბერგის)(რ. ქებულაძე 1971: 116-117, №31, ტაბ. XII, სურ. 67).

ფიჭვნარის ტერიტორიაზე მდიდარი ნუმიზმატიკური მასალის გამოვლენა ახსნას საჭიროებს. უდავოა, რომ ფიჭვნარი არის ერთ-ერთი პუნქტი, სადაც პირველად ჩაისახა და განვითარდა სამონეტო მიმოქცევა საქართველოში. აქ ფულადი მეურნეობა დაწყებულა ძვ. წ. V საუკუნიდან. მასში ჩართულია, როგორც კოლხური თეთრი, ასევე უცხოური მონეტებიც, სადაც დომინანტური როლი სინოპურ დრაქმებს უჭირავთ. რადგან ეს საკითხი კარგადაა შესწავლილი და გაშუქებული ისტორიოგრაფიაში, ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ათენმა შეიქმნა პონტოს აუზის ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიბრტყე, ამიტომ შავი ზღვის სხვადასხვა სანაპიროებზე არსებულ ქალაქებში (სინოპე, პანტიკაპეონი, ნიმფეონი, თეოდოსია) მოჭრილი მონეტების გამოვლენა ფიჭვნარის ტერიტორიაზე სრულიად გასაგებია. ფიჭვნარშივეა გამოვლენილი ქიზიკინები – ინტერლოკალური ფული. აღნიშნული საფასეები შავიზღვისპირეთის ფულადი მეურნეობის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა. ათენმა ეს ზარაფხანა თავისი სამონეტო კარის ფილიალად აქცია. აქ მოჭრილ საფასეებს მსხვილ სავაჭრო ოპერაციებში იყენებდა. კლასიკური ხანის მონეტების დალექვა ფიჭვნარის მიდამოებში კანონზომიერია, რადგან იგი იყო ერთადერთი მსხვილი სავაჭრო ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში.

ფიჭვნარის ნუმიზმატიკურ მასალაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ალექსანდრე მაკედონელის სტატერს. მაკედონელის ლაშქრობებმა გადატრიალება მოახდინა სამონეტო საქმეშიც. შექმნა უნიფიცირებული სამონეტო სისტემა. მისმა ფულადმა რეფორმამ მიმოქცევიდან განდევნა ყველა ინტერლოკალური მონეტა, კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტაც ამ პროცესს უკავშირდება. მაკედონელის სტატერები ინტენსიურადაა ჩართული საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში – 377 ცალი, აქედან 367 სვანეთში, დანარჩენი კი რეყეში, ვანში, ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევში, გულრიფშის რაიონში, სოფ. ჭიორაში და მცხეთაშია აღმოჩენილი. გ. დუნდუა შესაძლებლად თვლის, რომ ისინი ჩვენში მცირე აზიის ქალაქებიდან (სინოპე) უნდა შემოსულიყო.

დიდ ინტერესს იწვევს ფიჭვნარში სირაკუზის მონეტის გამოვლენა. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია სირაკუზში მოჭრილი 6 საფასე. აქედან, 3 მოჭრილია ძვ. წ. IV და 3 – III საუკუნეში (ვარშალომიძე, 2021). საქართველოში დადასტურებულია სულ 8 ცალი სიცილიური მონეტა, აქედან 7 – სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდანაა (6 – მუზეუმი, 1 – ფიჭვნარი) და ერთი – ვანიდან. გ. დუნდუას მოსაზრებით, შესაძლებელია, ვანში სირაკუზის მონეტამ სწორედ ფიჭვნარიდან შეაღწია.

საქართველოში არიარათეს I-ის სახელით მოჭრილი საფასე პირველად აღმოჩნდა. იგი იყო სპარსეთის ბოლო სატრაპი და კაპადოკიის სამეფოს პირველი მეფე. დათამესის ავჯანყებას თუ არ ჩავთვლით, ჩანს, რომ კაპადოკიაში დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის პირველი მცდელობა დაიწყო იმ წინააღმდეგობით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაპყრობების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიებზე მისი ერთ-ერთი მხედართმთავარი საბიქტასი გააგზავნა და მისი დამორჩილება დაავალა. მიუხედავად იმისა, რომ სატრაპი მიტრობაზანი გრანიკოსის ბრძოლაში (ძვ. წ. 334 წლის 22 მაისი) დაიღუპა, კაპადოკიელები ისევ მეფე დარიოს III-ის დაქვემდებარებაში დარჩნენ. მათი ჯარი, მიტრობაზანის შემდეგ სატრაპად დანიშნული არიარათეს I-ის სარდლობით, ერბილის ბრძოლაში დარიოს III-ის გვერდით იბრძოდა. აღნიშნულ ბრძოლაში დარიუსის დამარცხების შემდეგ, კაპადოკიელებმა უარი განაცხადეს, როგორც მაკედონიის, ისე აქემენიანთა მმართველობაზე. არიარათეს I-მა თავი ჩრდილოეთ კაპადოკიის სატრაპად გამოაცხადა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. მან შექმნა არმია, რომელშიც გაერთიანებული იყო 15 ათასი ცხენოსანი და 30 ათასი ქვეითი. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ანატოლია აირჩია მმართველობის ადგილად და სინოპიდან ტრაპიზონამდე მთელ სანაპიროზე კონტროლი დაამყარა. კატაონია დაიპყრო და სამეფოს ტერიტორიები გააფართოვა. ეს მიწები, ძველი სპარსული მმართველობის დროს, ისედაც იმპერიის „კაპადოკიის სასატრაპოს“ საზღვრებში შედიოდა (Erkiletlioğlu, 2019: 83)

არიარათეს I ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის მქონე ჩინებული მმართველი იყო. ჩანს, რომ მან მოკლე ხანში დაიწყო კაპადოკიის სამეფოსთვის საფუძველის ჩაყრა. 332 წელს თავი დამოუკიდებელი კაპადოკიის სატრაპად გამოაცხადა. დღევანდელი ზილეს (ზელა/თოქათის ილში) მახლობლად მდებარე გაზიურას (თურჰალი) ციხე რეზიდენციად აქცია (Erkiletlioğlu 2019: 83).

არიარათესის შექმნილი დამოუკიდებელი სასატრაპოს არსებობა ალექსანდრეს სიკვდილამდე, ანუ დაახლოებით 10 წელიწადს გაგრძელდა. ალექსანდრეს მდივნის, პედრიკასის ლაშქარი ძვ.წ. 322 წელს არიარათეს I-ის ჯარს დაუპირისპირდა. მიუხედავად ასაკისა (სიბერის) და მოწინააღმდეგის ჯარის რიცხვობრივი უპირატესობისა, არიარათესი საკუთარ ჯართან ერთად ხელჩართული იბრძოდა, თუმცა სასტიკ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში კაპადოკიის ჯარი დამარცხდა. არიარათესი, მისი მდიდარი ხაზინით ტყვედ ჩავარდა. იგი სასტიკი წამების შემდეგ ოჯახთან და რამდენიმე მხედართმთავართან ერთად ჯვარზე გააკრეს (ძვ.წ. 322). პედრიკასმა დანარჩენ კაპადოკიელებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. სიკვდილით დასჯის დროს არიარათეს I 82 წლის იყო (იგი დაბადებული იყო ძვ.წ. 404 წელს) (Erkiletlioğlu, 2019: 84).

კაპადოკიის სამეფოში პირველი ფულის მოჭრა სწორედ არაიარათესის სახელთანაა დაკავშირებული (Sydenham, 1978: 2). მისი მმართველობის დროს, განხორციელდა ორი სამონეტო ემისია სინოპესა და გაზიურაში. საფასეებზე

ვხვდებით არამეულ, ანუ აქემენიდების სახელმწიფო ენაზე გაკეთებულ წარწერებს. სტილისტურად, არიარათესის გაზიურაში მოჭრილი ფული წააგავს აქემენიდების სატრაპ მაზაეს მიერ კილიკიის ტარსოსში გამოშვებულ მონეტებს. ირანოლოგი მერი ბოისი და ისტორიკოსი ფრანც გრნეტი აღნიშნავენ, რომ მჯდომარე ბაალის ზევსის მსგავსი გამოსახულება შეიძლება რეალურად ასახავდეს ზოროასტრიულ აჰურა მაზდას ან მითრას. სინოპეში მოჭრილი არიარათესის მონეტები სტილისტურად წააგავს იმავე ქალაქის ბერძნულ ემისიებს, მაგრამ არამეულ ენაზე არიარათესის სახელია დაწერილი (Erkiletlioğlu, 2019: 123). ელინისტური ხანის კაბადოკიური მონეტები საქართველოში აღმოჩენილია: ვანში – არიარათ VI (ძვ. წ. 130-116 წწ.) – 1; არიარათ VII (ძვ. წ. 116-101 წწ.) – 1; არიარათ IX (ძვ. წ. 101-87 წწ.) – 2; არიობარძანე I (ძვ. წ. 96-63 წწ.) – 3 (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977: 133-137); აღაიანში (კასპის რაიონი) არიარათ IV-ის (ძვ. წ. 220-163) -1 (დუნდუა, 1993: 93); მცხეთაში არიობარძანე I-ის (ძვ. წ. 96-63 წწ.) დრაქმა – 1 (Дундуа, 1987: 145). ამ პერიოდში კესარიაში მოჭრილი მონეტების მიმოქცევას არ ჰქონდა ინტენსიური ხასიათი. ახ. წ. II-III საუკუნეებში, კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში გაბატონებული ადგილი ეკავა კესარიულ მონეტებს, რომელთა აღმოჩენის ტოპოგრაფია საქართველოში ფართოა. ცნობილია კესარიული მონეტების რამდენიმე განძი: გურზულის (Иващенко, 1931: 2-32), ნაბაკევის (Голенко, 1964: 68) და ეკის (დუნდუა, 1979: 5-6). გარდა ამისა კესარიული მონეტები ნაპოვნია გონიოში (ვარშალომიძე, 2009: 52-53), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993: 104), ურეკში, სუფსაში (დუნდუა, 1997: 118), ნოქალაქევში (აბრამიშვილი, 1987: 274-287.), ვანში (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977: 127), სეფიეთში (მაკალათია, 1944: 217-259; დუნდუა,1979: 5-6.), წებელდაში (Трапш, 1971: 207-211; Воронов, Юшин, 1973: 171-191; Воронов, Юшин, 1979: 181-198), სოხუმში (Трапш, 1971: 280-429; Шамба, 1993: 57-74), ბიჭვინტაში (დუნდუა, 1975: 280-418; ლორთქიფანიძე, 1991: 98-105).

კლასიკურსა და ადრეელინისტურ პერიოდში ფიჭვნარში და საერთოდ აჭარის სანაპირო ზოლის ფულად მეურნეობაში დომინირებს სინოპური დრაქმები. საფიქრებელია, რომ გაზიურაში მოჭრილი დრაქმა ფიჭვნარში სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან არა მხოლოდ ფიჭვნარში, არამედ საქართველოში პირველად გამოვლინდა ამ სამონეტო ცენტრში მოჭრილი საფასე. ასევე ესაა ყველაზე ადრეული კაბადოკიური მონეტა, რაც ჩვენს ქვეყანაშია აღმოჩენილი.

ფიჭვნარის ირანული მონეტა მოჭრილია **ვარანგ I** (271-274) სახელით. სასანური მონეტები აღმოჩენილია ციხისძირში 1935 წელს სამშენებლო სამოუშაოების დროს. ისინი დაცულია ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში : ხოსრო I ანუშირვანის (531-573 წწ.), ხოსრო II (590-628 წწ.), ბაჰრამ V (406-439 წწ.) 2017 წლის ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლის დროს, კოშკში გამოვლინდა 98 სასანური მონეტა. ნუმიზმატ მ. პატარიძის განსაზღვრით, მათგან ყველაზე ადრეუ-

ლია ფეროზის (458-488) მიერ მოჭრილი ფული. შემდეგ მოდის ვალაშის (484-488 წწ.) და კავადის (488-531 წწ.) მონეტები. ყველაზე გვიანდელია ხოსრო I (531-579 წწ.) ნიმუშები. აღნიშნული მონეტები ირანელი ჯარისკაცების ხელფასი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ფიჭვნარის რომაული ხანის მონეტებს, ისინი 4 ერთეულითაა წარმოდგენილი, 1 მოჭრილია ბოსფორის სამეფოში, 1 – ქიზიკში, 1 – რომში, 1 არ განისაზღვრა ცუდად დაცულობის გამო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გვაქვს 288 რომაული ხანის მონეტა. ისინი გამოვლენილია ძირითადად იმ პუნქტებში, სადაც რომაული გარნიზონები იდგა (გონიო, ციხისძირი). აქედან ვრცელდებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. რასაც მოწმობს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული 50 უპასპორტო რომაული მონეტა. საინტერესოა ბოსფორის მეფის ინინთიმეოსის მონეტის აღმოჩენა ფიჭვნარში, ამ მონარქის სახელით მოჭრილი ფული პირველად გამოვლინდა საქართველოში. რომაული ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ქალაქებში მოჭრილი მონეტები გვაქვს გონიოსა და ასევე, 6 ცალი (ფანაგორიასა და პანტიკაპეონში) ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის I-III სს არსებობდა გარკვეული სავაჭრო ურთიერთობები.

ფიჭვნარის ტერიტორიაზე ბიზანტიური მონეტა პირველად გამოვლინდა. ძეგლის არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილია ადრეფეოდალური ხანის ეკლესიის ნაშთები, სამეურნეო, სამზარეულო, საამშენებლო კერამიკა, სამარხები, რომლებიც საკმაო რაოდენობით შეიცავდა სხვადასხვა სახის ინვენტარს: ოქროს საყურეებსა და ბეჭდებს, თიხის დოქებს, ქოთნებს, წითელლაკიან ლანგარს, მინის ნაწარმს, რკინის ცულებს, შუბებს, ვერცხლისა და რკინის სამაჯურებს, მშვილდსაკინძებს, ბეჭდებს, მონეტებს და ა. შ. ეს სამარხები ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება (კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000: 70-89). როგორც ჩანს, ლაზიკის ძლიერების ხანაში ფიჭვნარშიც ხდება ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება (კახიძე, ვიკერსი, 2014: 180), მაგრამ VI საუკუნისთვის დაწინაურებულ სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენს ციხისძირი. აქ იდგა ბიზანტიური გარნიზონი და მრავლადაა გამოვლენილი ჯარისკაცების ხელფასისათვის განკუთვნილი სპილენძის მონეტები (ინაიშვილი, 1993: 109-113). ამიტომ სავარაუდოა, რომ ფიჭვნარში ანასტასის მონეტა ციხისძირიდან გავრცელებულიყო. ბიზანტიური მონეტები საქართველოში V საუკუნიდან შემოდის და ინტენსიურად მიმოიქცევა იმპერიის არსებობის ბოლომდე (აბრამიშვილი, 1966: 6/25). მათ გავრცელებას სხვადასხვა პერიოდში პოლიტიკური ან ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა. VI საუკუნიდან იწყება მძაფრი ბრძოლა ორ დიდ იმპერიას – ბიზანტიასა და ირანს – შორის ლაზიკის დაუფლებისათვის. იუსტინაიანე I (527-565 წწ) ლაზიკაში, მათ შორის პეტრაშიც, თავისი ჯარი ჩააყენა. ამ დროიდან ინტენსიურად იწყება ბიზანტიური სპილენძის საფასეების შემოსვლა

და ტრიალი დასავლეთ საქართველოში. აქ გამოვლენილია VI საუკუნის 182 სპილენძის, 7 ვერცხლის და 37 ოქროს ბიზანტიური მონეტა. ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით სახეზე გვაქვს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები ლაზიკასა და ბიზანტიას შორის (დუნდუა, 2006: 162).

2016 წლის არქეოლოგიურმა შესწავლამ ფიჭვნარს ევროპული მონეტა შესძინა. ბრანდენბურგ–პრუსიული ორტები და პოლტორაკები საქართველოში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი: 1954 წლის ზესტაფონის განძში – 3 და 1942 წლის თბილისის განძში, ასევე, 3 ცალი (ქებულაძე, 1971: 112,118). აღნიშნული მონეტების სიმცირე და მათი პოლონურ მონეტებთან ერთად აღმოჩენის ფაქტები რ. ქებულაძეს აფიქრებინებს, რომ ისინი საქართველოში უშუალოდ ბრანდენბურგიდან და პრუსიიდან კი არ შემოდიოდა, არამედ პოლონეთიდან (ქებულაძე 1972: 123).

საქართველოში პოლონური ფულის შემოსვლის მრავალი მიზეზი არსებობდა: პოლიტიკური მომენტი, რამაც საქართველოსა და პოლონეთ–ლიტვის გაერთიანებული სამეფოს საგარეო პოლიტიკის ერთიანი მიმართულება განსაზღვრა, ოსმალეთის მზარდი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა. საქართველოსა და პოლონეთს შორის უშუალო კონტაქტის დამყარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპისკენ მიმავალი გზის გადანაცვლებამ შავი ზღვის სრუტეებიდან მდინარე დნეპრზე (1455 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლის აღებით გადაკეტეს შავი ზღვის სრუტეები და საქართველოდან ევროპაში წასასვლელ უმოკლეს გზად პოლონეთ–ლიტვის ტერიტორიაზე გავლით მდინარე დნეპრი დარჩა); XVII საუკუნეში კათოლოკე მისიონერების საქმიანობა, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში დნეპრისა და დონის კაზაკების მიმოსვლა, ოსმალეთის იმპერიაში ევროპული ტალერების მიმოქცევა და სხვ. პოლონური მონეტები სხვა ევროპულ ტალერებთან ერთად ამ პერიოდის საქართველოში ფულადი მიმოქცევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ისინი ნაპოვნია განძებისა თუ ერთეულების სახით ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ჩვენს რეგიონშიც: ქობულეთში (ცინცაძე, 1965: 65), ხინოში (ვარშალომიძე, 2002: 101), გონიოში (ვარშალომიძე, 1998: 46; ვარშალომიძე, 1999: 47; ვარშალომიძე, 2009: 73). ბრანდენბურგ-პრუსიის ფული კი პირველად აღმოჩნდა არა მარტო ფიჭვნარში, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც.

ცნობილია, რომ ძველი კოლხეთი მიეკუთვნება სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას. ეს შესანიშნავად ჩანს ფიჭვნარის შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით. ნივთიერი კულტურის სხვა არტეფაქტების მსგავსად ამ სახის აღმოჩენებიც შესანიშნავად ასახავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ ძვრებს, კულტურულ აღმავლობასა და რელიგიურ მსოფლმხედველობას. ფიჭვნარის ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ისტორიოგრაფიაში შესანიშნავად დასტურდება, რომ ადრეკლასობრივი სახელ-

მწიფოების კვალდაკვალ (დიაოხი, კოლხა) ძვ. წ. I ათასწლეულების შუახანებისათვის წარმოიშვა კოლხეთის სამეფო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნის, როგორც ეკონომიკურ, ასევე, კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. თითქოს ერთიანი ხაზი ისახება ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან დაწყებული გვიანშუასაუკუნეებამდე. ანტიკური ხანისთვის მიმოქცევაში წამყვან ადგილს ადგილობრივი კოლხური თეთრი იკავებს, გრძელდება ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებთან. პირველ ხანებში საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წამყვანია ეგეოსური სამყარო, მსოფლიო პროცესებში მიმდინარე ძვრებთან დაკავშირებით ენაცვლება სამხრეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ცენტრები. გამოკვეთილ ადგილს იკავებენ ჩრდილო შავიზღვისრიპეთის ბერძნული პოლისებიც. რომაული ხანიდან საქართველოს ზღვისპირეთი წარმოადგენს პონტოს ლიმესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს. ასევე ითქმის ბიზანტიური და მომდევნო ეპოქების შესახებაც. ფიჭვნარში საველე არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება კვლავაც ბევრი სიახლის მომცემი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბრამიშვილი თ., ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1973-1982 წწ,), ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978-1982 წწ. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1987

დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II–ახ.წ. IV სს. – დიდი პიტიუნტი I, თბილისი, 1975

დუნდუა გ., საქართველოს სამონეტო განძები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979

დუნდუა გ., გურიის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, გურია I, თბილისი, 1997

დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ., მონეტები ვანიდან, ვანი III , თბილისი, 1977

დუნდუა თ., კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გამომც. უნივერსიტეტი, თბილისი, 1993

დუნდუა გ., კახიძე ა., კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. მაცნე, ისტორიის სერია, 4, თბილისი, 1978

დუნდუა გ., კახიძე ა., კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები. მაცნე, ისტორიის სერია 2, თბილისი, 1979

ვარშალომიძე ი., სინოპური მონეტა სოფ. განთიადიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 1996

ვარშალომიძე ი., ევროპული მონეტები გონიიდან.- ბსუ საისტორიო მაცნე, 7, 1998

ვარშალომიძე ი., ევროპული მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, 2, 2002

ვარშალომიძე ი., სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი, 2005

ვარშალომიძე ი., გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, ლიტერატურული აჭარა, №7, ბათუმინ 1999

ვარშალომიძე ი., რომაული ხანის ვერცხლის მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან , ძიებანი, 5, თბილისი, 2000

ვარშალომიძე ი., პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართებანი გონიო-აფსაროსში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (I-III სს), საისტორიო მაცნე, №9, ბათუმი, უნივერსიტეტის გამომც. 2000

ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი, გამომც. უნივერსიტეტი, 2009

ვარშალომიძე ი., ძნელაძე ნ., ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, გამომც.„ კოლორი“, ბათუმი, 2021

ვაშაკიძე ნ., კახიძე ა., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბილისი, 1977

ვაშაკიძე ნ., კახიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანის ტერიტორიაზე 1976 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VII, თბილისი, 1978

ვაშაკიძე, 1983 : – ვაშაკიძე ნინელი, ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1980 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები , XII, თბილისი

ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, გამომც. „მეცნიერება“ , თბილისი, 1993

იაშვილი ი., ადრეული სინოპური დრაქმა ფიჭვნარიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი, 1987

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1961

კახიძე ა., ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წწ. აღმოჩენილი უცხოური მონეტები, მაცნე-ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნიგრაფიისა და ხელოვნების სერია, 3, თბილისი, 1974

კახიძე ა., იაშვილი ი., შავიზღვისპირეთის საქალაქო ვერცხლი ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის სამაროვნიდან, ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმი-ვანი, თბილისი, 1999

კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ., ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, I, ბათუმი, 2000

კახიძე ა., ვიკერსი მ., საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია 2003-2007**,** ფიჭვნარი VI, ბათუმი-ოქსფორდი, გამომც. ინტერპრინტჯორჯია, 2014

ლორთქიფანიძე გ., ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბილისი, გამომც. უნივერსიტეტი, 1991

მაკალათია ს., სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი, 1944

ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1971

ცინცაძე ი, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1965

Брашинский И. Б., К истории экономических связей восточного Причерноморья в античню эпоху (по нумизматическим материалам), საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 3, თბილისი 1967

Воронов Ю. Н., Юшин В. А., Новые памятники цебельдинской культуры в Абхазии. – СА, № 1, 1973

Воронов Ю. Н., Юшин В. А., Ранний горизонт (II-IV вв. н.э.) в могильниках цебельдинской культуры (Абхазия). – СА, №1, 1979

Голенко К. В., Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, наука, 1964

Голенко К. В., Кобулетский клад серебрянных монет, СА, XXVII, 1957

Дундуа Г. Ф., Нумизматика античной Грузии, Тбилиси, мецниереба, 1987

Иващенко М. М., Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской, ИГАИМК. вып. 10, 1931

Кахидзе А. Ю., Привозные монеты из могильника Пичвнари, ВДИ, 3, 1974

Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку, 1954

Трапш М. М., Труды, т. III, Тбилиси. Мецниереба, 1971

Шамба С. М., Монетное обращение на территории Абхазии (V в.– XIII в. н.э.) – Тбилиси, мецниереба, 1987

Kaxidze A., Vikers M., Varshalomidze I., Kolkhidki, The Numismatic Chronicle, 2010, Vol. 170, 2010

Sydenham E. A., The Coinage of Caesarea of Cappadocia, London, 1978

Halit Erkiletlioğlu, Kappadokia Krallığı ve Roma Bizans dönemi, Kayseri, 2019

Irine Varshalomdize

PICHVNARI NUMISMATIC EVIDENCE

Old Colchis is believed to be one of the oldest centres of coin civilization. This is perfectly visible in the case of accidental finds of Pichvnari or field archaeological research according to the numismatic monuments obtained as a result of the search, which perfectly reflects the current social and economic changes, cultural upsurge and religious outlook in our country. Cash farming in Pichvnari started in the V century BC. It includes both Colchian silver (both widespread and unique units), as well as foreign coins, where Sinopian drachmas play a dominant role. Athens created a unified political-economic plane of the Pontus basin, therefore, the discovery of coins minted in the cities on different shores of the Black Sea (Sinope, Panticapeion, Nympheon, Theodosia) in the territory of Pichvnari is completely understandable. Cyzikines – local money – have been identified in Pichvnari. The mentioned prices were the main unit of the monetary economy of the Black Sea coast. The deposition of the Classical Age coins in the area of Pichvnari is regular, because it was the only large trade centre in the coastal area of South-West Georgia. In the Hellenistic era, Colchian Whites, Sinopian drachmas are still the leading coins, the Stater of Alexander the Great is in circulation, as well as the coins minted in Syracuse, Amiso and the Kingdom of Cappadocia. Since Roman times, the coast of Georgia has been one of the most important sections of the Pontus Limes. Roman garrisons stood in Gonio and Tsikhisdziri. Roman money is the main unit of coin circulation in Western Georgia. It is logical to spread it in the vicinity of Tsikhisdziri, in the area of Pichvnari. The same can be said about the Sasanian, Byzantine and European coins discovered here.

ტაბულების აღწერილობა:

I. 1. კოლხური ტრიობოლი; 2-3. კოლხური ჰემიტეტარტემორიონი
II. 1. ქიზიკინი; 2. სინოპური დრაქმა; 3. სინოპური დრაქმა; 4 სინოპური დრაქმა
III. 1-4 სინოპური მონეტები (ძვ.წ.III ს)
IV. 1. ნიმფეონი; 2. პანტიკაპეონის აპოლონია; 3-4 თეოდოსია
V. 1. სირაკუზი; 2. ამისო-პირეოსი; 3. არიარათეს I; 4. სასანური დრაქმა. ვარანგ I
VI. 1. ბოსფორის მეფე ინანთიმეოსი; 2. ვალენტინიანე II; 3. მაქსიმიანუსი; 4. ანასტას I



1



2



3




1




2




3




4



1



2



3



4



1



2



3



4




1




2




3




4



1



2



3



4

ნინო ძნელაძე

ეროსი-თანატოსის ტერაკოტული ფიგურა ფიჭვნარის ნამოსახლარიდან

ტერაკოტული ფიგურები რელიგიურ-საკულტო და ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ასახავს. ეს თვალსაჩინო დოკუმენტური მასალაა ანტიკური კულტურის შესასწავლად, რადგან ბრინჯაოს, ძვლისა და ხის სტატუეტებისაგან განსხვავებით თიხის ფიგურები მოსახლეობის ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი იყო და მეტი პოპულარობით სარგებლობდა. როგორც ჩანს, ძველი ბერძნების ცხოვრებაში არ არსებობდა ტერაკოტების გამოყენების მკაცრად დადგენილი წესი, რადგან, როგორც მათი აღმოჩენის გარემოებები ცხადყოფს, ერთი და იგივე ტიპის ფიგურები გამოიყენებოდა საოჯახო საკურთხეველში, ეძღვნებოდა ტაძრებს, ამშვენებდა საცხოვრებელ სახლებს და დასაკრძალავი რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. უპირველეს ყოვლისა, მათ ვოტივური დანიშნულება ჰქონდათ და, ჩვეულებრივ, საკულტო დანიშნულების მქონე ნაგებობებსა თუ საოჯახო საკურთხევლებში გვხვდება. როგორც დაკრძალვის რიტუალის შემადგენელი ატრიბუტი, გვხვდება სამარხებში. ამასთან, არსებობდა სამარხში მათი განლაგების გარკვეული კანონზომიერება. ე. პოტიემ და ს. რეინაკმა მირინის ნეკროპოლისზე აღმოჩენილი ფიგურების შესწავლისას შენიშნეს, რომ ხდებოდა მათი საგანგებო შერჩევა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა სამარხებისათვის. ქალთა სამარხებში მეტწილად აფროდიტეს, დემეტრეს, ნიკეს და სხვა ქალღმერთთა გამოსახულებები, მამაკაცთა სამარხებში კი – დიონისეს, ატისის, ჰერაკლეს ფიგურები სჭარბობდა, ბავშვთა სამარხებში – ეროსის გამოსახულებები (E. Pottier, S. Reinach, 1887: 107-108).

ფიჭვნარსა და ციხისძირში აღმოჩენილი ტერაკოტული სტატუეტებიდან (დემეტრეს, აფროდიტეს ჯგუფის ღვთაების, ტახისა და კუს გამოსახულებები) ეროსი-თანატოსის ფიგურა ერთადერთია, რომელიც ნამოსახლარის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ჩოლოქისპირა თხრილების ელინისტური ხანის ფენებში აღმოჩნდა. ტერაკოტული ფიგურა გამოსახავს ყმაწვილს მოსასხამითა და დაშვებული ფრთებით, დაშვებულ ხელში სავარაუდოდ ჩირაღდნით. ფიგურას აკლია თავის, ფეხებისა და ფრთების ფრაგმენტები. მოსასხამი მოგდებულია მარცხენა მხარზე, დაშვებული მარჯვენით მოსასხამის კალთას იჭერს. სხეულის სიმძიმე გადატანილი აქვს მარცხენა ფეხზე, რომელიც ოდნავ წინ აქვს გადადგმული. ამ ეფექტით იქმნება მოძრაობის შთაბეჭდილება. ფიგურის დაცული ფრაგმენტის სიმაღლე 6 სმ-ია. კეცი მკვრივია, მოყვითალო-ნარინჯისფერი, მინარევებიანი, დამზადებულია ყალიბში, ზურგის მხარე ხელითაა მოსწორებული. მსგავსი ფიგურები აღმოჩენილია კალათისში, ისტრიაში, ტირაში, ნიკონიაში, ოლბიაში, ქერსონესში, კერკინიტიდაში, ოდესოსში და პონტოს აპოლონიაში. ფ. ვინტერი თა-

ვის კატალოგში შეტანილ მსგავს ფიგურებს ათარიღებს ძვ. წ. IV-III სს. ამ ტიპის ტერაკოტების ადრეული ნიმუშები (ძვ. წ. IV ს) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ატიკის ნაწარმადაა მიჩნეული. ისინი საგულდაგულო მოდელირებით, თიხის შემადგენლობითა და სტილისტური თავისებურებებით გამოირჩევა. ატიკურისაგან განსხვავებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ფიგურები მომცრო ზომისაა, გამოირჩევა სახისა და მოსასხამის ნაკეცების გადმოცემის არამკვეთი მანერით. ფიჭვნარში აღმოჩენილი ფიგურაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რომელიმე საწარმოო ცენტრის ნაწარმი უნდა იყოს.

არსებობს განსხვავებული შეხედულებები ამ ტიპის ფიგურების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით. მათ დაკრძალვის გენიებად, სიკვდილის ფრთოსან გენიებად, ეროსის ან ეროსი-თანატოსის გამოსახულებად მიიჩნევენ. ძნელია მივაკუთვნოთ მხოლოდ დაკრძალვასთან დაკავშირებულ ღვთაებებს, რადგან მათი დიდი რაოდენობა (მათ შორის ფიჭვნარის ფიგურაც) ნაპოვნია ასევე საცხოვრებელ და საკულტო ადგილებში. ვარაუდობენ, რომ, შესაძლოა, ეს იაკხოსის, ელევსინის მისტიკური ტრიადის (დემეტრე, პერსეფონე, იაკხოსი) წევრის გამოსახულებაა, რაც საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ფიჭვნარის სტატუეტის მაგალითზე ძნელია რაიმე კონკრეტულის თქმა, რადგანაც აქ მხოლოდ ერთი ფიგურაა ნაპოვნი და ისიც ნაქალაქარის და არა ნეკროპოლისის ტერიტორიაზე, მაგრამ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მსგავსი ფიგურების ნაწილი სამარხეულ ინვენტარს ეკუთვნის და ჩვეულებრივ დემეტრეს პროტომებთან ერთადაა აღმოჩენილი, რაც ფრთოსანი ღვთაებისა და დემეტრეს კავშირზე, მის ქთონურ ბუნებაზე მეტყველებს. ყველაზე ხშირად ამ ფიგურებს ეროსთან აკავშირებენ, მას კი ხშირად გამოსახავდნენ ქთონური ღვთაებების ატრიბუტით – მამლით ხელში. ეროსისა და თანატოსის, სიყვარულისა და სიკვდილის ღვთაებების ერთი შეხედვით თითქოს უცნაური შერწყმა შემთხვევითი არ არის. ელინისტური პერიოდისათვის დამახასიათებელია გარეგნული ეფექტის გამოსაწვევად ატრიბუტების აღრევა, რაც რელიგიური წარმოდგენების სინკრეტიზმთანაა დაკავშირებული და არის ეროსის სხვა ღვთაებებთან შერწყმის შემთხვევებიც. ცნობილია, რომ ეროსი ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველეს ღვთაებათაგანია. ქაოსთან, გეასთან და ტარტაროსთან ერთად მას სამყაროს დემიურგად მიიჩნევდნენ. პირველყოფილი წყვდიადისაგან გაჩენილი მსოფლიოს ვერცხლის კვერცხისაგან ნაშობ, ორბუნებოვან ეროს-პროტოგონოსს, ყოვლისმომცველი მსოფლიო ძალის სიმბოლოს ხარის თავითა და ელვარე ფრთებით, ორსქესიანს, რომელიც მოიცავდა ყველა ღვთაების თესლს, ორფიკოსები „ყოველთა (ეთერის, ცის, ზღვის, გარდაცვლილთა სამყაროსა და ტარტაროსის) კლიტეთმქონებელად“ თვლიდნენ. როდესაც ზევსმა ტახტი მოიპოვა, მან შთანთქა ეროსი, რითაც თავი მასთან გააიგივა (Лосев А. Ф., 1991: 190; ორფიკული არგონავტიკა, 1977: 60-61). ორფიკოსთა დოქტრინის მიხედვით სიცოცხლე სასჯელია, ადამიანის სხეული კი სულის სამარედ ითვლება. მთელი სიცოცხლე სიკვდილისათვის მზადებაა, მხოლოდ

სიკვდილის შემთხვევაში შეუძლია სულს თავი დააღწიოს საპყრობილეს და განიწმინდოს ცოდვებისაგან. მოგვიანებით, ელინისტურ ეპოქაში წარმოიშვა მრავალი ეროსის არსებობის აზრი. თანდათან ეროსი მწუხარებაში დამამშვიდებელი ღვთაება გახდა. ამიტომაცაა, რომ საფლავებზე მისი ქანდაკებები გვხვდება. რაც შეეხება თანატოსს, რომელშიც „არს განკითხვა ყოველთა“, იგი უძველეს ღვთაებათა რიცხვს ეკუთვნის. სამყაროს კრონოსის დასჯის მიზნით მოუვლინა სხვა საზარელ ღმერთებთან ერთად ღამის ქალღმერთმა ნუქსმა. ისიცა და მისი ძმაც, ძილის ღმერთი ჰიპნოსი ჰადესის სამეფოს ბინადარნი არიან. თანატოსი შავი ფრთებითა და მოსასხამით გამოსახებოდა.

ძალიან მნიშვნელოვანია სტატუეტის ისეთი დეტალი, როგორიცაა ჩირაღდანი, რომელიც, გარდა იმისა, რომ დაკრძალვის რიტუალებთან დაკავშირებულ სიმბოლოს წარმოადგენდა, ასევე, აპოტროპული ძალაც ჰქონდა. რა თქმა უნდა თავდაპირველად, როგორც სინათლის წყარო, სიცოცხლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ჩირაღდანი პირდაპირი მნიშვნელობით იყო დაკავშირებული დაკრძალვასთან, ითვლებოდა, რომ დაკრძალვის პროცესიები ჩირაღდნების თანხლებით ღამით იმართებოდა.

ფიჭვნარის ნამოსახლარის ელინისტური ხანის ფენებში ეროსი-თანატოსის ფიგურის აღმოჩენა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მასალის მსგავსად, სადაც ის უფრო მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი (Shevchenko, 2023: 106-112), მოწმობს, რომ ამ ქთონური ღვთაების ერთი და იგივე გამოსახულებები გამოიყენებოდა როგორც საოჯახო საკურთხევლებში, ისე სამარხეულ ინვენტარად და ორივე შემთხვევაში საკრალური სივრცის შემადგენელი ნაწილი იყო.

Nino Dzneladze

TERRACOTTA FIGURE OF EROS-THANATOS FROM PICHVNARI

Among the terracotta statuettes found in Pichvnari and Tsikhisdziri, the figure of Eros-Thanatos is the only one that was discovered in the territory of the settlement, in particular, in the Hellenistic age layers on the bank of Choloki river. It should be a product of some production center of the Northern Black Sea coast. Its discovery testifies that the same images of this chthonic deity were used both in family sanctuaries and as burial goods, and in both cases were part of the sacred space.

გამოყენებული ლიტერატურა:

ორფიკული არგონავტიკა (თარგმანი და კვლევა ნ. მელაშვილი), 1977

Pottier E., Reinach S., La nécropole de Myrina: recherches archéologiques exécutées au nom et aux frais de l'École française d'Athènes, 1887

Shevchenko T., Greek Religion in Tauric Chersonesos, 2023

Лосев А. Ф., Философия. Мифология. Культура. 1991



ამირან კახიძე

ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებო მასალას ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი იძლევა. ფიჭვნარის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევების დაწყება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებასთანაა დაკავშირებული (1958 წ). ძეგლმა მკვლევართა ყურადღება 1941 წელს შემთხვევით აღმოჩენილ მონეტათა განძებით მიიპყრო.[30] განძები აღმოჩნდა 1948 და 1952 წლებშიც (Голенко, 1957: 138-142; Пахомов, 1954: 38-39; Голенко, 1961: 98-112; კახიძე, 1971a: 6-7; ვარშალომიძე, 2021: 20-21), რასაც მოყვა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარისა და სამაროვნის ტერიტორიაზე პირველი სადაზვერვო გათხრითი სამუშაოები (1953, 1956 წწ) ქალბატონ ნინო ხოშტარიას ხელმძღვანელობით (ხოშტარია, 1959: 223-251).

ათეულობით ჰექტარზე გაშლილი ფიჭვნარის ანტიკური ხანის საქალაქო ტიპის დასახლება წარმოადგენს ძველი კოლხეთის, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლს, ფაზისის ფორპოსტს. ჩატარებული მცირე მასშტაბის საველე სამუშაოების მიუხედავად, ჩვენ ხელთაა მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც უძვირფასესი წყაროა ძველი კოლხეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების კვლევისათვის. განსაკუთრებით გვანებივრებს დასახლებასთან უშუალოდ დაკავშირებული სამაროვნები. ასეთია ძვ.წ. V-IV სს ადგილობრივი მოსახლეობის განსასვენებელი (შესწავლილია 600 – მდე სამარხი) (კახიძე, 2016) და ბერძნული ნეკროპოლისი (შევისწავლეთ უხვი ინვენტარის შემცველი მეტად საინტერესო 500 – ზე მეტი შესანიშნავად გადარჩენილი სამარხეული კომპლექსი და ათეულობით აღაპი) (კახიძე, 2007; კახიძე, კახიძე, 2014). ასევე, ელინიზმის ეპოქის სამაროვანი (მიკვლეულია 400 – ზე მეტი სამარხი და ათეულობით სააღაპო მოედნები) (კახიძე, ვაშაკიძე, 2010). სამაროვნის ტერიტორიაზე გვხვდება გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების დროინდელი სამარხების პატარ-პატარა ჯგუფები. ისინი თანადროული ბაზილიკის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა (კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000: 70-86; კახიძე, ვიკერსი, 2004: 123, 131, ტაბ. 283, 294; კახიძე, მამულაძე, 2016: 78-80).

ნამჭედურის პარალელურად მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები განხორციელდა ფიჭვნარის ნაქალაქარზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ზედაპირული

[30] 1941 წელს აღმოჩენილი განძიდან 3 მონეტა ი.თავაძეს თბილისის აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმისათვის გადაუცია.

მასალის შეგროვება. მხედველობაშია თითქმის 100 ჰექტარზე მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად გაშიშვლებული კულტურული ფენების ზედა დონიდან მომდინარე არტქფაქტები. ასპირანტობის წლებიდან დაწყებული (1961-1964 წლები) ჩვენ ყოველწლიურად, საკმაოდ ბარაქიანად, ვაგროვებდით ამ სახის არქეოლოგიურ მასალას. მინდა მადლიერების გრძნობით გავიხსენო ღვაწლმოსილი არქეოლოგი ქალბატონი ნინელი ვაშაკიძე, რომელიც ყოველთვის გვერდში გვედგა მსგავსი შრომატევადი სამუშაოების შესრულებისას. სისტემატურად ხდებოდა ვრცელი სავარგულების გაცხრილვა, რომელიც 7-8 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს მელიორაციის სამმართველო პერიოდულად ახორციელებდა კოლხეთის სხვა მონაკვეთის მსგავსად სადრენაჟო სამუშაოებს. ნაქალაქარი ისერებოდა სხვადასხვა სიგრძის, სიგანისა და სიღრმის საწრეტი არხებით. ამოყრილი კულტურული ფენების შემცველი მიწის გროვებში წინაპართა მიერ შექმნილი სხვადასხვა ეპოქის მდიდარი მემკვიდრეობის განთავსება ხდებოდა შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებში.

საპატიო მოვალეობად მიმაჩნია დიდი კდემამოსილებით გავიხსენო საველე მცველი მურად ხაბაზი, რომელიც საოცარი მაღალი გემოვნებით, დიდი პატრიოტიზმის გრძნობით აგროვებდა და ყოველწლიურად გვახვედრებდა მთელი წლის განმავლობაში ფიჭვნარის ნაქალაქარზე შემთხვევით აღმოჩენილ, ხშირად უნიკალურ ექსპონატებს. მსგავსი წინამორბედი სამუშაოების შედეგად ფიჭვნარი იქცა ჩვენი და ბევრი უცხოელი კოლეგის გეგმაზომიერი, თანამიმდევრული საველე სამუშაოების ობიექტად. რად ღირს იმის აღნიშვნა, რომ 13 წლის განმავლობაში მაღალ დონეზე მიმდინარეობდა საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიციის მეტად ნაყოფიერი კვლევა-ძიებანი და შესაბამისი კამერალური სამუშაოები. შეიქმნა სამეცნიერო მემკვიდრეობა ქართულ და უცხოურ ენებზე.

ექსპედიციის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ ვიკერსმა. დღეს იგი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორიც გახლავთ. ხელსაყრელი პირობების გაჩენისას (მხედველობაშია კარგი ამინდები) ნაქალაქარის I და II უბნებზე კეთდებოდა საკონტროლო თხრილები. ზოგჯერ ვახერხებდით ზედა ელინისტური ხანის ფენების შესწავლას, ან კიდევ ტუმბოს გამოყენებით გარკვეულ დონემდე ვაშრობდით კლასიკური ხანის კულტურულ ფენებსაც. სხვა შემთხვევაში გრუნტული წყლები მეთოდური გათხრების წარმოების შესაძლებლობას არ იძლეოდა. სწორედ ამ გზით ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მეტად მეტყველი, ქართული არქეოლოგიისათვის არსებითად ნოვაციური სხვადასხვა სახის ნივთიერი მასალა, რომელიც გახლავთ უშრეტი წყარო ძველი კოლხეთის ურბანისტული ცივილიზაციის კვლევისათვის. ეს აღმოჩენები შევიდა როგორც ჩემს საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციებში. კამერალური სამუშაოების პარალელურად ფართოდ ვსარგებ-

ლობდი სანკ-პეტერბურგის, მოსკოვის, როსტოვის, კიევის, ოდესის, კემბრიჯის, ოქსფორდისა და ლონდონის სამეცნიერო მივლინებებით. ამაგდარი მეცნიერის ანდრია აფაქიძის დამსახურებით 1963 წელს შედგა რ.ატოიანის მიერ, როგორც ნაქალაქარის, ასევე სამაროვნების პირველი სქემატური ტოპოგრაფიული გეგმა. ფიჭვნარის ტოპოგეგმას ბოლო წლებში მიეცა დასრულებული სახე. სწორედ ამ მონაცემების მიხედვით შევიმუშავეთ ძეგლის შესახებ ერთიანი კონცეფცია ფიჭვნარის გენეზისის, წანამძღვრების, განვითარების უმთავრესი ეტაპებისა და ნაქალაქარის ცალკეული უბნის თავისებურებათა შესახებ.

ადრეული ეპოქის ფიჭვნარის ქვეყნის შემოგარენის ძეგლების მოკლე ექსკურსის მიხედვითაც კარგად უნდა ჩანდეს, რომ მსგავსი მემკვიდრეობა, როგორც იტყვიან ციდან არ მოსულა. საქალაქო ცხოვრების გენეზისის ფესვები ათასწლეულის სიღრმეში იკარგება. შესანიშნავად გამოჩნდა, რომ ეპიპალეოლითიდან დაწყებული ქობულეთის უძველესი მკვიდრნი მიმდინარე მსოფლიო ისტორიული პროცესების აქტუალური მონაწილენი გახლავთ. საკაცობრიო ცივილიზაციის წინაშე მათი განსაკუთრებული დამსახურება ბოლო წლებში ჩვენი ექსპედიციების მიერ ტრანსკონტინენტურ სივრცეში ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახალი მეგალითური კულტურის აღმოჩენითაც დასტურდება. განუსაზღვრელად დიდია სამხრეთ კავკასიის მემთამადნეების წვლილი იმდროინდელი მსოფლიოს რუკაზე გაჩენილი ანატოლიური, მესოპოტამიური თუ კრეტა-მიკენის ცივილიზაციათა ფორმირების პროცესში. სწორედ ესენი გვევლინებიან საერთაშორისო ბაზარზე სასიცოცხლოდ აუცილებელი ლითონის სხვადასხვა სახეობის მომწოდებლად.

როგორც ვნახეთ, აქაც გამოიკვეთა ქობულეთის წვლილი მსგავს გლობალურ პროცესებში. დაგვა II და სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდების ჩამოსასხმელი ფორმების მაგალითზე ჩანს, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულების მანძილზე სახეზეა ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობანი კოლხებსა და ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის.

დიდი როლი ითამაშა ფიჭვნარმა და მისმა შემოგარენმა ამიერკავკასიაში მაღალგანვითარებული დასავლურ-ქართული, ვრცელი არეალის მომცველი კოლხური ტომობრივი კულტურის ფორმირებაში, რომელიც გამოირჩევა მახასიათებელთა მრავალგვაროვნობითა (კოლხური ცული, წალდი, ნამგალი, სეგმენტი, ტორევტიკის ნიმუშები, მდიდრული სამკაულით დაფარული სამეთუნეო ნაკეთობანი) და საოცარი თვითმყოფადობით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრწყინვალე კულტურა თანდათანობით ამიერკავკასიის ფარგლებს სცილდება.

თანადროულად წარმოიშვა ამიერკავკასიაში უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები დიაოხისა და კოლხას სახით. სავსებით კანონზომიერი ჩანს ისიც, რომ პირველი ინტერესები ოქრომრავალი კოლხეთის მიმართ ჩნდება საკაცობრიო ცივილიზაციის შემოქმედ ელინებს შორის. ამის ნათელი დადასტურებაა უძველესი და უპოპულარესი მითი არგონავტების შესახებ. ჩვენ შესაძ-

ლებლობა გვქონდა ადგილზევე დაგვეთვალიერებინა არგონავტების სამშობლო იოლკოსის მდიდარი მემკვიდრეობა. მივდივართ დასკვნამდე, რომ ძველ ბერძენ ზღვაოსნებს იმ დროისათვის ნამდვილად შეეძლოთ არგოთი აიეტის ქვეყანაში ჩამოსვლა. პრაქტიკული მხილველი აღმოვჩნდით ტიმ სევერინის ექსპერიმენტისა, რომელიც ფიჭვნარშიც გვეწვია.

ინოვაციებით კიდევ უფრო დაყურსული აღმოჩნდა ადრერკინის ხანა. ამ მიმართებით არსებითია აქაურ მკვიდრთა უდიდესი წვლილი რკინის მეტალურგიის ისტორიაში. ჩაქვისწყლისა და ჩოლოქ-ოჩხამურის აუზში შესწავლილი ქურა-სახელოსნოების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ადრეული ეპოქებიდან აქაური მოსახლეობა რკინის ფართო მომხმარებელია. გარდა ამისა, მომზადდა ნიადაგი თვით ფიჭვნარის, მსხვილი დასახლების ჩვენი ქვეყნის და, საერთოდ, აღმოსავლეთ პონტოსპირეთის მეტად მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრად გადაქცევისათვის. ფიჭვნარის დიუნების მიხედვით კი ცხადი ხდება, რომ დასრულდა კოლხური ტომების რელიგიური კონსოლიდაცია. მთელს ზღვისპირა ზოლში წელიწადის გარკვეულ დროს ტარდებოდა ერთიანი სატომო რიტუალები, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, ზღვის ფსკერზე მობინადრე მესეფეებს ეძღვნებოდა. მსხვილ მეურნეობასა და ხელოსნურ წარმოებაში ჩნდება ახალი მიმართულებანი, ფორმები, რომლებიც გამოირჩევიან დახვეწილობითა და სისადავით.

მსგავსი წანამძღვრების მქონე ფიჭვნარის სამოსახლო ძვ.წ. VI საუკუნიდან ფორმირდება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქალაქო ტიპის დასახლებად, რომელიც აღმავლობას განიცდის კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში. იგი იქცა ანტიკური სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების წამყვან ცენტრად. რაც მთავარია, ფიჭვნარის მოსახლეობასთან მსგავს კონტაქტებში წამყვან ადგილს იკავებს საბერძნეთის მატერიკული ცენტრი ათენი.

ნამჭედურსა და აქვე მდებარე გორა-სამოსახლო II კვლევითი სამუშაოების მიხედვით ჩანს, რომ ამ ბრწყინვალე ძეგლის ძირითადი უბანი ნამჭედური და მისი შემოგარენია. ესაა ფიჭვნარის დასახლების I უბანი, რომელიც მდებარეობს მდ. ოჩხამურის ჩოლოქის შესართავთან ახლოს, მის მარჯვენა სანაპიროზე. 1963 წელს სამიდან ერთ-ერთ საკონტროლო თხრილში 70 სმ-ის სიღრმეზე ქოთნის 30-მდე პროფილირებული ნატეხი აღმოჩნდა. აშკარაა, რომ ასე ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრება ინტენსიურ ხასიათს ატარებდა.

მორიგი მრავალათასწლოვანი უხვი ნივთიერი კულტურით დაყურსებული ფენების არსებობა დასტურდება ფიჭვნარის ნაქალაქარის II უბანზეც. იგი უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთის მიმართულებით ნამჭედურის მომცველ არეალს. დასავლეთით მიუყვება ოჩხამურის სანაპიროს, მის ჩრდილოეთით ჩაედინება კალაპოტმონაცვლე ჩოლოქი, რომელიც გამოყოფს ნაქალაქარის V უბნისაგან. აქ რაიმე სახის საველე სამუშაოები არ განხორციელებულა. გარკვეული მასალა შევაგროვეთ მდ. ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროს კალაპოტის ზოგიერთი მონაკვეთის ჩამოსწორებისას. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კარა-

ქის სადღვებლად გამოყენებული ნახვრეტიანი ხის დისკოს დერგის სახურავი. ჩანს, რომ ამ სახის პროდუქციის დამზადება გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებულა და დღემდე უწყვეტად გრძელდება.

ნაქალაქარის II უბანზე, ფერმის ძველი შენობის მომცველ ტერიტორიაზე, ჩოლოქის დასახლებისკენ მიმავალ სამანქანე გზის მარცხენა სანაპიროზე 1964 წელს განხორციელდა მეტად საინტერესო საველე არქეოლოგიური სამუშაოები. ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა ქ-ნ რ.ფუთურიძემ (ჯგუფის ხელმძღვანელი) და მ. იმნაძემ. გავლებულ იქნა მოზრდილი თხრილი (8 მ X 4 მ). აქაც ფიჭვნარის ანტიკური ხანის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი ბირთვი სახლობდა. ისახება შემდეგი შინაარსის მატარებელი სურათი:

1. ზედა ჰუმუსოვანი ფენა (სისქე 22-25 სმ). შექმნილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად. შავი ფერის. კანტიკუნტად თავს იჩენს თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც მომდინარეობდნენ მომდევნო ელინისტური ხანის კულტურული ფენიდან (კახიძე, 1971: 36, ტაბ. VI/1).

2. ელინისტური ხანის კულტურული ფენა. თიხნარი, მოყვითალო შეფერილობის (სიმძლავრე 40-45-50 სმ). ფენას შესანიშნავად ათარიღებს ე.წ. სირჩისებრძირიანი მენდეს ამფორები (ძვ.წ. IV-II სს); ასევე ადრეული კოლხური ამფორები (ძვ.წ. III-II სს). ამათ ემატება ადგილობრივი თუ იმპორტული ჭურჭლის ნატეხები, გვერდებაკეცილი სოლონის ტიპის კრამიტი, მრავლად ბათქაშის ნაშთები, ვერტიკალური საქსოვი დაზგისათვის განკუთვნილი პირამიდული საწაფები.

3. გვიანარქაული და კლასიკური ხანის კულტურულ ფენაში (ძვ.წ. VI-IV სს) არტეფაქტების რიცხვი საგრძნობლად იზრდება. მათ შორის მნიშვნელოვანი წილი იმპორტულ ნაკეთობებზე მოდის. მსგავსი სიუხვე საქართველოს არქეოლოგიისათვის ადრე უცნობი იყო. ფენა თანამედროვე ზედაპირიდან 1,5 -1,7 მ სიღრმემდე ვრცელდება. წამყვანია კოლხური ქვევრები, ასევე ითქმის სხვადასხვა სახის შინსახმარი თუ სამზარეულო ჭურჭლის მიმართ. ამათ ემატება ფეიქრობაში გამოყენებული კვირისტავები თუ პირამიდული საწაფები. არის ადრეული ფენებიდან მომდინარე თიხის სადგრები და მრავალგანყოფილებიანი სამსხვერპლოების ნატეხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიკურ ხანაში ზოგიერთი ნოვაციის მანიშნებელი თიხის ბათქაშები; ერთგან იმდენად კომპაქტურად ელაგა in situ მდგომარეობაში, რომ დანგრეული კედლის არსებობის შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა. აქვე მოვიპოვეთ ფერადი მინის ჭურჭლის ნატეხი, შავპრიალა ჰორიზონტალურზოლებიანი იონიური და ატიკური შავლაკიანი კერამიკის ნატეხები. კიდევ უფრო მრავლად ეგეოსური სამყაროდან მომდინარე ამფორის ფრაგმენტები. სჭარბობს გვიანარქაული ხანის ქიოსური ნაწარმის ნატეხები. არის ნავისებური შემოწერილობის მქონე ხელსაფქვავები, ბადის საძირავებად გამოყენებული ქვის საწაფები და ა.შ. კლასიკური ხანის შავ ფენაში გამოიყოფა ნახშიროვანი და ნაცროვანი შრეები. დასტურდება მოტკეპნილი იატაკის არსებობაც.

4. წინაანტიკური ხანის კულტურული ფენა (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) უშუალოდ მოსდევს კლასიკურს. იმპორტული ნაკეთობანი არ გვხვდება. თვით ფენა 2x2 მ. სიღრმემდე ვრცელდება. 1964 წელს გრუნტული წყლების მოძალების გამო შევძელით I კვადრატის მცირე ფართობის ბოლომდე შესწავლა. განმეორდა ნამჭედურის თუ ქვიშაზვინულების მიხედვით ჩვენთვის ცნობილი ე.წ. კანელურებიანი, პრიალა ზოლებით შემკული თუ სადა ზედაპირიანი თიხის ჭურჭელთა აღმოჩენები. არის ხელსაფქვავები, ქვის საწაფები, ძვლოვანი მასალა, უფრო არქაული ჭურჭლის ნატეხები. ესენი 3,2 მ სიღრმეზეც იჩენს თავს. 3,5 მ შემდეგ იწყება მომწვანო-მომტრედისფერო წყალგაუმტარი, წეპოვანი თიხნარი გრუნტი.

1964 წლის გათხრებმა შესაძლებლობა მოგვცა სათანადო ადგილი მიგვეჩინა წინა წელს გაჭრილი ჩოლოქისპირა საწრეტი არხებიდან ანაკრეფი არქეოლოგიური მასალისათვის. აქაც ბლომად შევაგროვეთ კოლხური ქვევრების, დერგების, დოქების, ქოთნების, კოჭობების, სასმისების, თასების, კოლხური ამფორების, პირამიდული საწაფების, კრამიტისა და ბათქაშის ნატეხები, ხელსაფქვავები, ქვის საწაფები და ა.შ. მრავლად იყო წარმოდგენილი სადა ჰორიზონტალურზოლებიანი იონიური, ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი. არანაკლებ საინტერესო ჯგუფს იმპორტული ამფორები ქმნიან.

ჩანს, რომ აქაურ მკვიდრთ საცხოვრებლად თუ სტრატეგიული თვალსაზრისითაც ისტორიულად მეტად მოხერხებული ადგილები შეურჩევიათ.

1999 წელს თხრილის არქეოლოგიური გათხრები გააგრძელა საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. სამაროვნის პარალელურად, კარგ ამინდებში, მეორე უბანზე მიმდინარეობდა 1964 წელს შესწავლილი თხრილის გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე აღმოჩენილი იქნა საინტერესო არქეოლოგიური მასალები. მიემატა ექვსი კვადრატი (თხრილის სიგრძე 12 მ, სიგანე 8 მ) აიგეგმა SO-62 სექტორის 85-87 და 95-97 კვადრატები. თხრილი დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ადრე ეს ადგილები გამოიყენებოდა ჩოლოქის საბოსტნე მეურნეობისათვის. მეორე უბნის ეს მონაკვეთი გატყეურებული დაგვხვდა. მრავლად ამოზრდილიყვნენ მურყანის ხეები. ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა გათხრების წინ საძიებო ტერიტორიას ფიგურულად ჯუნგლები უწოდეს, შემდგომ კი მათ წინაშე სრულიად განსხვავებული სურათი გადაიშალა. პირველ რიგში, გავათავისუფლეთ გასათხრელი მოედანი ხეებისა და ეკალ-ბარდებისაგან. ბარის პირის მეთოდის გამოყენებით, როგორც წესი, დავიწყეთ ზედა ჰუმუსოვანი ფენის აღება. 25 სმ-ზე ჩნდებოდა ამფორების, კრამიტისა და სხვადასხვა სახის ჭურჭლის უსახური ნატეხები, მათ შორის ადრებიზანტიური ხანისაც (ქვევრის ძირი). მეორე ბარისპირს მოყვა დერგის პირის, ქვევრის, სოლენის ტიპის კრამიტის ნატეხები. აღმოჩნდა შავი ფერის ქვისაგან დამზადებული საპრიალებლები (კახიძე, ვიკერსი, 2004: 132-133, სურ.300, 302) (ხოშტარია,1959: 223-251).

მომდევნო 40-60 სმ სიღრმეზე, ღია მოყვითალო თიხნარი დონიდან არტეფაქტების რიცხვმა იმატა. ესენია ადგილობრივი თუ სინოპური ამფორისა და კრამიტის ნატეხები, ტაფისებრი ჭურჭლის ყური, ქვევრის ფრაგმენტები. თანდათანობით გამოიკვეთა ფიჭვნარის ნაქალაქარისათვის დამახასიათებელ ბათქაშებიანი ფენა, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო თანამედროვე ზედაპირიდან 60-80 სმ სიღრმეზე. მეხუთე ბარისპირზე, თანამედროვე ზედაპირიდან 0,8-1,1 მ სიღრმეზე სურათი გამეორდა. მასალების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. მიემატა კოლხური სასმისი, პატარა ზომის კვირისტავი, კრამიტის, სინოპური ამფორისა და ატიკური შავლაკიანი კერამიკის ნატეხები. ბათქაშიანი ფენა მოიცავდა 4-2,5 მ ფართობს. როგორც ვიცით, ესენი წარმოადგენდნენ ხის კონსტრუქციის მქონე შელესილობის ნაშთებს. მეექვსე ბარისპირის აღებისას (სიღრმე 1,1-1,3 მ) გამოჩნდა, რომ კულტურული ფენა ოდნავ დაფერდებული იყო სამხრეთის მიმართულებით. ამ დონეზეც წამყვანია ელინისტური ხანის ქვევრებისა და ამფორის ნატეხები. აღმოჩნდა ტიგელის ტანისა და ძირის ფრაგმენტიც. დაიწყო გამოჩენა ქიოსური ამფორის ძირებმა და ადრეული შავლაკიანი კერამიკის ნატეხებმა. ბათქაშის ფენაში იდო ქვის მოზრდილი ბირთვი. დაფიქსირდა ძვ.წ. IV ს ფიჭვნარისათვის დამახასიათებელი ნაცრისფერკეციანი კერამიკის, თაზოსური და თაზოსურის მიბაძვით დამზადებული სინოპური ამფორების ძირები. ბევრია სქელკედლიანი ჭურჭლის ნატეხები. ქუსლიანი და ბრტყელძირიანი ჯამები. არის ადგილობრივი ლუთერიის პირისა და ტანის, ორნამენტირებული ჭურჭლის ნატეხები, ქვის კვირისტავი. იმატა შავლაკიანი კერამიკის რიცხვმაც. სიახლე იყო იონიური სადაზოლებიანი ჭურჭლის ცალკეული ნატეხების გამოჩენა. გაკეთდა დასკვნა, რომ ელინისტური ხანის ფენაში შერეული იყო კლასიკური ხანის პლასტებიდან მომდინარე არტეფაქტებიც. გრუნტული წყლების მოძალების გამო ამ წელს საველე სამუშაოები შეჩერდა (კახიძე, ვიკერსი, 2004: 133).

საველე სამუშაოები გაგრძელდა 2000 წელს, რასაც წინ უძღოდა წინა წელს გამოჩენილი კულტურული ფენების პრეპარაცია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა შენობის შელესილობის, ბათქაშების ყრილის კონტურები. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ნაგებობა ხანძრის გამო იყო ჩაქცეული.

ელინისტური ხანის ფენას მოსდევს გვიანკლასიკური. სჭარბობს ძვ.წ. IV ს მონაპოვრები. ფენა შავი შეფერილობისაა. მისი სიმძლავრე მერყეობს 20-30 სმ შორის. მიუხედავად ამისა მონაპოვარი მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ქვევრის, დერგის, დოქების, ჯამების, სასმისების, ლანგრების, პირამიდული და ბრტყელი საწაფების, სამზარეულო ტაფისებრი ჭურჭლისა და სხვათა ნატეხები. მთლიანად იყო დაცული ჭურჭლის ხუფი. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა იმპორტული კერამიკა. კერძოდ, ქიოსური და თაზოსური ამფორების, სადაზოლებიანი იონიური და ატიკური შავლაკიანი კერამიკის სხვადასხვა სახის პროფილირებული ნიმუშები. დასტურდება, რომ ფიჭვნარის ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდ მოწონებას იმსახურებდა ატიკური მაღალ-

მხატვრული ნაწარმი. ძვ.წ. IV საუკუნის კოლხური და ბერძნული სამაროვნების მსგავსად, საკმაოდ ადრე, ძვ.წ. IV ს პირველი ნახევრიდან მაინც დაწყებულა ჰერაკლეური ამფორებისა და კრამიტის იმპორტი. პირველად აღმოჩნდა სქელკედლიანი ლუთერიისებრი ჭურჭლის ნატეხები. სიმრავლით გამოირჩევიან რიყის ქვის საწაფები და ხელსაფქვავის ფრაგმენტები.

85-ე და 95- ე კვადრატებში დავიწყეთ წინა ანტიკური ხანის კულტურული ფენების გათხრები. გამოიყო სხვადასხვა დონე. ჩავედით თანამედროვე ზედაპირიდან 2,25 მ სიღრმეზე. ფენა მოშავო-მონაცრისფრო-მომტრედისფროა. ჩნდებოდა მდინარეული შლამის შემცველი ქანები (არაა გამორიცხული ქანები შექმნილიყო მდინარე ჩოლოქის კალაპოტმონაცვლეობის შედეგად) და ხის მორების ნაშთები, რქისებრი სადგრები, თიხის ფილა. სხვადასხვა სისქის კანელურებიანი ჭურჭლის ნატეხები. დერგისა და ქოთნის ფრაგმენტები. საწური, კვირისტავი, შესანიშნავი ნახვრეტიანი სალესი ქვა და ა.შ. შესასწავლი ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილის ათვისება მოვასწარით. წვიმებისა და გრუნტული წყლების სიახლოვის გამო თხრილი პირამდე გაივსო.

ფიჭვნარის ნაქალაქარის მეორე უბანზე არქეოლოგიური გათხრები 2001 წელსაც გაგრძელდა. SO-62 სექტორის 86, 87 და 96 კვადრატებში დავასრულეთ ელინისტური ხანის კულტურული ფენის გათხრები. დიდ ფართობზე გრძელდებოდა კლასიკური ხანის კულტურული ფენის პრეპარაცია (85,86, 87, 95, 96, 97 კვადრატები). სათანადო ფიქსაციის შემდეგ მოიხსნა ბათქაშიანი ფენა. კვლავაც აღმოჩნდა ყვითელი ფერის მოზრდილი თვალადი მძივი. ეს წელი უმეტესად გვალვიანი იყო, ამიტომაც გათხრები უპირტესად ძველი ფენების შესწავლის მიზნით წარმოებდა. ამ ადგილებში კლსიკურსა და წინაანტიკური ხანის კულტურულ ფენებს შორის იკვეთება 20-30 სმ სისქის მონაცრისფრო სტერილური შრე. წინაანტიკური ხანის კულტურული ფენა (ძვ.წ. VIII-VII სს) ძალზე მწირი და უსახური მასალის შემცველი აღმოჩნდა. იშვიათად ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და ბათქაშის ნატეხები. თანამედროვე ზედაპირიდან 1,8 მ სიღრმეზე წინაანტიკური ხანის კულტურული ფენა კიდევ ერთი მორიგი სტერილური შრითაა გამოყოფილი. მისი მოხსნის შემდეგ 95-ე კვადრატში გამოჩნდა ჩოლოქისპირა თხრილებში ადრე აღმოჩენილების მსგავსი, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული ხის მესერის ორი რიგი, რომელიც აღმოსავლეთის მიმართულებით ექცევა გაუთხრელ ფართობში. ამავე დონეზე აღმოჩნდა კოლხური სასმისის, თიხის სარიტუალო ფილები, სადგრები, ხელსაფქვავები, როდინები და ბათქაშის ნატეხები. გათხრები გაგრძელდა 85, 86, 95, 97 კვადრატებში. თანამედროვე ზედაპირიდან 2,3 მ სიღრმეზე არის სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები, მრავალგანყოფილებიანი სამსხვერპლოს ორიოდე ნატეხი. იგი უშუალოდ დევს მატერიკზე. ფენა უნდა შექმნილიყო ძვ.წ. X-IX სს-ში. ექსპედიციის მიერ შესწავლილი ფართობი უნდა წარმოადგენდეს სამოსახლოს ეზოს. ამის მანიშნებელია ხის მესერის ნაშთები.

ფიჭვნარის წინაანტიკური და კლასიკური ხანის კულტურულ ფენებში ხშირად ჩნდება სხვადასხვა ფორმის კვირისტავები. ერთი ნაწილი კონუსისებრია, იშვიათია ბიკონუსური, არის ბრტყელი ცალებიც, ხოლო ერთ-ერთი მათგანი გახლეჩილი პატარა ზომის ქვისაგან შეუქმნიათ. საინტერესოა, რომ მაღალი ცილინდრულტანიანი ლეკითოსის დისკოსებრი ძირიც გახვრეტის შემდეგ კვირისტავად უქცევიათ (კახიძე, ვიკერსი 2004: 137, სურ. 303, 323).

გვხვდება კათხისებრი სადგამები, რომელთაც აქვთ ბრტყელი ძირი, ტანი სწორხაზოვანი, ცილინდრული, პირისკენ გაფართოებული. გარეთკენ გადაშლილი დაკბილული პირი ტანისაგან მკვეთრი, სადა ჰორიზონტალური ქიმითაა გამოყოფილი. ასეთივე წყვილჭდეებიანი რგოლებითაა შემკული ტანის დასაწყისიც. როგორც ჩანს, მსგავსი მასიურკედლებიანი მძიმე სადგამები გამოიყენებოდა უფრო მსუბუქი ჭურჭლის სადგამად. თარიღდებიან ელინისტური ხანით. განეკუთვნება იშვიათ მონაპოვართა რიცხვს (ფიჭვნარის გარდა აღმოჩენილია აგარაში, ე.წ. ჯვრის მთა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) (კახიძე, ვიკერსი, 2004: 138-327).

თიხის ბრტყელი საწაფი. მომრგვალებული ფორმის. წყვილნახვრეტიანი. კეცი განატეხში მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირი ყავისფერი მინარევებიანი. მსგავსი საწაფები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. ანალოგები ეძებნებათ როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში ისე ჩრდილოშავიზღვისპირეთის მასალებს შორის (Hood., Boardman, Anderson, 1954; Barber, 1991; Гайдукевич,1952, 407, Онайко, 1980: 91-92, табл.XXVII/290)

თიხის ლუთერია. ფიჭვნარის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში პერიოდულად თავს იჩენს როგორც იმპორტიული, ასევე ადგილობრივი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები. პირველ რიგში აღსანიშნავია განუსაზღვრელი ცენტრის ღია მოთეთრო ფერის ლუთერიისებრი ჭურჭლის ნატეხები. ერთ-ერთ მათგანს აქვს მეტად მასიური, გარეთკენ გადაშლილი პირი, რომლის ზედა კალთა მომრგვალებულია. ტანის გარეთა ზედაპირს დასაწყისთან მიუყვება ღრმა არც თუ ისე ფართო ღარი. ტანი საკმაოდ სქელკედლიანია. პირის კიდეზე მიძერწილია ორნამენტირებული სახელური. ძირი ფართო. ქუსლი ოთხკუთხაგანივკვეთიანი. მსგავსი ლუთერიები გავრცელებული ჩანს ძვ.წ. VI-V სს. ანალოგები ეძებნებათ ქიოსისა და პანტიკაპეონის მონაპოვრებს შორის (Hood., Boardman, Anderson, 1954: 139,174, pl/ 6, Nos 42,50). გვხვდება ელინიზებული ადგილობრივი ყავისფერი თიხისაგან დამზადებული ლუთერიები. მთლიანადაა შემორჩენილი წაგრძელებული ტუჩსადინარი. მსგავსი ტაშტის ფორმის ჭურჭლები ხშირად ჩნდება ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის სააღაპო მოედნებზე (კახიძე, ვიკერსი, 2004: 140, სურ. 307-308). კიდევ უფრო გავრცელებული ჩანს გონიო-აფსაროსის მომხმარებელთა შორის (ებრალიძე, 2002: 91-92).

ქვის სალესი – შავი ფერის, პატარა ზომის, შესანიშნავად გაპრიალებული, ბრტყელი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი. ქამარზე ჩამოკიდების მიზნით წვეროზე

გაკეთებულია ნახვრეტი. წინაანტიკური ხანის (კახიძე, ვიკერსი, 2004: 141, სურ. 332). ეძებნება ბევრი პარალელი: ნიგვზიანი, ურეკი, ერგეტა, მერხეული, გუადიხუ, წითელი შუქურა და ა.შ. ასევე ითქმის კოლხეთის შიდა რაიონებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ (მიქელაძე, 1985: 46). გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაშიც. ფიქრობენ, რომ მათი დამზადება გვიანბრინჯაოს ხანიდან იწყება. მრავლად გვხვდება ადრერკინის ხანაში (კახიძე, ვიკერსი, 2004: 141, სურ. 332; Крупнов, 1960: 204. Белинский, 1990: 191-192, Рис 3-4).

ათასწლეულების მანძილზე ფიჭვნარი იქცა ისეთ საქალაქო ცენტრად, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კოლხეთის სამეფოს როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. ზღვაოსნობისათვის ხელსაყრელი ადგილები მდ. ჩოლოქსა და ოჩხამურში განუსაზღვრელი რაოდენობის სატრანსპორტო თუ სხვა დანიშნულების გემების შეცურების შესაძლებლობას იძლეოდა. გამორიცხული იყო სტიქიური უბედურებები.

ქობულეთის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ქალაქს ჰქონდა თავისი ქორა, სასოფლო-სამეურნეო რაიონი. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ციხისძირი და მისი მიდამოები, სადაც მიკვლეულია როგორც ძვ.წ. I ათასწლეულის დასახლება, ასევე სხვადასხვა ეპოქის საკმაოდ ვრცელი სამაროვანი (შესწავლილია 300-ზე მეტი სამარხი, მრავალფეროვანი მასალა მალე გახდება ხელმისაწვდომი მკითხველთათვის). ციხისძირი კეტავდა სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს. ეს ფუნქცია ძეგლს მომდევნო ეპოქისთვისაც არ დაუკარგავს. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება კოხის 1958 წლის სასოფლო გზის გაფართოებისას გამოჩენილი არტეფაქტები (ბრინჯაოს მუზარადი, რკინის სატევარი, ძვ.წ. V ს თაზოსური ამფორა, შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები, ელინისტური ხანის კოლხური ამფორა და ა.შ.). კოხი გვესახება კინტრიშის ხეობის, აჭარისწყლის ხეობასთან დამაკავშირებელი სამთო გადასასვლელების მაკონტროლებლად (ქათამაძე, 1963: 28-38). ფიჭვნარის ჩრდილოეთ გაგრძელებაზე, მდ. ჩოლოქის მარჯვენა სანაპირიზე კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მთლიანად დაცული ქვევრებიც იქნა აღმოჩენილი, რაც აქაც სასოფლო-სამეურნეო ხასიათის დასახლების არსებობის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ანტიკური ხანის ფიჭვნარში შეინიშნება მეურნეობის ზოგიერთი დარგის მკვეთრი აღმავლობა და სასაქონლო წარმოების ზრდა. თოხურ მიწათმოქმედებასთან ერთად ინერგება ფოლადის სახნისიანი გუთანი. მოყავდათ როგორც მარცვლოვანი, ასევე ტექნიკური კულტურები. ხორბლეულთაგან უძველეს სამიწათმოქმედო მცენარეა ღომი. ჩვენს ხელთაა ამ კულტურასთან დაკავშირებული სპეციალიზებული თოხების გარკვეული ჯგუფი. ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი ღომისა და სპელტას ნაშთები. აქვე ვხვდებით ხორბლის მოშენებასთან დაკავშირებულ იარაღებს და მათ ჩამოსასხმელ ყალიბებს. სელი გამოიყენებოდა როგორც ბოჭკოსათვის, ასევე ზეთის მისაღებად. მოვუსმინოთ სტრაბონს: „ქვეყანაში კარგი

ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (ეს მეტად მწარეა) (და მოიპოვება) ყოველივე ნავსაშენი მასალა: რადგანაც იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებიც ჩამოედინება, ამუშავებდნენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს, ხოლო სელი განთქმულიც კი არის. (ქვეყნის) გარეთაც კი გააქვთ (ყაუხჩიშვილი,1957: 222-224).

უძველეს წერილობით ცნობებს ნათლად ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები. ადრებრინჯაოს ხანიდან იწყება სელის ფართო წარმოება, რომლის კულტივაციის ერთ-ერთ უძველეს კერად კოლხეთი გამოიყურება (Жуковский, 1950: 59; Синская, 1953, таб. XVII\5).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ სელის მცენარე, რომლის სახელწოდება არც ერთი ერის ტერმინს არ ენათესავება, ერთი უძველესთაგანია საქართველოში. რომ ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის ბურუსშიც მოჩანს (ჯავახიშვილი, 1930: 373). საქართველოს ყველა კუთხეში შემოინახა მდიდარი ემპირიული ცოდნა სელის როგორც საბოჭკოდ, ასევე ზეთად გამოყენების შესახებ.

არქეოლოგიური მასალები ქობულეთ-ფიჭვნარშიც საშინაო ხელოსნობის ამ დარგის უძველესი ტრადიციების მანიშნებელია. ამ მიმართებით პირველ ინფორმაციას ე.წ. ქსოვილიანი კერამიკა უნდა იძლეოდეს, რომლებიც აღმოჩენილია ქვიშაზვინულების უძველეს ფენებში (მათზე აღნიშნულია სხვადასხვა სახის ქსოვილის კვალი). ისპან-ნამჭედურის მონაპოვრებში მნიშვნელოვან ადგილს თიხის კვირისტავები იკავებენ. მათი რიცხვი მრავლდება ანტიკური ხანისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ამ დროისათვის ტექნიკური კულტურის ამ სახეობას სასაქონლო ხასიათი ეძლევა. ფიჭვნარი II უბანზე ხის სახნისების (ესენი ადრეულია) გარდა, ელინისტური ხანის რკინის სახნისიც გვაქვს მოპოვებული.

ადრეანტიკური ხანისათვის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ცალკე გამოკვეთილი დარგი ჩანს მევენახეობა-მეღვინეობა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვა არცერთ კუთხეში არაა დადასტურებული კოლხური ქვევრების, ადგილობრივი თუ უცხოური საღვინე ჭურჭლის მსგავსი მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება.

კოლხური ჭურჭლის (კოლხური ამფორები, ყავისფერკეციანი ამფორები, დერგები, ქვევრები) გავრცელება ჩრდილო შავიზღვისპირეთის პოლისებში გვაჩვენებს, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გარკვეული ნაწილი ექსპორტის საგნად ქცეულა. მოყავდათ დიდი რაოდენობით ბაღჩეული კულტურები. აგროვებდნენ წაბლს, თხილს და რკოს (კახიძე, 2007: 255-256).

სტრაბონის მიხედვით ვიცით, რომ კოლხეთიდან გემსაშენი ხე-ტყეც გადიოდა, სრულიად არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ იალქნებისათვის საგანგებოდ დამზადებული ქსოვილიც მიყვებოდა. ფიჭვნარის ძვ.წ. IV-II სს კულტურულ ფენებში ხშირად ჩნდება ვერტიკალური დაზგის ძაფების დასაჭიმვად გამოყენებული წყვილნახვრეტიანი პირამიდული საწაფები. ერთ-ერთ მათგანზე მუდმივი მოძრაობის სიმბოლო სვასტიკაა გამოსახული. ზომების მიხედვით ჩანს,

რომ მონტაჟდება სხვადასხვა ასორტიმენტის ქსოვილის დასამზადებელი საფეიქრო დანადგარები (კახიძე, 1971: 51; კახიძე, ვიკერსი, 2004: 138; სურ. 321). მსგავსი საწაფები ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო მათ დანიშნულებასთან დაკავშირებით (Гаидуковыч, 1952: 397). პროფ. კ.გაიდუკევიჩმა დაადასტურა მათი უპირატესობა საფეიქრო საქმიანობაში. მოხატულ ვაზებზე გამოსახული ვერტიკალური დაზგების მიხედვით მოხერხდა ქსოვის პროცესების რეკონსტრუქცია, შვეიცარიის ხიმინჯიან ნაგებობაში აღმოჩენილია თვით დაზგებიც (Гаидуковыч, 1952: 422-425; Онайке, 1956). როგორც ჩანს, საფეიქრო ხელოსნობაში ვერტიკალური დაზგის დანერგვა ჩვენი სინამდვილისათვის ბერძნულ სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქართულ – ბრიტანულმა ექსპედიციამ ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზე კავკასიასა და ევროპაში ყველაზე ადრეული აბრეშუმის ქსოვილის ნაშთები აღმოაჩინა. პალინოლოგიური კვლევა ხის კუბოს შეჭედვისას გამოყენებულ ლურსმანზე შემოწმებულ ხისა და ქსოვილის ნაშთებზე ჩატარდა. მიკროსკოპულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფიჭვის მერქანი ფისით იყო გაჟღენთილი, ქსოვილი კი – სელისა და აბრეშუმნარევი ძაფისაგან დამზადებული ქსოვილის ფრაგმენტით. ფიქრობენ, რომ ეს ნაშთები მიცვალებულის ტანსაცმლის ან სუდარის იყო და დღემდე ფიჭვის ხის ფისისა და რკინის ლურსმნის ჟანგს უნდა შემოენახა (Kvavadze Chichinadze, 2020, sur. 1,2). ქსოვილის ნაშთების აღმოჩენის შემთხვევები ძალზე ხშირია ფიჭვნარის სხვა სამაროვნების მიხედვითაც. ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ საყოველთაოდ ცნობილი აბრეშუმის დიდი გზის ერთ-ერთი მონაკვეთი ჩვენს ძეგლსა და მის მიდამოებში გადიოდა.

ფიჭვნარი ათასწლეულების მანძილზე კერამიკული წარმოების ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან, თვითმყოფად და მსხვილ ცენტრს წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ანტიკური ხანისათვის. შემოქმედმა მეთუნეებმა შექმნეს თიხის ჭურჭლის ისეთი ნაკადი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აქაურ მკვიდრთა შორის იყო გავრცელებული. გადაჭარბებულად ნუ მოგვეჩვენებათ ჩვენი ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი მათგანი როგორც ფორმის, ცალკეული დეტალებისა და შემკობის მოტივებით ტოლს არ უდებდა საყოველთაოდ აღიარებულ იმპორტულ ნაკეთობებსაც კი. თვით ფიჭვნარელ ელინებს შორის ისინი დიდი მოწონებით სარგებლობს. ყოფა-ცხოვრებისა თუ დაკრძალვის რიტუალში ხშირი გამოყენების საგნად ქცეულა.

მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან სამეურნეო დანიშნულების ქვევრები. ჩრდილო შავიზღვისპირეთთან ურთიერთობაში ისინი კერამიკული ტარის ფუნქციასაც ასრულებდნენ. საყოველთაოდ ცნობილია ქვევრსამარხების კულტურა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ფართობს მოიცავს, როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ამავე კულტურის არეალში ექცევა ბევრი სხვა ხალხებიც.

ქვიშაზვინულების მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური ქვევრები გავრცელებას იწყებენ ძვ.წ.VII საუკუნიდან. იგი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ

ერთიანი კონსოლიდირებული მაღალგანვითარებული კოლხური კულტურის მორიგ კომპონენტად. აქვთ თავისებური შემკობა, რომლის მსგავსი უცნობია სხვა ხალხების კულტურისათვის; მათ შესახებ შეიქმნა სოლიდური მეცნიერული მემკვიდრეობა, ამიტომაც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (უფრო დაწვრილებით იხ. კახიძე, 1971: 40-43; კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 96-99, სურ.165-168, 170/1, 171/1-5, 172/3, 173/1, 174/1, 175/1, 4, 176/1, 177/1,6, 178/1, 179/ 1-9, 181/1).

ფართო მოხმარების საგანი ყოფილა შინსახმარი საოჯახო კერამიკა. ამათ რიცხვს მიეკუთვნება დერგები, ქოთნები, დოქები, სასმისები, თასები, ლანგრები და ა.შ. წინა ეპოქებისაგან განსხვავებით ესენი კეთდებოდა სერიულად; სახეზეა ცალკეულ ფორმათა სტანდარტიზაცია, გამოირჩევიან სისადავითა და სამკაულის ზომიერად გამოყენებით. საგულდაგულოდ დამზადებული დერგები ხშირად იმეორებენ ქვევრის ფორმებს. მასში, როგორც ჩანს, უპირატესად რძის პროდუქტებს ინახავდნენ. მასობრივადაა გავრცელებული თიხის ქოთნები. მათ შორის გამოიყოფა მდიდრული ორნამენტით შემკული ე.წ. ფიჭვნარულები.

როგოც კოლხთა, ასევე ელინთა სუფრას ამშვენებდა ფიჭვნარელ მეთუნეთა მიერ დამზადებული საღვინე დოქების ბრწყინვალე ნიმუშები. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობენ ყურმილიანი ხელადები. ფართოა მათი გავრცელების არეალი. სცილდებიან კოლხური კულტურის საზღვრებს. აღწევენ ცენტრალურ-ამიერკავკასიურ კულტურაში, ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ პოლისებში. ქვევრების მსგავსად წარმოადგენენ კოლხური კულტურის მორიგ მახასიათებლებს. ასევე ითქმის კოლხური სასმისების მიმართაც, რომელთა გენეზისი განვითარებულ რკინის ხანას უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი მოხდენილი ფორმისაა.

ფორმათა ორიგინალობა და შემკობის თავისებურებები ადასტურებს, რომ სასმისებიც კოლხური მეთუნეების ნაყოფია. გავრცელებას იწყებს წინაანტიკური ხანიდან. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს კლასიკური და ელინისტური ხანისათვის (დუმბაძე, 2022: 32).

წინა და ადრეანტიკურ ხანაში მოხმარების საგანს წარმოადგენენ ბრტყელძირიანი ჯამები. ელინიზმის ეპოქიდან ჩნდებიან ქუსლიანებიც. მოწონებით სარგებლობენ კოლხური ლანგრებიც. ანალოგები ეძებნებათ ჩრდილო პონტოსპირეთში (Блавадский, 1992: 12, სურ. 15). სამზარეულო ნაწარმს მიეკუთვნება სპეციფიკური ფორმის ტაფისებური ჭურჭელი.

არის სხვა დანიშნულების სამეთუნეო ნაკეთობანიც, აღსანიშნავია სინოპური და ჰერაკლეის სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტის ნატეხები. ადრეელინისტური ხანიდან მათ ყავისფერკეციანი ადგილობრივი მინაბაძებიც გაუჩნდა. პროფ. ა.აფაქიძე შესაძლებლად თვლიდა, რომ მეკრამიტეობა ძველი საქალაქო ხელოსნობის უძველესი დარგი იყო საქართველოში, მათ შორის მცხეთაში (აფაქიძე,1963: 73).

ფიჭვნარის მაგალითზე ჩანს, რომ საინტერესო ინოვაციები ინერგება კოლხეთის სამშენებლო ხელოვნების ისტორიაში. განსაკუთრებულ სიახლეთა რიცხვს

განეკუთვნება ისიც, რომ ნაგებობათა კონსტრუქციაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი თიხის ბათქაშმა დაიკავა. აქაურ ოსტატებს ცეცხლაურ-ოჩხამურის ცეცხლგამძლე თიხის კარიერები გონივრულად გამოუყენებიათ. II და III უბნის საკონტროლო თხრილებმა გვიჩვენა, რომ ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავიათ ალაგ-ალაგ კომპაქტურად განლაგებულ ბათქაშების გროვას, რომლებიც დანგრეული შენობის ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ. თუ ადრე ჯარგვალური ტიპის ნაგებობებში ძელებს შორის დარჩენილი გამჭვირვალე ადგილები ივსებოდა თიხის შელესილობით, ახლა უკვე სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე. ხის ოსტატები პირველ რიგში ქმნიდნენ ხის კარკასს. ფიცრით ნაგებ კედლებზე აჭედებდნენ ოთხკუთხაგანივკვეთის მქონე ხის ლარტყებს. ამის შემდეგ კედლის ორივე მხარეს ბათქაშით ლესავდნენ.

ფიჭვნარის II უბანზე 1964 წლის ბათქაშების პროფილირებული ნატეხების მიხედვით ირკვევა, რომ საგულდაგულოდ გათლილი მსგავსი ლარტყების სიფართე 2-2,5 სმ. ყოფილა, სიმაღლე – 1,3-1,5 სმ. კედლის ზედაპირი შესანიშნავადაა მოსწორებული მაღალი ხარისხის წვრილმარცვლოვანი ბათქაშოვანი ტიხრით. ბათქაში, მოყვითალო-მოწითალოდ მზრალად გამომწვარი. აღნიშნული სიახლე მეტად საინტერესოდ გამოიყურება, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ საცხოვრებელ ნაგებობაში მსგავსი კონსტრუქციის მქონე კედლები სინესტის გაუმტარი იქნებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, მეტად გონივრული გადაწყვეტა ჩანს ფიჭვნარისა და, საერთოდაც, კოლხეთის ნესტიანი გარემოსათვის.

ბათქაშის აგურებით ხდებოდა ნაგებობის იატაკისა თუ ეზოს გარკვეული ნაწილების მოპირკეთება. ესენი უკეთესადაა გამომწვარი. ფილების ერთი ნაწილი ოთხკუთხა მოყვანილობისაა, ზოგიერთი კუთხეებმომრგვალებული. სიგრძე 35 სმ-დეა, სისქე 5 სმ. არტეფაქტებს შორის თავს იჩენს დიდი ზომის წყალგაყვანილობის მილები. ამათი რიცხვი ცოტაა, ამიტომაც ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ საუბრისაგან თავს ვიკავებთ (კახიძე 1971: 39-60).

ფიჭვნარი ამიერკავკასიაში გამორჩეული ძეგლია იმპორტული კერამიკული ნაკეთობების მიხედვით. მსგავსი მრავალრიცხოვნება, ფორმათა ნაირსახეობა და მეტად ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი ჯერჯერობით სხვა ძეგლებისათვის უცნობია (კახიძე, 1971: 73-76)

გამოიყოფა სამი ჯგუფი: I – კერამიკული ტარა, II – სადა ჰორიზონტალურზოლებიანი როდოსულ-იონიური კერამიკა და III – ატიკური მოხატული, ორნამენტირებული თუ სადა შავლაკიანი ჭურჭელი.

კერამიკული ტარის, ამფორების იმპორტი არქაული ხანისათვის იწყება. ბათუმის ციხეზე აღმოჩენილია ადრეული ქიოსური ამფორების ნატეხები, რომლებიც თეთრი ანგობითაა დაფარული. ანტიკურ სამყაროში მოპოვებული არაერთი ანალოგის მიხედვით ესენი ძვ.წ. VII ს ბოლოთი და VI საუკუნით თარიღდებიან (კახიძე, 1971; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 3-139, სურ. 1/47). თვით ფიჭვნარში მრავლად გვხვდება ყელგამობერილი ქიოსური ამფორები. უწყვეტი ჩანს

კუნძულ ქიოსთან ფიჭვნარის პირდაპირი და უშუალო კონტაქტები, რომელიც გრძელდება ძვ.წ. III საუკუნემდე.

გვიანარქაულ ხანაში კ.ქიოსის გარდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ებმებიან კ.სამოსი და ლესბოსი. აქ წარმოებული პროდუქციის შემომტანს მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. აღმოჩენილია ე.წ. სასმისისებრძირიანი ამფორის ნატეხები, რომლის საწარმოო ცენტრი ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული.

ათენის ჰეგემონიამ საერთაშორისო ბაზარზე კიდევ უფრო გაზარდა სხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული პროდუქციის იმპორტის ხვედრითი წონა ფიჭვნარის მოსახლეობაში ძვ.წ. V საუკუნისათვის. ათენის საშუამავლო ვაჭრობის გზით უნდა იყოს შემოზიდული კოლხეთში კ.თაზოსისა და მასთან დაკავშირებული სხვა ცენტრების პროდუქცია. ქიოსის მსგავსად ფიჭვნარის მონაპოვარში თაზოსური ამფორები ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებენ. ჩვენი წინაპრები უარს არ ამბობენ ქალქიდიკის ცნობილ ცენტრ მენდეს საუკეთესო ხარისხის ღვინოებზეც.

როგორც ვხედავთ, არქაულ, გვიანარქაულსა და ადრეკლასიკურ ხანაში კოლხეთის სამეფოსათვის საუკეთესო ხარისხის ღვინოების თუ ზეითუნის, ზეთისხილის და სხვა პროდუქციის მიმწოდებლად გვევლინებიან ეგეოსური სამყაროს კუნძულები. სურათი თანდათანობით იცვლება გვიანკლასიკური და ელინისტური ხანისთვის. რატომღაც კიდევ უფრო მრავლდება ე.წ. კათხისებრძირიანი მენდეს ამფორების რიცხვი. პელეპონესის ომში ატიკის დამარცხების შემდეგ წინა პოზიციებს იკავებენ პონტოსპირეთის ახალი საწარმოო ცენტრები. ძვ.წ. IV ს საკმაოდ ადრეული კონტაქტები იკვეთება სამხრეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან ცენტრებს ჰერაკლეასა (თანამედროვე ერეგლი) და სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრ სინოპეს შორის. ჩანს, რომ ფიჭვნარსა და სინოპეს შორის არსებობდა პირდაპირი კავშირები. ამასვე ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ნუმიზმატიკური ძეგლები. ამფორების გარდა კულტურულ ფენებში ვხვდებით კრამიტისა და ლუთერიის ნატეხებსაც. ამფორებთან ერთად, კრამიტის შემოტანა ჰერაკლეიდანაც ხდებოდა. ფიჭვნარის ნაქალაქარზე მოპოვებულია პანტიკაპეონის ამფორის ძირი და სხვა სახის ფრაგმენტები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადრეელინისტური ხანიდან თვით კოლხეთი ამზადებდა სინოპურების მიბაძვით ე.წ. ყავისფერკეციან ამფორებს. ესენი მრავლადაა აღმოჩენილი კოლხურ კულტურაში. განსაკუთრებით კი ელინიზმის ეპოქის ფიჭვნარის კულტურულ ფენებში. ამათი რიცხვი ყოველი ახალი ექსპედიციის დროს იზრდება (კახიძე, 1971a: 111-115; 1971b: 39-60; კახიძე, 2007: 61-71; კახიძე, 2014: 67-69; კახიძე, ვიკერსი, 2004: 65-67; 34-35; კახიძე 2016: 82-84; კახიძე, კახიძე, 2014: 21-24; კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 50). ჩანს, რომ ამ ეპოქისათვის კოლხი ვაჭარ-ხელოსნები უშუალოდ არიან ჩაბმულნი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სფეროში. ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს კოლხური ამფორების ხშირი აღმოჩენები ჩდილო შავიზღვისპირეთის პოლისებში. მათი გავრცელების არეალში ექცევა დასავლეთ

შავიზღვისპირეთიც. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვენახა კონსტანცის მუზეუმის (რუმინეთი) საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული ელინისტური ხანის მთლიანი კოლხური ამფორა.

საბერძნეთის აღმოსავლეთ რაიონებთან კოლხეთის ურთიერთობის ადრეული ეტაპების კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეშერას, ფოთის მიდამოების (საქორქიო), ფიჭვნარისა და ბათუმის ციხეზე აღმოჩენილ სადა ჰორიზონტალურზოლებიან კერამიკას. ძვ.წ. VII ს ბოლოდან მოყოლებული ნაწილობრივ ძვ.წ. V საუკუნეშიც ამ სახეობის თიხის ჭურჭელი დიდი რაოდენობით მზადდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრში. გავრცელებულ ფორმათა რიგს მიეკუთვნება სხვადასხვა ტიპის თასები, კილიკები, სკიფოსები, ამფორისკები, ოინოხოიები, დოქები, კრატერისკები, ასკოსები, ლეკითოსები და ა.შ. დამზადებულია სუფთა წვრილმარცვლოვანი, კარგად განლექილი თიხისაგან. გამოწვა ღია მოყავისფრო, მოწითალო ან ყავისფერი. ადრეული ლაკი მკვრივი და სქელია, გვიანდელი თხევადი და ცუდად დაცული (**Technau**, 1929: 8, Шмигт, 1952; Сидорова, 1962). ფიჭვნარში აღმოჩენილი ადრეული კილიკი დაფარულია საუკეთესო ხარისხის, სქლად წასმული ლაკით. იგი ძვ.წ. VI ს პირველი ნახევრის უნდა იყოს. დამზადების ცენტრად კუნძული როდოსი გამოიყურება. ასევე ითქმის წყვილღერიანი ყურების მქონე ოინოხოიების და სხვა სახის ნაკეთობათა მიმართ. ბათუმის ციხის არქეოლოგიური გათხრებისას ხშირად ჩნდება ოინოხოიების ნატეხები, რომლებიც მოთეთრო (ვერცხლისფერი) და მოწითალო ზოლებითაა შემკული. ვ.ტეხნაუ ანალოგიურ მონაპოვრებს სამოსთან ძვ.წ. VII ს ბოლოს აკუთვნებს და ადგილობრივ ნაკეთობად მიიჩნევს (Technau, 1929: 29-30).

ცალკე ჯგუფს ქმნის ფიჭვნარის იონიურ კერამიკაში ძაბრისებრძირიანი კილიკები. ფართოა ამათი გავრცელების არეალი. კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები, ჩრდილო შავიზღვისპირეთი (მაგალითად პანტიკაპეიონი, მირმეკიონი, ჰერმონასა, ტუზლინის ნეკროპოლი, ოლბია, ბერეზანი და ა.შ.) ასევე ითქმის დასავლეთ შავიზღვიპირეთის მიმართ (ჰისტრია) (კახიძე, 1971: 78-79; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 3-139). თარიღდება ძვ.წ. VI საუკუნით. ძვ.წ. V საუკუნისათვის მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება. ამ სახის სამოსური და ე.წ. ფიკელურას სტილის ჭურჭელი საქართველოს შიდა რაიონებშიცაა აღმოჩენილი (ლორთქიფანიძე, 1966: 199). ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში პირველ ხანებში ამფორების მსგავსად უპირატესად საბერძნეთის იონიურ ცენტრებში დამზადებული პროდუქცია იყო იმპორტის საგანი.

სურათი მკვეთრად იცვლება მომდევნო პერიოდისათვის (ადრეანტიკური, ადრეელინისტური ხანა). ქობულეთ-ფიჭვნარის შემოტანილი კერამიკის მეტად მრავალრიცხოვან და საყურადღებო ჯგუფს საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენში დამზადებული პროდუქცია ქმნის. ამ მიმართებით განსაკუთრებით განებივრებული გახლავართ. ცხადზე უცხადესია, რომ მსგავსი მაღალმხატვრული

სამეთუნეო ნაკეთობების მომხმარებელი კოლხურ-ელინური საზოგადოება უაღრესად მაღალი გემოვნების მატარებელია. ზოგიერთი მათგანი შედევრების რიცხვს მიეკუთვნება. საკმარისი იქნება დავასახელოთ ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერი, რომელიც ანტიკური მონუმენტური ვაზათმომხატველობის ფუძემდებელ ნიობიდების მომხატველს ეკუთვნის (კახიძე, 1973; კახიძე, 2015: 3-9), შავფიგურული ატიკური კერამიკის ნატეხები მოპოვებულია ნაქალაქარის სხვადასხვა უბნის კულტურულ ფენებში, მთლიანი ცალები აღმოჩენილია სამაროვნებზე.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვნებით გამოირჩევიან კლასიკური ხანის წითელფიგურული კერამიკის ნაშთები. მათ შორის კილიკის ნატეხები, გუტუსი და ა.შ. ჩანს, რომ მსგავსი ფუფუნების საგნები ფართო მოხმარების საგანი ყოფილა.

კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ორნამენტირებული თუ სადა შავლაკიანი საღვინე, სუფრაზე მოსახმარი და სანელსაცხებლე ჭურჭელი. ღვინის სასმელად განკუთვნილ ატიკური შავლაკიანი კერამიკის ფორმებს შორის წამყვან ადგილს იკავებენ კილიკები, სკიფოსები, კანთაროსები, ბოლსალები, კრატერისა და ოინოხოიის ტიპის ფორმები. სიმრავლესთან ერთად გაკვირვებას იწვევს კილიკის ფორმათა მრავალგვარობა. განეკუთვნებიან სხვადსხვა ქრონოლოგიურ ჯგუფს და შესანიშნავად ასახავენ ამ ტიპის საღვინე ჭურჭელში მომხდარ ევოლუციურ ცვლილებებს. ეძებნებათ ურიცხვი პარალელები, რომელთა შესახებაც საუბარი შორს წაგვიყვანდა. განსაკუთრებით მიმზიდველია ნაკვეთი და ნატვიფრი ორნამენტით შემკული ფრიალა ე.წ. ნატიფი კლასის კილიკები. დიდი მოთხოვნილება ყოფილა შავლაკიან სკიფოსებსა და კანთაროსებზე. გვაქვს შავლაკიანი კრატერის ფრაგმენტებიც. ერთ-ერთ მათგანზე ღირებულების აღმნიშვნელი გრაფიტოცაა შერჩენილი. საღვინე ჭურჭლად ოინოხოიებსაც იყენებენ. ასევე ითქმის მრავალრიცხოვანი შავლაკიანი თასების, ლანგრების, სათევზე ჭურჭლის (იხთია), სამარილეებისა და სხვათა მიმართ.

მდიდარ კოლექციას ქმნის სანელსაცხებლე და ტუალეტისთვის განკუთვნილი ჭურჭელი. მსგავსი ნაწარმი შედარებით ღარიბული ფენებისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. ამათ რიცხვს განეკუთვნებიან პატარა ზომის სხვადასხვა სახის სამკაულით დაფარული ამფორისკები, მცენარეული ზეთისათვის განკუთვნილი ლეკითოსები. აქაურ მოსახლეობაში გავრცელებული ჩანს ტუალეტისთვის განკუთვნილი შავლაკიანი ლეკანები. მცენარეული ზეთისათვის გამოიყენებოდა პატარა ზომის ჩაიდნისებრი ტუჩიანი ასკოსები. მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნის ელინისტური ხანის ყავისფერკეციანი კერამიკა. თარიღდებიან ძვ.წ. III-II საუკუნეებით. მიჩნეულია როდოსულ და პერგამულ ნაწარმად (Леви, 1964: 233).

ფიჭვნარში შემოტანილი სადა ჰორიზონტალურზოლებიანი, ატიკური შავლაკიანი და ყავისფერკეციანი კერამიკის კვლევას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. დასტურდება, რომ ძველ კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის

სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს ორგანიზებული, სისტემატური ხასიათი ძვ.წ. VI ს II ნახევრიდან ეძლევა. ადრეული ეპოქისათვის წამყვანი ჩანს საბერძნეთის იონიური ცენტრების ნაკეთობათა იმპორტი. მთელი კლასიკური ხანის მანძილზე ჰეგემონია გადადის საბერძნეთის მატერიკულ ცენტრ ათენზე. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, კონტაქტები პირდაპირ, უშუალო ხასიათს ატარებს. ფიჭვნარი კლასიკური ხანისათვის აღწევს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. აქაური საზოგადოება მასობრივად იყენებს მსგავსი ფუფუნების საგნებს. ათენსა და კოლხეთს შორის ივარაუდება ორმხრივი, პარტნიორული ურთიერთობა.

ფიჭვნარის ანტიკური ხანის არტეფაქტების გარკვეულ ჯგუფს სხვა სახის მონაპოვრები ქმნიან. პირველ რიგში აღსანიშნავია შემთხვევით, კოლხურ მონეტებთან და ელექტრუმის ქიზიკინებთან ერთად, 1952 წ აღმოჩენილ განძში შემავალი ოქროს შესანიშნავი სხივანა საყურეები. კოლხურ და ბერძნულ სამარხეულ კომპლექსებში შედიოდა ამათი ბრწყინვალე ეკზემპლარები. ფიჭვნარი ოქროსა და ვერცხლის სხივანა საყურეების დამზადების ერთ-ერთი მეტად დაწინაურებული ცენტრი ჩანს. ისინი ადგილობრივ იუველირთა შემოქმედების ნაყოფია. სხვა ქვეყნები მსგავს სამკაულს არ იცნობს. სხივანა საყურეები მოპოვებულია ბორში, სოხუმის მახლობლად (ახლა სახელმწიფო ერმიტაჟშია დაცული), ჭითაწყარში, სოფელ იკოთა (ესეც სახელმწიფო ერმიტაჟშია დაცული), ბეშთაშენის ციხის ტერიტორიაზე, ვანში, მთის ძირში, ბრილში. ფიჭვნარში მრავლად იწარმოება ოქროსა და ვერცხლის სადა რგოლსაკიდები (დიდი ნაწილის ბოლოები გახვრეტილია). აქაური მკვიდრნი მომხმარებელია როგორც ზურგსწორი, ასევე ზურგშედრეკილი სამაჯურებისა (ვერცხლის, ბრინჯაოს). მოსართავების კომპლექსში ბრინჯაოს ძეწკვიც შედის. უარს არ ამბობს რკინის სამკაულებზეც. განსაკუთრებით მოსწონთ მძივები და მძივსაკიდები. აღმოჩენილია გიშერის, სარდიონის, ოქროსა და მინის მძივები და მძივსაკიდები. როგორც ჩანს, ფიჭვნარის მოსახლეობა თავადაც აკეთებდა მოზრდილი თიხის მძივებს. მძივსამკაულები უპირატესად მომდინარეობს ეგვიპტესა და სირიის სახელოსნოებიდან. აქაური ელინები მოკრძალებულად იყენებენ ამ სახის ნაწარმს. ეგეოსურ კუნძულებთან, კერძოდ, როდოსთან ჩანს დაკავშირებული ფერადი მინის ჭურჭელი. ჩვენს ხელთაა პოლიქრომული მინის საინტერესო კოლექცია (კახიძე, შალიკაძე, 2009). ჯერჯერობით შედარებით ცოტაა ბრინჯაოს ჭურჭელი. ტორევტიკის ნიმუშები მეტია სამარხეულ კომპლექსში. ერთ-ერთ მათგანში 1952 წლის შემთხვევით აღმოჩენილი ჩვენთვის ცნობილი განძი იყო მოთავსებული; დანარჩენი ეკუთვნიან კოლხურ-ყობანურ კულტურაში კარგად ცნობილ ბრინჯაოს ქვაბებს, ე.წ. სიტულებს.

„ნაპურვალაზე“ (კოლხურ სამაროვანზე) მოპოვებულ დიდი ზომის სიტულაში მოთავსებული იყო ფირფიტისაგან დამზადებული სვასტიკა. მუდმივი მოძრაობის, მზის სიმბოლო ფართოდ იყო გავრცელებული ენეოლითის საფეხურიდან

მიწათმოქმედი ხალხების კულტურაში (ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ანტიკური სამყარო, ამიერკავკასია და ა.შ.) (სახაროვა, 1965).

მიჩნეულია, რომ ჯვრის გამოსახულება წარმოადგენდა ქართველი ტომების საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის პანთეონის ვარსკვლავებად განასახიერებულ ადგილობრივ ღვთაებათა მეტამორფოზის ყველაზე ხშირ ფორმას (Бардавелидзе, 1957: 151).

ფიჭვნარელთა სამეურნეო საქმიანობის შესასწავლად საკმაოდ უხვ ინფორმაციას გვაწვდის კულტურულ ფენებში მრავლად აღმოჩენილი ხელსაფქვავები, ბადის საძირავებად გამოყენებული რიყის ქვის გვერდებამოღარული საწაფები, ძვლოვანი მასალა და ა.შ. ესენი უძველესი ნეოლითის საფეხურიდან (მახვილაური) იჩენს თავს. ადრეულებს პარალელი არ ეძებნება. საწაფები ცნობილია ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარიდანაც. აშკარაა, რომ თევზჭერა აქაურ მკვიდრთა საქმიანობის დარგია. უფრო მეტიც ადრეანტიკური ხანიდან თევზის რეწვასა და დელფინის ქონის დამზადებას სასაქონლო ხასიათი მიუღია. ოსტეოლოგიურ მასალებს შორის წამყვანი ადგილი დელფინის (Drlphinus) ძვლებს უკავია, შემდგომ ღორის (Sus Scrofa), მოსედვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (Bos Taurus). ერთეული სახითაა წარმოდგენილი ცხვრისა და თხის ძვლოვანი მასალა. მნიშვნელოვანია, რომ II უბანზე ფერმის ნაშთები შემოგვენახა.

ფიჭვნარის მონაპოვარში გარკვეულ ჯგუფს გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების არტეფაქტები ქმნიან. ამათ რიცხვს მიეკუთვნებიან მინის ჭურჭელი, მათ შორის ხალიანები. ხშირად ჩნდება ამფორისა და სადა სამშენებლო აგურის ნატეხები. სიახლეა წითელლაკიანი კერამიკა. ნაპურვალას ბორცვზე თანადროული ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნაშთებიც იყო აღმოჩენილი. ერთ-ერთი უძველესია ჯვარცმის სცენის გამომსახველი მარმალილოსაგან დამზდებული ჯვარი.

ფიჭვნარის სამაროვნებზე გაბნეული გვიანანტიკური და ადრეულ შუა საუკუნეების მეტად საინტერესო ინვენტარია აღმოჩენილი თანადროულ დახურულ კომპლექსებში. ესენია: თიხის ქოთნები, დოქები (ერთ-ერთი მათგანის ძირზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა მოცემული. გაზრდილა წებელდური დოქების გავრცელების არეალი. კერამიკული ნაწარმის შემდგომ ყურადღებას იქცევენ მინის სანელსაცხებლეები და ჭიქები; კანონიკური ჩანს საბრძოლო და შრომის იარაღების ჩაყოლება. თითქმის ყოველ მეორე სამარხში აღმოჩენილია ხის ტარზე მორგებულ ბუნიკიანი შუბისპირები. ამათი თანმხლები ჩანს რკინის ცულები. საგანგებო ყურადღებას იქცევს გვიანდელი ეპოქის სამარხებში კაჟის დამუშავებული იარაღების ჩაყოლების რიტუალი. თითქმის ყველა სამარხში ჩნდება ჩვენს მიერ საავგაროზედ მიჩნეული მძივები. არის სადა და მოზაიკურები. გაუტანებიათ ზურგსწორი ვერცხლის სამაჯური. ჩაცმულობასთან დაკავშირებულია რკინის ფიბულები, ბრინჯაოსა და რკინის აბზინდები. გრძელდება ქარონის გაყოლების წესი. ერთ-ერთი მათგანი კერძოდ ანტონიუს პიუსის მონეტა 138-161 წლებით თარიღდება. გულგრილნი არ არიან გლიპტიკური ძეგ-

ლების მიმართ. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი მარცხენა პროფილში. მეორეზე გამოსახული იყო ფრინველი – მტრედი (?). ვერცხლის ბეჭედში ჩასმულ მუქი ყავისფერი სარდიონის ინტალიოზე ნაკვეთია გრძელნისკარტა და გრძელფეხებიანი ფრინველი (კახიძე, ვიკერსი, 2004: 123, 131, ტაბ. 284-299). ნაქალაქარის I და III უბნებზე მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც გამოერია.

ამ მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ფიჭვნარში ცხოვრების გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება, მაგრამ არა ისეთი მასშტაბებით, როგორიც ჩვენს კლასიკური და ელინისტური ხანისათვის ვხედავთ (კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000: 70-89). ვაჭრობა-ნაოსნობისათვის ხელსაყრელი პირობები განვითარებული შუა საუკუნეებისათვისაც ყოფილა. ამაზე მიუთითებს XVII ს კათოლიკე მისიონერი ა. ლამბერტი (ლამბერტი, 1938: 73). ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ვიცით, რომ XVIIIსაუკუნისათვის ქობულეთი ყოფილა მცირე ქალაქი და ნავსადგური ფრიად კეთილი (ბატონიშვილი, 1941: 275)

არსებული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ელინები ეწევიან ფუფუნებით ცხოვრებას. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი საზოგადოება ხშირ შემთხვევაში ისეთი საგნის მომხმარებელი გახლავთ, რომელთა ნაწილი შედევრების, უნიკუმების რიცხვს განეკუთვნებიან. იმპორტის მიხედვით საოცრებად გვეჩვენება ფართო კავშირები იმ დროინდელი მსოფლიოს საყოველთაოდ ცნობილ ქალაქ-სახელმწიფოებთან, პოლისებთან, სავაჭრო თუ სატრანზიტო ცენტრებთან. ხშირად ხდებოდა საერთაშორისო შეხვედრები, იმართებოდა საერთო კოლხური თუ ელინური დღესასწაულები, სხვადასხვა სახის სანახაობები, სპორტული შეჯიბრებები. საამისოდ აღმოჩენილია როგორც პალესტრასთან დაკავშირებული არტეფაქტები, ასევე საპრიზო ჭურჭელი. ყოველივე ეს არცაა გასაკვირი. მდორე მდინარეების შესართავთან გაშენებული ქალაქი შესანიშნავი საკონტაქტო ზონა აღმოჩნდა ზღვაოსნებისათვის. აქვე გაივლიდა ჩრდილო შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალი მაგისტრალიც საბერძნეთიდან, ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან გამოსული საზღვაო ტრანსპორტის უთვალავი ნაკადი. ასევე ითქმის ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში ამოქმედებული ტრანსკავკასიური მაგისტრალის შესახებ, რომელიც ზღვის სანაპირო ზოლიდან დაწყებული რიონ-ყვირილას, მდ. მტკვრის, კასპიის ზღვის სანაპიროებისა და შუა აზიის სახელმწიფოების გავლით მიემართებოდა ინდოეთისაკენ. ფიჭვნარზე გადიოდა ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის გარკვეული მონაკვეთი. მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ჩვენს ძეგლზე აღმოჩენილი ძვ.წ. V ს აბრეშუმის ქსოვილის ნაშთები, რომელიც სხვაგან ევროპის სივრცეში ჯერჯერობით უცნობია. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრეელინისტური ხანიდან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ფართოდ ჩანან ჩაბმული ადგილობრივი მოსახლეობის ახლად წარმოქმნილი

ვაჭართა ფენების წარმომადგენლები. საკმაოდაა გავრცელებული ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში ყავისფერკეციანი ამფორები. ამათი მთლიანად დაცული ცალები ამშვენებს კონსტანცის (რუმინეთი) და უკრაინის ბელგოროდ-დნესტროვსკის სამუზეუმო გამოფენის დარბაზებს. დიდი აღმოჩენები ჯერ კიდევ წინაა. ამ მიზნით აუცილებელია სათანადო მეთოდიკის მიხედვით მომავალში შედარებით სოლიდური ფინანსების აკუმილირება.

კლასიკურ და ელინისტურ ხანაში მესაქონლეობის, მეთევზეობისა და თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომ მრავალფეროვან ხელოსნობას შიდამოხმარებასთან ერთად სასაქონლო ხასიათი ეძლევა. ვანისა და საირხეს მსგავსად ათასწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებდა საიუველირო ხელოვნების ფიჭვნარული სკოლა. საერთაშორისო ფენომენთა რიცხვში ვხედავთ საფეიქრო ხელოსნობას, კიდევ უფრო დაიხვეწა მეთუნეობა. აქაურმა პროფესიონალმა ხელოსნებმა კლასიკურ ხანაში დაიწყეს ნატიფი თიხის ჭურჭლის ისეთი ფორმების დამზადება, რომელთა მსგავსი კოლხეთის სხვა ცენტრებისათვისაც კი უცნობი იყო. ფიჭვნარელ ელინებში დიდი მოწონებით სარგებლობდა და საკმაოდ ხშირად სამარხეულ ინვენტარადაც იყენებდნენ. რიგი ნოვაციები დაინერგა სამშენებლო ხელოვნებაში ბათქაშის ინტენსიურ გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც მეტად პრაგმატულია აქაური ნესტიანი გარემოსათვის. შესანიშნავად ჩანს, რომ მთელი კლასიკური ხანის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძენ მოახალშენეებს შორის არსებობს მშვიდობიანი, პარტნიორული სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობანი. არ გამოვრიცხავთ ფიჭვნარში ათენელთა კლერუხიების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება, IV, 1941

დუმბაძე ი., მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, (სადოქტორო ნაშრომი), ბათუმი, 2022

ებრალიძე ტ., ლუთერიები გონიო-აფსაროსიდან. – ბამ შრომები, II, 2002, გვ. 89-93

ვარშალომიძე ირ., ძნელაძე ნ., ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, 2021

კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთ-ფიჭვნარი), თბ., 1971a

კახიძე ა., კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. – სდსძ, II, 1971b

კახიძე ა., ფიჭვნარის წითელფიგურული კრატერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 69, №2, 1973

კახიძე ა., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ზეგლები, ბათუმი, 1975

კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინაანტიკური და ანტიკური ხანა), I. – სდსძ, XVIII, თბ., 1989, გვ. 3-139

კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ., ადრე შუა საუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ბამ შრომები, I, 2000, გვ. 70-86

კახიძე ა., ვიკერსი მ., კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002 წწ). – ფიჭვნარი I, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშმოლის მუზეუმი, 2004

კახიძე ა., ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987 წწ). – ფიჭვნარი II, ბათუმი-ოქსფორდი, 2007

კახიძე ა., შალიკაძე თ., მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. – ფიჭვნარი IV- გონიო-აფსაროსი IX, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, ოქსფორდის აშმოლის მუზეუმი, 2009

კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., ელინიზმი და კოლხეთი. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგი-

ური ექსპედიციებისა და საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1965-2004 წწ). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშმოლის მუზეუმი, 2010

კახიძე ა., კახიძე ე., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარი ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი). ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველო-ბრიტანეთისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (1967-2012 წწ), – ფიჭვნარი V, ბათუმი-ოქსფორდი, 2014

კახიძე ა., ატიკური მონუმენტური ვაზათმომხატველობის ნიმუშები ფიჭვნარიდან (წითელფიგურული კრატერი), ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VI, 2015, გვ. 3-9

კახიძე ა., ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვანი. – ფიჭვნარი VII, ბათუმი, 2016

კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2016

კახიძე ა., ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლადაღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები – ძვ.წ. V-II ათასწლეულები), ბათუმი, 2021

ლამბერტი ა., სამეგრელო, აღწერა, თბ., 1938

ლორთქიფანიძე ოთ, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966

სახაროვა ლ., ბრინჯაოს უძველესი მხარვრული ჭურჭელი საქართველოში. – ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, № 12, თბ., 1965, გვ. 46-48

ქათამაძე ა., კოხის „ნაჯიხურლი“. – აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები, VI, ბათუმი, 1963, გვ.28-38

ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, თბ., 1930

ხოშტარია ნ., ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 223-25

Бардавелидзе В.В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957

Белинский А. Б., К вопросу о времени появления шлемов сирийского типа на Кавказе. – СА, 4, 1990, сс. 190-195

Блаватский В.Д., Отчет о раскопках Пантикапея, 1945-1949, 1952 и 1953 гг. – МИА, 103, 1962. сс. 6-85

Гайдукевич В.Ф., Раскопки Мирмекия в 1935-1938 гг . – МИА, 25, 1952, сс. 395-414

Гаидукевыч В.Ф., К вопросу о ткацком ремесле в боспорских поселениях. МИА, 25, 1952, сс. 397, 422-425

Голенко К.В., Кобулетский клад серебрянных монет. – СА, XXVII, 1957

Голенко К.В., Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948 г.). – ВДИ №1 (75), М., 1961

Крупнов Е.И., Древнаяя история Северного Кавказа, Москва, 1960

Леви Е.И., Керамический комплекс III-II вв до н. э. из раскопок олвийской агоры. –Ольвия: Теменос и агора, М-Л, 1964

Онайко Н.А., О фанагорийских грузилах, МИА, №57, 1956

Онайко Н.А., Архаический Торик. Античный город на северо-востоке Понта, Москва, 1980

Пахомов Е.А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку, 1954

Жуковский П., Культурные растения и их сородичи, М, 1950

Синская Е., Биологические и морфологические основы классификации культурного льна – Доклад АН СССР ТХСП, №4, 1953

Шмидт Р.В., Греческая архаическая керамика Мирмекия и Тиритаки. – МИА, 25, 1952

Сидорова Н.А., Архаическая керамика из Пантикапея, МИА, 103, 1962

Barber E., J., W., Prehistoric Textiles: the Development of Cloth in the Neolithic and Bronze Fges with Special Reference to the Aegean. Princeton NJ, 1991

Hood M.S.F., Boardman John, Anderson J. K., Excavations on the Kofina Ridge, Chios, The Annual of British School of Athens, vol. 49, pp. 123-182, 1954

Kvavadze E., Chichinadze M., Palynological analysis of organic materials from Pichvnari (including the earliest silk in Georgia)- Wonders Lost and found edited by Nicholas Sekunda, Oxford, Arceopress, 2020: 102-107

Technau W. Griechische Keramik im Samischen Heraion Athenische Mitteilungen, 1929

Amitran Kakhidze

CLASSICAL SETTLEMENT OF PICHVNARI

The antique ruins of Pichvnari provide especially significant information for the study of the history and culture of the east Black Sea coast. According to the available cultural materials, it is clear that Pichvnari was the economic, political, cultural and religious centre of its surrounding country for a long time. It was located in a large area on Khertvisi of Choloki-Ochkhamuri. There are several separate areas.

The commencement of the archaeological excavations of Pichvnari ruins is related to the establishment of the N. Berdzenishvili Batumi Scientific Research Institute of the Georgian Academy of Sciences (1958). The ruins attracted the attention of researchers in 1941 through the accidental discovery of the coins' treasure. The treasures were found in 1948 and 1952 as well, which was followed by the first observational excavations on the territory of the Pichvnari Antiques ruins and old cemetery (1953, 1956). The small-scale archaeological excavations on the II area of the site were carried out in 1964 in order to specify the strategic sections. In 1981-1989 the field works were performed in the nearby sections of Choloki.

The joint Georgian-British expedition continued the field works on the site in 1999. The study of the section started in 1964 was continued. The works were in progress in 200-2001 as well.

Pursuant to the latest discoveries and previously obtained data, it seems that the development of urban life at the confluence point of Choloki and Ochkhamuri had strong preconditions. The squared plastered log-type dwelling previously had a leading role, which in the Classical and Hellenistic periods was replaced by a log-type construction coated with clay plaster, which seems to be especially practical for humid places. Local and imported solen and kalypter type tiles were rarely used.

According to the field works, the oldest local economic activities include farming, breeding, fishing. The basin of Choloki-Ochkhamuri was one of the largest points of metallurgy in the Pontus region in the Pre-Antiques period. The tradition of bronze extraction-processing was continued. We deem that goods of raw metal certainly attracted Greek new settlers in Pichvnari surroundings.

Pichvnari represented one of the significant contact zones of the local and Hellenistic civilizations. The most prominent findings from the site are materials reflecting the trade-economic and cultural relationships with various centres of the antique world, such as: amphorae, Ionian simple-striped ceramic goods, Antiques painted, ornamented and simple polished black vessels from different production centres.

ტაბულების აღწერილობა:

I. ფიჭვნარის ტოპოგეგმა

II. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრის პირ-ყელისა და ტანის ფრაგმენტები (ძვ.წ. V ს)

III. 1. სასმისი; 2. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასმისი. დაწიდებული (ძვ.წ. V ს); 3. დაწიდებული თიხის ჭურჭელი

IV. 1. მტრედის თავის სკულპტურული გამოსახულება (ძვ.წ. V ს); 2. თიხის მძივი (ძვ.წ. V ს); 3. ქოთნის ყურები

V. 1-6. თიხის სასმისები

VI. 1. სინოპური ამფორის ძირი (ძვ.წ. – IV-III სს); 2. ჩაჩისებრძირიანი ქიოსური ამფორის ძირი (ძვ.წ. IV ს); 3. ქიოსური ამფორის ძირი (ძვ.წ. V ს)

VII. 1-2. ლესბოსური ამფორის ძირები (ძვ.წ. V ს პირველი ნახევარი); 3. მენდეს ამფორის ძირი

VIII. 1-2. სოლოხას ტიპის ამფორის პირ-ყელი; 3. სინოპური ამფორის პირ-ყელისა და ყურების ფრაგმენტები (ძვ.წ. IV-III სს); 4. ჰერაკლეის ამფორის პირ-ყელისა და ყურების ფრაგმენტი (ძვ.წ. IV ს); 5-6. კოლხური ამფორის ძირები

IX. 1-3. თიხის სადგამები (ძვ.წ. IV-III სს)

X. 1. სვეტისებრყურებიანი კრატერის ფრაგმენტები; 2. შავლაკიანი ჯამის ნატეხები (ძვ.წ. V ს); 3. სკიფოსის ნატეხები; 4. კრატერის პირისა და ტანის ფრაგმენტები; 5. შავლაკიანი ჭურჭლის ძირი


XI. 1. შავლაკიანი ჭურჭლის ძირი; 2. კილიკის ფრაგმენტები; 3. მაღალფეხიანი ჯამის ნატეხები; 4. სამარილე; 5. შავლაკიანი კულიკის ძირი

XII. 1. ფერადი მინის ალაბასტრონის პირისა და ტანის ნატეხები; 2. ფერადი მინის მძივი (ძვ.წ. V ს); 3. მინის მანდარინისებრი ფორმის მძივი (ძვ.წ. V ს); 4. მინის თვალადი მძივი (ძვ.წ. V ს)

XIII. 1. ტყვიის საწაფები; 2. ბრინჯაოს ანკესები; 3. ბრინჯაოს ტივტივა (ელინისტური ხანის სამაროვნიდან

XIV. 1. თიხის საწაფები (ძვ.წ. IV-III სს); 2. თიხის კვირისტავები (ძვ.წ. IV-III სს)

XV. პირამიდული საწაფი


0 100 200 300 400 მ




1



2



3



1



2



3



1



2



3



1



2



3



4



5



6



1



2



3



1



2



3



4



1



2



3



4



5



6



1



2



3



1



2






3



4



5



1




2



3




4





5



1



2



3




4



1



2



3



1



2



1



2